

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



მეჩუისი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი
2024



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

XII სტუდენტური საერთაშორისო კონფერენცია

ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი



უნივერსიტეტის
გამოცემა

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოფიკო ძნელაძე (კოორდინატორი)

პროფესორები: **დავით მაცაბერიძე, გიორგი ამირანაშვილი, თამარ ვეფხვაძე,**

ზვიად აბაშიძე, ირინა ჯავახაძე, ნათია კენჭიაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი,

ბორის კომახიძე, თეა ქამუშაძე, ხვთისო მამისიმედიშვილი, ინესა გაგნიძე,

ირინა გოგორიშვილი, ირინა გველესიანი, თამარ გელაშვილი,

ლევან გელაშვილი, ეკა ჩხაიძე, ნინო ჭალაგანიძე, მიხეილ ქართველიშვილი,

პავლიკა ჯაგუნავა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი), **ნინო ნეფარიძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი),

მაკა დოლიძე (დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი).

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია გასულ 2023 წელს სტუდენტთა XII საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა შორის შერჩეული მასალები.

მოხსენებათა შერჩევის პრინციპი და ფორმატი კვლავ უცვლელია: შემოსული განაცხადებიდან კონფერენციაზე წარსადგენად შეირჩა 21 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 95 მოხსენება. კონფერენციაზე შემოსული და შერჩეული მასალების მრავალფეროვანი და მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე, ჩამოყალიბდა 12 სხვადასხვა თემატიკის სამუშაო სექცია. კონფერენციის მუშაობის დროს თითოეულ სექციაზე წარმოდგენილი მოხსენებების შეფასების შედეგად, სექციის ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებისათვის რეკომენდაცია გაენიანა ნაშრომთა ნაწილს.

შემდგომ ეტაპზე სარედაქციო კოლეგიამ იმუშავა წარმოდგენილ და რეკომენდებულ მასალებზე, ნაშრომებში წარმოჩენილი კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმის, აკადემიური უნარების, მეცნიერული, მორალური პოზიციისა და ხარისხის გათვალისწინებით წარმოდგენილ მასალათა შორის შერჩეულ იქნა მოხსენებები, რომლებიც მომზადდა „მერმისის“ ახალი კრებულისათვის.

ამ შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შედეგები აისახა „მერმისის“ წინამდებარე კრებულში, რომელშიც წარმოდგენილია 30 მოხსენება სხვადასხვა სპეციალობებიდან.

ჩვენი საორგანიზაციო ჯგუფი და ჩვენი პროექტი – „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ წინამდებარე კრებულით კვლავ ერთგული რჩება იმ მთავარი სამუშაო იდეისა და პრინციპებისა, რასაც აკადემიურობა, ინტეგრირება და სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევრებთან და სტუდენტებთან თანაშრომლობა ჰქვია.

ამ პრინციპთა და ტრადიციათა კვალობაზე „მერმისის“ წინამდებარე კრებულიც კვლავ და კვლავ ამ ღირებულებათა წარმომჩენია.

თამარ პაიჭაძე
მთავარი რედაქტორი, კონფერენციის ხელმძღვანელი
13.05.2024

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
სამართალმცოდნეობა, კონფლიქტოლოგია, პოლიტიკის მეცნიერებანი	
თონა ჩაჩუა. ორმაგი საფრთხის აკრძალვის პრინციპის სამართლებრივი ანალიზი ეროვნული და ევროპული გამოცდილების ქრილში	9
თამარ იოსელიანი. ფაქტობრივი ქორწინება, როგორც სოციალური მოვლენა და მისი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება.....	20
თამარ ახალკაცი. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი.....	26
რადი ხოტივრიშვილი. ომი გრიფინის ღორის გამო – ბრიტანულ-ამერიკული დიპლომატიის ახალ ეტაპზე გადასვლა.....	30
პოლიტიკის მეცნიერებანი – სოციოლოგია	
ნინო მახარობლიშვილი, ელენე მიქანაძე. იაპონიის რეგიონული უსაფრთხოების ხედვის ცვლილება რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე	34
ჰუმანიტარული მეცნიერებანი: ლიტერატურათმცოდნეობა, კულტუროლოგია	
ალექსანდრე ხეცურიანი. გამზრდელ-გაზრდილის მნიშვნელობისათვის შოთა რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“	41
გვანცა ბოჭორიშვილი. ქოლა ლომთათიძის შემოქმედების მხატვრულ-სტილური დახასიათებისთვის.....	45
ელენე ბერიძე. ხოგაის მინდიას მითის მხატვრული ინტერპრეტაცია ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას მიხედვით.....	49
ნინი ქველიაშვილი. პიროვნების იდენტობის კრიზისის ასახვა მოდერნისტულ ლიტერატურაში.....	54
რუსუდან დოლიძე. სტილი მოდერნი და მისი გავლენა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში	59
ელენე ჩხეიძე, მარიამ ვეკუა. „დუმისის ესთეტიკის“ სემიოტიკური გაგებისათვის.....	64
მარიამ აკოფაშვილი, ქეთევან პავლიაშვილი. ემიგრანტი ქართველის სახე მხატვრულ ტექსტში (ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სერგო კლდიაშვილი)	69
ეთნოლოგია, ანთროპოლოგია	
მარიამ ქვლივიძე. საკრალური ქორწინების მოტივი ქართულ და შუამდინარულ მითებში.....	74
თონა ტონია. აზერბაიჯანული ეთნოსი ქვემო ქართლში, ენობრივი ბარიერი და ქართულ მხარესთან სოციალიზაცია	81
Sara Ahmadova. Shahdagh peoples of Azerbaijan	89
Irina Badalyan. Educational and cultural life in the Armenian colonies of the North Caucasus in the 21st century	98
Ayshah Huseynova. The importance of the Old City in Baku as a core of various cultures	108

ისტორია

ნიკოლოზ მაისურაძე. ალავერდი ხანის გზა სპარსეთამდე და მისი ქართული კულტურის ნიშნები..... 113

გიორგი გოგიშვილი, თემურ სიხარულიძე. ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა X საუკუნის II ნახევარში (დავით კურაპალატის შესაძლო მკვლევლობა)..... 118

სერგი ადამია. „დიადი კონტრაქტი“ – ჯეიმს I-ის მმართველობის ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდი..... 123

ევროპისმცოდნეობა

მარიამ ჩხეიძე. ჰამლეტი სამყაროს თუ სამყარო ჰამლეტის წინააღმდეგ?..... 127

ნიკა ბაღდოშვილი. ეთიკური დილემებისა და სოციალური ნორმების შედარებითი ანალიზი ურსულა კ. ლე გუინის „ისინი, ვინც ტოვებენ ომელას“ და შირლი ჯექსონის „ლატარეას“ მიხედვით 132

ნინო ვეკუა. „ოქროს საუკუნის“ თემა დოსტოევსკის მოთხრობაში „სასაცილო კაცის სიზმარი“ 136

ნერიკა სეხნიაშვილი. იდეალიზმი და იდეალისტი გმირის სახე მიგელ დე სერვანტესის რომანში „დონ კიხოტი“..... 140

რუსუდან ჯანანაშვილი. ემოციათა სიმბოლიკა ემილი ბრონტეს რომანში „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ 145

სოციალური მეცნიერებანი: ბანათლება

თათია თურმანიძე. მშობლიური ენის ცოდნის მნიშვნელობა უცხო ენის ათვისებისთვის 150

მაია ბრეგაძე. მედიანტიგნიერების მნიშვნელობა და ციფრული დისციპლინების მოდერაცია საქართველოში..... 157

ჟურნალისტიკა

თეა ჭანტურია. ჰიპოდერმული ნემსის თეორია და დეზინფორმაციის ეფექტი ციფრულ ეპოქაში..... 162

ზუსტი და ეკონომიკის მეცნიერებანი

ანა ტალახაძე. საქართველოს დოლარიზაცია 169

ბიოქიმია და მედიცინის მეცნიერებანი

სოფიკო მათიაშვილი. რადიონუკლიდების და მძიმე მეტალების შემცველობა გარდაბნის რაიონის ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ნიადაგში 180

თეონა ჩაჩუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი – ნანა მჭედლოძე

ორმაგი საფრთხის აკრძალვის პრინციპის სამართლებრივი ანალიზი ეროვნული და ევროპული გამოცდილების ჭრილში

კონსტიტუცია და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები მიმართულია უზრუნველყოს თითოეული ადამიანის არსებობისთვის აუცილებელი ფუნდამენტური უფლებები, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან უნდა იქნეს გარანტირებული და დაცული. ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც ქმნის პირის დაცვის მექანიზმს და სახელმწიფოს მოსალოდნელ ღონისძიებებს აქცევს ჩარჩოში არის ორჯერ დასჯისა და გასამართლების აკრძალვის პრინციპი.

შესაბამისად, კვლევის მიზანია:

- ა. პირველ რიგში, განისაზღვროს ორმაგი საფრთხის პრინციპის არსი;
- ბ. დადგინდეს მისი რეგულირების საერთაშორისო და ეროვნული საფუძვლები;
- გ. წარმოჩინდეს პრობლემის პრაქტიკული მხარე სასამართლო პრაქტიკის მიხედვით;
- დ. გაირკვეს, რომელ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს შემთხვევა, რათა დადგინდეს პრინციპის დარღვევის შემთხვევები.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, რომელიც წარმოაჩენს მის ღირებულებას საჯაროსამართლებრივ ურთიერთობაში. ორმაგი საფრთხის ღირებულებითი ასპექტის განხილვის პარალელურად, წარმოჩენილი იქნება საერთაშორისო გამოცდილება და ეროვნულ კანონმდებლობაში მისი გამოყენების წინაპირობები.

თუ მხედველობაში მივიღებთ კვლევის სირთულესა და მის კომპლექსურ ხასიათს, ნაშრომში დასმული მიზნები მიიღწევა სოციოლოგიური, შედარებით-სამართლებრივი, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით.

1. Ne bis in idem-ის პრინციპის ეტიმოლოგიური განმარტება

სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა ისეთი ზოგადი პრინციპები, რომლებმაც ფუნდამენტური მნიშვნელობა შეიძინა და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა სამართლის სხვადასხვა დარგში. სწორედ მსგავს პრინციპს წარმოადგენს ორჯერ დასჯისა და გასამართლების აკრძალვის პრინციპი, ჩვენთვის ცნობილი, როგორც **ne bis in idem**, რომელიც საერთო ევროპულ ტრადიციას წარმოადგენს (Némedi 2015; 87) (აღნიშნული კონსტიტუციური დებულება არის, როგორც დამცავი მექანიზმი პირი არ დაექვემდებაროს ერთი და იმავე ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივ დევნასა და მსჯავრდებას, ასევე სახელმწიფოსთვის ნეგატიურ ვალდებულებას განსაზღვრავს არ განახორციე-

ლოს ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს პირის ხელმეორედ გასამართლებას ან დასჯას იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების გამო, რომლისთვისაც ის უკვე იყო გასამართლებული (Vervaele; 2013: 212).

აღნიშნული პრინციპი საერთაშორისო დოკუმენტებში სხვადასხვა ტერმინით არის გამოხატული, რომელიც მოიცავს ორჯერ დასჯის აკრძალვის პრინციპს. გამოყენებული ტერმინები „ერთი და იგივე ქმედება“; „ერთი და იგივე დანაშაული“ იძლევა სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და იწვევს დარღვევის წარმოშობის რისკს. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი მიდგომა ხელს უშლის ნორმის გამჭირვალობას და მის ადრესატს ექმნება საფთხე დაცვის მექანიზმის გამოყენებაზე.

CJEU-ს მიერ მოცემული ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის ამოქმედებას სჭირდება რამდენიმე კუმულაციური ელემენტის ერთდროულად არსებობა, კერძოდ: 1. აუცილებელია არსებობდეს ერთი და იგივე პიროვნება; 2. განახორციელოს იგივე ქმედება, რომელსაც აქვს დანაშაულებრივი ბუნება და 3. არსებობს ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

ორმაგი საფრთხის აკრძალვის პრინციპს ახასიათებს გამონაკლისი შემთხვევებიც, რაც გულისხმობს, რომ განმეორებითი სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს, ერთი მხრივ, ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი მტკიცებულების გამო, მეორე მხრივ კი სამართალწარმოების პროცესში დაშვებული ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მიღებულ შედეგზე და რაც ლოგიკურად ქმნის განმეორებითი სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს. გამონაკლისი შემთხვევების არსებობა არ ცვლის პრინციპის აბსოლუტურ და იმპერატიულ ხასიათს, რომელიც წარმოადგენს ღირსების შემლახველ და თავისუფალი განვითარების ხელშემშლელ ფაქტორს, რაც, შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან.

თუ პირს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ერთი და იმავე ქმედებისთვის რამდენჯერმე დაეკისრა და ხელისუფლება არ იზღუდება რაიმე იმპერატიული დებულებით უფლების თვითნებურად შეზღუდვის შესაძლებლობა იჩენს თავს. შესაბამისად, პირის განმეორებით მსჯავრდება არის კონსტიტუციის და მისი ფუნდამენტური პრინციპების მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება მივიჩნიოთ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებად.

2. ორი პოლუსის განსხვავებული მიდგომა ორმაგი საფრთხისგან დაიცვას სამართლებრივი სიკეთე

საერთაშორისო მაშტაბით სახელმწიფოთა მიდგომა ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის გამოყენებისას სხვადასხვაა, რასაც მათი კონსტიტუციური ჩანაწერიც ასახავს. **Ne bis in idem**-ის მოქმედების ფარგლებთან მიმართებაში არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული პრაქტიკა. გაბატონებული შეხედულებით, იგი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპს და მისი მოქმედება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში თავსდება.¹ პრინციპის ამგვარი გაგებით, პირს შესაძლებელია იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობა დაეკისროს, რასაც გერმანიის, იტალიის თუ სხვა სახელმწიფოების გა-

¹ მაგ.: Lelieur 2013; Lelieur, J.: 'Transnationalising' Ne Bis In Idem: How the Rule of Ne Bis In Idem Reveals the Principle of Personal Legal Certainty, *Utrecht L. Rev.*, vol. 9, 2013, pp. 198-210; ტურავა 2013; ტურავა, მ.: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის კომენტარი ნაშრომში: ტურავა, პ.: (რედ.) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 551-552.

მოცდილება ადასტურებს. ასეთი მიდგომა გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის ჩანაწერიდან² და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. თუმცა, არსებობს უმცირესობაში მყოფი მეცნიერების მოსაზრება, რომელიც *ne bis in idem*-ს საერთაშორისო სამართლის პრინციპად განიხილავს და მისი მოქმედების არეალს ავრცელებს ტრანსნაციონალურ ურთიერთობებზეც.³ ეს შეხედულება, ძირითადად, დაფუძნებულია ევროკავშირის სივრცეში მის სტატუსზე, რომლის საფუძველია 1985 წლის შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციის 54-ე მუხლი⁴ და ძირითად უფლებათა ქარტიის 50-ე მუხლი.⁵

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში თითოეული მოსაზრება გამყარებული არგუმენტაციით, შესაბამისად ყველა სახელმწიფო სისხლის სამართალს მიიჩნევს სუვერენიტეტის ნაწილად, რომელზეც მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენცია უნდა გავრცელდეს – გადანყვეტილება ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მიიღონ და, მიუხედავად უამრავი მცდელობისა, ჩამოყალიბდეს ერთიანი შეხედულება, ყოველთვის უშედეგოდ მთავრდება, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს 2007 წლის დიუსბურგის შემთხვევა (Satzger; 2008: 216). ჩემი აზრით, აღნიშნული პრინციპი, რომელიც მიმართულია დაიცვას პირი ხელმეორედ გასამართლებისგან, რისთვისაც მან უკვე მოიხადა სასჯელი, იქნა გამართლებული კონკრეტული სახელმწიფოს მიერ უნდა ახასიათებდეს საერთაშორისო ხასიათი, რადგან თითოეული ადამიანის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა იზღუდება იმ კონსტიტუციური ჩანაწერით, სადაც შეიძლება პირი დაექვემდებაროს ხელმეორედ გასამართლებასა და დასჯას.

3. ორჯერ დასჯის აკრძალვის პრინციპის გამოყენება ევროპის საბჭოს ფარგლებში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით⁶ გათვალისწინებული საყოველთაოდ აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კონვენციით დაცულ უფლებათა სისტემაში, მისი აბსოლუტური ხასიათი ვლინდება იმ დანაწესში, რომ მისგან გადახვევა არ არის დასაშვები მე-15 მუხლის პირობებით, რაც გულისხმობს ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს უფლების შექცევის შესაძლებლობას.⁷

² მიღებულია 1984 წლის 22 ნოემბერს, ძალაშია 1988 წლის პირველი ნოემბრიდან. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi91.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2019).

³ Conway 2003; Conway, G.: *Ne Bis in Idem in International Law*, *Int'l Crim. L. Rev.*, 2003, pp. 217–244; Anagnostopoulos, I.: *Greece, Ne Bis In Idem*, *IRPL*, vol. 73, 2002, pp. 965-979; Cuesta, J.L.: *Concurrent National and International Criminal Jurisdiction and the Principle 'Ne Bis In Idem'*, *IRPL*, vol. 73, 2002, pp. 707-736.

⁴ ხელმოწერილია 1990 წლის 19 ივნისს, ძალაშია 1995 წლის 26 მარტიდან, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:42000A0922\(02\)&from=en](https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:42000A0922(02)&from=en) (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2019).

⁵ ხელმოწერილია 2000 წლის 12 დეკემბერს, ძალაშია 2009 წლის პირველი დეკემბრიდან, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2019).

⁶ საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2000 წლის 1 ივლისიდან.

⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Mihalache v. Romania* [54012/10] § 47.

ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, (1) ერთი და იგივე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში არავინ არ შეიძლება ხელმეორედ იქნას გასამართლებული ან დასჯილი სისხლისსამართლებრივი წესით დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული იქნა ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად; (2) წინა პუნქტის დებულებანი არ ეწინააღმდეგება შესაბამისი სახელმწიფოს კანონისა და სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით საქმის გადახედვას, თუკი არსებობს ცნობები ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოებების შესახებ ან წინა განხილვაში ადგილი ჰქონდა არსებით დეფექტს, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა მის შედეგზე; (3) დაუშვებელია წინამდებარე მუხლის დებულებებიდან გადახვევა კონვენციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით.⁸

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა *ne bis in idem*-ის პრინციპთან მიმართებაში ერთიანი და თანმიმდევრულია, იგი განსაზღვრავს პრინციპის მოქმედების ფარგლებს, შინაარსს, ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ცნებას და შემთხვევებს, როდესაც ახალი მსჯავრი დადებულია იგივე ქმედებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში **კრაომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ**⁹ საჩივარი დაუშვებლად ცნო და *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევად არ შეაფასა საფრანგეთის მიერ განმცხადებლის გასამართლება იმ დანაშაულისთვის, რომელშიც გერმანიის სასამართლომ იგი გაამართლა. მისი შეხედულებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლით აღიარებული *ne bis in idem*-ის პრინციპი ხელს არ უშლის კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნის სასამართლოს მიერ პირის ხელმეორედ გასამართლებასა და დასჯას იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაშიც ამ პირის მიმართ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში დადგა საბოლოო გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი.

Ne bis in idem-ის კონვენციური დანაწესი არ იძლევა მის ტრანსნაციონალურ დონეზე გამოყენების შესაძლებლობას, რადგან მე-4 მუხლში კეთდება მინიშნება სიტყვებით „ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში“. კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის მკაცრად განსაზღვრული შინაარსიდან გამომდინარეც ცალსახაა, რომ ხელშემკვრელ მხარეებს არ გააჩნდათ პრინციპის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გამოყენების შესაძლებლობა. ორმაგი საფრთხის კონვენციური გაგება მის ვინრო და სპეციფიკურ განზომილებას ადგენს, რაც ბუნებრივია ამცირებს უფლების დაცვის მინიმალურ სტანდარტს და ხელმისაწვდომს ხდის ერთი და იმავე დანაშაულზე პირის ხელმეორედ გასამართლებასა და დასჯას სხვა სახელმწიფოში.

3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკული გამოცდილება ორმაგი საფრთხის პრინციპის რეალიზების დროს

ორმაგი საფრთხის პრინციპის მოქმედების მასშტაბზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ძირითადად, ორიენტირებს კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის სიტყვასიტყვით განმარტებაზე, რომელიც ამ უფლების არსებობას ადასტურებს ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში და გა-

⁸ Guide to Article 4 of Protocol No. 7 to the European Convention on Human Rights, Right not to be tried or punished twice Updated ,on 31 August 2022.

⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Krombach v. France* [67521/14].

მორიცხავს მის ტრანსნაციონალურ ხასიათს¹⁰. განმეორებითი გასამართლების აკრძალვის პრინციპის ჭრილში საინტერესოა წარმოვაჩინოთ პრაქტიკული კუთხით როგორ ხდება მისი გამოყენება, რის დასადგენადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო განმარტება, კერძოდ, **საქმეზე „ოსტერლუნდი ფინეთის წინააღმდეგ“**.¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოყო კრიტერიუმები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს საქმის გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ: 1. იყო თუ არა სანქცია/პროცედურები სისხლისსამართლებრივი ხასიათის; 2. იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყეს მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნა; 3. არსებობდა თუ არა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება; 4. არსებობდა თუ არა სამართალწარმოების გამეორება.

ევროპულმა სასამართლომ მეორე კრიტერიუმთან მიმართებით მსგავსი განმარტება გააკეთა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს სისხლისსამართლებრივ დევნას ან გასამართლებას ისეთი „მეორე დანაშაულისთვის“, რომელიც გამომდინარეობდა იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული გადაწყვეტილებების გაანალიზების შედეგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ორმაგი დასჯის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი ბრალდებული ან მსჯავრდებულია ორჯერ ერთი და იმავე დანაშაულისათვის, ასევე, შემთხვევებზეც, როდესაც პირის პასუხისმგებლობა დადგა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რის შემდეგაც მას იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტების საფუძველზე ბრალდება წარედგინა სისხლისსამართლებრივი წესით. ამდენად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამართალდარღვევის „ადმინისტრაციულად“ დაკვალიფიცირება არ გამოიციხავს მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მოქმედებას. ასეთ შემთხვევებში, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ე.წ. „ენგელის კრიტერიუმებით“¹² იმისათვის, რათა გადაწყვიტონ, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება თავისი ბუნებით და ხასიათით უტოლდება თუ არა სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას. საკითხის შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალწარმოების ბუნება, პასუხისმგებლობის სახისა და ზომის სიმკაცრის ხასიათი და ხარისხი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დანაშლის რეალიზება კარგად წარმოჩინდება საქმეში **მიჰალაჩე რუმინეთის წინააღმდეგ**.¹³ გადაწყვეტილება საყურადღებოა ოთხი ასპექტის მიმართულებით.

1. სასამართლოს დაკვირვებით ის გარემოება, რომ გადაწყვეტილება არ იღებს განაჩენის ფორმას, ვერ განსაზღვრავს ბრალდებულის გამართლების ან მსჯავრდების საკითხს, რადგან პროცედურული საკითხები გავლენას ვერ იქონიებს სასამართლო გადაწყვეტი-

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: **K.S. v. FINLAND [29346/95]** იხ.: ლიჩი ფ. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტიას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურაძის თარგმანი, თბილისი, 2013, 335.

¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე **Österlund v. Finland**, §35-52.

¹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: **Engel and others v. Netherlands**, [5370/72].

¹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: **Mihalache v. Romania** [54012/10] § 47.

ლებაზე. მეორე მხრივ, იმის დასადაგენად კონკრეტული გადაწყვეტილება წარმოადგენს „გამართლებას“ თუ „მსჯავრდებას“, სასამართლო ითვალისწინებს გადაწყვეტილების რეალურ შინაარსს და აფასებს მის გავლენას მომჩივნის მდგომარეობაზე.¹⁴

2. სასამართლოს განმარტებით იმ საკითხის გადასაწყვეტად, არის თუ არა გადაწყვეტილება „საბოლოო“, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს ხასიათდება თუ არა მკაფიო ფარგლებითა და პროცედურით, ხელმისაწვდომია თუ არა მხარეებისთვის კონკრეტულად განსაზღვრული ვადით და შედეგად, აკმაყოფილებს თუ არა სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპის მოთხოვნას.¹⁵
3. სასამართლო აკეთებს მითითებას, რომ ის პირობები, რომლებიც შესაძლებელს ხდის საქმის ხელმეორედ განხილვას მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ალტერნატიულ პირობებს.
4. სასამართლომ ჩამოაყალიბა მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული „ფუნდამენტური ხარვეზის“ კონცეფცია და აღნიშნა, რომ მხოლოდ სერიოზული დარღვევის არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელი, ბრალდებულის წინააღმდეგ სამართალწარმოების განახლებას საფუძვლად დაედოს პროცედურული ნორმა. ამის საპირისპიროდ, როდესაც სამართალწარმოების განახლება ბრალდებულის სასარგებლოდ მოქმედებს, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს ჰქონდა თუ არა ადგილი დაცვის მხარის უფლებების დარღვევას და, შესაბამისად, მიადგა თუ არა ზიანი მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას.¹⁶

4. კონსტიტუციური სტანდარტი ეროვნულ კანონმდებლობაში

სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც თითოეული კანონმდებლობის მთავარ წყაროს წარმოადგენს კონსტიტუციის ჩანაწერიდან იკითხება. პრინციპის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი დეკლარირება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით¹⁷ განხორციელდა, რომლის თანახმად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის და მისი ნებისმიერი ფორმით დარღვევა ანტიკონსტიტუციურია (იზორია, კორკელია... 2005: 378).

საქართველოს კონსტიტუციით დარეგულირებული სფერო, აღნიშნულ პრინციპთან მიმართებით, მიზნად ისახავს ნებისმიერი ფიზიკური პირის დაცვას იგივე ქმედებისათვის უკვე დასრულებული სისხლის სამართლის პროცესის ხელახლა წარმოებისაგან, რომელიც, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ ან გამამართლებელ გადაწყვეტილებას, არამედ დევნის დაწყებაც კი ერთსა და იმავე მტკიცებულებებზე დაყრდნობით იწვევს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულების დარღვევას, რომელიც იგივე პრინციპს მოიცავს, რასაც კონსტიტუციური ჩანაწერი.

ორმაგი დასჯის პრინციპის გამოყენების მხრივ საქართველოს პრაქტიკა ამ კუთხით მცირე მასალას შეიცავს, მაგრამ მსჯელობის წარმართვისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ 2015 წლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინე-

¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018-2020 წლებში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განაჩენების კრებული, თბილისი 2020 წელი.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

¹⁷ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

ბასთან დაკავშირებით,¹⁸ სადაც სასამართლოს მსჯელობით იმ გარემოების დასადგენად გვაქვს თუ არა სახეზე განმეორებითი მსჯავრდება, თავდაპირველად მისაღებია განისაზღვროს კონსტიტუციური ჩანაწერი და დადგინდეს გარემოებები, რომლის საფუძველზეც დგინდება მსგავსება ორ დანაშაულებრივ ქმედებას შორის, რასაც ერთი და იგივე ქმედება უდევს საფუძველად.¹⁹

სასამართლო იძლევა განმარტებას და აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური დანაშაულით დადგენილი განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვისთვის გადამწყვეტ როლს არ თამაშობს ქმედების სხვადასხვა შემადგენლობას შორის კანონმდებლობით დადგენილი კლასიფიკაცია, არამედ მის შინაარსში მოიაზრება მსჯავრდების აკრძალვის ისეთი შემთხვევა, როდესაც პირის მიმართ განმეორებით წარდგენილი ბრალდება ეფუძნება იგივე ან არსებითად იგივე ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც პირის მიმართ უკვე არსებობს ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება.²⁰ შესაბამისად, დანაშაულთა შემადგენლობებს შორის მსგავსების დადგენისათვის გადამწყვეტ პირობად გვევლინება ფაქტობრივი გარემოებების მკაფიო იდენტიფიცირება, რომელიც განუყოფელი უნდა იყოს სივრცესა და დროში მოქმედების თვალსაზრისით და მიემართებოდეს ერთსა და იმავე ინდივიდს.²¹

საქართველოში მოქმედი კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შედარებისას, პირველადი შთაბეჭდილებით თითქოს ევროპული კონვენცია უფრო მაღალ დაცვის სტანდარტებს აწესებს, რადგან ის ხელმეორედ დასჯასთან ერთად კანონგარეშედ აცხადებს ხელმეორედ გასამართლებასაც, თუმცა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 ნაწილით არსებულ სამართლებრივ ცნებებს ავტონომიური შინაარსი გააჩნია, რომლებიც შესაძლებელია ზუსტად არ ემთხვეოდეს საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ პრინციპების შინაარსს, მაგრამ მათ მოიცავდეს. *Ne bis in idem*-ის კონსტიტუციური პრინციპი კრძალავს იგივე დანაშაულისთვის პირის დაკავებას, ბრალის წაყენებასა და გასამართლებას, რადგან ამ პროცესუალური პირობების განხორციელების დამოუკიდებლად მსჯავრის დადება ვერ განხორციელდება. შესაბამისად, მსჯავრის დადების კონსტიტუციით აკრძალვა, რაც მოიაზრება სისხლის სამართლის პროცესის შემაჯამებელი ეტაპის გამორიცხვით და აზრს უკარგავს იმავე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მსჯელობის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული სტანდარტები თავსებადია ევროპულ მიდგომებთან და არ აწესებს ევროპულ კონვენციაზე დაბალ სტანდარტს.

4.1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ორჯერ დასჯის აკრძალვის პრინციპი

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის გამოყენებისას, მოსამართლე შეიძლება აღმოჩნდეს განმეორებითი სამართალწარმოების აკრძალვის პრინციპის განხორციელების პრობლემის წინაშე, რამდენადაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის ნორმატიული შინაარსი იძლევა, მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტების შესაძლებლობას.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური გადაწყვეტილება 2015 წლის 29 სექტემბერი №3/1/608,609.

¹⁹ იქვე.

²⁰ საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/7/636, 29 დეკემბერი, 2016.

²¹ იქვე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება „პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა“.²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე“.²³

ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, მათი დახმარებით ხდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დანაშაულებად ცნობილი ან გამართლებული პირის სისხლის სამართლის წესით განმეორებით მსჯავრდება, ასევე, იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის მიმართაც იმავე ბრალდების გამო სასამართლოს მიღებული აქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი უშვებს თეორიულ შესაძლებლობას, პირი დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, რომლის საფუძველზე მიღებული „საბოლოო“ გადაწყვეტილების შემდეგაც, მას „იდენტური ან არსებითად მსგავსი“ ქმედებისათვის განმეორებით დაედოს მსჯავრი სისხლის სამართლის წესით.²⁴

აღნიშნული ნორმების ნორმატიული შინაარსი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ზღუდავს სასამართლოს შესაძლებლობას ერთი და იგივე გარემოებების საფუძველზე პირის ბრალდების შემთხვევაში, რომელიც შეფასებულ იქნა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და ქმედების განმახორციელებელი სუბიექტის სისხლისსამართლებრივი ხასიათის ადმინისტრაციული სახდელი, მაშინაც კი როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ბრალდების წარდგენის მომენტისათვის უკვე აღსრულებულია.²⁵

ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით, პრობლემური საკითხის მოგვარების მიზნით, საჭიროა შეიქმნას საპროცესო გარანტიები, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს შეცდომების დაშვების რისკს პასუხისმგებლობის დაკისრებისა და უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბების პარალელურად, რომელიც სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარეობს.

4.2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით პრინციპის რეგულირება

ორმაგი დასჯისა და გასამართლების აკრძალვის პრინციპის განხილვისას, ეროვნული კანონმდებლობის რეგულაციის პირობებში, აღსანიშნავია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომლის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება, თუ დარღვევა თავისი ხასიათით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. ამავდროულად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს საქმის წარმოე-

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი, სსმ, 31, 03/11/2009.

²³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, სსმ, 31, 03/11/2009.

²⁴ მართლმსაჯულება და კანონი #1(49)'16 გვ.41-43.

²⁵ იქვე.

ბის დანყების დაუშვებლობის პირობებს და დანყებული სამართალწარმოების შეწყვეტის ვალდებულებას იმავე ფაქტზე პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შემთხვევაში და იმავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობის შემთხვევაში.²⁶ თუმცა, სისხლის სამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, როდესაც ქმედება შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს, შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრად განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში, სისხლისამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სახდელის დამდების უფლებამოსილი ორგანოსთვის ჩაბარების დღიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.²⁷

ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან ერთი შეხედვით თითქოს იკვეთება კანონმდებლობის ნება დაენესებინა ერთი და იგივე ქმედებისთვის ორმაგი დასჯის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული პრინციპის არსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სახეზე იყოს *ne bis in idem*-ის დარღვევა უნდა არსებობდეს ძალაში შესული საბოლოო გამამტყუნებელი ან გამართლებელი გადაწყვეტილება, ხოლო თუ შეწყდა სისხლისამართლებრივი სამართალწარმოება და შემდგომში დაიწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეს ავტომატურად არ იწვევს პრინციპის ფარგლებში შექმნილი დამცავი მექანიზმის ამოქმედებას.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულებითი ღონისძიების ბუნებას, ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, სუბიექტის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ გამოყენებული იძულებითი ღონისძიების მიზანი და ის საჯარო თუ კერძო ინტერესები, რის დაცვასაც ახორციელებს კანონი. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის მიმართ გამოყენებული ღონისძიების სიმკაცრე, რომელიც უნდა შეფასდეს სასჯელის ზომის იმ უმაღლესი ზღვრის გათვალისწინებით, რომელსაც ითვალისწინებს სამართლებრივი ნორმა.

დასკვნა

„პირის განმეორებითი გასამართლება და დასჯა არის კონსტიტუციისა და მისი ფუნდამენტური პრინციპებისათვის მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაბით“.²⁸ აღნიშნულ შეხედულებას იზიარებს და ამტკიცებს საერთაშორისო გამოცდილებაც, რომლის დახმარებით განისაზღვრება ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპის გამოყენებისთვის აუცილებელი კრიტერიუმები, განისაზღვრება მათი შინაარსი და მოქმედების სფერო, რაც შესაბამის გავლენას ახდენს სამართლებრივ შედეგებზე.

ხაზგასასმელია, რომ კონსტიტუციური მართლწესრიგის იდეის განმტკიცება დამოკიდებულია კანონშემოქმედების პროცესში სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პატივისცემაზე. შესაბამისად, აუცილებელ პირობად გვევლინება კანონმდებლობის მოქმედება მოახდინოს იმ სამართლებრივი საშუალებების შედეგად შექმნილი რეალობის დაცვა, რაც ძალაში შესულმა საბოლოო გადაწყვეტილებებმა განაპირობა. საბოლოო

²⁶ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-8 ქვეპუნქტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984.

²⁷ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება კონსტიტუციურ სარჩელზე. „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II-1,2,3,23.

ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სისხლისსამართლებრივ პროცესში გამოვლენილ უხეში ცდომილებების სამართლებრივ რეგულირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა განაჩენის კრებული, ნიგნი მე-2 2004 წლის ოქტომბერი.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018-2020 წლებში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განაჩენების კრებული, თბილისი 2020 წელი.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Mihalache v. Romania* [54012/10].
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Österlund v. Finland* [53197/13].
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Trabelsi v. Belgium* [140/10].
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *HUHTAMÄKI v. FINLAND* [54468/09].
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Kurdov and Ivanov v. Bulgaria* [16137/04].
8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Paksas v. Lithuania* [34932/04].
9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Zolotukhin v. Russia* [14939/03].
10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *KONONOV v. LATVIA* [36376/04].
11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Maszni v. Romania* [59892/00].
12. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *K.S. v. FINLAND* [29346/95]. იხ.: ლიჩი ფ. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტიას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურაძის თარგმანი, თბილისი, 2013.
13. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: *A.P., M.P. and T.P. v. SWITZERLAND* [19958/92].
14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *C.R. v. THE UNITED KINGDOM* [20190/92].
15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *S.W. v. THE UNITED KINGDOM* [20166/92].
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Engel and others v. Netherlands* [5370/72].
17. კუბლაშვილი 2014; კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2014.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური გადაწყვეტილება 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608, 609.
19. საქართველოს მოქალაქე დავით ცინციკილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/7/636, 29 დეკემბერი, 2016.
20. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.

21. ტრექსელი 2010; ტრექსელი, შ. ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი, 2010.
22. ფაფიაშვილი 2009; ფაფიაშვილი ლ. ორმაგი დასჯის აკრძალვა ("NE BIS IN IDEM>>) ევროკავშირის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2009.
23. Charter of Fundamental Rights of the European Union.
24. Der Spiegel, 18, 2009.
25. Explanatory Report to the Protocol No. 7 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:
<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800c96fd>
26. International Covenant on Civil and Political Rights, ADOPTED– 16 December 1966 BY General Assembly resolution 2200A (XXI).
27. Lelieur 2013; Lelieur, J.: Transnationalising' Ne Bis In Idem: How the Rule of Ne Bis In Idem Reveals the Principle of Personal Legal Certainty, Utrecht L. Rev., vol. 9, 2013.
28. Némedi 2015; Némedi, M.: Ne bis in idem: a separation of acts in transnational cases? PF, vol. 7, issue 2, 2015.

ფაქტობრივი ქორწინება, როგორც სოციალური მოვლენა და მისი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი ცნობიერებითი, სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ გასცდა ფორმალური ურთიერთობის ფარგლებს და მოიცვა, ასევე, ფაქტობრივი ურთიერთობა წყვილს შორის.¹ დღეს ოჯახურ ცხოვრებად არ მიიჩნევა მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, არამედ ასეთად განიხილება ფაქტობრივი კავშირიც. ევროსასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით, ოჯახი თავის თავში მოიაზრებს როგორც რეგისტრირებულ კავშირს, ისე დე ფაქტო მყარ საერთო სამეურნეო კავშირს რეგისტრაციის გარეშე.²

ქორწინებამ კაცობრიობის არსებობის მანძილზე რთული და გრძელი გზა განვლო. საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იცვლებოდა ადამიანთა შეხედულებები, ტრადიციები, ადამიანთა შორის ურთიერთობები. ცხოვრების კვალდაკვალ, ცვლილებები ხდებოდა ქალისა და მამაკაცის ქორწინებით ურთიერთობაშიც. ოჯახი მუდამ იყო და არის საზოგადოების ქვაკუთხედი. მტკიცე, მყარი ოჯახი ძლიერი საზოგადოების, ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია. ურთიერთპატივისცემასა და თანასწორობაზე დამყარებული ოჯახები ის ნოყიერი ნიადაგია, სადაც ჯანსაღი და საზოგადოების ღირსეული მოქალაქეები იზრდებიან.³

საქართველოს ისტორიულ წარსულს თუ გადავხედავთ, სამოქალაქო რეგისტრაციამდე ქორწინებას, ოჯახის შექმნას, ქალისა და მამაკაცის შეუღლებას რელიგია აკანონებდა. ეკლესია-მონასტრებში ხდებოდა დასაქორწინებელ პირთა ჯვრისწერა და საეკლესიო დავთრებში გატარება-აღნიშვნა. იმთავითვე, ეკლესია და საზოგადოება, ჯვარდაუნერლად ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, თუ ოჯახის შექმნას, ცოდვად მიიჩნევდა და განიხილავდა, როგორც ქალისა და მამაკაცის ამორალურ ქცევას. თუმცა, მას შემდეგ, რაც სამართალმა რელიგიაზე გაიმარჯვა, სამართლებრივმა ნორმებმა წინ გაუსწრო რელიგიურ ნორმებს და ადამიანთა ცხოვრება-ურთიერთობა მთლიანად, სამართლის ნორმებს დაეყრდნო, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. სამართლებრივი ნორმის საფუძველზე განხორციელებული ქორწინება გახდა იურიდიული ძალისა და შედეგის მქონე, ხოლო რელიგიური ნორმები, საეკლესიო ჯვრისწერა, დარჩა პიროვნების შიგნით, მის პირად პასუხისმგებლობაში, რწმენისადმი მის დამოკიდებულებასა და ზნეობრივ ხასიათში.⁴

¹ ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland), 1986 წლის 18 დეკემბერი; X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X. Y. and Z v. the United Kingdom), 1997 წლის 22 აპრილი.

² კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland), 1994 წლის 26 მაისი; ვან დერ ჰეიდენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van der Heijden v. the Netherlands), 2012 წლის 3 აპრილი; კროონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands), 1994 წლის 27 ოქტომბერი.

³ აბრამიშვილი ლ., გუგავა ა., „ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი“, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 3(63), რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი 2019 წ., გვ. 34-35. <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n3.pdf?fbclid=IwAR16h5qtxSSBKycZmSaPg8MUEtEcxdmRUeVFhX4zzKlq10vir0tpJjgNAEs>>

⁴ იქვე, გვ. 35.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონით ოჯახურ ცხოვრებად მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების თანაცხოვრება, რომლებსაც კანონმდებელი უწოდებს – მეუღლეებს.⁵

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითხოვს ქორწინების რეგისტრაციას და მხოლოდ ამ გზით შექმნილ ოჯახებს აძლევს სამართლებრივ გარანტიებს, არარეგისტრირებული ე.წ. ფაქტობრივი ქორწინება მაინც ღებულობს მასობრივ გავრცელებას, როგორც ალტერნატივა.⁶ საქართველოში რელიგია, წარსულის მსგავსად, ისევ ძირითადი წეს-ჩვეულებების განმსაზღვრელი ფაქტორია, ამიტომაც დაოჯახებულ პირთა ნაწილი, დღემდე იმყოფება რელიგიურ, საკანონმდებლო ენაზე – არარეგისტრირებულ (ფაქტობრივ) ქორწინებაში, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ აღიარებს.⁷ შესაბამისად, ფაქტობრივი ქორწინება, როგორც სოციალური მოვლენა, დე ფაქტოდ არსებობს, ე.ი. გამოდის, რომ საზოგადოებაში არსებობს ურთიერთობა, რომელიც სამართლებრივი სივრცის გარეთაა დარჩენილი.⁸ აღნიშნული მდგომარეობა მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებს წარმოშობს იმ პირთათვის, რომლებიც წლების განმავლობაში ერთად თანაცხოვრობენ და იმყოფებიან ე.წ. ფაქტობრივ ქორწინებაში.⁹

აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივ ქორწინებაში არ მოიაზრება ყოველგვარი კავშირი, მასში იგულისხმება ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომელიც იძლევა ამ კავშირის ოჯახად კვალიფიკაციის შესაძლებლობას.¹⁰ შეიძლება ითქვას, რომ სოციუმში არსებობს: 1) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები; 2) არარეგისტრირებულ ე.წ. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირები (ოჯახი – ანუ *de facto* და არა *de jure* (რადგან რეგისტრირებული არ არის)); 3) პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი პირები, როლებსაც არა აქვთ საერთო სამეურნეო მიზანი, საერთო თანაცხოვრების პერიოდი და ა.შ.

ქართულ რეალობაში ფაქტობრივი ქორწინების აქტუალურობა და პრობლემატურობა მთელ რიგ ასპექტებში ვლინდება, რომელთაგან რამოდენიმეს შევეხებით:

1) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით „მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება“.¹¹ „საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და

⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი.

⁶ აბრამიშვილი ლ., გუგავა ა., „ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი“, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 3(63), რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი 2019, გვ. 36. <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n3.pdf?fbclid=IwAR16h5qtxSSBKycZmSaPg8MUEtEcxdmRUeVFnX4zzKlq10vir0tpJJgNAEs>> [30.05.2023].

⁷ იოსელიანი თ., „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი რეგულირება“, მართლმსაჯულება და კანონი N3(63)-19, რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი 2019, გვ. 85. <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n3.pdf?fbclid=IwAR16h5qtxSSBKycZmSaPg8MUEtEcxdmRUeVFnX4zzKlq10vir0tpJJgNAEs>> [30.05.2023].

⁸ აბრამიშვილი ლ., გუგავა ა., „ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი“, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 3(63), რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი 2019, გვ. 36. <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n3.pdf?fbclid=IwAR16h5qtxSSBKycZmSaPg8MUEtEcxdmRUeVFnX4zzKlq10vir0tpJJgNAEs>> [30.05.2023].

⁹ იოსელიანი თ., „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი რეგულირება“, მართლმსაჯულება და კანონი N3(63)-19, რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი 2019, გვ. 85. <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n3.pdf?fbclid=IwAR16h5qtxSSBKycZmSaPg8MUEtEcxdmRUeVFnX4zzKlq10vir0tpJJgNAEs>> [30.05.2023].

¹⁰ იქვე, გვ. 92.

¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი.

ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი“.¹² აღნიშნულში მოიაზრება როგორც პირადი ხასიათის უფლებები, ასევე ქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობანი.¹³ შესაბამისად, თუ ადგილი ექნება რომელიმე უფლების დარღვევას, მაშინ კანონმდებელი იცავს როგორც ქალის, ისე მამაკაცის უფლებებს რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში, ხოლო ფაქტობრივი ქორწინების შემთხვევაში, სამართლებრივი დაცვის მიღმა რჩებიან ფაქტობრივი მეუღლეები და მათ უფლება არა აქვთ მიმართონ კანონს და დაიცვან თავი.

- 2) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს (მამაკაცს) კანონი უკრძალავს მიმართოს სასამართლოს განცხადებით განქორწინების თობაზე ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.¹⁴ ასეთი დაცვის მექანიზმი ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ ქალს არა აქვს. სამართლებრივი ვალდებულების არარსებობით, მამაკაცს შეუძლია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში მიატოვოს მეუღლე და შვილები და ამისათვის მას პასუხი არ მოეთხოვება. თუ რეგისტრირებული ქორწინებისას კანონის აღნიშნული ჩანაწერი ემსახურება იმ მიზანს, რომ დასაბადებული ან უკვე დაბადებული ბავშვი დაიბადოს და გაიზარდოს გონებრივად ჯანსაღი და ფსიქიკურად ნორმალური (რადგან ცნობილია, რომ დედის სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, მის გონებრივ ჩამოყალიბებასა და ჯანმრთელობაზე), საპირისპიროდ რა ხდება ფაქტობრივი ქორწინებისას? ამ დროს დაბადებული ბავშვის ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოა?!
- 3) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი „მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. დახმარებაზე უარის თქმისას ან/და სარჩოს მიცემის შესახებ მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას, სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ: ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს; ბ) ცოლს, ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში“; გ) ასევე, „შრომისუუნარო მეუღლეს, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან“¹⁵ ე.ი. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს, გარდა მორალურ-ზნეობრივი ნორმებისა, კანონი ავალდებულებს გაუფრთხილდნენ და მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს მაშინ, როდესაც სრულიად დაუცველები არიან და მთლიანად დამოკიდებულნი არიან მეუღლეთა კეთილსინდისიერებაზე და მათ შინაგან პატიოსნებაზე. ვინაიდან ფაქტობრივი ქორწინება ოჯახად არ მიიჩნევა, კანონს არ ძალუძს დაეხმაროს ადამიანებს, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. ფაქტობრივი ქორწინება არ წარმოშობს უფლებებს, შესაბამისად, არ არსებობს ვალდებულებებიც და არაკეთილსინდისიერ „მეუღლეს“ სინდისის ქენჯნის გარეშე და, ამავე დროს, სამოქალაქო დასჯის გარეშე, შეუძლია ბედის ანაბარა დატოვოს შრომისუუნარო „მეუღლე“.¹⁶

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლი.

¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1155-1171-ე მუხლები.

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლი.

¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-1183-ე მუხლები.

¹⁶ აბრამიშვილი ლ., გუგავა ა., „ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი“, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 3(63), რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი 2019, გვ. 39-40.

- 4) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მტკიცეული საკითხი ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეებისთვის არის ქონებრივი საკითხი. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების მიერ შექმნილი ქონების ბედს ნათლად და ზუსტად განსაზღვრავს კანონი,¹⁷ ფაქტობრივი ქორწინებისას კი, ეს საკითხი აბსოლუტურად უგულებელყოფილია. რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები რეგისტრაციის გარეშე თანაცხოვრობენ ერთად, აქვთ საერთო მეურნეობა და შემოსავალი (ქონება), რომელიც მათ ფაქტობრივ ქორწინებაში დააგროვეს?! ამაზე კანონი დუმს, რაც საფუძველია იმისა, რომ თითქმის შეუძლებელია ამ ქონების სამართლიანი გადანაწილება, რადგან ასეთი – „მეუღლეების“ გაყრის შემთხვევაში, აღნიშნული საერთო ქონებად არ ითვლება და მხოლოდ იმ „მეუღლის“ (პირის) საკუთრებად მიიჩნევა, ვისზეცაა გაფორმებული, მეორე „მეუღლე“ კი, რჩება არაფრის გარეშე.
- 5) ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების კანონისაგან აბსოლუტური დაუცველობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს, როცა „მეუღლეები“ აღმოჩნდებიან ხოლმე მემკვიდრეობის საკითხის პირისპირ. ქართული კანონმდებლობით, კანონით მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის, რომლებსაც კანონმდებელი უწოდებს მეუღლეებს.¹⁸ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლე, მიუხედავად ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთად თანაცხოვრებისა, ვერ ხდება გარდაცვლილი მეუღლის კანონისმიერი მემკვიდრე და რჩება იმ მატერიალური სიკეთის გარეშე, რასაც მიიღებდა მემკვიდრეობით რეგისტრირებულ ქორწინებაში რომ მყოფილიყო თავის მეუღლესთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ქართული სასამართლოს პრაქტიკის ნინსვლა ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხებიან სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, კომპენსაციას, პენსიას მარჩინალის დაკარგვის გამო და ა.შ. ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, რომელიც უზენაესმა სასამართლომაც გაიზიარა – ფაქტობრივი მეუღლე მიჩნეული იქნა ოჯახის წევრად, სწორედ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, როგორც არარეგისტრირებულ, რეალურ, ფაქტობრივ ქორწინებაზე დაფუძნებული ოჯახური თანაცხოვრება და სახელმწიფო დაავალდებულა ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე გაეცა პენსია მარჩინალის დაკარგვის გამო.¹⁹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განხილული საკითხი პრობლემატურია დღევანდელ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, რამდენადაც ამ ტიპის საქმეებზე მოსამართლეს შესაძლოა გაუჩნდეს შინაგანი რწმენა, რომ ილახება ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ პირთა უფლებები ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, რაც არ შეიძლება იმის საპირწონედ ჩაითავლოს, რომ ქორწინების რეგისტრაციის სავალდებულოობა მიზნდ ისახავს და ემსახურება, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სამართალურთიერთობათა კონტროლს. შესაბამისად, სასურველია, ქართულ კანონმდებლობაში მოხდეს ფაქტობრივი ქორწინების, როგორც სოციალური მოვლენის აღიარება და შესაბამის სამართლებრივ ჩარ-

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე-1171-ე მუხლები.

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით დანვრილებით იხილეთ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინება, საქმე №33/799-17 და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 თებერვლის განჩინება, საქმე №ბს-1091-1085(კ-17).

ჩოებში მოქცევა, როგორც ეს არაერთ განვითარებულ ქვეყანაშია.²⁰ როგორც თანაცხოვრების დროს, ასევე მისი შეწყვეტის შემთხვევაშიც. Сімейний кодекс України, 10/01/2002 < <https://zakon.rada.gov.ua/laws/show/2947-14#Text>>[05.06.2023].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
2. აბრამიშვილი ლ., გუგავა ა., „ფაქტობრივი ქორწინება და მისი სამართლებრივი რეგულირების საკითხი“, „მართლმსაჯულება და კანონი“, № 3(63), რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი, 2019.
3. იოსელიანი თ., „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მემკვიდრეობის უფლების სამართლებრივი რეგულირება“, მართლმსაჯულება და კანონი N3(63)-19, რედაქტორი ნ. ძიძიგური, თბილისი, 2019.
4. კიგანი ირლანდიის წინააღმდეგ (Keegan v. Ireland), 1994 წლის 26 მაისი.
5. ვან დერ ჰეიდენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van der Heidjen v. the Netherlands), 2012 წლის 3 აპრილი.
6. კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands), 1994 წლის 27 ოქტომბერი.
7. ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland), 1986 წლის 18 დეკემბერი.
8. X, Y და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (X. Y. and Z v. the United Kingdom), 1997 წლის 22 აპრილი.
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინება, საქმე №3ბ/799-17.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 თებერვლის განჩინება, საქმე №ბს-1091-1085(კ-17).

²⁰ მაგალითად: გერმანულ სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებობს კანონი თანაცხოვრების შესახებ, რომელიც ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირების ურთიერთობას აწესრიგებს. დაწვრილებით იხ. Gesetz über die Eingetragene Lebenspartnerschaft (Lebenspartnerschaftsgesetz – LPartG), 16/02/2001; <<https://www.gesetze-im-internet.de/lpartg/BJNR026610001.html>>[05.06.2023].

საფრანგეთის კანონმდებლობა იცნობს „სამოქალაქო შეთანხმებას სოლიდარობის შესახებ“, რომელიც თანაცხოვრების მოწყობის მიზნით, იდება ორი ზრდასრული ადამიანის მიერ, დაწვრილებით იხ. The Civil Code of France, 21/03/1804, <<https://www.napoleon-series.org/research/government/ccode.html>>

შვედეთის თანაცხოვრების შესახებ 2003 წლის აქტის თანახმად, თანამცხოვრებლებს ერთმანეთის ნებართვის გარეშე უფლება არ აქვთ გაასხვისონ ან უფლებრივად სხვაგვარად დატვირთონ საერთო საცხოვრისი და სოჯახო მოხმარების ნივთები. საერთო საცხოვრისის და საოჯახო ნივთების ღირებულება შეიძლება გაყოფილ იქნეს, თუმცა, ისინი უნდა არსებობდეს უშუალოდ ურთიერთობის დასრულების დროს. როდესაც საკუთრების გაყოფა ხდება, თავდაპირველად უნდა მოხდეს იმ თანხების გამოყოფა, რომლითაც დაიფარება საერთო ვალეები. შემდეგ დარჩენილი აქტივის ღირებულება მათ შორის უნდა გაიყოს თანაბრად. დაწვრილებით იხ. The Swedish Cohabitees Act (2003:376), Sections: 3, 5, 6, 7, 13, 14.

უკრაინის მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, საოჯახო კოდექსის 74-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ქალი და მამაკაცი ცხოვრობენ ერთ ოჯახად ქორწინების რეგისტრაციის გარეშე და არ იმყოფებიან სხვაგვარ რეგისტრირებულ ქორწინებაში, მათ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე ვრცელდება ისეთივე სამართლებრივი ნორმები, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მუქლებზე, ხოლო ამავე კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფაქტობრივ მუქლეს, მსგავსად მუქლისა ქორწინებიდან, განსაზღვრული პირობების არსებობისას აქვს უფლება მოითხოვოს სარჩოს მიღება როგორც თანაცხოვრების დროს, ასევე მისი შეწყვეტის შემთხვევაშიც. Сімейний кодекс України, 10/01/2002 < <https://zakon.rada.gov.ua/laws/show/2947-14#Text>>[05.06.2023].

11. Gesetz über die Eingetragene Lebenspartnerschaft (Lebenspartnerschaftsgesetz – LPartG), 16/02/2001.
12. The Civil Code of France, 21/03/1804.
13. The Swedish Cohabitees Act (2003:376).
14. Сімейний кодекс України, 10/01/2002.
15. <https://www.matsne.gov.ge/>
16. <http://prg.supremecourt.ge/>
17. <http://library.court.ge/login.php?geo&authorisation>
18. <https://www.cambridge.org>
19. <https://www.napoleon-series.org/>
20. <https://www.gesetze-im-internet.de/>
21. <https://zakon.rada.gov.ua/>

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი

ახლო აღმოსავლეთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. სწორედ აქ შეიქმნა დამწერლობა და წარმოიშვა სამი დიდი რელიგია: ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი. ხშირად ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის არსებულ დაპირისპირებას „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს“ უწოდებენ. ის დაიწყო ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ (1923წ) და შემდეგ, განვითარებული მოვლენების შედეგად, გადაიზარდა უფრო ლოკალურ, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში, უფრო მეტიც, ის გასცდა დაწესებულ საზღვრებს და ბევრად მასშტაბური სახე მიიღო ვიდრე მოსალოდნელი იყო. თავდაპირველად, ებრაელებსა და არაბებს შორის არსებული დაპირისპირება ატარებდა პოლიტიკურ და ნაციონალისტურ კონფლიქტის ხასიათს, რომლის მთავარი მიზეზი ტერიტორიულ ამბიციებში გამოიხატებოდა. როგორც მსოფლიოში არსებულ ყოველ დაპირისპირებას აქვს თავისი წინაპირობა, ზემოაღნიშნულ კონფლიქტსაც ჰქონდა გარკვეული წინამძღვრები. ნაშრომის მიზანია, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის წარმოშობის მთავარი მიზეზების და შედეგების წარდგენა.

XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში გაძლიერებულმა ანტისემიტიზმმა ევროპის ებრაელთა წრეები აიძულა დაეწყოს სერიოზული მსჯელობა, თუ სად შეიძლებოდა შექმნილიყო ებრაული სახელმწიფო. საბოლოოდ, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ებრაელები უნდა დაბრუნებულიყვნენ წინაპრების მიწაზე – პალესტინაში, რომელიც ებრაელთათვის იყო სიონი. 1897 წელს სიონიზმის ფუძემდებელმა თეოდორ ჰერცლმა, ქალაქ ბაზელში მოიწვია პირველი სიონისტური კონგრესი, სადაც საფუძველი ჩაეყარა სიონიზმს, როგორც ებრაელთა მოძრაობას. თეოდორ ჰერცლმა კონგრესზე განაცხადა: „სიონიზმის მიზანია პალესტინაში ეროვნული კერის შექმნა ებრაელთათვის, რომელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კანონი“. 1898 წელს მან დაწერა წიგნი „ებრაული სახელმწიფო“, სადაც აღწერილი იყო თუ როგორ უნდა შექმნილიყო იუდეური სახელმწიფო. 1903 წელს ბრიტანეთის მთავრობამ სიონისტური მოძრაობის ლიდერს თეოდორ ჰერცლს შესთავაზა ებრაული სახელმწიფოს შექმნა აღმოსავლეთ აფრიკის, კერძოდ, კენიის ტერიტორიაზე, თუმცა სიონისტთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ებრაელთა კერა უნდა ყოფილიყო ისტორიული სამშობლო პალესტინა. ჰერცლმა მიზანს მიაღწია, მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის პალესტინაში ებრაელთა რაოდენობა 50 ათასს შეადგენდა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ებრაელთა მსაობრივი მიგრაცია პალესტინაში აღინიშნება ტერმინით „ალია“, თუმცა ეს ყოველივე საკმარისი არ იყო. ებრაელთა რეპატრაციის რეალური იურიდიული საფუძველი გახდა 1917 წლის 2 ნოემბერს გამოქვეყნებული ბალფურის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთი მხარს უჭერდა პალესტინაში „ებრაული ხალხისათვის ეროვნული კერის“ ჩამოყალიბებას. ისრაელში მცხოვრები მწერალი ტომ სეგევი წერს: „ბრიტანელებმა დაპირება შეუსრულეს სიონისტებს. მათ გზა გაუხსნეს მასობრივ ებრაულ იმიგრაციას. ებრაული მოსახლეობა გაათმაგდა, მათ ნება დართეს ეყიდათ მიწა, განევითარებინათ სოფლის მეურნეობა, დაეარსებინათ საწარმოები და ბანკები. ებრაელებმა შექმნეს სასკოლო სისტემა და არმია, დააარსეს პოლიტიკური

ხელმძღვანელობა და არჩევითი ინსტიტუტები, რითაც დაამარცხეს არაბები. ყველაფერი ბრიტანული სპონსორობით კეთდებოდა, ამიტომ გავრცელებული აზრი, რომლის მიხედვითაც თითქოს ბრიტანეთის მთავრობა პროარაბული იყო, არ შეესაბამებოდა რეალობას, რადგან ბრიტანეთის ქმედება საგრძნობლად უწყობდა ხელს სიონისტურ წამოწყებას“. აღსანიშნავია, რომ სიონისტურმა მოძრაობამ მთელ მსოფლიოში მოიპოვა მხარდაჭერა, რამაც საბოლოოდ განაპირობა 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს დაარსება.

ებრაული სახელმწიფოს შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მსოფლიო საზოგადოებისთვის ჰოლოკოსტის შემდეგ, რათა საბოლოოდ გადანწყვეტილიყო ებრაული სახელმწიფოს ბედი.

1947 წლის 29 ნოემბერს გაერომ მიიღო რეზოლუცია პალესტინის ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად დაყოფაზე, ხოლო იერუსალიმი ცალკე რაიონად უნდა გამოყოფილიყო და გამხდარიყო საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქი. ბუნებრივია, ამ ყოველივეს მოჰყვა არაბების აგრესია, რის შედეგადაც 1948 წლის 15 მაისს ხუთი არაბული ქვეყნის (ეგვიპტე, ტრანსიორდანი, ლიბანი, სირია, ერაყი) ჯარები შევიდნენ პალესტინის ტერიტორიაზე, დაიწყო ისრაელსა და არაბული ქვეყნების შორის პირველი ომი, რომელმაც ისრაელში მიიღო სახელწოდება „ომი დამოუკიდებლობისათვის“, ხოლო არაბულ ქვეყნებში „პალესტინური ომი“.

1948 წელს გაერომ გამოსცა რეზოლუცია საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, ხოლო 1949 წელს კუნძულ როდოსზე ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის გაიმართა შეხვედრა. ისრაელმა ხელი მოაწერა არაბულ ქვეყნებთან ცეცხლის შეწყვეტას, ამავდროულად, გავლებული იქნა სადემარკაციო ხაზი – მწვანე ხაზი – ერთი მხრივ, ისრაელს, ხოლო, მეორე მხრივ, ლიბანს, სირიას, იორდანისა და ეგვიპტეს შორის. ზემოაღნიშნული ომი 1 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხოლო გავლებული მწვანე ხაზი 1967 წლის ექვსდღიან ომამდე არსებობდა. ისრაელისა და არაბული ქვეყნების მორიგი დაპირისპირება 1967 წელს დაიწყო. აღნიშნულ ომს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში, რადგან მან შეცვალა რეგიონის თანამედროვე რუკა, განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ბალანსი და მისი შემდგომი განვითარება. მას შემდეგ, რაც საბჭოთა იარაღის დახმარებით ეგვიპტის არმია გაძლიერდა, ეგვიპტის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს შეექმნა ილუზია ისრაელის არმიის შესახებ, იგი თვლიდა, რომ ეგვიპტის არმიის სამხედრო სიძლიერე აღემატებოდა ისრაელისას. 1967 წლის 4 ივნისს ისრაელმა მოულოდნელი საჰაერო თავდასხმა განახორციელა ეგვიპტურ ობიექტებზე და დაიწყო მოქმედება.

თავდასხმის შედეგად ნათელი გახდა, რომ ეგვიპტე, სირია და იორდანია შესაფერისად არ იყვნენ მომზადებულნი ომისათვის. ზემოაღნიშნული ომი სულ ექვსი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და დასრულდა ისრაელის სრული გამარჯვებით. ისრაელმა თავისი ტერიტორია 3,5 ჯერ გაზარდა, ამავდროულად, დაისაკუთრა სინას სექტორი და სირიის გოლანის მაღლობების გარკვეული ნაწილი, რომელიც ანექსირებული იყო იორდანისა და ეგვიპტის მიერ. 1967 წლის პირველ სექტემბერს შედგა ხართუმის კონფერენცია, სადაც გამოცხადდა პრინციპი „სამი არა“, არა – ისრაელის აღიარებას, არა – ისრაელთან მოლაპარაკებებს, არა – ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას. ამის გარდა, მიიღეს დამატებითი რეზოლუცია: არავითარი კომპრომისი ან მცირეოდენი დათმობა პალესტინელების უფლებებთან დაკავშირებით.

ექვსდღიანი ომის შემდეგ ეგვიპტემ ნათლად გაიაზრა მოულოდნელი თავდასხმის უპირატესობები, სწორედ ამიტომ 1973 წელს ეგვიპტე და სირია მოულოდნელად თავს დაეს-

ხნენ ისრაელს, იმ დროს, როცა ებრაელები აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულს – „იომ-ქიფურს“ („განკითხვის დღე“).

ისრაელის არმია სწრაფად მობილიზდა და შეუტია სირიასა და ეგვიპტეს. 1973 წლის ომმა ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა ორივე მხარეს, ეგვიპტისა და სირიის ჯარები მკვეთრად გაძლიერებულები იყვნენ. ამ ომმა დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში. არაბული ქვეყნების მიერ ემბარგოს დაწესებამ ნავთობის მიყიდვაზე იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც მხარი დაუჭირეს ისრაელს და, შესაბამისად, ნავთობზე ფასების მომატებამ, გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი დასავლეთში. საბოლოოდ, ცეცხლის შეწყვეტა მიღწეულ იქნა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 1973 წლის 22 ოქტომბერს მიღებული #338-ე რეზოლუციით.

დღეს, შეგვიძლია განვსაზღვროთ სამი პოზიცია, რომელიც გააჩნია არაბულ საზოგადოებას ისრაელის მიმართ. პირველი, მცირე, რომელიც მიიჩნევს, რომ საჭიროა ისრაელთან თანაცხოვრება. მეორე, უფრო დიდი, რომელიც მიიჩნევს, რომ ისრაელის სახელმწიფო უნდა განადგურდეს და მესამე, რომელიც მიიჩნევს, რომ ისრაელთან საჭიროა თანამშრომლობა, თუმცა უნდა იფიქროს ებრაული სახელმწიფოს ეტაპობრივი განდევნისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ რას ამბობენ პალესტინელი პოლიტიკოსები: „ჩვენ ვაზვიადებთ, როცა ვსაუბრობთ მშვიდობაზე. სინამდვილეში ვსაუბრობთ მხოლოდ ცეცხლის დროებით შეწყვეტაზე“ – ქნესეთის პალესტინელი დეპუტატი აბდელ მალიქ დაჰამში. „პალესტინელი ხალხი გააგრძელებს ბრძოლას მანამ, სანამ არ მიაღწევს 1964 წლის რევოლუციის მიზნებს“ (იგულისხმება პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ისრაელის განადგურებას ისახავდა მიზნად) – პალესტინური ავტონომიის ხელმძღვანელობის წევრი აბდ ალ-აზიზ შაჰინი.

როცა ვსაუბრობთ „ებრაულ საკითხზე“ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, რასაც არ ვიტყვით „პალესტინურ საკითხზე“. რიგი ებრაელი პოლიტიკოსი თუ მეცნიერი არ სცნობს პალესტინელებს, როგორც ხალხს, რადგან მიიჩნევს, რომ ისინი არაბული სამყაროს ნაწილი არიან. თუმცა 1993 წელს შიმონ პერესისა და ისრაელის პრემიერმინისტრის იცხაკ რაბინის არაფაქტუალური მუშაობის შედეგად ხელი მოეწერა ოსლოს შეთანხმებას, სადაც ისრაელი ცნობდა პალესტინურ ავტონომიას.

პალესტინურ საზოგადოებაში ორი ძირითადი ძალაა: ზომიერი და რადიკალური. პირველი მიიჩნევს, რომ ისინი უნდა თანაცხოვრობდნენ ისრაელის სახელმწიფოსთან და უნდა შეიქმნას პალესტინის სახელმწიფო შესაძლებელ ტერიტორიაზე. მეორე მიიჩნევს, რომ პალესტინის სახელმწიფო უნდა შეიქმნას პალესტინის სრულ საზღვრებში და ისრაელი უნდა განადგურდეს. პირველი ძალის პოლიტიკური წარმომადგენლები არიან ფათჰის პარტიის წარმომადგენლები, რადიკალურის კი ჰამასი.

უდავოა, რომ უნდა გადაწყდეს პალესტინური სახელმწიფოებრიობის ბედი ებრაულ სახელმწიფოსთან თანაარსებობაში. არაბული სახელმწიფოების დემოკრატიზაციის პროცესი გარდაუვლად შექმნის პრეცედენტს ისრაელთან თანამშრომლობისა და ეგვიპტე-ისრაელის დიპლომატიური ურთიერთობები ამის თვალსაჩინო მაგალითი ხდება. ასევე, ისრაელისა და არაბული ქვეყნების შეთანხმებას ხელს უწყობს აბრაამის ხელშეკრულება, რომელიც საფუძველს უდებს გაერთიანებული არაბული საამიროებისა და ისრაელის დიპლომატიურ ურთიერთობებს. ამის შემდეგ რიგმა არაბულმა ქვეყნებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ისრაელთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და მისი სიძის (წარმოშობით ებრაელი), ასევე უფროსი მრჩევლის ჯარედ კუშნერის აქტივობა. ახალი პროექტი ეხმარება ისრაელისა და არაბული ქვეყნების სხვადასხვა კავშირების გამყარებას, რაც

ხელს უწყობს პალესტინური საკითხის მოგვარებას. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროცესად მიიჩნევა ისრაელისა და არაბული სუნიტური სამყაროს საერთო მტრის ირანის გაძლიერებისა და მასთან კონფრონტაციის შედეგად. დღევანდელი პრობლემა გამოიხატება რამოდენიმე ფაქტორით:

1. ღაზას სექტორში დაჯგუფება „ჰამასის“ დომინირება, რომელიც ახორციელებს მასობრივ სარაკეტო თავდასხმებს და ტერორისტულ აქტებს ისრაელის წინააღმდეგ;
2. არაბულ ქვეყნებში, მასმედიისა და განათლების საშუალებით, ისრაელის წარმოჩენა, როგორც რეგიონის მთავარი ბოროტება;
3. არაბული თუ ებრაული ექსტრემისტული დაჯგუფებების ზენოლა ორივე მხარეზე და ხელის შეშლა კონსენსუსის მიღებაზე (მაგ., ანვარ სადათისა და იცხაკ რაბინის მკვლელობები).

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი დღემდე გრძელდება, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისრაელი ომის ქარცეცხლში დაიბადა და დღემდე საომარ მოქმედებაშია არაბულ ქვეყნებთან. დღესდღეობით, ჩვენთვის ნათელია, თუ როგორ მოულოდნელ ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ ისრაელის ტერიტორიაზე, ამ ყოველივეს კი ეწინააღმდეგება უდასმართლო მოსახლეობა. ისრაელის სარაკეტო სისტემები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, მას აქვს საშუალება სამხედრო მრეწველობის ჭარბი ნაწარმი საზღვარგარეთ გაყიდოს, ამ მხრივ ისრაელი მსოფლიოს პირველ ათეულში შედის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Rovner 2014, Rovner Adam „In the Shadow of Zion: Promised Lands Before Israel“, 2014.
2. Киссинджер 2015, Генри Киссинджер „Мировой порядок“, AST Publishers, 2015 .
3. Гасратян 2019, С.М. Гасратян „Взаимоотношения Израиля и арабо-суннитских стран в контексте международных и региональных проблем: столкновение или диалог цивилизаций? (историко-политические очерки)“, Издатель Воробьев А.В, Москва, 2019.
4. Black 2017, Ian Black, „Enemies and Neighbors Arabs and Jews in Palestine and Israel, 1917 – 2017“, Atlantic Monthly Press New York, 2017.
5. გაჩეჩილაძე 2003, რევაზ გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“, „დიოგენე“, თბილისი, 2003.

ინტერნეტმასალა:

1. <https://gfsis.org.ge/files/my-world/10/regioni.pdf>
2. https://www.newsru.co.il/mideast/31aug2020/meir_202.html
3. <https://lib.cet.ac.il/pages/item.asp?item=1516>
4. <https://main.knesset.gov.il/About/commemoration/pages/herzl.aspx>

რატი ხოტივრიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფ. ირაკლი ალიმბარაშვილი

ომი ბრიტანის ღორის გამომ – ბრიტანულ-ამერიკული დიპლომატიის ახალ ეტაპზე გადასვლა

კაცობრიობას ბევრი ომი ახსოვს, თითოეული მათგანი რაღაც მხრივ გამორჩეული და უნიკალურია. ომის დაწყების საბაბთა მრავალფეროვნებით ისტორია ნამდვილად გვანებიერებს. დღეს შევეხებით 1859 წლის მოვლენებს, როცა ორი უძლიერესი პოლიტიკური ძალა: დიდი ბრიტანეთი და აშშ მივიდა ომის დაწყების საშიშროებამდე ღორის გამომ. ომს დიდხინიანი წინაპირობა აქვს, მისი წარმოშობა დაკავშირებულია საზღვრის საკითხთან – ბრიტანულ კანადას და აშშ-ს შორის.

1783 წლის 3 სექტემბერს დაიდო პარიზის ზავი, ამერიკულ კოლონიებს და დიდ ბრიტანეთს შორის, რომელმაც დაამთავრა ამერიკის რევოლუციური ომი. აშშ გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. შესაბამისად, საჭირო გახდა საზღვრის დადგენა ახლად დაბადებულ ქვეყანას და ბრიტანულ კანადას შორის. საზღვარი გაეწვლინა ნმ. კროიქსის მდინარეზე, საიდანაც გაუყვებოდა მალლობებს (საზღვარი იყო სადავო 1842 წლამდე), შემდეგ 45 პარალელს და მდინარე მისისიპს. მაგრამ აქ პრობლემა იყო, საზღვრის გავლებისას გამოიყენეს ჯონ მიჩელის მიერ შედგენილი რუკა, რომელიც იყო არაზუსტი, რამაც წარმოშვა გაუგებრობა მხარეებს შორის. ამას დაემატა ისიც, რომ 1803 წელს, ნაპოლეონ ბონაპარტმა, საფრანგეთის პირველმა კონსულმა, აშშ-ს მიჰყიდა ფრანგული ლუიზიანა. ამან საზღვრის საკითხში კიდევ უფრო მეტი დაძაბულობა მოგვცა, რამაც კულმინაციას 1812-1815 წლის ომის დროს მიაღწია. მაგრამ ომმა გამარჯვებული მხარე ვერ გამოავლინა და მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. ახალი საზღვარი გაუყვებოდა 49 პარალელს, ტბების რაიონს და დამთავრდებოდა კორდილიერებთან. არც ეს გამოდგა საბოლოო დაზავება, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბრიტანეთიც და აშშ-ც აგრძელებდნენ გაფართოებას აღმოსავლეთისკენ, ეს რბოლასაც კი წააგავდა. კორდილიერების იქით კი არსებობდა რეგიონი, რომელიც მდიდარი იყო რესურსებით, განსაკუთრებით ბიზონებით, რაზეც პრეტენზიას ორივე მხარე აცხადებდა. ბრიტანეთისთვის რეგიონი მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ამ მხარეს 50-იანი წლებისთვის აკონტროლებდა ჰადსონის ყურის კომპანია, რომელისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ბიზონები, ვინაიდან მისი წარმოების განუყრელი რესურსი იყო. სწორედ ეს არგუმენტი იყო ბრიტანეთისთვის მთავარი გამამართლებელი, სამაგიეროდ ამერიკელები ამბობდნენ რა, რომ რეგიონში თითო ბრიტანელზე ექვსი ამერიკელი მოდიოდა, შესაბამისად, მიწა ეკუთნოდა ამერიკას. თავის მხრივ, ბრიტანეთის მხარეზე იყო ის ფაქტიც, რომ ადგილობრივი ინდიელები მხარს ჰუდსონის კომპანიას უჭერდნენ, ვინაიდან მათი საქონლისთვის კარგი გასაღების ბაზარი იყო და არც მინებს ართმევდა, განსხვავებით ამერიკელებისგან. დავა დიდხანს გაგრძელდა და, საბოლოოდ, მექსიკა-ამერიკის ომის შემდეგ (1846-1848) დამთავრდა. შედგა კომპრომისი, საზღვარი გაგრძელდებოდა 49 პარალელზე, რითაც რეგიონს მიიღებდა აშშ, სამაგიეროდ ვანკუვერის კუნძული, რომელიც დანამდვილებით პარალელის ქვემოთ იყო, დარჩებოდა ბრიტანეთს. საზღვარი პარალელიდან ვანქუვერის არხს გაუყვებოდა. მაგრამ კვლავ იჩინა პრობლემამ თავი, საქმე ეხებოდა არხში არსე-

ბულ პატარა დანაწევრებულ წმ. ხუანის კუნძულებს. რომლებიც შეთანხმებაში არ იყო ნახსენები, შესაბამისად, ორივე მხარე იჩემებდა რომ კუნძულები მას ეკუთვნოდა. დაიწყო მოლაპარაკებები, მაგრამ ვინაიდან კუნძულები პატარა და უმნიშვნელო იყო დიდ ყურადღებას არავინ იჩენდა და შეთანხმების მიღწევაც გადაიდო. საკითხი მთლიანად ადგილობრივ ადმინისტრაციაზე გახდა ჩამოკიდებული.

სწორედ ამ დროს, ვანკუვერის გამგებელი იყო ჯეიმს დუგლასი, ადამიანი, რომელსაც მანამდე კორდილიერების აღმოსავლეთ რეგიონი ებარა და ისევ ვერ მოენელებინა, რომ მიწები აშშ-ს დარჩა. ამიტომ გადაწყვიტა, არაფრის დიდებით არ დაეთმო კუნძულები. გაითვალისწინა რა წინა გამოცდილება, მან გადაწყვიტა, რომ კუნძული მანამდე აეთვისებინა, სანამ ამას ამერიკელები გააკეთებდნენ. ამ მიზნით, მან დაიბარა ირლანდიული წარმოშობის ჩარლზ გრიფინი და დაავალა კუნძულებზე დაეარსებინა კომპანია. გრიფინიც 1853 წელს, ადგილობრივ ინდიელებთან, 1369 ცხვართან და რამდენიმე ღორთან ერთად გადავიდა კუნძულებზე და იქაურობა აითვისა.

ამასობაში არც ამერიკელები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, ზუსტად იგივე მიზნით მალე კუნძულზე ამერიკელები გამოჩნდნენ და დიდად გაიკვირვეს, როცა იქ ცხვრები დახვდათ. გრიფინმა მათ განუცხადა, რომ ტერიტორია ბრიტანეთს ეკუთვნოდა და მათ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ კუნძულები. ასეც მოხდა, მაგრამ ასე არ დამთავრებულა. ამერიკელებმა წამოიყვანეს ადგილობრივი შერიფი ბარენსი, რომელმაც გრიფინს ფერმის ქონისთვის გადასახადი მოსთხოვა (80 დოლარი და 34 ცენტი), ვინაიდან კუნძული აშშ-ს ეკუთვნოდა. გრიფინმა გადახდაზე უარი განაცხადა და დასახმარებლად დუგლასს მიაკითხა, დუგლასმაც კუნძულების გამგებლის სტატუსი მიანიჭა და დაავალა ამერიკელები იქიდან გაეყარა. გრიფინი შერიფს და მის გარემოცვას კი მიადგა, მაგრამ მათი გაყრა ვერ მოახერხა (შერიფმა იარაღიც კი დაუმიზნა). ამას მოჰყვა ბარენის მიერ გრიფინის 34 საჯიშე ვაცის დაყადალება, გადაუხდელი გადასახადების გამო. გრიფინი იძულებული იყო უკან დაეხია. კონფლიქტი კვლავ დაკონსერვდა.

1848-1855 წლებში დაიწყო ოქროს ციებ-ცხელება, უამრავი ამერიკელი აღმოსავლეთ მიწებს მოადგა, რამდენ ადამიანსაც გაუმართლა, იმდენივე იმედგაცრუებული დარჩა. მაგრამ მათ სახლში დაბრუნების ნაცვლად რეგიონში დარჩენა გადაწყვიტეს, მათ შორის წმ. ხუანის კუნძულებზე დაიწყო გადასახლება. როცა ამაზე ბრიტანელებმა პრეტენზია განაცხადეს, მოხდა მალალი ინსტანციების ჩარევა, ორივე მხარემ ადგილობრივებს დაუბარეს, რომ არ გაეკეთებინათ რაიმე სისულელე, ვინაიდან კუნძულები იყო საკამათო ტერიტორია. უკვე ამ დროს სავსებით შესაძლებელი იყო ომის დაწყება, მაგრამ ბრიტანეთს და აშშ-ს უკვე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ჩამოყალიბებული და ჩრდილოეთ ამერიკაშიც კარგი ეკონომიკური პარტნიორები იყვნენ, ამიტომ მსგავს წვრილმანზე ომის დაწყებას არცერთი არ აპირებდა.

გადასახლების დროს 1858 წელს კუნძულებზე გადავიდა ახალგაზრდა კაცი, სახელად ლაიმონ ქატესი. ზარმაცი პიროვნება, რომელსაც დაეზარა ტყის გასუფთავება საკუთარი სახლის ასაშენებლად და ფერმა გაშლილ ველზე ააშენა, რომელიც ნამდვილად ბრიტანელი ცხვრების საძოვარი იყო, რაც კიდევ უარესია მან ფერმა კარგად არ შემოლობა. ხოლო გრიფინის ღორები განთქმულნი იყვნენ ფერმების ძარცვით. სწორედ აქ დაიწყო კონფლიქტის გამწვავება, გრიფინის ღორი ქატესის ნათესებს ანადგურებდა, კერძოდ კარტოფილის ნათესებს. ლაიმონმა გრიფინი რამდენჯერმე გააფრთხილა ამის შესახებ, თუმცა ჩარლზმა სამართლიანად აღნიშნა, რომ მას უნდა ეზრუნა ფერმის დაცვაზე, ისიც დაამატა, რომ კუნძულები ბრიტანული იყო.

ერთ დღესაც, როცა გაბრაზებულმა ქატესმა დაინახა, რომ გრიფინის ღორი მის ფერმაში კარტოფილს მიირთმევდა, მას ესროლა და მოკლა. თუმცა, მიხვდა რა სისულელეც ქნა და გრიფინთან მივიდა მოსაბოდიშებლად. ჩარლზმა ზარალის ანაზღაურება მოითხოვა, კერძოდ ასი დოლარი, რაც დღევანდელი საზომით, დაახლოებით 3600 დოლარია. ლაიმონმა გადახდაზე უარი თქვა და დასახმარებლად ადგილობრივ ადმინისტრაციას მიმართა. საუბედუროდ, ამ დროს ადგილობრივ მთავრობას წარმოადგენდა გენერალი უილიამ ჰარნი. კაცი, რომელმაც თავი გამოიჩინა მექსიკასთან ომში ბრძანებების დაუმორჩილებლობით და ადამიანური თუ სამხედრო რესურსის უაზრო ხარჯვით, გადაყენებას კი მხოლოდ გავლენიანი მეგობრების ენდრიუ ჯექსონის (ამერიკის რიგით მეშვიდე პრეზიდენტი) და ჯეიმს პოლკის (ამერიკის მეთერთმეტე პრეზიდენტი) დახმარებით გადაურჩა. ჰარნი დიდად მონადინებული იყო ბრიტანეთთან ომის დაწყებით, ისტორიკოსები დღემდე დავობენ ამ საკითხთან დაკავშირებით. არის აზრი, რომ დიდების მოხვეჭა ან პრეზიდენტობა უნდოდა და ასე ცდილობდა პოპულარობის მოპოვებას. ერთნი ამტკიცებენ, რომ ვინაიდან ჰარნი სამოქალაქო ომის დროს სამხრეთ შტატებს წარმოადგენდა, ასე უნდოდა დივერსიის მონყობა განაპირა რეგიონში. და არის აზრი, რომ ის იყო უბრალოდ სულელი, რომელიც ვერ ხვდებოდა, რომ ბრიტანეთის სახით უპირისპირდებოდა უძლიერეს სახელმწიფოს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ასეა თუ ისე, მან კუნძულებზე გაგზავნა კაპიტანი პიკეტი, ჯართან ერთად, ადამიანი, რომელიც ასევე არ გამოირჩეოდა გამჭრიახობით. მას დაევალა ცეცხლი გაეხსნა ნებისმიერი ბრიტანელისთვის, რომელიც კუნძულებზე ფეხს დაადგამდა. ჰარნის გეგმა ასეთი იყო, ის გაუხსნიდა ცეცხლს ბრიტანელებს და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობებდა ვაშინგტონის ადმინისტრაციას მომხდარის შესახებ, ინფორმაციის ჩასვლას დედაქალაქში ექვსი კვირა დასჭირდებოდა, შესაბამისად, ექვსი კვირა ბრძანების უკან დაბრუნებას, ამ 12 კვირაში ჰარნი აპირებდა ბრიტანეთზე შეტევას და ომის სწრაფ დამთავრებას.

როცა დუგლასმა გაიგო, რომ კუნძულებზე ამერიკული ნაწილები შევიდნენ, ფლოტის მეთაურს – კაპიტან ჰორბის დაავალა კუნძულების განმენდა. დადგა ომის საფრთხე. გადამწყვეტ მომენტში, ჰორბიმ გამოიჩინა კეთილგონიერება და ფლოტი უბრალოდ კუნძულებთან შეაჩერა. პიკეტი სულმოუთქმელად ელოდა ჯარის გადმოსვლას, მაგრამ ბრიტანელები არ იძროდნენ, თავის მხრივ, თუ პიკეტი გააკეთებდა პირველ სვლას, მაშინ ომი დიპლომატიურად უკვე წაგებული იყო.

ჰორბის გადაწყვეტილება სავსებით დროული იყო, ვინაიდან ადგილზე მოვიდა მთელი წყნარი ოკეანის ფლოტის ადმირალი ბინსი. მან გააუქმა დუგლასის ყველა ბრძანება და ჰორბი შეაქო სწორი მოქმედებისთვის. ბინსმა ფლოტი არხში შეაჩერა და მომხდარის შესახებ ლონდონს შეატყობინა.

შესაბამისად, ბრიტანეთის ელჩმა აშშ-ში, ლორდმა ლიონსმა, პრეზიდენტ ჯეიმს ბუჩმანს მოსთხოვა ახსნა-განმარტება, რას აკეთებდა მისი ჯარი სადავო ტერიტორიაზე. ბუჩმანი ისე დაიბნა, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად მთელი აშშ-ის ჯარების მეთაური – გენერალი ვინფილდ სკოტი გაგზავნა. სკოტი მექსიკის ომის გმირი იყო და სწორედ მან სცადა ჰარნის გადაყენება, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს სკოტი ისე გასუქებული იყო, რომ გემში კალათით სვამდნენ, თუმცა არ დაიზარა და ადგილზე ჩავიდა საქმის გასაცნობად.

სკოტი აღშფოთებული დარჩა საქმის ვითარებით, ჰარნი თანამდებობიდან გადააყენა და ადმირალ ბინსს პირადად შეხვდა, სწორედ მათ მიიღეს ბრძნული გადაწყვეტილება, მოზღვავებული ჯარები ადგილს დატოვებდნენ. კუნძულზე ორივე ქვეყნის ჯარი დარჩებოდა, იქამდე,

სანამ პრობლემას ზემოთა ინსტანციები არ გადაწყვეტდნენ. ასე ჩაცხრა კონფლიქტი, რომელიც დაიწყო ლორის გამო და თითქმის ორ უზარმაზარ ქვეყანას შორის ომით დამთავრდა.

როცა კუნძულებზე ბრიტანელები გამოჩნდნენ, პიკეტი, რომელიც კვლავ ადგილზე რჩებოდა მოელოდა, რომ საკმაოდ დაძაბული ვითარება შეიქმნებოდა. თუმცა ასე არ მოხდა. ჯარისკაცებმა ერთმანეთი მალე გაიცნეს და კარგი ურთიერთობა დაამყარეს, მათ შორის პიკეტმაც კი. ბრიტანელებმა და ამერიკელებმა ერთად აღნიშნეს ამერიკის დამოუკიდებლობის დღე და დედოფალ ვიქტორიას დაბადების დღე. აღარავის ახსოვდა თუ კუნძულები სადავო ტერიტორია იყო. მაგრამ კონფლიქტს დამთავრება არც აქ ეწერა.

1860 წელს დაიწყო აშშ-ის სამოქალაქო ომი, რომელიც ხუთ წელიწადს გაგრძელდა, კონფლიქტში ჩარევას განიხილავდა დიდი ბრიტანეთი და მართლაც, ბრიტანელი ელჩი აღმოჩენილ იქნა კონფედერაციული შტატების გემზე. როცა 1865 წელს დამთავრდა სამოქალაქო ომი, ამერიკამ დიდ ბრიტანეთს, ომის დროს დარღვევების გამო, რეპარაციების გადახდა მოსთხოვა, ასევე, წარუდგინა სადავო საკითხების და პრობლემების სია, სადაც ისევე ეწერა წმ. ხუანის კუნძულების საკითხი.

განელილი დიპლომატიური პროცესები არადა არ დამთავრდა, საბოლოოდ, მხარეებმა გადაწყვიტეს საერთაშორისო არბიტრი ჩაერთოთ – ახლად შექმნილი გერმანიის იმპერია. ვილჰელმ პირველმა მოისმინა ორივე მხარის არგუმენტები და, საბოლოოდ, კუნძულები აშშ-ს დაუტოვა.

1872 წლის 25 ნოემბერს ბრიტანელებმა კუნძულები დატოვეს, საზღვრის პრობლემა გადაწყდა. უკვე ასაკოვან დუგლასს მაინც სჯეროდა რომ კუნძულები ბრიტანეთს ეკუთვნოდა და უბრალოდ არგუმენტები იყო არასწორად წარმოდგენილი.

ასე უომრად გადაწყდა პრობლემები ორ ქვეყანას შორის, ეს იყო ახალი ნაბიჯი ბრიტანულ-ამერიკულ ურთიერთობაში. ორივე მხარეს მოიძებნებოდა ადამიანთა მთელი პლეადა, რომელთაც ომი უნდოდათ, მაგრამ ვინაიდან ორივე ქვეყანა დემოკრატიულ საწყისებზე იყო დაშენებული, ხოლო საკუთრივ ხალხს, არანაირი სურვილი არ ჰქონდა ომის, პოლიტიკოსები მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და საკითხი ცივილიზებულად გადაწყვიტეს. ასე ჩაეყარა ბრიტანულ-ამერიკულ მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი, რომელიც დღემდე გრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bown 2017: Stephan Bown „The pig war“. ხელმისაწვდომია: <https://www.canadashistory.ca/explore/peace-conflict/the-pig-war> ბოლოს დამონმებულია 18/04/2023

Jonson 2015: Ben Jonson „The pig war“. ხელმისაწვდომია: <https://www.historic-uk.com/HistoryUK/HistoryofBritain/The-Pig-War/> ბოლოს დამონმებულია: 18/4/2023

Neering 2011: Rosmery Neering „The pig war, last Canada-Usa border conflict“ Heritage House, Caigary.

Noakes 2021: Taylor Noakes „The pig war“. ხელმისაწვდომია: <https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/pig-war> ბოლოს დამონმებულია: 23/03/2023.

Vouri, 1999: Michel Vouri, „The pig war: standoff and Griffin bay“ Griffin bay bookstore, Harbor

ნინო მახარობლიშვილი, ელენე მიქანაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფ. თორნიკე თურმანიძე*

იაპონიის რეგიონული უსაფრთხოების ხედვის ცვლილება რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

შესავალი

რუსეთის აგრესიას უკრაინაში აქვს ფართო გეოპოლიტიკური ზეგავლენა. იაპონიას, როგორც მთავარ რეგიონულ ძალას, შეუძლია შეაფასოს ცვალებადი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი და, შესაბამისად, მოარგოს თავისი საგარეო პოლიტიკა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს აქვს პოტენციური გავლენა იქონიოს რეგიონულ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე აღმოსავლეთ აზიაში.

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ გამოიწვია იაპონიის მხრიდან სიმბოლური სანქციები და ტოკიო კვლავ ესწრაფვოდა რუსეთთან ურთიერთობების შენარჩუნების პოლიტიკას. მიუხედავად ამისა, 2022 წელს დაწყებული ომის შედეგად, იაპონიამ გამოსატყობა აშკარა მკაფიო და ხისტი პოზიცია რუსეთთან მიმართებით.

ნათელია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად იაპონია აქტიურად ჩაება რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ძალისხმევებში, გადააფასა საკუთარი ეროვნული სტრატეგია, ჩინეთიდან მომდინარე საფრთხეები და გააძლიერა ალიანსები.

ჩვენი კვლევის მიზანია შეისწავლოს თუ რამ განაპირობა იაპონიის მსგავსი პოზიცია და რას აღიქვამს იგი უსაფრთხოების მთავარ გამომწვევად. შესაბამისად, ჩვენი საკვლევი კითხვაა: როგორ შეიცვალა იაპონიის რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების ხედვა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ?

იაპონია-რუსეთის ურთიერთობები ყირიმის ანექსიის შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ იაპონია თავს ვალდებულია თვლიდა დაენესებინა სანქციები და მიეღო მკაცრი პოზიცია, გეოპოლიტიკურმა დინამიკამ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აიძულა შერბილებული მიდგომა გაეტარებინა რუსეთთან. ამან კი გამოიწვია იაპონიის სიმბოლური სანქციები ყირიმის ანექსიის პასუხად.

ტოკიომ არ აღიარა ყირიმის დამოუკიდებლობა და დაგმო „სტატუს კვოს ძალის გამოყენებით შეცვლის მცდელობა“. მიუხედავად ამისა, იაპონიამ სანქციები შემოიღო მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ზენოლის შედეგად. იაპონიის სამიზნეების საჯარო სია შემოიფარგლებოდა უკრაინელი სეპარატისტებით ყირიმიდან.

იაპონიის სიმბოლური სანქციები ყირიმის ანექსიაზე ავლენდა იმდროინდელ ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს და გეოპოლიტიკურ დინამიკას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ რუსეთთან ტერიტორიულმა დავამ, ჩინეთის მზარდმა ეკონომიკურმა და სამხედრო ძალამ და ჩრდილოეთ კორეის კრიზისმა განაპირობა იაპონიის რბილი პასუხი რუსეთის მიმართ.

იაპონიის თავშეკავება სანქციების დაწესებაზე განპირობებული იყო რუსეთის შემდგომი საერთაშორისო იზოლაციის თავიდან აცილების სურვილით და ჩინეთ-რუსეთის ძლიერი ღერძის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. იაპონიის თვალთახედვიდან, რუსეთის ქმედებებმა შეიძლება გაათამამოს ჩინეთი, უფრო თავდაჯერებულად იმოქმედოს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სადავო სენკაკუს (დიაოიუ) კუნძულებზე. რუსეთისადმი იაპონიის სუსტი პასუხის მიუხედავად, უკრაინას უხვად გადაეცა ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარება. 2014 წლის მარტიდან იაპონიის დახმარებამ უკრაინაში შეადგინა \$1,86 მილიარდი, რაც იაპონიას უკრაინის ერთ-ერთ უმსხვილეს საერთაშორისო დონორად აქცევს (Shagina, 2018). აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინის კონფლიქტის გრძელვადიან ეფექტებს საერთაშორისო წესრიგზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ იაპონურ დებატებში.

იაპონიის მხარდაჭერა უკრაინისადმი

2022 წლის 16 მარტიდან იაპონიამ გააუქმა რუსეთის, როგორც „ყველაზე უპირატესი სავაჭრო ქვეყნის“ სტატუსი, შეაჩერა ვიზის გაცემა რუსეთთან. ვიზის გაცემა შეჩერდა, ასევე, დონეცკის სახალხო რესპუბლიკასთან და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის მქონე ცალკეული პირებისთვის (Mahoney, 2023). 2023 წლის 20 თებერვალს პრემიერმინისტრმა ფუმისო კიშიდამ გამოაცხადა 5,5 მილიარდი დოლარის ღირებულების ფინანსური პაკეტი. ტოკიომ უკრაინას მიაწოდა არა მხოლოდ ჯავშანი და ზამთრის აღჭურვილობა, არამედ სათვალთვალო დრონები და სხვა თავდაცვის ტექნიკა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც იაპონია ამ გზით დახმარებას უწევს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ქვეყანას (Brown, 2023).

იაპონიის პოზიცია რუსეთის მიმართ კურილიის კუნძულებზეც შეიცვალა. ყოფილი პრემიერმინისტრის შინზო აბეს დროს, იაპონია აქტიურად მუშაობდა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე, რათა შეთანხმება მიეღო კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით, მაგრამ აბეს ყოველი მცდელობა უშედეგო იყო. იაპონიის ამჟამინდელმა პრემიერმინისტრმა ფუმისო კიშიდამ პოლიტიკის გატარება დაიწყო აბეს კვალდაკვალ, რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების გაგრძელების სურვილით. ეს ყველაფერი კი უკრაინაში რუსეთის შესვლით რადიკალურად შეიცვალა. იაპონია დაუბრუნდა თავის ტრადიციულ მტკიცე პოზიციას კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით (Mahoney, 2023).

გასულ გაზაფხულზე საინფორმაციო სააგენტო Kyodo-ს გამოკითხვამ აჩვენა, რომ იაპონელების 86 პროცენტი იყო რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების მომხრე. 2022 წლის ოქტომბრისთვის, გამოკითხულთა მხოლოდ 5 პროცენტს ჰქონდა მეგობრული დამოკიდებულება რუსეთთან დაკავშირებით. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც 1978 წელს ამ საკითხზე გამოკითხვები დაიწყო (Kyodo news, 2022).

„აღმოსავლეთ აზია შეიძლება იყოს მომდევნო უკრაინა“

იაპონიის პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინა აზიის მომავალია („East Asia Could Be Next Ukraine“). იაპონელი უსაფრთხოების ექსპერტები აღიქვამენ რუსეთის შეჭრას უკრაინაში, როგორც საშუალება გამოიტანონ გაკვეთილი, იაპონიის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მომავალში. იაპონია რუსეთის აგრესიას უყურებს, როგორც ავტოკ-

რატიული სახელმწიფოს ქმედებას და აკეთებს დასკვნებს, თუ რა შეუძლიათ მის მეზობელ ავტოკრატიებს ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში.

სამხრეთ კურილის კუნძულებზე ტერიტორიული დავის მოსაგვარებლად, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2022 წლის ანგარიშში დასახელებულია ოთხი კუნძული, როგორც „რუსეთის მიერ არალეგალურად ოკუპირებული“.

იაპონიის საზრუნავი არ შემოიფარგლება მხოლოდ ინდო-წყნარი ოკეანის ზონით, რადგან ის ფართოდ არის შეშფოთებული მიმდინარე საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებით. სწორედ ამ კუთხით აკავშირებს რუსეთის შეჭრას უკრაინაში, ჩინეთის საქმიანობასა და აშშ-ჩინეთის მზარდ გეოსტრატეგიულ კონკურენციას შორის.

ტოკიო აქტიურია რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო ძალისხმევაში, რადგან ის ზრუნავს არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ის ინდო-წყნარ ოკეანეში, არამედ ექნება თუ არა მას რაიმე უარყოფითი გავლენა აშშ-ის ალიანსის ვალდებულებებზე, გაფართოებულ შეკავებაზე. ტოკიოს მკაცრი პასუხი რუსეთის შეჭრაზე უკრაინაში, ნაწილობრივ მაინც მომდინარეობს იმის შიშით, თუ რა დასკვნები შეიძლება გამოიტანოს იაპონიის ავტორიტარულმა და ანტიდასავლურმა მეზობელმა ჩინეთმა ომიდან.

ტოკიოს, შეეძლო გაეტარებინა „მოითმინე და ვნახოთ“ პოლიტიკა. კრემლი ირწმუნება, რომ ტოკიო უბრალოდ დაემორჩილა ვაშინგტონის ზენოლას და გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ვასალი იაპონიის ეროვნული ინტერესების ხარჯზე. ასეთი ბრალდებები რუსეთს საშუალებას აძლევს შეაფასოს, რამდენად გლობალურია საერთაშორისო კოალიცია მოსკოვის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს იაპონიის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის უნარი, ამ შემთხვევაში არ იყო საჭიროება ზენოლა ან იძულება. იაპონური საზოგადოება, რომელიც ჭეშმარიტად შეძრა უკრაინაში შეჭრამ, მხარი დაუჭირა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს. ეს მხარდაჭერა კი განსაკუთრებით გაღრმავდა ბუჩასა და უკრაინის სხვა ქალაქებში რუსი ჯარისკაცების სისასტიკის შესახებ ცნობების გავრცელების შემდეგ (Hornung, 2023).

აშშ-სთან ალიანსის გაძლიერება

იაპონიისა და აშშ-ის ალიანსი იაპონიის უსაფრთხოებისა და თავდაცვისთვის ყველაზე ფუნდამენტურ საფუძველად იქცა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ეს დიდწილად განაპირობა იმან, რომ აშშ ერთადერთი მოკავშირეა, რომელიც მზადაა დაიცვას იაპონია. ალიანსის მნიშვნელობა გაიზარდა, რადგან დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონში უსაფრთხოების მდგომარეობა გაუარესდება როგორც ჩინეთის მზარდი როლისა, ასევე რეგიონში რუსეთის ქმედებების მიმართ არსებული საფრთხეებისა და ჩრდილოეთ კორეის სარაკეტო და ბირთვული იარაღის განვითარების გამო (Tsuruoka, 2023).

იაპონიამ მოახერხა ალიანსის გაუმჯობესება და გაძლიერება გარდაცვლილი პრემიერ მინისტრის შინზო აბეს ძალისხმევით მაშინ, როცა აშშ-ის რამდენიმე მოკავშირე ევროპაში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, განიცდიდა დაძაბულობას ტრამპის ადმინისტრაციასთან. როგორც ვიცით, აშშ-სთვის ტოკიოს, როგორც ვაშინგტონის მოკავშირის, მნიშვნელობა გაიზარდა. აღნიშნულში დიდი როლი კი ითამაშა ამერიკის მზარდმა შემოფოთებამ პეკინის ქმედებებთან დაკავშირებით და ჩინეთის მიერ წარმოქმნილ გამონვევებთან გამკლავების საჭიროებამ (Tsuruoka, 2023).

2023 წლის 13 იანვარს იაპონიის პრემიერმინისტრ კიშიდას პირველმა ვიზიტმა ვაშინგტონში შეიძლება ითქვას, რომ დიდად შეცვალა აშშ-იაპონიის ალიანსი. ბაიდენ-კიშიდას სა-

მიტმა, სტრატეგიული თვალსაზრისით, ორივე მხარე უფრო დააახლოვა. კიშიდას ვაშინ-გტონში ჩასვლის უმთავრესი მიზანი გახლდათ ახსნა იმისა თუ როგორ აპირებს მისი ადმინისტრაცია აამოქმედოს ბევრად ამბიციური სტრატეგიული პოლიტიკა თავდაცვის, განვითარებისა და დიპლომატიის სფეროებში და ამგვარად იაპონიის მნიშვნელოვანი მოკავშირისგან, აშშ-სგან, მხარდაჭერის მოპოვება (Solís, 2023).

იაპონურ დიპლომატიას ფუნდამენტურად განაპირობებს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა და დასავლეთთან უსაფრთხოებასა და დიპლომატიაში პარტნიორობა (Figueroa, 2023).

ჩინეთიდან მომდინარე საფრთხე

ჩინეთის მზარდი გავლენა ტოკიოს აშინებს ტაივანზე ან სხვაგან კონფლიქტის გაღვივების ალბათობით; მაგალითად, მათ შორის არის იაპონიის მმართველობის ქვეშ მყოფი სენკაკუს კუნძულები (რომელსაც ჩინეთი უწოდებს დიაოიუ კუნძულებს), რომელზეც ჩინეთს აქვს პრეტენზიები. ამ ყველაფრის ფონზე იაპონიამ პრიორიტეტად მიიჩნია სამხედრო ხარჯები და გააძლიერა თავისი სამხედრო თანამშრომლობა სამხრეთ კორეასთან და სხვა რეგიონულ და საერთაშორისო პარტნიორებთან. ექსპერტები თვლიან, რომ ეს კავშირების გაძლიერება ეფუძნება იაპონიის შეფასებებს, რომ ომი ჩინეთთან შეიძლება უფრო ადრე მოხდეს, ვიდრე გვიან, და რომ შეერთებული შტატები შეიძლება არ იყოს სანდო პარტნიორი. კიშიდა, იაპონიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი (2012-2017) ხშირად ხაზს უსვამდა ჩინეთიდან მომავალ საფრთხეებს, ჩინეთის განზრახვებს და პირობა დადო, რომ დაინყებს რეალისტური დიპლომატიის ახალ ეპოქას. ის ხშირად ახსენებს უკრაინის ომს და იმეორებს, რომ „აღმოსავლეთ აზია ხვალინდელი უკრაინაა“. (Figueroa, 2023).

მას შემდეგ, რაც სიმ ხელი ჩამოართვა პუტინს იაპონიამ გამოაცხადა, რომ კიშიდა ინდოეთში ვიზიტის შემდეგ კიევში გაემგზავრებოდა. კიშიდა სთავაზობდა იაპონელებს, რომ უკრაინელებს დახმარებოდნენ. 2023 წლის თებერვალში კიშიდამ გამოაცხადა 5,5 მილიარდი დოლარის ფინანსური დახმარების პაკეტი უკრაინისთვის და რომ ვალდებულია უმასპინძლოს ონლაინსამიტს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან და რამდენიმე სხვა ლიდერთან (Figueroa, 2023).

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, კიშიდა „პირდაპირ გადმოსცემს ჩვენს სოლიდარობას და ურყევ მხარდაჭერას უკრაინის მიმართ“ და „გადაჭრით უარს იტყვის რუსეთის აგრესიაზე უკრაინის წინააღმდეგ“, რაც მკვეთრად განსხვავდება პეკინის უფრო ნეიტრალური პოზიციისგან. იაპონიას უდავოდ სურს ისარგებლოს ამ შესაძლებლობით, რათა მკვეთრი კონტრასტი გაავლოს ჩინურ და იაპონურ დიპლომატიას შორის და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო დიპლომატიაში აზიის როლის ზრდაში (Figueroa, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ოფიციალური პირები ფრთხილად მიესალმნენ საუდის არაბეთსა და ირანს შორის მშვიდობის გამოცხადებას, ტოკიო ნაკლებად სავარაუდოა, რომ კმაყოფილი იყოს ამ პროცესში ჩინეთის ხელმძღვანელობის. იაპონიას აქვს საკუთარი პოზიტიური დიპლომატიური და ეკონომიკური ჩართულობის ისტორია ირანთან და ახლახან დადო ძირითადი საინვესტიციო შეთანხმება საუდის არაბეთთან. უფრო ფართოდ, იაპონია ბოლო წლებში უფრო დიდ ინტერესს იჩენს ახლო აღმოსავლეთის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე რეკორდულ მაჩვენებლამდეა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ იაპონია ცდილობდა შუამავლობას საუდის არაბეთსა და თავად ირანს შორის, ის ცდილობდა შუა-

მავლობას ირანსა და აშშ-ს შორის. წარსულში არსებული ურთიერთობები და ჩინეთის წარმატებები რეგიონში, სავარაუდოდ, იაპონიასა და აშშ-ს უჩენს შეგრძნებას, რომ ისინი აქტიურად არ მოქმედებენ და დამკვირვებლების როლში უფრო აღმოჩნდნენ (Figueroa, 2023).

ჩინეთისა და იაპონიის დიპლომატიურ ძალისხმევას მრავალი დაბრკოლება აქვს. ახლო აღმოსავლეთის მთავარ დიპლომატიურ საკითხებში იაპონიისა თუ ჩინეთის მიერ შუამავლობის წინა მცდელობები ჩავარდა და არ არსებობს გარანტია, რომ ირან-საუდის არაბეთის შეთანხმება წარმატებით განხორციელდება. აშშ უარყოფს ჩინეთის შუამავლობას, უწოდებს „არარაციონალურს“ და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი მოლაპარაკება ამ დროს არის რუსეთის შეჩერების ტაქტიკა, რომელიც შექმნილია ტერიტორიული მიღწევების კონსოლიდაციისთვის (Figueroa, 2023).

ტოკიოს გადმოსახედიდან პუტინსა და სი ძინპინგს ბევრი საერთო აქვთ. ორივე ლიდერი ბოლო წლებში გახდა უფრო ავტორიტარული და ანტიდასავლური და ორივე უკვე მრავალი წელია სახელმწიფოს მეთაურად მსახურობს და პოტენციურად დაკარგეს ძალაუფლება რეალობაზე: ყველა ფაქტორი, რომელიც ზრდის სერიოზული არასწორი გაანგარიშების რისკს (Brown, 2023).

ამგვარად, ტოკიოს მკაცრი პასუხი რუსეთის შეჭრაზე უკრაინაში, ნაწილობრივ მაინც მომდინარეობს იმის შიშით, თუ რა დასკვნები შეიძლება გამოიტანოს იაპონიის ავტორიტარულმა და ანტიდასავლურმა მეზობელმა ჩინეთმა ომიდან (Brown, 2023).

საკუთარი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოზიციის გაძლიერება

იაპონია აძლიერებს საკუთარ უსაფრთხოებისა და თავდაცვის მდგომარეობას, მაგალითად: იაპონიის თავდაცვის ძალების (JSDF) შესაძლებლობების გაზრდა და შიდა სამართლებრივ ჩარჩოებზე მუშაობა. აბემ 2015 წელს შეძლო მშვიდობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობის მიღება, მიუხედავად დიდი საშინაო წინააღმდეგობისა და დაპირისპირებისა. ამ კანონმდებლობის მიღებამ გზა გაუხსნა აშშ-სთან უფრო მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას, რაც ტრამპის პერიოდში ალიანსის გაძლიერების შესანიშნავი საფუძველი აღმოჩნდა. რაც შეეხება იაპონიის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებას, მთავარი ცვლილება მოსალოდნელია 2022 წლის დეკემბრის სამი ძირითადი დოკუმენტის შედეგად, კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ეროვნული თავდაცვის სტრატეგია და თავდაცვის პროგრამა (Tsuruoka, 2023).

კიშიდას მთავრობამ აიღო ვალდებულება გაზარდოს ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-მდე 2027 წლისთვის – რაც წარმოადგენს ზრდის უპრეცედენტო მასშტაბს, რადგან იაპონიის თავდაცვის ბიუჯეტის დონე დიდი ხანია რჩება მშპ-ს 1%-ზე. როგორც ვიცით, იგეგმება თავდაცვის ძირითადი ხარჯების 50%-ით გაფართოება მომდევნო 5 წელში (Solís, 2023).

იაპონია უახლოეს წლებში აპირებს შექმნას „კონტრშეტევის შესაძლებლობა“. ასევე, იგეგმება საჰაერო თავდაცვის ძალების სახელის გადარქმევა საჰაერო და კოსმოსურ თავდაცვის ძალებად, რაც ასახავს კოსმოსური სივრცის მზარდ მნიშვნელობას. ასევე საუბრობენ, რომ დაინერგოს „აქტიური კიბერთავდაცვა“ და შეიქმნას JSDF-ის მუდმივი ერთობლივი შტაბი (Tsuruoka, 2023).

იაპონიის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახლავთ კონტრშეტევის შესაძლებლობის განვითარების გეგმა, რომელიც პირველად ომის შემდგომ ეპოქაში აძლევს უფლებამოსილებას თავდაცვის ძალებს უპასუხონ თავდასხმას მტრის ტერიტორიაზე ღრმად შეჭრით. თუმცა ძალის გამოყენებაზე არსებობს ბარიერი –

იაპონიის გადარჩენა უნდა იყოს სასწორზე, ასევე, არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი რეაგირების სხვა საშუალება და მხოლოდ ძალის მინიმალური გამოყენება შეიძლება (Solís, 2023).

ეს არის იაპონიის ყველაზე დიდი შემობრუნება ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისა პოლიტიკის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საზოგადოების მხარდაჭერის დონე ამ ცვლილების მიმართ მაღალია. მათ შორის მხარს უჭერენ მშპ-ს 2%-ის თავდაცვაზე და კონტრშეტევის შესაძლებლობის მოპოვებაზე დახარჯვაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაფინანსების საკითხი საკამათო რჩება მმართველი პარტიის პოლიტიკოსებს შორისაც კი. „მოკლედ, იაპონიამ გაიღვიძა“ (Tsuruoka, 2023).

მსგავს სახელმწიფოებთან სტრატეგიული კავშირების დამყარება

ბოლო ათწლეულში ტოკიო მიმართავს სხვა თანამოაზრე პარტნიორებს უფრო ძლიერი სტრატეგიული კავშირების დასამყარებლად, მაგალითად: ავსტრალია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო და ინდოეთი. ასევე, არსებითად განვითარდა ურთიერთობები ნატოსთან და ევროკავშირთან (Tsuruoka, 2023).

ტოკიო ცდილობს, რომ დივერსიფიკაცია გაუწიოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კავშირებს. თუმცა ეს მცდელობა არ ნიშნავს, რომ იაპონია აშშ-ს შორდება. რეგიონული უსაფრთხოების ვითარების ფონზე, პირიქით, აშშ-სთან ალიანსის მნიშვნელობა გაიზრდება. იაპონია გეგმავს ინდო-წყნარი ოკეანესა და ევროპელ მოკავშირეებს შორის „ხიდის“ გადებას, რაც ასახავს ორ რეგიონს შორის მზარდ კავშირს.

იაპონიის თანამშრომლობა მსგავს სახელმწიფოებთან, ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ გლობალური საბრძოლო საჭიერო პროგრამის (GCAP) გამოცხადება იაპონიას, იტალიასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის. ეს არის ერთობლივი პროგრამა მომავალი თაობის მოიერიშე თვითმფრინავების შესაქმნელად (Tsuruoka, 2023).

აშშ-ის მოკავშირეების სხვადასხვა რეგიონში მჭიდროდ მუშაობა მის ინტერესებში შედის. აშშ-ინდო-წყნარი ოკეანის 2022 წლის თებერვლის სტრატეგიაში ნათქვამია, რომ „ჩვენ ავაშენებთ ხიდებს ინდო-წყნარი ოკეანისა და ევროატლანტიკურ ქვეყნებს შორის“. ტოკიოსა და კანბერას თვალსაზრისით, მათი ძალისხმევის დახმარებით აშშ-ს ეძლევა საშუალება, რომ მტკიცედ დარჩეს რეგიონში. ამას კი უზრუნველყოფს აშშ-ის ტვირთის შემცირება და მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა (Tsuruoka, 2023).

დასკვნა

როგორც დავინახეთ, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად იაპონიამ შეცვალა საკუთარი რეგიონული უსაფრთხოების ხედვა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. შეიძლება ითქვას, რომ იაპონიას აშინებს ჩინეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის ქმედებები რეგიონში. ამიტომაც „იაპონიამ გამოიღვიძა“ და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამი პოლიტიკა შეიმუშავა: აშშ-სთან ალიანსის გაძლიერება; საკუთარი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოზიციის გაძლიერება; მსგავს სახელმწიფოებთან სტრატეგიული კავშირების დამყარება. მოსალოდნელია, რომ იაპონიის როლი და მნიშვნელობა რეგიონში კიდევ უფრო გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. suruoka, M.(2023) *Tokyo's awakening: Japan in the Indo-Pacific after Russia's invasion of Ukraine*, Danish Institute for International Studies.

2. Figueroa, W. (2023) *China in Russia, Japan in Ukraine: Asian Powers Enter International Diplomacy*, The Diplomat , available at: <https://thediplomat.com/2023/03/china-in-russia-japan-in-ukraine-asian-powers-enter-international-diplomacy/>
3. Solís, M. (2023) *As Kishida meets Biden, what is the state of the US-Japan alliance?* Brookings, available at: <https://www.brookings.edu/articles/as-kishida-meets-biden-what-is-the-state-of-the-us-japan-alliance/>
4. Brown, J. (2023) *The China Factor: Explaining Japan's Stance on Russia's Invasion of Ukraine*, Capernegie Endowment for International Peace, available at: <https://carnegieendowment.org/politika/89156>
5. Mahoney, M (2022) *Japan's decisiveness toward Russia and Ukraine*, available at: <https://www.eastasiaforum.org/2022/05/27/japans-decisiveness-toward-russia-and-ukraine/>
6. Shagina, M (2018) *How to Make Sense of Japan's Delicate Balance Between Russia and Ukraine*, available at: <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/how-to-make-sense-of-japan-s-delicate-balance-between-russia-and-ukraine/>
7. Kyodo news (2023) *86% back Japan's sanctions on Russia over invasion in Ukraine: poll*, available at: <https://english.kyodonews.net/news/2022/03/65dff5d6bb6c-breaking-news-support-rate-for-japan-cabinet-rises-to-601-kyodo-poll.html>
8. Hornung, J (2022) *Ukraine War: The Impact on Japan-Russia Relations* available at: <https://thediplomat.com/2022/05/ukraine-war-the-impact-on-japan-russia-relations/>

ალექსანდრე ხეცურიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფ. მაია ბარნაველი

გამზრდელ-გაზრდილის მნიშვნელობისათვის შოთა რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება სიტყვები: გამზრდელი, გაზრდილი, განაზარდი, დაზრდილი, ნაზარდობა... ზოგადად, სიტყვის, 'გაზრდა', აზრობრივი მნიშვნელობა არაერთგვაროვანია. ის ყოველთვის უშუალოდ 'აღზრდას' ან 'გაზრდას' არ ნიშნავს. ზოგჯერ იგი განიმარტება როგორც 'ამაგი', 'ნაამაგარი', წრთვა (წრთვასა არ მოინყინებდა [თინათინი]), დახმარების განევა, წვლილი ამა თუ იმ ადამიანის მიმართ, ზრუნვა. „ღმერთი ზრდის ყოველსა დაბადებულსა“ (1, IV, 409, 31).

ძველ ქართულში ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობით გვხვდება: ზრდა – ნიშნავს გამოკვებას, მას ყორანნი ზრდიდეს – ნიშნავს, რომ ყორანი აწვდიდა საკვებს ელიას. აქედანაა „საზრდელი“ – იგივე „საკვები“. გამზრდელი/განმზრდელი: განმზრდელნი არიან ღმერთნი ... ქუეყანით ნაყოფთა განმზრდელნი (1, ტ. I, 132, 30 ა) სიტყვა ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაში ... გამზრდელი მისი და სხუანი მორწმუნენი ნამოიყვანნა (1, ტ. III, 18, 25). მეორე მაგალითი უკვე გვიანი ხანისაა... ძველ ნათარგმნ ძეგლებში გამოკვებას, საზრდოს მიცემას ნიშნავს გაზრდა: მზრდის მე უფალი ამის ადგილისაჲ (1, ტ. II 23, 1): „ზრდამ“ უფრო გვიან პერიოდში მიიღო აღზრდის: 'ზრდიდა მას ...ფუფუნებითა (1, ტ. IV 332, 2), „მშობელნი ამისნი ზრდიდეს სწავლითა“ (1, ტ. IV 368, 11); ასევე გაზრდის მნიშვნელობაც, როგორც თანამედროვე ქართულშია: „იზარდებოდა სულიერითაცა ჰასაკითა“ (1, ტ. II 112, 11).

ამ მოსაზრების განსახილველად მოვიყვანთ ყველა იმ ტაეპს, სადაც ეს სიტყვები გვხვდება: გამზრდელი, გაზრდილი, ზრდილი, ნაზარდობა)

- [თინათინმა] „მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი, (2, 52, 1)
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი, ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
მოართვეს. გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.“

აქ თინათინის გამზრდელია ისეთი მეფის კარზე ტიტულის მქონე პირი, რომელიც მის აღმზრდელად იხენიება და თან უფლებაც აქვს და ევალება კიდევ „დაბეჭდოს“ (დაცულად შეინახოს), ანუ ბეჭედი დაადოს, უფლისწულის, ამ შემთხვევაში, თინათინის, საჭურჭლეს.

- „მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაკოცნა ვითა შვილი.
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი! (2, 146, 2).
ყმა აღგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი;
როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი“.

აქ საუბარია როსტევეანის და ავთანდილის შესახებ, რომლებიც გამზრდელ-გაზრდილად იწოდება, თუმცა, როგორც რუსთაველი გვეუბნება, მათი ურთიერთობა აღემატება ყველა

სხვა გამზრდელ-გაზრდილისას. სხვაგან ამბობს კიდევ როსტევანი, რომ ავთანდილი წაავს მას „ცოტასა შემწევს ავთანდილ **ჩემგანვე ნაზარდობითა**“ (2, 63, 4), ანუ აქაც გამზრდელის როლშია მეფე, თუმცა დღევანდელი გაგებით კი არა, ეს უფრო ნიშნავს, რომ მეფე ასწავლიდა, უზიარებდა ავთანდილს საომარ საქმეებს, წვრთნიდა ავთანდილს, – არაბეთის ამირსპასალარის ძეს – ამაგი აქვს ავთანდილზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავთანდილიც „წვრთასა არ მოიწყინებდა“ როსტევან მეფისგან... (ცხადია, საომარ საქმეებს თავად ამირსპასალარიც შეასწავლიდა თავის ძეს) ავთანდილი თავს ასე წარუდგენს (აცნობს თავს, ეცნობა) ფრიდონს:

„მე ვერ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით,
დიდი სპასპეტი, სახელად მიხმოზენ ავთანდილობით,
ძე დიდებულთა დიდ-გვართა, **ზრდილი** მეფეთა შვილობით...“ (2, 992).

ავთანდილი ნესტანის წერილს გადასცემს ასმათს, ნესტანი მოიხსენიება ასმათის გაზრდილად: „ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა მისისა **ზრდილისა..**“ (2, 1359, 1).

ტარიელიც იხსენებს თავის შეხვედრას როსტევანთან და ავთანდილთან და როსტევანს მოიხსენიებს, როგორც ავთანდილის გამზრდელს: „ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე **გამზრდელი**“... (2, 292,3), თუმცა ავთანდილს იქამდე არ უთქვამს როსტევანზე, რომ მისი გამზრდელია. ის უყვება ტარიელს, რომ როსტევანი მისი „პატრონია“: „მე პატრონისა ჩემისა ასული შემეყვარებია“, და ამბობს, რომ ეს „პატრონი“ მეფეა, ხელმწიფე. ერთგან ტარიელი უთვლის ფრიდონის პირით ავთანდილს, რომ როსტევანთან შეხვედრა აქვს გადანყვეტილი და როსტევანს მის „გამზრდელად“ მოიხსენიებს:

„მიდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყვა ჩემგან არ-ნათნები:
მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები“ (2, 1481,1-2).

ხშირად მოიხსენიებს ტარიელი ინდოეთის მეფეს, როგორც გამზრდელს: „მეგება ჩემი გამზრდელი“ (2, 465, 2); ფარსადან მეფეც თავს ასახელებს და მიიჩნევს ტარიელის გამზრდელად და მას ასე საყვედურობს: „მე, ბერსა **შენსა გამზრდელსა**, სიცოცხლე მაარმებინე, დღედ სიკდილამდის შენიცა თავი არ მახლებინე“ (562,3) ...

ავთანდილი ასე ახასიათებს თავის გამზრდელ მეფეს: „პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მონყალე, ცა, წყალობისა მთოველი, მას ვუორგულე, წამოვე, მართ დავივინყე ყოველი, მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა აღარას მოველი“. ასეთ რანგში ჰყავს აყვანილი მონყალე მეფე-გამზრდელის მიმართ შეცოდება. სხვაგან, ასევე, ავთანდილი ამბობს: „ისია ჩემი გამზრდელი და თქვენდა მოგებებულა“ (2, 1511,1);

ავთანდილი ასმათსაც მოიხსენიებს, როგორც ნესტან-დარეჯანის გამზრდელს (გამზრდელ-გაზრდილს): „თქვენი შემყრელი მსახური... მისი **გამზრდელი, გაზრდილი**, მისთვის მიხდილი ცნობასა“ (2, 899,3);

ავთანდილი ეუბნება ტარიელს: „გამზრდელსა ჩემსა ვით ვჰკადრო მე საქმე სამუხთალია“ (2, 1485. 2);

ვითა **გამზრდელსა** ჰმართებდა, **გაზრდილი** აგრე ხელია (2,1623, 1);

იგულისხმება ტარიელი და მისი ქვეშევრდომები, ინდოელები, ვეზირები, რომლებიც შეეგებნენ დაბრუნებულ ტარიელს, როგორც „ძმანი და შვილნია“ (2, 1624,4), ანუ გამზრდელ-გაზრდილის ურთიერთობა შედარებულია ძმების, შვილების ურთიერთობასთან. ასმათს ეუბნება ტარიელი, ინდოეთის მეფე: „რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია არ **გამზრდელსა, არცა ზრდილსა..**“ (2, 1649, 2), იგულისხმება ასმათი და ნესტან დარეჯანი.

ავთანდილი ასე მიმართავს როსტევეან მეფეს ანდერძის ბოლოს: „აჰა, **გამზრდელო**, მოგშორდი, ნავე გულითა ხელითა!“ (2, 807, 2)/

ტარიელ მოთქვამს: **გამზრდელო...** (2, 1593, 1) აქ „გამზრდელოში“ იგულისხმება ფარსადანი, ინდოეთის მეფე.

ფატმანი გამზრდელ-გაზრდილებს ასეთ კონტექსტში იხსენიებს:

„მოთქვამს: მოვკალ, ჰაი, ქმარი, ამოვწყვიდენ ნვრილნი შვილნი,
იავარ-ვყავ საქონელი, უსახონი თვალნი თლილნი,
გავეყარე საყვარელთა, ვა **გამზრდელნი**, ვა **გაზრდილნი!**
ბოლოდ ვექმენ სახლსა ჩემსა, სიტყვანია ჩემნი ნბილნი“.

ანუ თავისი სახლობის ამოწყვეტაზე საუბრობს და ჩამოთვლილია, ვის და რას გულისხმობს ამ სახლობაში. აქაც გამზრდელოში ფატმანი გულისხმობს მასზე მოამაგე ადამიანებს და გაზრდილში იგულისხმება, ვისზედაც ფატმანს აქვს ამაგი, წყალობა...

ფრიდონი ჰყვება:

„ჩემსა სიმცროსა **გამზრდელნი** სამუშაოთოდ მზრდიდიან,
მასწავლენს მათნი საქმენი, მახლტუნებდიან, მწვრთიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმანვილნი, იგიცა ინატრიდიან“ (2, 1394).

ფაქტია, აქ დედ-მამაზე არ არის საუბარი, რადგან მუშაითები არ იყვნენ ფრიდონის მშობლები. მუშაითობას ასწავლიდნენ გამზრდელები. აქ მართლაც გამზრდელის კონტექსტი იგულისხმება (როგორც, ვთქვათ, ლეონს მიაბარა ჯუმბერი მეფემ (სულხან-საბა)).

თუ როგორი უზენაესია ვეფხისტყაოსნის გმირებისთვის გამზრდელ-გაზრდილის ურთიერთობა, დამოკიდებულება და სიყვარული, ჩანს ამ სტროფშიც, როცა ტარიელი ჰყვება ფრიდონთან დამშვიდობების სცენას:

„ფრიდონ გამომყვა, ნავედით, ორთავე ცრემლნი ვღვარენით,
მუნ ერთმანერთსა ვაკოცეთ, ზახილით გავიყარენით.
სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად, არ ენით.
გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარენით“ (2, 648).

ავთანდილის მონა შერმადინი ასეა დახასიათებული: ესეა მონა შერმადინ, ..თანა შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავ-დადებული, რომელსაც ტოვებს, რომ ავთანდილის მაგივრობა გასწიოს მის სახლში, უპატრონოს მის სახლეულებს, რომლებსაც ასე მიმართავს ავთანდილი, როცა მიდის პირველად „უცხო მოყმის“ საქებნელად:

„დანერა თუ: ჩემნო ყმანო, **გამზრდელო** და ზოგნო **ზრდილო** (2, 165,1),
ერთგულნო და მისანდონო, ამას ზედა გამოცდილო...
...გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,
მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულენელი.
მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს, ..
თქვენცა იცით, **გამიზრდია, ვითა ძმა და ვითა შვილი** (2,168,2).
ამას ასრე ჰმორჩილობდით, არს ვითამცა ავთანდილი..“

მართლაც „იგი მონა აპატრონეს, ყველაკამან თაყვანის-სცა“.

ალბათ ამ „დაზრდილებს“ გულისხმობს ავთანდილი თავის ანდერძში როსტევეან მეფისადმი:

„თუ სანუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან (2, 802,1),

ლარიბი მოკვდევ ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ **ღაზრდილთა** და ვერცა მისანდობელმან,-
მუნ შემინყალოს თქვენმავე გულმან მონყალე-მლმობელმან“.

ავთანდილისა და თინათინის საუბრის შესახებ წერს რუსთველი:
„ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
მზესა ასრე ეუბნების, ვით **ღაზრდილსა** ამო **მზრდელი:..**“ (2, 710, 2).

ზოგადად, გაზრდას-აღზრდას დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოემაში. ტარიელი ყვება:
„მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ **მზრდიდეს** სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად...“ (2, 319, 1-3);
„...თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე **მზრდიდა** ვითა შვილსა;“... (2, 332,1);
„ღარბაზსა შევედით ჩემთა **მზრდელთასა**“ (2, 479, 3) – იგულისხმება მეფე-დედოფალი;

ტარიელი სთხოვს როსტევეანს, რომ ავთანდილს შერთოს თინათინი:
„ადგა, მუხლნი მოუყარნა, ეაჯების ვითა **მზრდელსა**“ (2, 1523, 3);

სარიდანის „განაზარდი“ ხატაელი ეუბნება ტარიელს:

„მე მამისა თქვენისაგან ვარ ცოტაი **განაზარდი**“ იგულისხმება, რომ ტარიელის მამას
ამაგი აქვს ამ ხატაელზე, ეს ხატაელი დავალებულია მისგან....

ნადირობის დროს ავთანდილის გამარჯვებით გახარებული როსტევეანის ემოციას ასე
აგვიწერს პოეტი: „უხარის ესე სიკეთე მისისა **განაზარდისა**“ (2, 82, 2).

ცხადია, შოთა რუსთველის პოემაში ეს სიტყვა არ იყო შემოფარგლული ერთი მნიშვნე-
ლობით, მას აქვს მოამაგის, ამაგდარის, გამზრდელის, აღმზრდელის, ზოგჯერ მეგობრის,
ახლობლის მნიშვნელობა. ახალ ქართულში ეს ლექსემა – სიტყვა ნიშნავს მართლაც აღ-
მზრდელს, გამზრდელს...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, რედ. ილია აბულაძე, საქარ-
თველოს მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, გა-
მომც. „მეცნიერება“, ტ. I, 1963; ტ. II, 1967; ტ. III, 1971; ტ. IV, 1968.
2. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 1992.
3. ვეფხისტყაოსნის სიმფონია-ლექსიკონი, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, თბი-
ლისი, თსუ, 1956.
4. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ
სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით, I, 2005, ტ. II, 2007, ტ. III, 2014, ტ. IV, 2020;
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედების მხატვრულ-სტილური დახასიათებისთვის

მნიგნობრობისა და ლიტერატურული ტრადიციის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში რთულმა, წინააღმდეგობებითა და მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური გარდატეხებით სავსე მეოცე საუკუნემ თავისი დიდი წვლილი შეიტანა; შვა ყოვლად გამორჩეული, განსხვავებული და მრავალფეროვანი ქართული მწერლობა: მწერლები, პოეტები ცალ-ცალკე თუ ლიტერატურულ დაჯგუფებებად, თავიანთი ინდივიდუალური სტილით, სათქმელით, გამოხატვის ფორმით, მხატვრული საშუალებებითა და შინაარსის მრავალფეროვნებით.

უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში პოლიტიკური მრწამსით სოციალ-დემოკრატი ქოლა ლომთათიძე წარმოდგენილია, როგორც საინტერესო ფიგურა და ეს ინტერესი, პირველ რიგში, გამომწვეულია იმით, რომ მის შემოქმედებაში თავს იჩენს გამოსახვის სრულიად ორიგინალური, აქამდე უცნობი მხატვრული მეთოდი, რომელიც ევროპაში 1915 წლის შემდეგ დამკვიდრდა, როგორც „ცნობიერების ნაკადი“. მაშინ, როცა ჩვენი ავტორი გარდაცვლილი იყო.

ცხოვრებაში რევოლუციონერ კაცს, აქტიურ პოლიტიკურ და პარტიულ მოღვაწეს, მწერლობაში ლირიზმითა და პოეტურობით გამორჩეულ ავტორს ქოლა ლომთათიძეს, გამოხატვის ფორმებთან ერთად პროზაში შემოაქვს ახალი თემები. მისი მოთხრობები მეტწილად ავტობიოგრაფიულია და მოქმედი გმირი უმეტესად პატიმარია. პატიმარი პირდაპირი მნიშვნელობით, ციხეში მყოფი ადამიანი ან ამ სოციალური უსამართლობის ტყვეობაში მყოფი პიროვნება – დაჩაგრული, უუფლებო და სოციალური გარემოს მიმართ იროონით აღვსილი, ზოგჯერ ნიჰილიზმმყრილიც: „**დღეს არაფერს დავნერ ბატონ ექიმზე, ხვალ გავუჩუმდები საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ფულს უგალობს ჰიმნს, ზეგ იუდა ისკარიოტელს ვეტყვი „რჩის“, დავლევ იმის სადღეგრძელოს და შიგ შუა ტუჩებში ვაკოცებ. მეც თქვენსავით მოვიქცევი, მეც თქვენსავით ვივლი და აღარ მომაქცევენ ყურადღებას? დიახ, ასე მოვიქცევი“** („აღსარება“).

ლომთათიძის შემოქმედების ცენტრში დგას ადამიანი, ღრმა შინაგანი ემოციებითა და განცდებით; ხოლო ის, რისი საშუალებითაც სათქმელი მკითხველამდე შთამბეჭდავად მიიქვს, პირველ რიგში, არის პოეტური თხრობა, პროზის ლირიზმი, მხატვრული სახეების სიუხვე და ექსპრესიულობა, თხრობის სტატიკურობა; არ გამოირჩევა სიუჟეტის მრავალფეროვნებებით, მოქმედებები მინიმუმამდეა დაყვანილი; დრო, რომელშიც მოქმედება ხდება, თითქოს გაჩერებულია იმ კონკრეტულ მომენტში.

მწერალი პერსონაჟებს ახასიათებს და აღწერს არა პირდაპირ, არამედ გადმოცემს მის გულსა და გონებაში მიმდინარე პროცესებს. აშიშვლებს ადამიანის განცდებს, ემოციებს; ახდენს კონკრეტული მოცემულობის, გადაწყვეტილებისა თუ განაჩენის წინ მდგომი ადამიანის თვისებების საქციელით ლუსტრაციას. თხრობა, მეტწილად, მონოლოგურია და ღრმა ფსიქოლოგიზმებით სავსე. მარტო მყოფი ადამიანის შინაგან სამყაროში მომხდარი ფსიქო-

ლოგიური ძვრების ეფექტურად წარმოსაჩენად და საჩვენებლად მოიშველიებს ბუნების სურათების აღწერას ისე, როგორც რომანტიზმისთვის არის დამახასიათებელი – ბუნება აუცილებლად ასახავს და შეესაბამება ლირიკული გმირის განწყობას, ემოციებს, განცდებს. მიუხედავად იმისა, რომ მეტწილად მისი გმირები საპყრობილეში მყოფი პირები არიან, ერთი შეხედვით, გარე სამყაროსა და ყოველგვარ ბუნებრივ პროცესებს მონყვეტილი, მაგრამ პირიქით, მიუხედავად გამოკეტილობისა, განცდა გაქვს მუდმივად ახლოს არიან ბუნების მოვლენებთან: „დამიგდეთ ყური – ახლა მე ტუსალი ვარ. მაგრამ ვიცი, რომ გაზაფხული დადგა. და მელანდებიან მე გაზაფხულის სურათები და მათ შორის ერთი ასეთი“ („თეთრი ღამე“). წელიწადის ამ დროს ყველაზე რთულია ადამიანისთვის საკანში ყოფნა, მით უფრო, როცა ასე მძაფრად და ძირფესვიანად აღიქვამს გარშემო მოვლენებს. გაზაფხული პატიმრისთვის ერთგვარად თავისუფლებასთანაც არის დაკავშირებული.

ყველაფერი, რაც ლომთათიძის გმირებს ანუხებს ლოგიკური, ბუნებრივი და ადეკვატურია პატიმრობაში მყოფისთვის. უპირველესად კი ეს მარტოობის განცდაა, რომელსაც ფილოსოფიურ ახსნას უძებნის: „თქვენ იცით თუ არა, რატომ ვერ თავსდებათ სატუსალოებში, ერთ საკანში საუკეთესო მეგობრებიც კი? რატომ იბრძვიან და ჭირვით ერთმანეთს იძულებენ?.. მე ვიცი! მე ვიცი! იმიტომ ხდება ეს, რომ ისინი ერთი-მეორის მარტოობას უშლიან ხელს, მარტოობას უფრთხობენ ერთმანეთს!.. მარტო, სულ მარტო! და მხოლოდ ჩემი სევდა ჩემთან, სხვა არავინ, მხოლოდ ჩემი სევდა!“ („თეთრი ღამე“).

ოთხ კედელში გამომწყვდეული, უიმედო და სასონარკვეთილი ადამიანის ფიქრი მძიმეა, მაგრამ მისი პერსონაჟები ამ საყოველთაოდ გამეფებულ უსასობაშიც ახერხებენ მოძებნონ და იპოვონ ის, რაც გაახარებთ, რაც მათ ყოფას ნუთიერად შეამსუბუქებს, ამაში მათ ეხმარება რომანტიკული ხასიათი და რწმენა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს მცირედიც შვებას და სიხარულს ჰგვრის, უბრალო და შეუმჩნეველი საგნები თუ მოვლენები გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს თავისუფლება აღკვეთილის თვალში, ვიდრე ჩვეულებრივ მდგომარეობაში ყოფნისას. ამის მაგალითია მოთხრობაში „თეთრი ღამე“ ერთი თითქოს უმნიშვნელო დეტალი, კამფეტების გაგზავნა პატიმრისთვის: „კამფეტები – ეს ჩემთვის საბუთი იყო იმისა, რომ გარეთ ცოცხალი ადამიანები არსებობენ, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც მე ვახსოვარ. ამიტომ ამ კამფეტების შეჭმა არ შეიძლებოდა“.

ჭოლა ლომთათიძე პერსონაჟის ფიზიკური მახასიათებლების ან პიროვნული თვისებების ჩამოთვლას არ ახდენს, ტრადიციული აღწერის მეთოდს არ იყენებს. სამაგიეროდ, პერსონაჟის ქცევა წარმოდგენილია ისე, რომ ის მკითხველის თვალში კარგად იმიფრება, ეს კი ხდება ირონიითა და კონტრასტული სახეების მოშველიებით, მაგალითისთვის შესაძლებელია გავიხსენოთ მოთხრობიდან „თეთრი ღამე“: „ვასომ მე გამომიგზავნა ადგილობრივი მუშათა გაზეთის ნომერი. იქ არის სტატია იმ ყმანვილის, რომელმაც ვასო გაქურდა. ის სწერს, რომ აღდგომა მოახლოვდა, რომ ჩვენში ჩვეულებაა – ბატკნებს ჰკლავენ სააღდგომოდ და სასურველია პანია ბავშვებს არ აცქერინონ ამ სურათზე, რათა იმათ გული არ გაუქვავდეს, სისხლს არ შეეჩვიონო. აი, რა ლბილი, რა კეთილი კაცია ჩვენი კ., რომელმაც ვასოს ცოლთან ერთად ვასო გაქურდა“. ასევე, როგორ საუბრობს რწმენის, რელიგიის, ქრისტეს სახელით სისტემის მთავარი მბრალმდებელი და ითხოვს – „ესენი სამაგალითოდ უნდა დასჯილ იქნან! – წამოიძახა პროკურორმა და ჩვენკენ ხელი მოაშვირა, – მაგათ ფეხ-ქვეშ გათელეს ერის წმინდათა-წმინდა, მისი რწმენა, ჭირსა და ლხინში მისი იმედი, მისი რელიგია შეურაცხვეს ამათ“ („სახრჩობელას წინაშე“). ან კიდევ: „სული წმინდის მოფენა! სამების დღესასწაული! და კეთილზე უკეთილესმა სატუსალოს ადმინისტრაციამ ღირსეულად აღნიშნა ეს მხიარული, უთვალავი ღიმილით მოღიმარი

ბრწყინვალე გაზაფხულის დღესასწაული... ღამით სამი კაცი, სამი დამნაშავე დაახრჩვეს, დღეს კი მთელი სატუსალო, – კანცელარია, ჩვენი საკნის ფანჯრები, ჭიშკრები, ყველაფერი მწვანით არის მორთული“ („თეთრი ღამე“).

იმავე იროონითა და კონტრასტული სახეებით ამხელს ადამიანთა მოჩვენებით, ფარი-სევლურ ბუნებას, სიტყვისა და საქმის შუსაბამობას. ამის მაგალითია მოთხრობაში „დავითი“ ქრისტიანობის დღესასწაულის ამალგებულებაზე, განსაკუთრებულებაზე მაღალფარდოვნებით ლიტონი სიტყვებით მოსაუბრე სკოლის დირექტორი, რომელიც, მეორე მხრივ, ყოვლად უგულო და არაჰუმანურ დამოკიდებულებას იჩენს, როდესაც ორი მუშა საუბარს აწყვეტინებს და ტრაგიკულ ამბავს ამცნობს:

- **„ბატონო, ბალის მცველი გაყინული ვნახეთ, მკვდარია სანყალი!**
- **ჰო, და წაიღეთ, დადეთ სადმე! შემდეგ დამარხვა უნდა!**
- **სად წავიღოთ?**
- **ჯანდაბას... დაიღრიალა დირექტორმა“.**

მოთხრობას ლოგიკურად ეპიგრაფად უძღვის სახარებისეული შეგონება **„სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“**. ზოგადად, ლომთათიძის პროზაში ხშირად გვხვდება სახარებისეული შეგონებები ჩანართების ან ეპიგრაფების სახით; და საერთოდაც, რომ არა მტკიცე რწმენა, ქრისტიანული სული, საიდან გაჩნდებოდა ყოვლად სასონარკვეთილი ადამიანის გულსა და სულში მომხდარი დიდი ძვრების მიუხედავად, იმედი, სამყაროს ოპტიმისტური ხედვა. **„წინ!.. ციებითა და სნეულებით გაჟღენთილ ჭაობში იზრდება მშვენიერი ყვავილი, შრომანი და უფრო ბინძურ ალაგას კიდევ უფრო მშვენიერი და მიმტაცი ორხიდეია... წინ!“** („უბის წიგნაკიდან“).

ლომთათიძის პროზისთვის დამახასიათებელია, ასევე, პატრიოტული ჩანართებიც. მაგალითად, მოთხრობა **„უბის წიგნაკიდან“**, რომელსაც ეპიგრაფად ვეფხისტყაოსნის პერიფრაზი უძღვის. მოთხრობის მთავარი გმირი ისტორიის კვალდაკვალ მიჰყვება და თავიდან ბოლომდე აგებულია ყოველივე ქართულის: ენის, ისტორიის, ლიტერატურის, ბუნების უპირატესობის ჩვენების მოტივით. **„მითხარი, – მეუბნებოდა ის, – ქართულ ენაზე ანბანი არსებობს? ქართულად ლექსი არსებობს? როგორ არის ქართულად „ბრძოლა?“ მე კი ქართველის სახელის გაგონებაზე მხოლოდ ხანჯალი მომაგონდება და მეტი არაფერი... ჰო, მართლა, კიდევ თამარი... თამარ მეფე!.. უ-უფ! როგორ მოღუშა წარბები, როგორ გაჯავრდა!“** („თეთრი ღამე“). არამარტო ქვეყანა, თავისი მშობლიური კუთხე გურიაც, ნოსტალგიად ქცეული ბავშვობის ადგილებიც ხშირად ჩნდება პერსონაჟთა მეტყველებაში, განსაკუთრებით მოთხრობაში **„სახრჩობელას წინაშე“**, რომელშიც დღიურის სახით სიკვდილმისჯილი პატიმრის ფსიქოლოგიური დრამაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით სიცოცხლის სურვილს, უფრო ნყურვილს, მაშინ გრძნობს ადამიანი, როცა სიკვდილმისჯილია.... როცა **„სიკვდილი, ეს შავი და რთული მოვლენა“** თანდათან უფრო ახლობელი ხდება მისთვის. მოთხრობის მთავარი გმირი ჯეირან ვარდოსანიძეა და მთელი ნაწარმოები არის ერთი კაცის მონოლოგი; განაჩენის აღსრულების ლოდინში აღძრული ფიქრები განვლილ ცხოვრებაზე, მოგონებები წარსულის, სიყვარული, სევდა, ცხოვრების თავგადასავლები, ადამიანები, მოვლენები მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო, დედა, ბავშვობის ემოციები, სიზმარი, ცხადი – ერთი სიტყვით, ცხოვრება ბავშვობიდან ვიდრე ჩამოხრჩობამდე. არასდროს ისეთი უძღური არ ყოფილა ადამიანი,“ როგორც სიკვდილმისჯილობის დროს და, ამავდროულად, არასდროს ისე არ სწყურია ცხოვრება, როგორც მაშინ, როცა წუთები დათვლილია... მაგრამ უძღურების მიუხედავად, ახერხებს და სულიერ სიმტკიცეს მაინც ინარჩუნებს, არც საკუთარ პოლიტიკურ კრედოს ღალატობს: **„მე კი მოვკვდები, როგორც შეშვენის სიკვდილი და-**

მარცხებულ მებრძოლს...“ „ჩვენ არ დაგზოგავთ თქვენ, ამიტომ არც თქვენგან ვთხოვ-
ლობთ დაზოგვას!“... არა, ბურჟუაზიულმა შარლატანებმა სწერონ ლექსები და პოემები,
იმათ სთხოვონ მონყალება გამარჯვებულთ... ეს იმათი საქმეა – შეუნდევით დანაშაუ-
ლი, ნუ წაართმევთ ადამიანს სიცოცხლეს!.. იმათ აქციონ სიკვდილით სასჯელის გაუქ-
მება ზნეობრივ საკითხად, მონყალების გრძნობაზე ააშენონ თავიანთი მოთხოვნილე-
ბა... ბურჟუაზიულმა შარლატანებმა იაზრონ და იმოქმედონ აგრე, მე კი მოვკვდები,
როგორც დამარცხებული სოციალისტი...

– გულს ნუ გაიტეხო... გაუმარჯოს სიკვდილს!..“ ასე სულაფორიაქებული, მაგრამ ომა-
ხიანი ხვდება ჯეირან ვარდოსანიძე სიკვდილს.

ასეთი მრავალმხრივი ფსიქოლოგიური წიაღსვლებით სავსე და ტკივილიანია ჭოლა
ლომთათიძის შემოქმედება, რომელიც ჰგავს მის ცხოვრებას: სევდიანს, დრამატულს, ხან-
მოკლეს, მაგრამ ნიშანდობლივს და საინტერესოს. სამწუხაროდ, დღეისათვის არც ისე პო-
პულარული და აქტუალურია მწერალი, რომელმაც ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში იქამ-
დე არარსებული, ყოვლად განსახვებული თემა შემოიტანა და პირველმა გააჟღერა პატიმ-
რის ხმა ქართულ მწერლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლომთათიძე ჭ. 1971: ჭოლა ლომთათიძე, „რჩეული თხზულებანი ორ ტომად“, თბილისი, საბ-
ჭოთა საქართველო, 1971.
2. ნიკოლეიშვილი ავ. 2012: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „ქართული ლიტერატურა, XX საუკუნე,
ნაწ.1.“, თბილისი, „საქართველოს მაცნე“, 2012.
3. ძიგუა მ. 2005: მაია ძიგუა, „ლიტერატურული წერილები: ცნობიერების ნაკადი ჭოლა ლომ-
თათიძის შემოქმედებაში“, თბილისი, „ცოდნა“, 2005.

ხოგაის მინდიას მითის მხატვრული ინტერპრეტაცია ვაჟა-ფშაველასა და კ. გამსახურდიას მიხედვით

*„რაც კი რა დაუბადია უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო“
ვაჟა-ფშაველა*

ხოგაის მინდიას მითმა ქართველ მწერლებს დიდი ინტერესი აღუძრა. ალბათ, ამის მიზეზი ის მარადიული თემები თუ კითხვებია, რომლებიც მინდიამ და მისმა განვლილმა გზამ ადამიანებს დაგვიტოვა, პასუხის გაცემა გვიჭირს და, გარკვეულწილად, არც შეგვიძლია, რადგან თითოეული მათგანი სამყაროს, ღვთისა და ადამიანის კანონებთან უშუალო კავშირშია.

მითი მოგვითხრობს: ქაჯების ტყვეობაში მყოფი მინდია თვითმკვლევლობის მიზნით გადაწყვეტს გველის ხორცის ჭამას. მაგრამ ამის ნაცვლად, ზეადამიანურ ნიჭს შეიძენს – ესმის სრულიად ცოცხალი სამყაროს ენა. მის დაბადებასა და გარდაცვალებას კი ბუნებაც გრძნობს: „ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ცა ქექდა, მიწა გრგვინავდა, სული გვიანა ჰხდებოდა“ (ხალხური).

ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ორი ავტორის ნაწარმოებმა ხოგაის მინდიას შესახებ: კ. გამსახურდიას ამავე სახელწოდების მოთხრობამ და ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელმა“. ორივე ავტორმა სიუჟეტური ხაზი თავისი ფანტაზიით შეცვალა თუ გაამდიდრა – ჩართო ფიქცია და მოვლენათა მეტაფორულ-სიმბოლური ახსნა. თუმცა, მითის გავლენა კვლავ საგრძნობი და ხელშესახებია, რაც, ჩემი აზრით, სრულიად ბუნებრივია.

კ. გამსახურდიასთან ხოგაის უმცროსი ვაჟი, წლების განმავლობაში ქისტების ტყვეობაში ნამყოფი მინდია, „ბუნების ენას“ ოჩოპინტრეს მეშვეობით გაიგებს. ის წაიყვანს „დამძიმებულ“ მონადირეს გუგულების ქვეყანაში და მოხარშული გველის ჭამა აუხელს თვალს, დააკარგვინებს საკუთარ ჩრდილს და შესძენს ბუმბულისებრ სიმსუბუქეს. ვაჟა მითის ნარატივს მიჰყვება და მინდია, რომელიც ქაჯებს ჰყავთ შეპყრობილი თავის მოკვლის მიზნით, გადაწყვეტს გველის ხორცის ჭამას, თუმცა სანაცვლოდ:

„შეიგნო სიბრძნე ქაჯების

ამიერიდამ ტყვემაო;

მას მუსაიფი დაუნყო

ცამ, დედამინამ, ტყემაო.

მხოლოდ ბოროტმა მის გულში

ვერ მოიკიდა ფეხია,

სხვა დანარჩენი ქაჯური

ყველა ისწავლა ხერხია“ (ვაჟა-ფშაველა, 2011).

როგორც ხედავთ, ორივე შემთხვევაში გველი სიბრძნის წყაროდ არის დასახელებული და ბინარულ ოპოზიციაში მოდის მის მეორე გამომხატულება ბოროტება-ცბიერებასთან. სა-

ხარებაში ვკითხულობთ: „ხოლო გუელი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა, რომელი შექმნა უფალმან ღმერთმან“ (შესაქმისა. 3.1). ასევე მითოლოგია, სადაც გველი წმინდა ცხოველად, სიბრძნის, განკურნების, აღორძინება-გარდასახვის და ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა (Deane, 2023). ეს ქვენარმავალი თავის თავში თანაბრად იტევს უკიდურეს სიკეთესაც და ბოროტებასაც. შეუძლია გახდეს როგორც ერთის, ისე მეორის შემოქმედი – ისევე, როგორც ადამიანი. თითქოს მასაც ჩვენსავით გაუჩაღებია ბრძოლა საკუთარ თავთან ქვემარტი ბუნების დასადგენად, დაპირისპირება კი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობს.

მინდიას ცხოვრებას, მსოფლალქმას, დამოკიდებულებას სამყაროსადმი, რასაკვირველია, სრულიად ცვლის ნიჭი, რომელიც ყოველგვარი მცდელობის გარეშე მიიღო და რომელიც განგების ნება უფრო იყო, ვიდრე ღმერთისა. გამსახურდია უნინ დიდებულ მონადირეს ახლა შემდგომ სიტყვებს ათქმევინებს: „სრუ ყველა სულდგმული თავ თავის წესით უნდა მახკვდეს“ (გამსახურდია, 1938). მინდიას დამოკიდებულება იცვლება ქისტების მიმართაც, უფრო ჰუმანური, ამალღებული, ყოვლისმომცველი და კეთილშობილური ხდება. აფასებს ადამიანის სულიერ ღირებულებას ყოველგვარი ეთნიკურ-კულტურული კუთვნილების გარეშე. ეს უდიდესი გარდატეხაა, რაც კი შეიძლება ადამიანში მოხდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას ბავშვობიდან მტრის შებრალებას ლაჩრობად და „დიაცობად“ უსახავდნენ. ქრისტიანული „გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გნენიდენ თქუენ“ (მათე. 5. 44) ხორცს ისხამს გამსახურდიას შექმნილ პერსონაჟში, რომელშიც ქვემარტი ადამიანად ჩამოყალიბებას გონების საზრისის გახსნა, ზედმიანური ნიჭი და საკუთარ გულში ჩახედვა განაპირობებს. თავისუფლების ამ იდეალით მინდია მეტად უახლოვდება ალუდა ქეთელაურს (იმ განსხვავებით, რომ ალუდა ცნობიერად მიდის ქვემარტივებამდე, განიცდის მეტამორფოზას. მინდიასთან ეს ცვლილება მისგან დამოუკიდებლად, შემთხვევით ხდება):

„ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოდ ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელით ქშენანი.
ამის თქმით ვნარამარაობთ,
ხთიშვილთ უკეთეს იციან..
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიცვიან ?!“ (ვაჟა-ფშაველა, 2011).

რა თქმა უნდა, ცოცხალი სამყაროს საუბრის გაგება, ერთი მხრივ, მინდიას განუყოფელს ხდის ამ სამყაროსგან და იმეცნებს მის საიდუმლოებას. ზუსტად იცის, რომელი მცენარე რა დანიშნულებისაა და მეტი სარგებლობა მოაქვს თემისთვისაც. მრჩება განცდა, რომ ადამიანი კვლავ „უბრუნდება“ ედემის ბაღს, სადაც არა მხოლოდ ყველაფრის ბატონი, არამედ – პატრონიცაა. თუ დავფიქრდებით, ადამი პირველია, ვინც ფლორისა და ფაუნის სახელდებას მათივე ბუნების მიხედვით ახდენს. შესაბამისად, ფლობს მინდიას ნიჭს. მაგრამ, მეორე მხრივ, ნიჭი მძიმე ტვირთად იქცა მისი მზიდველისთვის. აბსოლუტურად ყველაფერი საჭიროებს მინდიას ხელსა და ყურადღებას, თვალის არიდება და გულის დახურვა მას არ შეუძლია. შინაგანი ბრძოლები და ორჭოფობა კი საბედისწერო აღმოჩნდება. იყო თუ არა ეს მოსალოდნელი? ვფიქრობ, რომ იყო. ადამიანი ხომ მომხმარებლური დამოკიდებულების ხატია. თვით ადამიაც კი ვერ შეძლო დაეცია შემოქმედისგან მომადლებული ყველა სიკეთე.

ნიჭი, თუ მას უფალი არ გვიბოძებს, შესაბამისად, არ დაგვიმსახურებია, დასაღუპადაა განწირული და ჩვენც მასთან ერთად.

ნიჭი თავისი არსითა და ფენომენით განსაკუთრებულია. ძალიან ხშირად ერთი პიროვნების ნიჭის „გადანონვა“ ასეულობით ადამიანს ერთად არ ძალუძს, თუნდაც წარმოუდგენელი შრომა ჩადონ ამაში. ეს არის მოვლენა, რომელიც გვხვდება როგორც რიგით, ისე „რჩეულ“, გნებავთ, დაჯილდოებულ ადამიანებში. სხვაობა მასშტაბია. ვფიქრობ, წარმოუდგენელი, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელიც კი არის ის ძალა, უნარები, შესაძლებლობები თუ ცოდნა, რომელიც მინდიასთვის გახდა ხელმისაწვდომი. არ უნდა დავიყვანოთ ის უბრალოდ მცენარეთა და ცხოველთა საუბრის გაგებამდე. ჩემი აზრით, აქ, უპირველესყოვლისა, მოიაზრება სრულიად სამყაროს ენა, რომლისაც მარტო უფალს ესმის, განუსაზღვრელ სიბრძნეს იტევს და უსასრულოა. მინდია დაეუფლა ძალას, მიუწვდომელს ადამიანთა მოდგმისთვის და იქნებ სწორედ ამიტომაც ვერ ინარჩუნებს, ითვისებს თუ ეთვისება მას.

სრულიად ლოგიკური მგონია, რომ ტრადიციების, ადათ-წესების ტყვეობაში მყოფ თემს მინდიასი არ ესმის, გიჟსაც უწოდებენ, ხშირად კი მასხრად იგდებენ. ოჯახს მისი საქციელი აღიზიანებს და არცხვენს. ვერც მისი სიტყვების აზრს სწვდებიან: „თქვენ მიცვალებულის სულისათვის იღწვით და ცოცხალი არსი არა გებრალეებისა?“ (გამსახურდია, 1938). საკუთარ ძმებსაც კი ზიზღის გრძნობას აღუძრავს დიაცის მსგავსი ძმა, რომელსაც ხის მოჭრაც აღარ შეუძლია. გამსახურდიას ნარატივის მიხედვით, მინდიას მამის სისხლი აქვს ასაღები, დედა და ცოლი მუდმივად საყვედურნარევი მზერით შესცქერიან და მისგან „მართალი სამართლის“ აღსრულებას მოელიან. ზენოლა მასზე იმდენად დიდია, რომ დაცემამდე მიდის, შემთხვევით კლავს საყვარელ ქალს, მზისფერ ხვაშაქალას, შემდეგ კი, ნიჭისა და სიყვარულის გარეშე დარჩენილი, თავსაც იკლავს. ტრაგიკულია მისი ხვედრი წუთისოფელში. ვგონებ, უკიდურესად რთულია, როცა სამყაროში ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელიც ხიდადაა ქცეული კაცსა და ბუნებას შორის, ესმის მისი ხმა და პრინციპები, თუმცა ამის გაგება სხვებს არ ძალუძთ. სწორედ ნიჭია ერთადერთი ფაქტორი, რატომაც მინდია სხვებისგან გამორჩეულ, განსხვავებულ პიროვნებად ყალიბდება. გველისმჭამელის მუდმივი ბრძოლა საკუთარ თავთან, მაფიქრებინებს, რომ მზად არ იყო დაეტია წყალობა, რომელიც მოულოდნელად მიიღო და რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, თვით ეშმაკისგან. ცხადია, აბსოლუტური ბოროტებისგან სიკეთეს არ უნდა ველოდეთ, მინდიას ბედი კი საზოგადო ტრაგედიის სათავე ხდება. იხოცებიან კაცები, ქალები და ბავშვები, ქისტებიც და ხევსურებიც, რაც ყველაზე მთავარია – ადამიანები.

ვაჟას „გველისმჭამელში“ მინდია საქვეყნოდ ცნობილი ხდება. ხევსურთა მეომრები აღარ იხოცებიან, მტერი შემდრკალი და შეშინებულია, არ არსებობს ჭრილობა, რომელსაც მინდია ვერ განკურნავს და წამალი, რომელსაც ბუნება არ აწვდის. ამისდა მიუხედავადაც მას მატყუარად მიიჩნევენ და გულით ნაგრძნობს „გონებით ჰშველენ ვერასა“ (ვაჟა-ფშაველა, 2011). თემს არ აქვს ინტუიტიური წვდომის უნარი, რათა სულ ცოტათი მაინც გაიგოს ზეადამიანური ნიჭის არსი და ძალა. სახელგანთქმული მინდიასი მადლობლები არიან, მაგრამ მაინც არ ესმით მისი. ხოგაის ვაჟი ამოცანად რჩება ცოლ-შვილისთვისაც. მეუღლის მოთხოვნებს ის საბოლოო დაცემამდე მიჰყავს, ცოდვას ცოდვას უმატებს და გაჟღეკით ემუქრება მათ. როგორც ჩანს, მიწიერი ყოფის სირთულე იმდენად ამძიმებს ადამიანის სულსა და გონებას, რომ თვით უდიდეს ნიჭსაც ზიანს აყენებს, ახშობს, კეტავს გონების საზღვრის. უანგარო დამოკიდებულება ბუნებასთან კი არ ცნობს კომპრომისებს. მთავარი გმირი თავად ამბობს: „დავინყე თავის რწმენასთან მოქცევა, მელაობითა“ – რაც გულისხმობს, რომ საკუთარი თავისა თუ სამყაროს მოტყუების მცდელობის გზით, სცადა პირადი სარგებ-

ლის მიღება. მის გულში შიძლება ბოროტება არ არის, მაგრამ, ფაქტია, ცოდვამ ფეხი მოიკიდა. მახსენდება ადამი, სამოთხის პირველი მკვიდრი, გამოძევებული და ღვთიური ნიჭის დამკარგველი.

მზიასადმი ნათქვამ სიტყვებში: „ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდი“, „თქვენგან დავკარგე გონება, წმინდა დავკარგე რჯულია“ მესმის ხმა ადამისა – ცოდვის ჩამდენის და ამის არამღიარებლის. დასტურდება, მართლდება ვაჟასეული სიბრძნეც:

„თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვიოთ,
ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა“.

მართალია, მინდია ნანობს ნიჭის დაკარგვას, მაგრამ მოწყალების მიღების მიზნით ერთი წლის განმავლობაში 10 კურატს შესწირავს ღმერთს. ეს თავისთავად პარადოქსია. მინდია უკვე ეზიარა სამყაროს საიდუმლოებას, შეიძლება აღარ ესმის ბუნების ენა, მაგრამ იცის რა არის სწორი და რა – არა. საინტერესოა ისიც, რომ მინდია ღვთივმოძაღვლებულად თვლის ქაჯებთან გველის ჭამით მიღებულ ცოდნას. სავარაუდოდ, ეს წარმოდგენა ეფუძნება რუსთველურ კონცეფციას: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“, თორემ ისე, გაუგებარია ქაჯების ბოროტებასთან ღმერთის კავშირი. სხვათაშორის, გამოითქვა მოსაზრებაც, რომ ისინი სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებად უნდა მოვიაზროთ.

ფიქრობ, რომ მინდიას ამბავი არ არის მხოლოდ ერთი პიროვნების ტრაგედია. პირადად მე ვხედავ სურათს მთლიანი კაცობრიობისა, რომელიც არ არის მზად ამაღლდეს სულიერად და მისწვდეს ზეადამიანურ სიმაღლეებს, ღირებულებებს და, რაც მთავარია, მარადიულ სიბრძნეს. როგორც ვიცით, ჩვენი სანყისები კეთილისა და ბოროტის ზღვარზე გადის, „ბედის სამძღვრის“ გადალახვა კი ჯერ ვერავინ შეძლო.

მინიერი ფიქრები, აზრები, თუ შეხედულებები არ გვაძლევს შესაძლებლობას ავმაღლდეთ საკუთარ თავზე. ყოველ შემთხვევაში, ფართო მასა ამას ვერ ახერხებს. მახსენდება ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“, სადაც, გარკვეულწილად, შემდეგი კითხვაც შეგვიძლია დავსვათ: შეიძლება უფალმა დაგვიფასოს რწმენა, მოგვანიჭოს ძალა სასწაულების ქმნისა, მაგრამ ესეც ერთგვარი გამოცდაა – გვაქვს კი საკმარისი ღვთიური ბუნება და გონი მივიღოთ, დავიტიოთ, ვემსახუროთ მას?!

რაოდენ ბევრიც არ უნდა ვიმსჯელოთ ადამიანის არსის შესახებ, სათქმელი ყოველთვის გვრჩება. უფლის ხატად და მსგავსად შექმნილნი თავადვე ვერ ვწვდებით საკუთარი სულის სიღრმეებს. არც ის ვიცით რისთვის ვშობილვართ, ან რა როლი გვაქვს წუთისოფელში. მაგრამ, ზოგჯერ განგება ადამიანს გარკვეულ ამოცანას უსახავს – საკუთარი თავის შემეცნებისა და აღმოჩენის, ახალ სიმაღლეებზე აყვანის გზით შუამავლად იქცეს ღმერთს, ბუნებას და ადამიანს შორის. მიმაჩნია, რომ მინდიასთან სწორედ ამ უცნაურ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე. მსოფლიო ლიტერატურას ამის მეორე მაგალითიც ახსოვს გოეთეს „ფაუსტის“ სახით, მაგრამ აქ მოტივატორი თავად დოქტორი ფაუსტია, რომელიც ცნობისწადილს ვერ იკმაყოფილებდა, ცდილობდა დაედგინა ზღვარი კეთილსა და ბოროტს, სიმართლესა და გამონაგონს, მარადიულსა და წარმავალს შორის (თუმცა უკიდურესად პირადი მიზნებისთვის). მეფისტოფელია მისი მეგზური, ისევე, როგორც ოჩოპინტრე მინდიასი.

მინდიას მიეცა შანსი პირადის, მინიერის დათრგუნვით სარგებელი მოეტანა სრულიად კაცობრიობისთვის. პოეტს უთქვამს: „თვითმკვლელობაა ჩვენში დიდი საქმის დაწყება“ და, ვგონებ, საუკეთესო აღწერაა ხოგაის ძის რეალობისა. სამწუხაროდ, საკმარისი ძალის თუ პიროვნული თვისებების, იქნებ თვითშემეცნებისა და თვითგანცდის უნარის ნაკლებობამ, ღვთიური ნიჭით სამყაროს საიდუმლოებას ნაზიარები გველისმჭამელი მორალურ-ზნეობრივ

დაცემამდე მიიყვანა, გახდა ქმედითუნარო, უსარგებლო თემ-სოფლისთვის, საკუთარი თავისა და ოჯახისთვისაც კი და რადგან „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“, მისმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა (2011). *ქართული კლასიკური მწერლობა*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
2. Deane, J. B. (2023). *Snakes in mythology*. Retrieved from WikipdiA (British).
3. გამსახურდია, კ. (1938). *ხოგაის მინდია*. თბილისი: მნათობი.
4. ახალი აღთქმა, მათეს სახარება.
5. რუსთაველი, შ. (2011). *ვეფხისტყაოსანი*. თბილისი: დიოგენე.
6. ბარათაშვილი, ნ. (1968). *ფიქრნი მტკვრის პირას*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
7. ბარათაშვილი, ნ. (1968). *მერანი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

პიროვნების იდენტობის კრიზისის ასახვა მოდერნისტულ ლიტერატურაში

XX საუკუნე კაცობრიობის ისტორიისათვის რთული ქარტეხილებით აღსავსე აღმოჩნდა. მასშტაბურმა ეპოქალურმა ტრაგიკულმა პროცესებმა, ჯერ კიდევ საუკუნის პირველ ნახევარში გადატანილმა ორმა მსოფლიო ომმა ადამიანებს ჩაუნერგა შიში და უნდობლობა. კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროთა დაპირისპირებას თან დაერთო ტექნოლოგიური პროგრესი და მასში ჩაკარგული პიროვნების პრობლემა, რამაც ადამიანთა მენტალურ და სულიერ პროცესებზე მძაფრად იმოქმედა. ათეიზმმა, ღვთისა და განგების უზენაესობის იდეის ჩამოშლამ, ადამიანს უდიდესი თავისუფლება მიანიჭა და მასთან ერთად, პასუხისმგებლობა დააკისრა.

ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა – პიროვნების არსებობის ფილოსოფიის, ანუ ეგზისტენციის საკითხი წამოიჭრა, რაც აისახა ლიტერატურაში. ყოფიერების ინტუიციური წვდომა გახდა ინტერესის ცენტრალური სფერო, რაც ეგზისტენციალისტთა მთავარ დებულებად წარმოჩინდა. უმიზნო ინერციად ქცეულ ცხოვრებაში გაისმა მთავარი შეკითხვა – რას წარმოადგენს ადამიანის არსებობა, რატომ დაემსგავსა პიროვნება გრძნობებისაგან მოცლილ უსულო ფიგურას?!

მოდერნისტული ლიტერატურა დაინტერესდა პიროვნების იდენტობის კრიზისის ასახვით. მასში თავი იჩინა დეპერსონიფიცირებული ადამიანის ტიპმა, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია გვარ-სახელი და პიროვნების განმსაზღვრელი ნიშან-თვისებანი, რაც ასეთი მნიშვნელოვანი იყო რეალისტურ მიმდინარეობაში. მოდერნისტული მწერლობის ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ეგზისტენციალიზმი ლიტერატურაში. „არსება წინ უსწრებს არსებობას“ – ასე განსაზღვრა ფრანგმა ეგზისტენციალისტმა, ჟან პოლ სარტრმა ამ აზროვნების ცნობიერება. ეს მიმართულება თავისუფლებას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად მიიჩნევს. ეგზისტენციალისტი მწერლები ცდილობენ დაგვანახონ საზოგადოებრივი სტიგმისაგან დაცლილი პიროვნების არსება, რომელიც ანგარიშს აღარ უწევს მასობრივად ჩამოყალიბებულ ცხოვრების დაუწერელ კანონებს.

პიროვნება მე-20 საუკუნის თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის ცენტრალურ და ამოსავალ პრობლემად იქცა. ზურაბ კაკაბაძე თავის სტატიაში „ეგზისტენციური პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ წამოჭრის საკითხს, რომ ბურჟუაზიულმა (დასავლურმა) ხელოვნებამ გამოკვეთა ეპოქის რადიკალური კრიზისი – გუცხოებული სამყარო, რაც გადმოიცემა უკიდურესი გროტესკით. მთავარი თემაა ადამიანთა გათიშულობა, საზრისს მოკლებული სიცოცხლე და მეტაფიზიკური მონყენილობა. თვალსაჩინოა, რომ პიროვნება ვერ ეგუება შემოთავაზებულ ყოფიერებას და უცხო სხეულს საზოგადოებას მიუღებლად მიიჩნევს. კაკაბაძე ტრადიციული ფილოსოფიის ძირეულ შეცდომად თვლის ონტოლოგიურ, ანუ ყოფიერების პრობლემათა ძიებას ადამიანისაგან განყენებით. მკვლევრის შეხედულებით, დაუშვებელია ადამიანის აღქმის პერსპექტივა, როგორც

გარედან შეპირობებული, არამედ პიროვნებას უნდა ჰქონდეს შანსი შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის თავად აირჩიოს საკუთარი არსებობის სახე.

ედმუნდ ჰუსერლი, მე-20 საუკუნის ფილოსოფოსი, ამ კრიტიკულ მდგომარეობას ევროპის სულიერ დაღლილობას მიაწერს: „ევროპულ არსებობის კრიზისს მხოლოდ ორი გამოსავალი აქვს – ევროპის დაღუპვა სიცოცხლის საკუთარი რაციონალური აზრისგან გაუცხოებაში, ანდა ევროპის აღორძინება ნატურალიზმის საბოლოოდ დამძლველი ფილოსოფიური გონების გზით“ – ამბობს ჰუსერლი [კაკაბაძე].

ნიცშე იტყვის „ღმერთი მოკვდა“ და ამ ფრაზით კლავს უზენაეს არსებას, რომელსაც ეყრდნობოდა კაცობრიობა. ეს დებულება ფილოსოფოსის ათეისტური მსოფლხედვის თავსმოხვევად კი არ უნდა გავიაზროთ, არამედ იგი შეგონებაა, რომ უზენაესი ძალა არსებობდა, მაგრამ ან ადამიანმა უნდა იტვირთოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებასა და სიცოცხლის მდინარებაზე. ესაა სწორედ ეგზისტენციალიზმის არსებითი რაობა. „სიცოცხლის ფილოსოფიის ნარმომადგენელი ყველაფერზე იტყვის ჰოს, ოღონდ სიცოცხლე არ გაიყვანოს მკვდარსა და მონოტონურ ნესრიგში“ [კაკაბაძე].

რა ხდება შემდგომ, როდესაც ბედისწერისა და რწმენის შერყევამ ჩამოშალა ადამიანის იდეალები, ხოლო ტექნოლოგიურმა პროგრესმა პიროვნებას სამყაროში აღარ დაუტოვა კუთვნილი ადგილი. სწორედ აქ იწყება არსებობის კრიზისი. მოცემული ნაშრომით შევეცდებით განვიხილოთ, თუ რა ფორმით აისახა იდენტობის კრიზისი მოდერნისტულ ლიტერატურაში და რომელ ფაქტორებს მიაქციეს ყურადღება ეპოქის უდიდესმა მოაზროვნეებმა. კვლევა ეყრდნობა ფრანგი ფილოსოფოსისა და ლიტერატორის, ალბერ კამიუს რომანს „უცხო“ და შვეიცარიელი ავტორის მაქს ფრიშის ნაწარმოებს – „HOMO FABER“.

„დღეს დედა მომიკვდა. ან იქნებ გუშინ, არ ვიცი“. – მკითხველისათვის დრამატული იმპულსით იწყება კამიუს „უცხო“. მოქმედება მიმდინარეობს ალჟირში. რომანის მთავარი პერსონაჟია გვარად მერსო, მისი სახელი უცნობია. ამ დეტალით ავტორი პერსონაჟის დეპერსონიფიცირებულობას გამოკვეთს. მთავარი გმირის დედა მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვლება. დაკრძალვიდან ძალიან მალე მერსო ბრუნდება საკუთარ ქალაქში, მისი ცხოვრება ისე გრძელდება, თითქოს დიდი ტრაგედია თავს არ დასტყდომოდეს: მიდის საცურაოდ, შეხვდება ნაცნობ ქალს, რომელთანაც ამყარებს სასიყვარულო ურთიერთობას. ამასთანავე ჩნდება რემონი, სუტინიორი, საკმაოდ აგრესიული პიროვნება. მერსო მასთან ერთად მიდის ზღვისპირა ქალაქში, სადაც მას რემონთან დაპირისპირებული არაბი შემოაკვდება ოთხი გასროლით. მთავარი ამ ნაწარმოებში არის ის, რომ მოვლენები ვითარდება, თუმცა მთავარი პერსონაჟი სრულიად ინდიფერენტულია მათ მიმართ.

მეგობრობა და სიყვარული უამრავი დიდებული ნაწარმოებისათვის გამხდარა საკვანძო მნიშვნელობის საკითხი. ეს ორი მოვლენა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. მერსოს ინდიფერენტულობა კარგად ჩანს ადამიანებთან დამოკიდებულებაში. მისთვის აბსოლუტურად უმნიშვნელოა მოიყვანს თუ არა მარის ცოლად, ან იქნება თუ არა რემონის მეგობარი.

კამიუსთან აბსურდის ფილოსოფიას დიდი ყურადღება ეთმობა. მთავარი თემა სამყაროსა და ადამიანს შორის შეუთავსებლობის შეცნობაა. მერსოს სასამართლო პროცესი ერთ-ერთი ყველაზე დიდი აბსურდია ამ რომანში. მან მოკლა არაბი, თუმცა გილიოტინისკენ საზოგადოება მხოლოდ იმ მოტივით მიაცილებს, რომ დედა არ გამოიგლოვა ისე, როგორც ამას ყველა აკეთებს. მერსო, რა თქმა უნდა, დამნაშავეა მკვლელობის ჩადენისათვის, თუმცა მისი განაჩენი ემოციური ფონით უფროა განპირობებული, ვიდრე კანონით. საზოგადოება მერსოსგან ხატავს უსულო მხეცს. „კამიუმ ამ ნაწარმოებით გვითხრა: „საზოგადოებაში

არსებობს რისკი, რომ ადამიანი სიკვდილით მხოლოდ იმის გამო დაისაჯოს, რომ იგი განსხვავებულია. ადამიანთა დიდი ნაწილი არ უყვარს და ვერ განიცდის მოვლენებს“ [ბერძენიშვილი, 2019].

კამიუს საეტაპო შრომა, რომელსაც „უცხოთვის“ მოსამზადებელ ტექსტადაც მიიჩნევენ ხოლმე, არის „ბედნიერი სიკვდილი“. რიგ მიზეზთა გამო მწერლის სიცოცხლეში ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა. ფრანგული ენის სპეციალისტი, პროფესორი გიორგი ეკიზაშვილი, რომელმაც თარგმნა კამიუს შემოქმედება, ამახვილებს ყურადღებას მასზე, რომ ორივე ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი გვარად მერსოა, განსხვავება მხოლოდ ტრანსკრიფცი-აშია. ეკიზაშვილი ამ გვარს შლის შემდეგი სახით: Mer – ზღვა, Soleil – მზე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი სუბსტანცია დიდ როლს ასრულებს მერსოს მიერ არაბის მკვლელობის ეპიზოდში [ეკიზაშვილი, 2016].

მოდერნისტულ რომანში რამდენიმე სახის ნარატიული ტექნიკა არსებობს: აუქტორული, პერსონალური და აქტორული. ამ უკანასკნელს ვხვდებით კამიუს ნაწარმოებში. თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში, ნარაცია აპერსპექტიულია, რაც ნიშნავს, რომ ავტორი თმობს ყოვლისმცოდნე ინსტანციის ადგილს. თხრობა ამ ნაწარმოებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. „უცხო“ ენობრივადაც დაცლილია ყოველგვარი გრძნობისა და სენტიმენტისაგან. ნათელია ადამიანის გაუცხოება რიგი საკითხებისადმი, რაც მისი პიროვნების იდენტობის კრიზისს უკავშირდება. ზურაბ კაკაბაძის მოსაზრებით, ამგვარი თხრობა მერსოს მწვრილმანეობას უსვამს ხაზს. იგი დეტალებზე იმდენადაა ორიენტირებული, რომ მთავარი კონტექსტის აღქმა უჭირს. ეს მტკიცდება შემდეგ ეპიზოდებში: პროცესზე მერსო განაცხადებს, რომ ადამიანი მოკლა, რადგან მზის მცხუნვარება უქმნიდა შემზარავ დისკომფორტს. დედის პროცესიის მსვლელობის დროსაც განიცდის აუტანელ სიცხეს.

მერსო გამომძიებელთან საუბრისას აღიარებს, რომ მას არ სწამს ღმერთის. მიუხედავად ამისა, სიკვდილმისჯილს მაინც ხვდება კაპელანი. მღვდელი ცდილობს მონანიების გზით მერსოს სული განწმინდოს. მერსო უარს ამბობს აღსარებაზე. პერსონაჟი უკიდურესი შიშის დაძლევის გზით გათავისუფლდა საზოგადოების მორალისტური ჩარჩოებისაგან.

ალბერ კამიუმ თითქმის თანადროულად დაასრულა სამი ნაშრომი: რომანი – „უცხო“, დრამატურგიული ნაწარმოები „კალიგულა“ და „სიზიფეს მითი“. ეს სამი ნაწარმოები ავსებს ერთმანეთის სათქმელს. „სიზიფეს მითი“ წარმოადგენს ლიტერატურულ რემინისცენციას სიზიფოსის შრომისა. ლოდის ატანა სიზიფეს მიერ და მისი განმეორებადი დაგორება მარადიული ტანჯვის, უშეგო მძიმე შრომის სიმბოლოდ გვევლინება. კამიუსთან, როდესაც სიზიფე ხედავს დაგორებულ ლოდს ბედნიერდება, რადგან მან გააცნობიერა მისი შრომის უნაყოფობა. „უცხოში“ მერსოც იმ წუთს მოელის, როდესაც გილიოტინამდე მიმავალს საზოგადოება შემზარავი ყიჟინით შეეგება. აქ მძაფრად ვლინდება აბსურდის ფილოსოფია, რომლის წარმომადგენელიცაა კამიუ.

ზურაბ კაკაბაძე მიიჩნევს, რომ „მარადისობის პერსპექტივას მოკლებული ადამიანი ვერ ახერხებს შინაგან ურთიერთობასა და ერთიანობას. იგი სვამს მთავარ საკითხს, შეუძლია თუ არა, ადამიანს მარადისობის დახმარების გარეშე მხოლოდღა თავის თავზე დაყრდნობით საკუთარ ღირებულებათა შექმნა“ [კაკაბაძე, 1983].

ადამიანის იდენტობის კრიზისის გამომწვევ ერთ ძირითად მოტივად ტექნოლოგიური პროგრესი დასახელდა, რაც შეუქცევადად ვითარდება, მასთან შეწინააღმდეგება გონივრულ აზრსაა მოკლებული. ზურაბ კაკაბაძე ასახელებს ტექნოლოგიური პროგრესით გამონვეულ საკაცობრიო გაუცხოებას, რასაც პირობითად „ტექნიკურ გაუცხოებას“ არქმევს: „ეს პროცესი მიმდინარეობს მაშინ, როცა კაცობრიობა თავის ძირითად საქმიანობას მიეჯაჭვე-

ბა, ავითარებს მას, ადამიანი უუცხოვდება საუთარ გრძნობებს ტექნიკის კულტის ფეტიშიზაციის საფუძველზე“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტექნიკის დადებითი და უარყოფითი მხარე თანამედროვეობის დიდი გამოწვევაა. ტექნიკური პროგრესი დადებით მოვლენად აღიქმება მანამ, სანამ ეს საქმიანობა ადამიანის ცხოვრებაში ძირითად ტენდენციად არ იქცევა, კაცობრიობას არ მიიყვანს თვითგაუცხოვებამდე.

„Homo Faber“ ეხება ამავე თემას. მოგვითხრობს შუახნის კაცის, ვოლტერ ფაბერის შესახებ. სიტყვა-სიტყვით ამ ნაწარმოების სათაური ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „მწარმოებელი ადამიანი“. მთავარი პერსონაჟი ინჟინერია, იგი ბევრს მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყანაში, ხშირად უხდება თვითმფრინავით გადაადგილება. ერთი ამგვარი მგზავრობის დროს თვითმფრინავი განიცდის ავიაკატასტროფას. ამ დროს ბატონი ფაბერის რეაქცია კომიკურ ეფექტს ქმნის. სიზმრად ნანახი კბილების დაკარგვა მას იმდენად აშფოთებს, რომ სწყვეტს რეალობას:

„მწვანე ყილეტებში გამოჭიმული მგზავრები ისე გასუსული ისხდნენ, თითქოს ეკლესიაში არიანო. მე ერთ ვიმონმებდი კბილებს, მართლა ხომ არ მერყევა-მეთქი. სხვა არაფერი მაინტერესებდა“ [Homo Faber].

ლევან ბერძენიშვილი ყურადღებას მიაქცევს ფაბერის ბარგს, 1957 წელს იწერება ნაწარმოები, რომლის მთავარ პერსონაჟსაც თვითმფრინავით მგზავრობისას უეცრად აღმოაჩნდება კინოკმერა, საბეჭდი მანქანა, წვერის საპარსი – ეს დეტალები მიგვანიშნებს, რომ ვოლტერ ფაბერის სახით საქმე გვაქვს ფსიქოტიპთან, რომელიც სრულებით შეპყრობილია ტექნიკით.

წარსული მის ცხოვრებაში გაუცნობირებლად იჭრება. მეორე მსოფლიო ომი, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების მთავარი თემა ეს არ არის, დიდ გავლენას ახდენს ფაბერზე. სწორედ ამ პერიოდში მისთვის, როგორც დამწყები ინჟინერისათვის გაჩნდება შანსი, „ემერვისისგან“ მოწვევა მოუვა. მაშინ უხდება არჩევანის გაკეთება კარიერასა და ორსულ შეყვარებულ, ნახევრად ებრაელ ქალს შორის. ამ ტიპის ნაწარმოებისთვის ლოგიკურია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ისევ პასიურ მდგომარეობაშია. მოვლენები ვითარდება, თუმცა მისგან დამოუკიდებლად.

ფაბერი საბედისწერო შეცდომას უშვებს, როდესაც ჰანას ეტყვის „თუ მაგ შენი ბავშვის გაჩენა გინდა, აუცილებლად უნდა დავქორწინდე“. – აქ პრობლემაა სიტყვა „შენი“ და არა „ჩვენი“. ნათელია, რომ იგი ვერ აიდენტიფიცირებს საკუთარ თავთან მისივე გენეტიკურ ნაწილს.

ფაბერის ცხოვრებისეული ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც წარსულის შეცდომა და ანმყო გადაიკვეთება. ამ რომანით ფრიშმა ხაზი გაუსვა ევროპის ამ უკიდურეს კრიზისს – ინდიფერენტულ პოზიციაში მყოფს, შესაძლოა საკუთარი შვილი შეგიყვარდეს, მასზე დაქორწინება მოგიხდეს, რადგან მისი არსებობა მხედველობიდან გამოგრჩა.

შემთხვევითი არ არის საბერძნეთი ჰანას საცხოვრებელ და ზაბეტის გარდაცვალების ადგილად დათქმული, არამედ მკითხველს უნდა მოაგონდეს ოიდიპოსი და მისი გამოცდილება. ეს ორი ტექსტი ჰგავს ერთმანეთს, არა მხოლოდ ინცესტის ფაქტით, არამედ ბედისწერის რაობით. საბოლოოდ, ვოლტერ ფაბერს სწორედ ბედისწერა დასცინის, არ აქვს მნიშვნელობა მას რამდენად სჯეროდა ამის.

რომ შევაჯამოთ, ამ ორ ნაწარმოებზე დაკვირვებით ეპოქის თვალსაჩინო მწერლებმა საკუთარ ტექსტებში წამოჭრეს ის თემები, რომელებიც ფილოზოფებმა განიხილეს XX საუკუნის დასავლეთის ძირეულ პრობლემებად. თავიანთ რომანებში ისაუბრეს პიროვნების იდენტობის კრიზისის გამომწვევ შესაძლო მიზეზებზე, რაც გულისხმობს, ღმერთის სიკვდილს

და ტექნოლოგიური პროგრესის წიაღში ადამიანის გაუჩინარებას. ნიშნულ ნარატიულ ტექნიკათა გამოყენებით, რაც ინდივიდუალურ მხატვრულ სტილს წარმოადგენს, ტექსტებში მეტად თვალსაჩინო გახდა პერსონაჟთა გაუცხოებული მდგომარეობა.

რაც მთავარია, ფრიშმა და კამიუმ გააფრთხილეს საზოგადოება, თუ რა შეუძლია გამოინვიოს გაუცხოებულმა, ინდიფერენტულმა მდგომარეობამ, რაც არა მხოლოდ XX საუკუნისათვის დამახასიათებელ, არამედ თანამედროვე პრობლემადაც უნდა განვიხილოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ლევან, „უცხო“ და უცხო თავისუფლება.
2. ეკიზაშვილი გიორგი, კამიუს პირველი, მოსამზადებელი რომანი უცხოსთვის.
3. ეკიზაშვილი გიორგი, კამიუს გაკვეთილი
4. კაკაბაძე ზურაბ, „ეგზისტენციური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია.
<https://burusi.wordpress.com/2011/07/05/kakabadze-3/>
5. კაკაბაძე ზურაბ, რჩეული ფილოსოფიური ნაშრომები (ერთტომეული), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.
6. სარტრი ჟან-პოლ, ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, 2006.
7. Malpas Jeff – Existentialism as Literature
<https://jeffmalpas.com/wp-content/uploads/Existentialism-as-Literature.pdf>
<https://saba.com.ge/books/audiodelails/1448>

სტილი მოდერნი და მისი გავლენა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ევროპული კულტურის წიაღში აღმოცენებულმა მოდერნის სტილმა მსოფლიოს მასშტაბით ფართო გავრცელება ჰპოვა (Сарабянов; 1989: 9). მოდერნის კონცეფცია ადამიანის გარემომცველი რეალობის მხატვრული გარდაქმნა, მისი ესთეტიზება იყო. ფილოსოფიურ თუ მსოფლმეხდველობითი თვალსაზრისით, მოდერნი სილამაზისა და სარგებლიანობის ერთიანობის თეზისით ერთგვარად დაუპირისპირდა ეპოქის მთავარ მამოძრავებელ ღერძს – რაციონალიზმს.

მოდერნის სტილის ფერწერას მრავალგვარობა და მრავალფეროვნება ახასიათებს. მისთვის მნიშვნელოვან სამყაროს ესთეტიკური სრულყოფილებსკენ სწრაფვას შესაბამისი თემატიკაც ახლავს თან: მითები, ლეგენდები, ზღაპრები, რელიგიური სიუჟეტები, თეატრალური წარმოდგენები და სხვ. ასევე, საუბარია სტილის დუალიზმზეც, რაც თავის თავში რეალურის და გამოგონილის ურთიერთკავშირს, მათ თანაარსებობას გულისხმობს. რეალობა და ოცნება, გონება და ირაციონალურობა, მოდერნის სტილის თავისებური ურთიერთსაინანაღმდეგო კატეგორიებია. ხშირად ეს ერთ სასურათე სიბრტყეზე ამ ორ განსხვავებულ მიდგომასაც მოიაზრებს. ალეგორიულ-სიმბოლურ ხასიათთან ერთად, თავს იჩენს მიდრეკილება დეკორატიულობისაკენ. ხაზი განსაკუთრებით გამომსახველი, მეტყველი და მოქნილია.

როგორც ცნობილია, ლადო გუდიაშვილი 1919-დან 1925 წლამდე პარიზში ცხოვრობდა და სწავლობდა. ქართველი მეგობრების გარდა მის გარემოცვას მოდერნისტი პოეტების, მწერლების და მხატვრების მთელი ჯგუფი შეადგენდა (Сарабянов; 1989: 30). მისი ყოველდღიურობა მიედინებოდა მოდილიანის, პიკასოს და სხვათა გვერდით და ხშირად მათთან უშუალო ურთიერთობაშიც. ის იფინებოდა იმ პერიოდის ყველაზე (დღეს უკვე საყოველთაოდ) ცნობილ მხატვრებთან ერთად ევროპის და ამერიკის ჩათვლით. როგორც ვიცით, პარიზი ამ დროს მსოფლიოს კულტურული ცენტრი იყო. მხატვრის ექვსწლიანი დასავლური გამოცდილება სავსეა მრავალი შთაბეჭდილებით და ცოცხალი კავშირებით. ცალკეულ ხელოვანებთან ურთიერთობის გარდა ის, ასევე, ახალი თუ ძველი მიმდინარეობების, სტილების და შემოქმედებითი სიახლეების უშუალო მომსწრე იყო.

1919 წლამდე, საქართველოში ყოფნის დროს ლადო გუდიაშვილი უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი მხატვრული ენის მქონე მხატვარია. ძალიან აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩაბმულია თბილისის მოდერნისტული სულისკვეთებით განმსჭვალულ ცხოვრებაში. მეგობრობს „ცისფერყანწლებთან“, მოდერნისტ მხატვრებთან და პოეტებთან. სხვა მხატვრებთან ერთად მოხატავს „ფანტასტიკური დუქნის“ და „ქიმიონის“ კედლებს. მონაწილეობას იღებს გამოფენებში, მხატვრულად აფორმებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ა.შ.

ლადო გუდიაშვილი მისი თაობის მხატვართა შორის ვფიქრობთ ყველაზე მეტ კავშირს ქართული კულტურის ენასთან, ეროვნულ მხატვრულ აზროვნებასთან პოულობს. მას, რო-

გორც ვერავის სხვას, ყოველთვის გამოარჩევთ სწორედ ამ ნიშნით. ის საფუძველშივე ძალიან მჭიდროდაა გადაჯაჭვული ქართულ სახვით ესთეტიკასა და მსოფლალქმასთან. „ამ ფრესკებმა საკუთარი თავი მაპოვნინეს“ – ასე იხსენებს მხატვარი ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით მოწყობილ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ცნობილ ექსპედიციას (გუდიაშვილი: 1979, 21) და მართლაც, ქართული ფრესკული და მინიატურული მხატვრობის, ასევე, რელიეფური კვეთის თუ ლითონმქანდაკებლობის ნიმუშებში გამოხატული მეტყველი ხაზის გამომსახველობა ერთგვარ გაგრძელებას გუდიაშვილის მხატვრობაში პოულობს. მისი მხატვრული აზროვნების მთავარი გამომსახველი საშუალება სწორედ ხაზია.

გუდიაშვილის მხატვრობის დახასიათებისას ძალიან მნიშვნელოვანია მხატვრის სიმბოლური ენა, მეტაფორულ-მხატვრული აზროვნება და პარალელური ზღაპრული სამყაროს შექმნის ტენდენცია. ეს მაგისტრალური ხაზი მთელს მის შემოქმედებას სდევს თან. „მხატვრის ინტიმურ განცდათა სამყაროში მთავარი ადგილი ოცნებას უჭირავს“ (ნორაკიძე: 74) ვკითხულობთ თვით დიმიტრი უზნაძის თაოსნობით დაწყებულ მხატვრის ფსიქოლოგიურ პორტრეტში. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს ინტერესი და მიდრეკილება განაპირობებს მხატვრის მთელს შემოქმედებას და ასევე ცალკე კარგად ესადაგება მოდერნის სტილისტიკის მთავარ კონცეფციასაც.

მკვლევარი ირინა არსენიშვილი ლადო გუდიაშვილის XX საუკუნის პირველი მეოთხედის შემოქმედებას სტილური მახასიათებლების მიხედვით მოდერნის სტილს უკავშირებს. მოგვიანებით ფუნდამენტურ ნაშრომში მეცნიერი თემას განავრცობს და გუდიაშვილის ამ ხანის მხატვრობას მოდერნის სტილის საზღვრებში ეროვნულ მხატვრულ მოვლენად განიხილავს (არსენიშვილი: 138). მიმოიხილავს მრავალ ნამუშევარს როგორც მხატვრის 1919 წელს შექმნილ ავტოპორტრეტს, ასევე კინტოების და ძველი თბილისის სერიებს. ავტორი მათთან ერთად ახსენებს 1925 წელს შექმნილ ორ ნამუშევარს „მწვანე ფერიებს“ და „ცხენისწყლის ტალღებში“-ს. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ამ უკანასკნელმა, რომელშიც ვფიქრობთ, რომ მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლები ყურადღებისა და მწირი ინფორმაციისა, მას გარდა იმისა რომ სტილური მახასიათებლებით მოდერნის სტილის ყველაზე ნათელ მაგალითად მივიჩნევთ გუდიაშვილის შემოქმედებაში, ის, ასევე, ძალიან მაღალი მხატვრული ღირებულების მატარებელია როგორც საკუთრივ მხატვრის მემკვიდრეობაში, ასევე ქართული თანამედროვე მხატვრობის და, ზოგადად, მსოფლიო ავანგარდული კულტურის ფართო სპექტრში.

სურათში „ცხენისწყლის ტალღებში“ პირველივე შეხედვისთანავე იკვეთება კომპოზიციის ხაზობრივ-დეკორატიული ხასიათი, რაც განპირობებულია მოშავო მუქ ფონზე მსხვილი მონიტალო, მოაგურისფრო ურთიერთსაპირისპიროდ მოძრავი ცხენების ფიგურებით, და ცენტრალური ფიგურით – ქალის ღია ფერის შიშველი სხეულით. თვალს იტაცებს თეთრას საღებავით შესრულებული ტალღების სტილიზებული სახე, რომელიც მუქ ფონზე ტალღოვანი, დენადი ხასიათის ხაზით არის გამოხატული. კომპოზიცია აგებულია ქვევიდან ზევით, ორიენტირებულია სიბრტყეზე, თუმცა თავის თავში მაღავს, შეიძლება ითქვას, „ფარულ მესამე განზომილებას“. სურათის ზედა კიდემდე ასული სტილიზებული, მოქნილი, რბილი ტალღების პარალელურად მიმავალი ხაზები უცნაური კანონზომიერებით, მაგრამ მაინც ქმნიან პლანებს და სიღრმის შთაბეჭდილებას ტოვებენ. განსაკუთრებულად ეს ეხება ქალის ფიგურასთან, კომპოზიციის შუა ნაწილს, სადაც ქალის საკმაოდ პირობითი წელს ქვემოთ გამოსახული სხეულის ნაწილი თითქოს ჩახვეულია წყლის ტალღებში. ქალს მარჯვენა ფეხი „გადადებული“ აქვს ტალღაზე, რომელიც მის ფეხთან სქელი თოკის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს.

ასევე საინტერესო „ქვეშაგებს“ ქმნის ტალღებისგან გუდიაშვილი თავად ქალის შიშველი ტორსისთვისაც. აქ ტალღის თოკები ერთმანეთზეა გადადებული და ქალის სხეულს საკმაოდ მყარ საყრდენს უქმნის. ქალის სხეული ტალღის ფორმას იმეორებს, ის თითქოს ჩანს ნულია ტალღებში. ამასვე პასუხობს მისი უკან გადაწეული ხელები, რომლებიც ტალღების ფორმებს იმეორებს და ერწყმის მათ. მას თავი გვერდზე აქვს გადმობრუნებული, თვალდახუჭულია, შესაძლოა სძინავს ან უბრალოდ ნეტარებას არის მიცემული. მარცხენა მკლავზე გადმოფენილი მუქი, მოგრძო თმის ბოლო, მთლიანი კომპოზიციის რბილი, დენადი, მოქნილი ხაზის ხასიათს იზიარებს.

ქალის სახე ძალზე გამომსახველი და მეტყველია და რეალისტური მხატვრობისთვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენს. ეს ნიშანთვისება ეხება ტორსის ზედა ნაწილს: გულმკერდს, კისერს და სახეს. რაც შეეხება მკერდს ქვემოთ: ნელს, ფეხებს და გადანეულ ხელებს, მათი შესრულების მანერა სრულებით განსხვავებულია – სიბრტყული, პირობითი და ორნამენტული ხასიათის მატარებელია. ამას ადასტურებს უწონო მარცხენა ხელი, უსახსრო მარჯვენა ხელის ფორმა, მისი არარეალური მოხრილობა, ასევე, მუცლის და მენჯების მასშტაბშიც კი არაპროპორციული ზომა და პირობითობა.

საინტერესოა ცხენების ფიგურები კომპოზიციის წინა და უკანა პლანზე. აღსანიშნავია მათი კოლორიტი, რასაც გარდა იმისა, რომ კომპოზიციაში დეკორატიულობის მაღალი ხარისხი შემოაქვს, ამავე დროს, საინტერესოა თავად ის ფაქტი, რომ წინა პლანზე გამოსახული ცხენის გამოსახულება უფრო მუქი მოღვინისფრო-მაყავისფრო ტონალობაშია შესრულებული, ვიდრე უკანა პლანის (იგივე ფერის უფრო ღია ტონი) ფიგურა. მასშტაბშიც სულ ოდნავ მცირეა, ვიდრე წინა პლანის ფიგურა. ამით ნათელი ხდება მხატვრის სურვილი სიღრმის განსაკუთრებული მნიშვნელოვნების უგულებელყოფისა. ამით მხატვარი სიღრმის მაგივრად კომპოზიციის ვერტიკალზე აწყობილი ჰორიზონტალების აქტუალობას უსვამს ხაზს. ამასვე ადასტურებს თვით ქალის გამოკვეთილად ღია, ნათელი ფიგურა წინა ცხენის მუქ ფიგურასთან შედარებით, რომელიც თითქოს თავზე პარალელურად ეფინება ცხენის მუქ ფიგურას. პლანების თვალსაზრისით, მაყურებელთან ყველაზე ახლოს ქალის ნიუ მოდის, ყოველ შემთხვევაში მინიმუმ უთანაბრდება წინა ცხენის ფიგურას. შესაძლოა სწორედ მთავარის და მეორეხარისხოვანის მიზეზითაც ყოფილიყო წინა სილუეტი ასე მუქი, რომ ქალის მარმარილოსებრი სხეული არ დაჩრდილულიყო. რაც შეეხება უკანა ფიგურას, ის ისედაც ქალის ტალღებში ჩახვეული სხეულის უკანა პლანია ერთმნიშვნელოვნად. მისი მეტად გამუქების შემთხვევაში ნიუ შეიძლება ითქვას „ამოვარდებოდა“ ტილოდან. ამით გუდიაშვილმა დააბალანსა კომპოზიცია და სხვა გამომსახველობით, მხატვრულ და კომპოზიციურ ნიუანსებთან ერთად არაჩვეულებრივად გამომსახველი კომპოზიცია შექმნა.

გუდიაშვილის ნატურა, მხატვრული თვალსაზრისით, ძალზე გვაგონებს გუსტავ კლიმტის ქალი პერსონაჟების სახეს, მათ მონაცრისფრო მარმარილოს კანს და შავგვრემან თმას. ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნული არ არის და თვით მოდელების ხასიათსა და მხატვრულ ხერხსაც გულისხმობს.

ავსტრიული მოდერნის ყველაზე მიშვნელოვანი ფიგურა – გუსტავ კლიმტი ასპარეზზე მოდერნის სტილის გვიან პერიოდში 1900-1910-იან წლებში გამოდის (Сарабянов; 1989: 139). მის შემოქმედებაში ისე, როგორც არცერთ სხვა მხატვართან ვპოულობთ მოდერნის სტილის ყველაზე დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. მისი შემოქმედებითი სტილი ყალიბდება ორნამენტულ-დეკორატიული პირობითი გამოსახულების და თითქმის ნატურალისტური სურათის ურთიერთკავშირში.

კლიმტთან ერთ მოდელში მხატვარი შესრულების სხვადასხვა ხერხს მიმართავს, მოდერნის სტილისთვის ასე სახასიათო ორნამენტულ-სიბრტყელის და მოცულობითი ფორმის ერთიანობას (Сарабянов; 1989: 264). მისი საყოველთაოდ ცნობილი დაზგური სურათების უმრავლესობა ამ პრინციპითაა შესრულებული: ივდითი, ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი და სხვ. ამ სახეების დახასიათებისას თვალში საცემია მოდერნის სტილში, ასევე, ძალზედ აქტუალური პერსონაჟი – ქალი ექსტაზში. ეს მხატვრული სახე ხშირად თემასაც განაპირობებს ხოლმე (მაგალითად, ფრანც ფონ შტუკთან და სხვა მხატვრებთან)(სჰაჰჰმეი; 1989: 124). ყველაზე მეტად და ნათლად ეს ნიშანი გამოკვეთილია კლიმტთან, სადაც ეს ხაზი ხშირად ჯაბნის კიდევ სხვა კატეგორიებს.

დავუბრუნდეთ „ცხენისწყლის ტალღებს“, ჩვენი სურვილია საერთო ნიშნების გამოკვეთის საფუძველზე გუდიაშვილის ნამუშევრის მოდერნის სტილთან მსგავსება განვსაზღვოთ. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სიუჟეტის სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათი, პოეტურ-მისტიკური თხრობა, გამოკვეთილი დეკორატიულობა, ორნამენტულობა და მეტყველი ხაზი, რომელიც მოდერნის სტილისთვის, ზოგადად, ძალიან სახასიათოა. ასევე, ზემოთ უკვე ნახსენები მოდერნის დუალიზმი, რომელიც ურთიერთსაპირისპირო ცნებებს აერთიანებს, რაც ფორმისეულ და შინაარსობრივ კატეგორიებში მხატვარის განსხვავებულ დამოკიდებულებებს გულისხმობს. ასეთია აქ გუდიაშვილის მთავარი პერსონაჟი, რომლის ფიგურის აგებისას მხატვარი გამოსახვის ორ საპირისპირო ხერხს მიმართავს – ნატურალისტურს (ყოველ შემთხვევაში აკადემიურს მაინც) და სრულიად პირობით ნახატს, სიბრტყოვანს სტილიზებული ფორმებით.

ზემოთ უკვე შევეხეთ კლიმტის და, ზოგადად, სტილის დამახასიათებელი ქალი პერსონაჟების ხაზგასმულ ეროტიკულობას. ემოციური გამომსახველობის თვალსაზრისით, იგივე შეიძლება ითქვას გუდიაშვილის გმირზე, ალბათ ყველაზე შეუნიღბავად ამ ნიშანს მხატვარი სწორედ ამ ნამუშევარში გამოკვეთს. ვფიქრობთ ქართული ავანგარდული აზროვნების მწვერვალი არის ეს ნიმუში ამ თვალსაზრისითაც.

მკვლევარ ირინა არსენიშვილის მიერ გამოთქმულ აზრს, გუდიაშვილის ამ პერიოდის ნამუშევრების ეროვნულ კონტექსტში მოდერნის სტილის მიკუთვნებულობასთან დაკავშირებით ვეთანხმებით, თუმცა ვფიქრობთ, რომ იმ სერიებში, რომელსაც ავტორი განიხილავს, მოდერნის ნიშნების გარდა სხვა ავანგარდული მიმართულებების და სიახლეების კვალიც აშკარაა. ჩვენი მოსაზრებით, მოდერნის სტილის ნიშნები ჩვენ მიერ განხილულ კომპოზიცი-აში ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი. აქ ყველაფერია: ხაზის გამომსახველობა, დეკორატიულობისკენ სწრაფვა, ერთდროულად ნატურალისტურის და პირობითის ურთიერთკავშირი, ოცნება და მეტაფორული თხრობა, გუდიაშვილის და მთლიანად ქართული ავანგარდული ესთეტიკისთვის მაქსიმალური სითამამით გამოსახული ქალი ექსტაზში პერსონაჟი და სხვ.

და მაინც, ყველა ამ ნიშნის გათვალისწინებით ეს ნამუშევარი ძალიან ქართულია და ვფიქრობთ, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაც სწორედ ამამია. სურათი „ცხენისწყლის ტალღებში“ მოდერნის სტილის ქართულ ნაწარმოებს წარმოადგენს.

მივიჩნევთ, რომ ლადო გუდიაშვილის პარიზული პერიოდი (1919-1925 წწ.) მხატვრის შემოქმედებაში გამორჩეულად ნაყოფიერი და წარმატებული იყო. იქ შესრულებულ ნამუშევართაგან მხატვარმა მხოლოდ მცირე რაოდენობა წამოიღო მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნებისას. ძალიან ბევრი მათგანი კერძო კოლექციებშია დაქსაქსული (მათ შორის სერია „ლადოს კომმარები“ და სხვ.). სრული სურათის წარმოსადგენად მნიშვნელოვანია მათი ბაზის შექმნა, სისტემატიზება და კვლევა, რაც მომავლის საქმეა.

მხატვრის უკვე სამშობლოში დაბრუნების შემდგომი წლები, სავარაუდოდ, სრულიად განსხვავებულად წარიმართებოდა და განსაკუთრებულ გაგრძელებას და განვითარებას ჰპოვებდა, რომ არა აქ არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება, რომელმაც განვითარების და პროგრესის მიზანმიმართული შეწყვეტა და მთელი რიგი სოციალურ-კულტურული კატაკლიზმები გამოიწვია იმ და შემდგომი თაობების ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირ. არსენიშვილი, ქართული დაზგური ფერწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევარი – XX საუკუნის 10-20-იანი წლები, თბ., 2017.
2. ლადო გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი, „ნაკადული“, თბ., 1979.
3. ვ. ნორაკიძე, ლადო გუდიაშვილი (ფსიქოლოგიური პორტრეტი), თბ., 1976.
4. ქართული მოდერნიზმი – 1910-1930, თბ., 2005 (სტატიათა კრებული).
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თსუ გამომცემლობა, თბ., 2000.
6. თ. ტაბატაძე, არტისტული კაფე „ქიმერიონი“ და მისი მოხატულობა. ტფილისი, 1919 წელი, თბ., 2011.
7. მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი, ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები, თბ., 2013
8. В. Беридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии, 1921-1970, М., 1975.
9. Д.В. Сарабянов, Стилль Модерн, Истоки история проблемы М., 1989.

„დუმილის ესთეტიკის“ სემიოტიკური გაგებისათვის

დუმილი, როგორც უბგერო მეტყველების ფორმა, ხელოვნების ამა თუ იმ დარგში განსხვავებულად რეალიზდა. ფილოსოფიამ, ლიტერატურამ, მუსიკამ თუ სხვა მიმართულებებში თავისებური ასპექტით განიხილეს ეს უკანასკნელი. ჩვენი კვლევა „დუმილს“, როგორც უხმო მეტყველებას შეისწავლის მუსიკაში, პოეზიასა და მოდერნისტულ ლიტერატურაში.

აღნიშნულ თემასთან მიმართებით ერთ-ერთი კარდინალური შეკითხვა, რაც დასაწყისშივე უნდა დაისვას, არის შემდეგი: რა არის დუმილი და არის თუ არა ის უბგერო მეტყველება?

მსჯელობა შეგვიძლია დავინყოთ რევაზ სირაძის სიტყვებით: „დუმილი არარაობა როდია. დუმილი უხმაურო არსებობაა. ესაა უხმაურობის შეგრძნება. დუმილი რომ არარაობა იყოს, მისი შეგრძნება არ იქნებოდა და არც იდუმალების ესთეტიკა“ (სირაძე. 2021:543). გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც დუმილი არაფრისმთქმელია და რომ ის კომუნიკაციისას მაშინ დგება, როდესაც სათქმელი არაფერია ან ლექსიკური მარაგი იწურება. რეალურად ამ ერთგვარ „ხანგძლივ და ჩუმ პაუზას“ თავისებური დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, რომელიც ყოველთვის დროულია და იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე სიტყვები. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ სიტყვას გააჩნია ექსპრესიული დატვირთვა. ჭეშმარიტი ლინგვისტური კუთხით ნამდვილად ასეა, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება ლიტერატურაში არ არის აპრიორი და მას არ ვეთანმებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ დუმილი იმაზე უფრო მძლავრი იარაღია, ვიდრე სიტყვა. არისტოტელე აღნიშნავდა: „სიტყვა ადამიანის ყველაზე ძლიერი იარაღია“, – მაგრამ რეალურად ყველამ ვიცით, რომ „არ“ ან „ვერ“ რეალიზებული სიტყვები, რომლებიც მხოლოდ გონებაში სახლობს და გარკვეული მიზეზების გამო უთქმელია, უფრო ძლიერი იარაღი გამოდგება ხოლმე, რადგან „ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რაზეც ხმამაღლა არ გაჰყვიან“. შესაბამისად, დუმილი მეტად მეტყველია, ვიდრე სიტყვა.

სიტყვა ყოველთვის არ გვიყვება ამბავს, მისი ფუნქცია ხელოვნების ნებისმიერ ქმნილებაში შეუძლია შეითავსოს. თუნდაც ნახატები, რომლებიც ომს სტატიკურ მდგომარეობაში დინამიკურად აქცევენ ფერებისა და მისი გრადაციის საშუალებით, ხშირად იმაზე მეტს ამბობენ, ვიდრე სიტყვები.

დუმილი საინტერესო ფენომენია, რომელსაც ერთდროულად საზღვარი აქვს და არ აქვს. ეს უკანასკნელი თავის თავში მოიაზრებს ჩაკეტილ სივრცეს, რომელიც უთქმელი აზრების კორიანტელს იტევს. თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის და თეატრალური კრიტიკის ინიციატორად ნოდებულის უილიამ ჰაზლიტი აღნიშნავდა: „დუმილი საუბრის უდიდესი ხელოვნებაა“. თუ ვერ ვამბობთ სიტყვით, გამოვხატავთ დუმილით. მიგვაჩნია, რომ დუმილი ეს „ფიქრია, რომელიც მნიშვნელობს“. დუმილი ბადებს ჭეშმარიტებას, რადგან ფიქრის საარსებო გარემო დუმილია, ის შეიძლება მედიტაციურ ზონადაც ჩაითვალოს, რაც საკუთარი თავის გაგებაში გვეხმარება.

და მაინც, რა არის დუმილი? უბგერობა ზედმეტად პრიმიტიული განმარტება იქნებოდა ამ უკანასკნელისთვის, ეს ცალკე აღებული ხელოვნება თავისი ესთეტიკით, რომელიც ემოციებით მეტყველებს. ის ყვირის, იცინის, განიცდის, მაგრამ არაფერს ამბობს ბუკვალურად

და ბგერობრივად, თუმცა აზრობრივად მრავლისმთქმელია. მას საკუთარი, დრო-სივრცული პარადიგმა გააჩნია, რომელიც არასოდესაა ზედმეტი და ყოველთვის საჭირო მომენტში დგება. თუნდაც, ლიტერატურაში ხშირად ორ პერსონაჟს შორის დუმილი მაშინ ჩამოწვება ხოლმე, როდესაც განშორება დგება და სიტყვები კონკრეტულ მომენტს, არათუ რაიმე ღირებულს შესძენს, არამედ გააუფასურებს. ჩვენ უფრო მეტად გვესმის ხმაური და მას ვაქცევთ ყურადღებას, ვიდრე სიჩუმეს, რომელიც მას თან ახლავს. „ქალაქის ხმაურმა ძველი მყუდროება დაარღვია, „დუმბო და ზილი დაახშო რკინამ“. ისედაც მდუმარე წარსული თავისი ძველი მდუმარებით უფრო მიმზიდველი გახდა. ბუნების სინყნარემ კიდევ მეტი მიმზიდველობა შეიძინა“ (სირაძე. 2021:547).

აღნიშნულ კვლევაში აქტიურად ვიყენებთ თვისობრივ კვლევის მეთოდსა და კომპარატივისტიკულ ანალიზს, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს დუმილის ფუნქციას ხელოვნების სხვადასხვა დარგში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დუმილს შევისწავლით მუსიკაში, პოეზიასა და მოდერნისტულ ლიტერატურაში. დავინყოთ თითოეული მათგანის განხილვა.

ცნობილია, რომ მუსიკა ბგერების ჰარმონიული და რიტმული რხევაა, რომელიც ემოციებსა და რაიმე ამბავს უწვევად და ე.წ. „მდინარებით“ გადმოგვცემს, მაგრამ ამ უწვევტ მელოდისადაც პერიოდულად პაუზა ახასიათებს. მარტივი თვალსაჩინოებისთვის, წარმოიდგინეთ დარბაზი სავსე მაცურებლით. ირგვლივ ვიოლინოსა თუ სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა ისმის, ყველა ბგერა ერთმანეთში ირევა, მაგრამ არცერთი მათგანია ზედმეტი. შემდეგ არსაიდან ჩდნება პაუზა, ამ პაუზას კი მოსდევს „გამაყრუებელი“ მდუმარება. რატომ დადგა დუმილი? ან რატომ დასჭირდა კომპოზიტორს თითქოს უადგილო პაუზის შემოტანა? საქმე იმაშია, რომ მუსიკალურად გამოცდილმა მსმენელმა იცის, რომ ამბავს, რომელსაც მელოდიად გიყვებიან, გარკვეული პაუზა და „ნოტების გაჩერება“ სჭირდება, რაც აუცილებელია დროებითი შესვენებისთვის, რათა შემდგომში ისევ მივუბრუნდეთ ამბავს.

„წარსულშიც და აწმყოშიც კომპოზიტორები ნაწარმოებებში სიჩუმე-პაუზებს, როგორც შეწყვეტილ სუნთქვას, უხვად იყენებდნენ. XX საუკუნის ბოლოდან კი პაუზებმა განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა. მდუმარება, როგორც კულტურის ენა, სრულიად ახალ მოვლენად იქცა. ხელოვნებაში მდუმარებას თავისთავად არსებობა არ შეუძლია. სიჩუმეს მრავალმნიშვნელოვნად მეტყველება უნდა შეეძლოს. სიჩუმე უნდა „გაჟღერდეს“. საყურადღებოა პაუზების განსაკუთრებული გამომსახველობა შესანიშნავი ავსტრიელი კომპოზიტორის ანტონ ბრუკნერის შემოქმედებაში. „მისი პაუზები“ მსმენელთა წინაშე როგორც მუსიკის სრული გათიშვით, ისე თანდათანობითი ჩაჩუმების ნიშნებად „წარსდგება“ გარინდების სახით გაგრძელებული და თითქოს არაფერში გარდასახული“ (<http://mastsavlebeli.ge/?p=17758>).

ჩვენთვის ცნობილი „სიჩუმის მანესტრო“ გია ყანჩელი აღნიშნავდა: „პაუზა გავლანა სიჩუმეში, რის შემდეგაც კვლავ ბგერა იბადება... და ეს სიჩუმე შევსებული უნდა იყოს წარმოდგენილი მუსიკით, თუმცა უკვე მსმენელის წარმოდგენაში. მუსიკა არ ჟღერს, მაგრამ ცუდია, თუკი პაუზის დროს მსმენელი მუსიკას გამოეთიშება და წყვეტა წარმოიქმნება. თუ პაუზა მუსიკის გაგრძელებად აღიქმება მაშინ ეს პაუზა „მუშაობს“.

მუსიკალურ ხელოვნებაში აბსოლუტური დუმილის უნიკალური მაგალითი ბეთჰოვენი იქნებოდა. კომპოზიტორი, რომელსაც საკუთარი მელოდია მხოლოდ გონებაში ესმოდა. ამ ადამიანმა სიჩუმეში გასაოცარი კომპოზიცია შექმნა თავისი ჰარმონიულობითა და დინამიკურობით.

რაც შეეხება პოეზიას, ის სულის ენაა, რომელიც წინა პლანზე წამოწევს ადამიანის შინაგან განცდებს და მის დაფარულ გრძნობებს აშიშვლებს. თუ პოეზიაში დუმილს პაუზის რელევანტურ ცნებად ვაქცევთ, მაშინ მოგვინებს, მას შესაბამისი სახელი – ცეზურა ვუნო-

დოთ,რომელიც ერთგვარი შესვენებაა ტაეპებს შორის. ამ შესვენებას შესაძლოა ძლიერი ემოციური დატვირთვა ჰქონდეს, რაც პოეტურ ხელოვნებაში, ძირითადად, ტკივილის შეგრძნებასთანაა ასოცირებული და მკითხველის მხრიდან მის აბსოლუტურ შეგრძნებას გულისხმობს. ამასთანავე, პაუზა შესაძლოა მრავალწერტილმაც შეითავსოს. ამ შემთხვევაში ყურადღების გამახვილება გვსურს დუმილზე, როგორც პოეტურ შთაგონებაზე. რამდენიმე სიტყვით გვსურს შევხვთ ტერენტი გრანელს და მის პოეტურ მდუმარებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გრანელის ტრაგედია მის ლექსებში იკითხება. „გრანელისთვის სიჩუმე, დუმილი, გარინდება მუდმივი თანმდევი. თითქოსდა ზეციურ დუმილს იყო დაუფლებული, მიელტვოდა სიჩუმესთან ერთად მარტო დარჩენას, რაც შეუძლებელი იყო ამ ხმაურიან სამყაროში“ (<http://literaturatmcdneoba.tsu.ge/leqsmc-VII.pdf> გვ: 100-101).

გრანელი წერს:

„მაღალო ცაო! ისევ შენ გიმზერ,
იქ უცხო მხარეში ალბათ მომელიან.
ძვირფასო! ვდგავარ გზაჯვარედინზე,
და ვიცი ჩემი გზა ეხლა რომელია.
ისევ აქა ვარ, თუმცა ვარ იქაც,
და ლექსი – გულია, და ლექსი – სისხლია.
სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას,
და ეხლა სიკვდილი ასე ადვილია“
(გრანელი. 1990:20).

ყურადღება გავამახვილოთ ციტატაზე: „სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას“. სხვაგვარად მუსიკის აღქმა მხოლოდ გრანელს შეუძლია. „მუსიკა დუმილში ნაგრძნობი ჰარმონიის ახმიანებაა. პოეზია გამჟღავნებაა დუმილთან შეურიგებელი შემოქმედი სულისა, რომელიც დუმილს იმიტომ არღვევს, რომ მისი არსებობა შეგვაგრძნობინოს“ (სირაძე 2002:144). აღნიშნული ციტატა გრანელის მთლიან შემოქმედებას მიემართება. გრანელი გათვითცნობიერებულად იმიტომ არღვევს დუმილს, რომ მისი ესთეტიკა დაგვანახოს. მისი მდუმარება არ ნიშნავს, რომ პოეტს სათქმელი არ აქვს, პოეტს სათქმელი ყოველთვის აქვს, მაგრამ მისი დუმილი სიტყვებზე მეტს ამბობს. გრანელის შემოქმედებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც დუმილი ერთგვარი მაკავშირებელია მასსა და უფალს შორის:

„იყო სიჩუმე, სამი წერტილი,
მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა.
ახლა შორს ელავს ცა მონმენდილი
და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“
(გრანელი 1991: 35).

სამი წერტილიც თითქოს სიმბოლურად მოსდევს სიჩუმეს და მას კიდევ უფრო მეტად ახანგრძლივებს.

ერთ-ერთი მოსაზრებით, დუმილი ზოგჯერ რაღაც ავისმომასწავებელთან ასოცირდება. ამ კუთხით საინტერესო განსახილველია „დუმილი“ კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაში.

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

ცნობილია, რომ აღნიშნული ლექსი წითელი არმიის თბილისში შემოსვლას უკავშირდება. მკითხველმა ლექსის დასაწყისშივე იცის, ის დუმილი, რომელიც ქალაქშია გამეფებული, სისხლისღვრასა და დამოუკიდებლობის დაკარგვას უკავშირდება.

დუმილის ესთეტიკის თავისებურ გადააზრებას არა მარტო მუსიკასა და პოეზიაში ვხვდებით, არამედ იგი პროზაშიც მრავლად მულავნდება. ჩვენი ინტერესის უშუალო საგანს, ამ შემთხვევაში, ქართული, მეოცე საუკუნის გამორჩეული ორი პროზაიკოსის ლეო ქიაჩელისა და კონსტანტინე გამსახურდიას რიგითი მოთხრობები წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში, დავინყოთ ქიაჩელის „სტეფანეს“ განხილვა, რომელიც ნათლად დაგვანახებს ავტორის მიერ ამ უკანასკნელის აღქმასა და მის დამოკიდებულებას. „ენას არ ძალუძს ადამიანის სულის მოძრაობა გადმოსცეს“ – სიმბოლისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულებაა. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, იმდენად ღრმა მოვლენები, როგორცაა ადამიანთა შინაგანი ზრახვანი, მათი ყველაზე ინტიმური და დაფარული მოსაზრებები, კავშირი სამყაროსა და გონს შორის არ გადმოიცემა სიტყვით, ეს მხოლოდ დუმილს თუ შეუძლია. სწორედ ზემოთქმული არის გადმოცემული ნოველაში „სტეფანე“, რომელშიც ავტორმა აღიარა დუმილის ენის ეგზისტენცია. შეგვიძლია გავიხსენოთ ნოველის შინაარსი, მოვლენათა ქარგა და ნათლად დავინახავთ იმ ყოველივეს, რაზეც ვისაუბრეთ. სტეფანე – ადამიანი, რომელიც მთელ სოფელში ცნობილი მხოლოდ და მხოლოდ ტყუილებითაა. ატყუებს მეზობლებს, ატყუებს ცოლს და ასე უწყინარი სიცრუით გაჰყავს დრო. მეზობლები დაჟინებით მოითხოვენ სტეფანესგან, რომ რამე მოიტყუოს, რადგან მხოლოდ ამით ერთობიან. მთავარი პერსონაჟი კი თავისი პირით ამბობს:

„ყველაზე უკეთესი ამბავი ის არის, რომელიც უსიტყვოდ ესმის ყველას.

თუ ვერ გავიგონებთ, რალა ამბავია? – გაიკვირვეს მამაკაცებმა.

– გაგონება მაინცდამაინც რა საჭიროა!.. მართალი გითხრათ, არც მე მოველოდი, თუ ასე შევძლებდი უსიტყვოდ ამბის მბობას, მაგრამ ჩემი საქმე ისეთია, რომ სულ თევზებთან მაქვს საქმე. თევზმა კი ლაპარაკი არ იცის“.

ამ მეზობლების პარალელურად არსებობს ძუკუ, რომელთანაც სტეფანეს უხმო დიალოგი აქვს. ქიაჩელი წერს: „მეგობრები დუმდნენ და ისე უგდებდნენ ყურს ერთმანეთს“. აშკარა ხდება ჩვენთვის ავტორის დამოკიდებულება დუმილის ესთეტიკისადმი. ადამიანებს შეუძლიათ, რომ უსიტყვოდ, უთქმელად გაუგონ ერთმანეთს, მაგრამ როგორც ნოველიდანაც ჩანს, ეს ყველას არ გამოსდის, ერთეულთა ხვედრია. ნაწილი ხალხისა, მხოლოდ ზედაპირზეა ორიენტირებული, მხოლოდ მცირედს შეუძლია აინტერესებდეს და ჩასწვდეს უთქმელ მეტყველებას.

ახლა კი განვიხილოთ კონსტანტინე გამსახურდია ნაწარმოები „კლარა“, სადაც აღწერილია მგზავრობა მატარებლით. როგორც მოგვეხსენება, მგზავრობა, ზოგადად გზა, საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვისაა ლიტერატურაში. უნდა წარმოვიდგინოთ ერთგვარი საწყისი და დასასრული. ამ გზის განმავლობაში ვხედავთ რალაც ცვლილებებს მთავარ პერსონაჟსა თუ ზოგადად გარემოში. უშუალოდ მინიატურაში „კლარა“, ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენს შორის სიჩუმე დადის, დადის და ენა მიმოაქვს. ჩვენმა სხეულებმა არ იციან, თუ რას მოუთხრობენ ერთიმეორეს ჩვენი სულები“. სწორედ დუმილით ამეტყველდა კლარასა და მგზავრის სულები და მათ შორის გაჩნდა ისეთი ჭეშმარიტი გრძნობა, რომელიც უცხო და მიუწვდომელია მრავალი ადამიანისთვის. „...თითქოს დიდი, დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, თითქოს ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ ძვირფასი და სასუკველი გვეთქვას კიდევ ერთიმეორისათვის, რომ სიტყვა აწი აღარ გვეჭიროდეს, სიტყვებს მნიშვნელობა დაჰკარგვოდეს, ამ ჩვენს საოცარ განმარტოების წუთებში და ახლა ურთიერთის ნდობის სიჭარბეს მიუჭირვებელ დუმილით გამოვხატავდეთ. და გვესმის მატარებლის რაზრაზშიაც თუ ვით ეხებიან ერთი-მეორეს ჩვენი სულების ნაზი, ქურუბიმიული ფრთები“. ვხედავთ, რომ გამსახურდიაც ზედმინევენით მისდევს ზემოთქმულ აზრს დუმილთან დაკავშირებით.

დუმილის ესთეტიკური აღქმა, როგორც დავინახეთ, ხელოვნების არაერთ სფეროში იჩენს თავს, დაწყებული მუსიკიდან – დასრულებული პროზასა და პოეზიაში. დუმილი პიროვნების სულიერ განცდებსა და მისწრაფებების ღრმა ფსიქოლოგიზმს წარმოგვიჩენს. ამ მოვლენაშიც ნათლად ჩანს ისეთი მნიშვნელოვანი რამ, რასაც ცნობიერების ნაკადი ეწოდება. ბუნებრივია, რომ ადამიანებისთვის ყველაზე ღრმა აზრებისა და შეგრძნებების ვერბალური მატერიალიზაცია არ არის მარტივი, რადგან ესაა ქეშმარიტების გადმოცემის უტყუარი ფორმა. საბოლოოდ კი, ნაშრომს დავასრულებთ მეტერლინიკის სიტყვებით: „როგორც კი იძინებენ ბგერები, იღვიძებენ სულები“. სწორედ ამ ე.წ. „გაღვიძებულ სულებს“ და მათ „მეტყველებას“ შეუძლიათ გადმოგვცენ ის, რაც ქეშმარიტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გრანელი 1990.** გრანელი ტ. ლექსები. თბილისი. „ხელოვნება“, 1990.
2. **გრანელი 1991.** გრანელი ტ. ორ ტომად. თბილისი. „აიეტი“, 1991.
3. **სირაძე 2021.** სირაძე რ. „ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“. თბილისი. „არტანუჯი“, 2021.
4. **სირაძე 2002.** სირაძე რ. „სახისმეტყველება“. თბილისი, 2002.
5. <http://literaturatmcdneoba.tsu.ge/leqsmc-VII.pdf>
6. <http://mastsavlebeli.ge/?p=17758>
7. <https://poetry.ge/poets/kolau-nadiradze/poems>

ემიგრანტი ქართველის სახე მხატვრულ ტექსტში (ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სერგო კლდიაშვილი)

შესავალი

ემიგრაციის პროცესი მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს. იგი ხშირად განპირობებულია სოციალურ-პოლიტიკური თუ ფინანსური გარემოებებით. უმეტესობა უცხოეთში გადახვეწილებისა ადვილად ადაპტირდება ახალ გარემოსთან, ადამიანებთან, ენასთან, კულტურასთან. იცვლის თავის ეროვნულ წარმომავლობას და ხდება სხვა ქვეყნის მოქალაქე. ეს პროცესები შეუწელებლად აისახება მხატვრულ ლიტერატურაშიც. ჩვენთვის საინტერესოა საქართველოდან ემიგრირებულთა ბედი, რაც აისახა კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისის თითქმის სხადასხვა მიმართულების თუ მანერის მწერლებთან, როგორებიც იყვნენ ნიკო ლორთქიფანიძე (1880-1944), მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937), სერგო კლდიაშვილი (1893-1986). აღნიშნული თემა მწერლებს რამდენიმე ნაწარმოებში აქვთ ასახული, ზოგიერთს კი მხოლოდ ერთში. ჩვენ მიერ საანალიზოდ შეირჩა ნიკო ლორთქიფანიძის „მელოცვა რადიოთი“ (1928), მიხეილ ჯავახიშვილის „მინის ყვილი“ (1928), და სერგო კლდიაშვილის „ტურისტი“, სამივე ნაწარმოები შექმნილია თითქმის ერთ პერიოდში, კერძოდ, XX საუკუნის 30-იან წლებამდე.

ძირითადი ნაწილი

რამ განაპირობა ემიგრაცია საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან? XX საუკუნიდან იწყება ახალი პროცესები საქართველოში, რომლის დროსაც ერთმანეთშია გადახლართული რუსეთის პირველი, 1905 წლის რევოლუცია, 1918 წლის პირველი მსოფლიო ომი და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა. აღნიშნულს ემატება ევროპული ლიტერატურის ახალი ტალღის შემოსვლა: სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, რომლებიც XIX საუკუნის რეალისტურ მიმართულებასთან ერთად, შენაკადებად უერთდება მწერლობის დიდ მდინარეს – მოდერნიზმს. ამ ფონზე ადამიანი თითქოს უცხოვდება არსებულ ყოფასთან, ნათესავებთან, ტრადიციებთან, კულტურასთან და ახალი ღირებულებების საძიებლად ტოვებს სამშობლოს.

„10-იანი წლების ქართული ლიტერატურა დიდი ყურადღებით ეკიდება იმ დროის ფილოსოფიისა და ხელოვნების მიერ წინა პლანზე წამოწეულ ეთიკურ პრობლემათიკას. ადამიანის შინაგანი ბუნება, მისი პიროვნული რაობა ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს, კერძოდ, ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ნიკო ლორთქიფანიძეს ადამიანი „ცოდვისა“ და „სიკეთის“ თავისებურ შეჯვარედინებად ჰყავდა წარმოდგენილი. მას სწამდა, რომ თვით ზნედაცემულ ადამიანშიც, მისი სულის სიღრმეში სულგრძელი „მომნანიებელი“ არსება უნდა ბუდობდეს“ (კანკავა, 1982, გვ. 443).

სწორედ იმპრესიონიზმის ტალღამ განაპირობა ერთგვარი სპეციფიკა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში, თუმცა იგი არ არის მარტო მინიატურების შემქმნელი, არამედ ქმნის

ერთგვარ ნოველის ტიპის ნაწარმოებს „შელოცვა რადიოთი“. როგორც მკვლევარი თამარ პაიჭაძე აღნიშნავს, მისი ნაწარმოების ცენტრში ადამიანი დგას, მთელი თავისი ტკივილებით და დადებითი თუ უარყოფითი ღრმა სულიერი ტრაგედიით. „მწერლის ნაწარმოებთა ძირითადი ემოცია მარტოსულობის განცდაზეა აღმოცენებული; მაგრამ მარტოსულობის მისტერია აქ სიმბოლისტური აღთქმის ჩვეულ „დღესასწაულად“ როდი მოიაზრება, ის ბევრად უფრო დრამატულ ელფერს იღებს, როგორც შემოქმედის ლტოლვის და ბუნებრივი მდგომარეობის საგანი“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 299).

ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „შელოცვა რადიოთი“ (აღნიშნულ ნაწარმოებს ხან ნოველას უწოდებენ, ხან მოთხრობას) იმპრესიონისტული ნარატივის ნიმუშად მიიჩნევა, რომელიც მიზანმიმართულად ევროპული მხატვრული ფორმატივითაა აგებული და, ამასთან ერთად, ნაციონალური ნიშნით გამოირჩევა. „შელოცვა რადიოთი“ წარმოადგენს, 20-იანი წლების საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ფონზე ემიგრანტი ქართველი ქალის, ელი გორდელიანის ტრაგიკულ ისტორიას უცხოეთში. რამ განაპირობა ელის ემიგრაცია უცხოეთში და შეეგუა თუ არა იგი ოჯახიდან და ქვეყნიდან მოწყვეტას?

შეიძლება ითქვას „შელოცვა რადიოთი“ არის ტიპური ნიმუში საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან. ელი გორდელიანის ქვეყნიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი არის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ფონი, რამაც გამოიწვია სულიერი დეპრესია. საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. ელი გორდელიანის პრიორიტეტად შეიძლება მოვიაზროთ მატერიალური კეთილდღეობა, რომლის ძიებაში მაქსიმალურადაა ჩართული და ამასობაში ავიწყდება სხვა ღირებულებები, მათ შორის სამშობლოც. მატერიალური ღირებულებების წინა პლანზე წამოწევამ გამოიწვია ქართველ ქალში ქართული კდემის სიკვდილი და დარჩა სულის სიცარიელე.

ყველაფერი დაიწყო ელი გორდელიანის ქორწინებით რუს მაღალჩინოსანთან. მან აირჩია მცდარი გზა – უცხოობაში და ფუფუნებაში ცხოვრება, სამშობლოსგან მოშორებით. ამ ნაბიჯით მან დაკარგა პატივი რჩეულობისა.

ელი გორდელიანი გახდა გაუკუღმართებული ბედის მსხვერპლი. ელი გორდელიანისთვის მეორე ქორწინებაც უიღბლო გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ქმარი შედარებით მაღალი ზნეობრივი თვითშეგნების მატარებელი გახლდათ. ამის შემდეგ ელი კიდევ უფრო თამამ ნაბიჯებს დგამს და უკავშირდება უცხო ქვეყნის მოქალაქეს. მატერიალური სფეროს გაუმჯობესებამ ელი გორდელიანს ვერ მოუტანა სრულყოფილების შეგრძნება და მალევე გაიაზრა, რომ მუდმივად სხვის ხარჯზე ცხოვრება მოსაწყენია. ელი გორდელიანს სტანჯავს ნოსტალგია, მონატრება და რაღაც კუთხით სინანულიც.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ელი გორდელიანმა დააფასა ნამდვილი, ღირებული ფასეულობები და მიხვდა, რომ სამშობლო „ერთია“ ქვეყნად და მას ვერაფერი შეცვლის. სამშობლოს მონატრების სურვილს ვერ უმკლავდება და ეს ყველაფერი ხდება მისი სიკვდილის მიზეზიც. აუსრულებელი დარჩა მისი უკანასკნელი სურვილი სამშობლოში დაბრუნების თაობაზე.

„კრემატორიუმის გამგემ მოქანდაკეს გადასცა ოქროს მედალიონში მოთავსებული ელის დამწვარი ნეშტი. ხელოვანმა იგი ჩამალა ქანდაკების გვერდში დატოვებულ ღრუში, სახურავი დაფარა და თავი მოუგნისა.“

ელის ხომ უფრო შეეფერებოდა, რომ მისი ფერფლი სადმე ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ახლო მიმოებნიათ!..“ (ლორთქიფანიძე, 1959, გვ. 180). ელი კვდება, მაგრამ უცხოელის გულში რჩება უსასრულო სევდა სამშობლოში დაბრუნებისთვის თავგანწირულ ქალზე, რომლისთვისაც იქნებ ძველ ქართულ შელოცვას ეშველა.

როგორც აღვნიშნეთ, კვლავ გრძელდება ქართულ ლიტერატურაში რეალისტური ნაკადი, რომლის უბადლო გამგრძელებელია მიხეილ ჯავახიშვილი, მისთვის მთავარია ქვეყნისა და მასზე შეყვარებული ადამიანის ჩვენება. მან ეს კარგად გვიჩვენა „მინის ყივილში“, სადაც ანდრო კაიშაური, ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი, სამშობლოსთან უწყვეტი კავშირის სიმბოლოა.

88 წლის უთვისტომო, სამშობლოდან შორს მყოფი კაცი, ანდრო კაიშაური ხვდება ქართველ სტუდენტს ერთ პატარა ქალაქში. თითქოს ეს შეხვედრა საბედისწეროა, თუმცა უფრო რეალური იქნება, თუ ამ შეხვედრას ქვეცნობიერში ჩამალულ იმედს ვუნოდებთ. განსაკუთრებული სიმძაფრითაა გამოხატული პერსონაჟის ტრაგიკული ისტორია.

ადამიანები საკუთარ „მეს“ ძიებას სიცოცხლის ბოლომდე ცდილობენ და ეს სიცოცხლეც არ ჰყოფნით. ანდრო კაიშაურმა არა თუ თავისი მეორე „მეს“ შეცნობა შეძლო, არამედ აქამდე ვერც კი მივიდა, ვინაიდან თავისი მშობლები, წარმომავლობა, ყველაფერი წარსულის შესახებ დავინწყებული ჰქონდა. ნისლს დაეფარა მოგონებები ბავშვობაზე, წარსულის ტკბილი თუ მწარე დღეები და რა უნდა იყოს ამაზე რთული? როდესაც პიროვნულ სრულყოფილებაში ხელს გიშლის დავინწყებული მომენტები, ნამდვილი ფესვებისა და წარმომავლობის დავინწყება.

აღსანიშნავია მისი ერთადერთი ნატვრა და ანდერძი.

„– ვაი, დედასა! – შემომკვენესის. – ვაი, დედასა! სადა ვკვდები... როგორ ვკვდები!

– ნუ შეშინდით, – ვამხნევებ, – ისე არ მოკვდებით, რომ ანანური ველარ ნახოთ.

მაგრამ ჩემი მე თვითონაც აღარ მჯერა.

– მე ჩემი შევასრულე. – თითქო ვინმე სხვას ეჩურჩულება ანდრო. – ყველაფერი მივეცი ამ ქვეყანას... დანარჩენი თქვენ იცით... ვალი დამიბრუნეთ.

– რა ვალი, მამილო? – ფრთხილად ვეკითხები.

– მინას დაუბრუნეთ ვალი... ჩემი ვალი – ან ცოცხალი ან მკვდარი, ან ცოცხალი ან მკვდარი – ესაა მისი ერთადერთი ნატვრაც და ანდერძიც“ (ჯავახიშვილი, 1959, გვ. 143).

„მინის ყივილი“ უშუალოდ გამოხატავს საქართველოში დაბადებულ, მაგრამ უცხოეთში – საფრანგეთში დაბერებული კაცის ანდრო კაიშაურის ტრაგედიას, რომელიც სიკვდილის წინ მხოლოდ ქართულად ალაპარაკდება. აღნიშნული ფაქტი სინამდვილესთან არის კავშირში, თუმცა არა ჯავახიშვილის ეპოქაში, არა მოთხრობის დაწერისას.

ვფიქრობ, რომ შესაძლებელია მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი ანდრო კაიშაური შევადაროთ დიდ ბრიტანეთში, 20-იან წლებში სულ ცოტა ხნის წინ გარდაცვლილ, 70 წლის წინ წასულ და დამკვიდრებულ გორელ კაცს, ალექსანდრე ბესტავაშვილს, რომელსაც სიკვდილის წინ ქართულად ლაპარაკი მოსდომებია თავის ოჯახის წევრებთან.

დავით კლდიაშვილის (1862-1931) ოჯახში აღზრდილ მწერალ-შემოქმედს სერგო კლდიაშვილს უყვარდა ადამიანი, იყო ჰუმანური და აინტერესებდა მისი ბედი, როგორც თვითონ აღნიშნავს „ადრიან ახალგაზრდობაში გატაცებული ვიყავი სიმბოლისტური და კიდევ დეკადენტური ხასიათის მწერლობით როგორც პროზაში, ისე დრამატურგიაში და, განსაკუთრებით, პოეზიაში (სიმბოლიზმის ეპოქიდან ახლაც ბევრი ნაწერი მსოფლიო შედეგად მიმაჩნია, დეკადანტურიდან კი არცერთის გადაკითხვა აღარ მინდა). იმ პერიოდში ჩამორჩენილობად და მეორეხარისხოვნად მეჩვენებოდა რეალისტური მიმდინარეობა. მართალია, ბევრს ვკითხულობდი მაშინ როგორც ქართველ, ისე რუს და უცხოელ კლასიკოსებს, გულში ძალიან მხიბლავდნენ ისინი, მაგრამ ამას ისევ ჩემს ჩამორჩენილობად ვთვლიდი და საკუთარ თავზე ძალდატანებით ვცდილობდი უარმეყო მათი მომხიბლაობა. უნდა გამოვტყდე ჩემს ცოდვაში, –

ასეთ სიტუაციაში ერთგვარი გულგრილობით ვუყურებდი „სამანიშვილის დედინაცვალის“ ავტორს, ის ხომ წმინდა წყლის რეალისტი იყო!“ (კლდიაშვილი, 2000, გვ. 10).

სერგო კლდიაშვილმა კარგად იცოდა, რომ სწორედ მას უნდა ეპოვა საკუთარი ხმა ცხოვრების სიმართლის გადმოსაცემად. როგორც ნოდარ ჩხეიძე აღნიშნავს, მისი გემოვნება, მისი მხატვრობა ის ხიდია, რომლითაც შეგიძლია გაღმა გახვიდე. „მისი შემოქმედება, ისევე, როგორც მისი პიროვნება რთული, დასრულებული და მთლიანია. მისი მხატვრობა სიცოცხლის სიყვარულის, ცხოვრების სიყვარულის, ადამიანთა სიყვარულის მხატვრობაა“ (კლდიაშვილი, უბის წიგნაკი, 2000, გვ. 13).

თემა, რომელიც „ტურისტშია“ გაშლილი თითქოს ბანალურია. სვანეთისკენ მიემგზავრება ავტობუსი, რომელშიც ორი ადამიანი გამოირჩევა.

„შოფერმა გაოცებით გადახედა და ენიშნა, რომ ის რალაცით მართლაც ჰგავდა უცხოეთიდან ჩამოსულს. სასით, ჰო, უმაღვე იტყვი აქაური არისო, მაგრამ სიტყვებს ისეთი იერით წარმოთქვამს, თითქოს ქართული ახლახან უსწავლია და ჯერ კიდევ ვერ განაფულა...“

– ქართველი კაცი პირველად ხარ საქართველოში? ეგ როგორ? – გაკვირვებას ვერ მალავდა შოფერი. ძალიან უნდოდა გულდასმით შეეხედა მისთვის, მაგრამ თვალს ვერ აშორებდა მთებში შეჭრილ მიხვეულ-მოხვეულ გზას.

– აგრე მოხდა... – ღიმილით თქვა მამაკაცი. – იქ ვარ დაბადებული მამა ემიგრანტი იყო.. ასე რომ...

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა შოფერმა და წამიერი სიჩუმის შემდეგ იკითხა: -თუ უკაცრავად არ ვიყო, თქვენი გვარი?

– გულბანი... რევაზ გულბანი...“ (კლდიაშვილი, სერგო კლდიაშვილი, 1967, გვ. 92).

სერგო კლდიაშვილი აღწერს გულბანის ცხოვრების ერთ მონაკვეთს, რომელიც ცდილობს ნახოს თავისი წინაპრების ნაფუძარი, სვანეთში. გზად მიმავალი გულბანისთვის თითქოს დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს გარემო. მას სულ სხვანაირი წარმოდგინა წარმოშობის ადგილი, მაგრამ რალაც შინაგანი ხმა აიძულებს, რომ გზა განაგრძოს. რაც უფრო უახლოვდება თავის ფესვებს მასში უფრო და უფრო იღვიძებს ქართული სული და ბოლოს, ერთიანად ამოხეთქავს, ამდენი წლის ნაგროვალ მონატრებასა და გენში გამჯდარ კავშირს სამშობლოსთან.

მოთხრობის ბოლოს გულბანი ნამდვილ სვანად გადაიქცევა და მიაგელვებს ბედაურს ძველთაძველი კოშკისკენ. უცხოელი მეუღლე, რომელიც ფიქრობს, რომ მხოლოდ ინტერესი იყო მისი ქართველი ქმრის სამშობლოში ჩამოსვლა, გაოცებული შეჰყურებს მას.

„ბინოკლის ამოსაღებად ის იყო გახსნა ხელჩანთა, რომ უეცრად ძლიერი შეძახილი გაიგონა. ხმა შემზარავი იყო. შემკრთალმა მიიხედა ქმრისკენ, მაგრამ რაც იმ წუთში დაინახა, მოჩვენებად წარმოუდგა... გულბანი თავის თავს აღარ ჰგავდა. უნაგირზე ამართულიყო სახეშეცვლილი მამაკაცი, თვალეზაბრიალებული მიშტერებოდა პლატოს ბოლოზე აღმართულ კოშკებს და რალაცას ლულულულებდა.“

შეშინებულმა ქალმა შემოაბრუნა მისკენ ცხენი, მაგრამ გულბანმა არც მიხედა, მოიფრიალა ქუდი, დასჭყვივლა ზერდაგს, მიუშვა აღვირი და ხმიანი შეძახილით გააქანა იქით, სადაც სოფელი ჩანდა. მიაქროლებდა ცხენს და მისი გამყინავი ხმა კიდევაც დიდხანს ისმოდა შორიდან.

ფერშეცვლილი, მოულოდნელობით გაოგნებული ქალი, ერთხანს იქვე იდგა და შიშნარევად თვალს აყოლებდა პლატოზე მიმქოროლავ მხედარს“ (კლდიაშვილი, სერგო კლდიაშვილი, 1967, გვ. 87).

სერგო კლდიაშვილი 1932 წლამდე არ ყოფილა სვანეთში, მაგრამ მანამდე რაც შეეძენა საკუთარი ფანტაზიით შექმნა და იგი უფრო ახლოსაა რეალობასთან.

„სანამ ვნახავდი, ჩემი ოცნებით შექმნილი დეტალები და ცალკეული ეპიზოდები მე მემორჩილებოდა, მე ვიჭერდი თადარიგს და, ასე ვთქვათ, დირიჟორობას ვუნევედი მათ, ნანახ-მა და რეალურმა კი უეცრად თვითონ მე დამიმონა და ტყვეობაში მომაქცია. ამის შემდეგ შემეძლო მელაპარაკა მხოლოდ იმაზე, თუ რა კეთილ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე ბუნე-ბასთან უშუალო კავშირი“ (კლდიაშვილი, უბის წიგნაკი, 2000, გვ. 12).

დასკვნა

სამივე ზემოთ განხილული თითქმის ერთ პერიოდში შექმნილი ნაწარმოები გვიჩვენებს, უცხო მიწაზე მყოფი ქართველი ემიგრანტის სულიერ ტრაგედიას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ლიტერატურული მიმდინარეობის მიმდევარი მწერლების შემოქმედებაში აისახა, ერთიანად ცხადყოფს როგორ ეწევა ქართული გენი ემიგრანტ ქართველს და ყოველივე ამის მხატვრულ განსახოვნებას საოცარი ორგანულობით განასახიერებს მოთხრობასა თუ ნოველაში. ეს პრობლემა არსებობდა გასული საუკუნის დასაწყისში და ახლაც, თუმცა მისი ნაკლებად განსხვავებული ტრანსფორმაციით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კანკავა, გ. (1982). *ქართული ლიტერატურის ისტორია ტომი V*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
2. კლდიაშვილი, ს. (1967). *სერგო კლდიაშვილი*. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
3. კლდიაშვილი, ს. (1967). *სერგო კლდიაშვილი*. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
4. კლდიაშვილი, ს. (2000). *უბის წიგნაკი*. თბილისი: ლიტერატურის მატრიანე.
5. კლდიაშვილი, ს. (2000). *უბის წიგნაკი*. თბილისი: ლიტერატურის მატრიანე.
6. კლდიაშვილი, ს. (2000). *უბის წიგნაკი*. თბილისი: ლიტერატურის მატრიანე.
7. ლორთქიფანიძე, ნ. (1959). *თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
8. პაიჭაძე, თ. (2018). *მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
9. ჯავახიშვილი, მ. (1959). *რჩეული თხზულებანი ექვს ტომად*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მარიამ ქვლივიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: პროფ. ხვთისო მამისიმედიშვილი

საკრალური ქორწინების მოტივი ქართულ და შუამდინარულ მითებში

საკრალური ქორწინების პირველი მოტივები ადამიანმა ცისა და მიწის ურთიერთმიმართებაში იპოვა. ცა არის მამრი არსება, რომელიც იხუტებს მდედრული ბუნების დედამიწას და წვიმით ანაყოფიერებს. ნაყოფიერების გამომწვევმა მითებმა და რიტუალებმა საპატიო ადგილი დაიკავეს მინათმოქმედი ხალხების კულტურაში.

ნაყოფიერება და საკრალური ქორწინება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ რიტუალებს ყოველთვის თან ახლავს საკრალური ქორწინება, მიუხედავად იმისა, რომ მითში ჰიეროგამიის არსი შეფარულად, მეორეულ შინაარსადაა გაცხადებული.

შუამდინარულ მითებში საკრალური ქორწინება ინანა-დუმის მითებითაა წარმოდგენილი, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს ბუნების ძალთა აღორძინების როგორც ადრესაგაზაფხულო ქართულ დღესასწაულებთან, ისე ქართულ მითთან სახელწოდებით „ხალხური გადმოცემა ვახტანგ გორგასალზე“.

ვახტანგ გორგასალმა კოლექტიური აზროვნების მეშვეობით ისტორიულიდან მითოსურ დროში გადაინაცვლა. მოგონება ისტორიულ პირზე ნელ-ნელა ტრანსფორმირდა. ხალხური აზროვნება იშვიათად ინარჩუნებს თავის წიაღში ინდივიდუალურ მოვლენებს და სწორედ ამიტომ ხალხური შემოქმედებისთვის ნიშანდობლივია, რომ ისტორიული პერსონაჟების ნაცვლად ჩნდებიან არქეტიპები. ისინი თავიანთ მითოლოგიურ მოდელთან იგივედებიან. ისტორიული მოვლენები ფოლკის ცნობიერში სახეცვლილებას განიცდიან. ეს ამბები კარგავენ ავთენტურ და ინდივიდუალურ ხასიათს და ექცევიან არქაული მენტალობის ყალიბში (ელიადე, 2017:71). ვახტანგ გორგასალზე შექმნილ ზეპირსიტყვიერ ტექსტთა სიცოცხლისუნარიანობას სწორედ მათი საერთო მოდელში მოქცეული ფორმა უზრუნველყოფს. ზურაბ კიკნაძის აზრით, ამ ტექსტებში შეინიშნება მეფის აპოთეოზი. იგი გუთნისდედის მითს უკავშირებს შუამდინარულ ინანასა და დუმის საკრალურ ქორწინებას.

„ვახტანგ მეფე და გუთნისდედა“ მნიშვნელოვანი და საინტერესო თქმულებაა ამ ციკლის ზეპირსიტყვიერ ტექსტებს შორის. მასში შეინიშნება სასიყვარულო სამკუთხედი. ვახტანგ მეფეს დედოფალი ლალატობს გუთნისდედასთან. ზურაბ კიკნაძე საგანგებო ყურადღებას უთმობს გუთნისდედის პერსონაჟს და იგი აღნიშნავს, რომ ეს არაა უბრალო გმირი, რომელიც ხვან-თესვითაა გართული. სწორედ მის სახელს უკავშირდება ის უხვი მოსავალი, რომლითაც სრულიად ქართლ-კახეთი საზრდოობს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თავად დედოფალი იჩენს ინტერესსა და ინიციატივას: „მეფის ცოლი ხვნის დროს ზევიდან დასცქეროდა ხოლმე“. მინათმოქმედით მოხიბლული დედოფალი, როგორც მთქმელი ამბობს, კარგი ნამუსის არ იყო

და პატიოსანი გუთნისდედის შეცდენა გადაწყვიტა. გუთნისდედა ღამე ხვრეტდა ციხეს, რომ დედოფალთან მალულად შესულიყო, თუმცა ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნებული ვახტანგ გორგასალი შეუსწრებს მათ. გუთნისდედა მზადაა მიიღოს სასჯელი:

*„დღისითა ვხნავდი გუთანსა,
ღამით ვანგრევდი სალს კლდესა,
შუალამეს შევეყარე
ტანდაბალ და პირად მზესა,
ნამუსზე ხელი ავიღე,
ღმერთიმც უშველი ჩემს მკვლელსა...“ [სიხარულიძე, :57].*

მეფე არ კლავს, მაგრამ ჯავახეთში გადაასახლებს და მოსავლის ბარაქაც თან მისდევს გაძევებულ გუთნისდედას. ამ ფაქტებზე დაყრდნობით, ზურაბ კიკნაძე აყალიბებს მოსაზრებას, რომ თქმულებას აქვს ზედაპირული რომანული შინაარსი, ტუმცა მხატვრული სივრცე ღრმა-მითოსურია. ის დედოფლისა და გუთნისდედას არ მიიჩნევს ტიპურ ადულტერად და მათში ეძებს საკრალური ქორწინების ელემენტებს. *„მთავარი ფიგურა დედოფალია – ის ირჩევს მეფეს, მაგრამ ეს მეფე, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის სიუხვე, არის არა გორგასალი, ფაქტიური მეფე, არამედ გუთნისდედა, რომელიც დამატებით თავისი პროფესიის წყალობით არის დაკავშირებული ნაყოფიერებასთან. დედოფალი ირჩევს გუთნისდედას, როგორც ინანა – დუმუზის. გუთნისდედობა მისი უპირატესობაა კანონიერი მეფისა და მეუღლის წინაშე“ [კიკნაძე, 2016:103].*

ზურაბ კიკნაძე შემდგომ დასძენს, რომ როდესაც დუმუზი ქვესკნელში ჩადის ქვეყნიერება დაშრეტილია მოსავლიანობისგან, ვახტანგ გორგასლის შემთხვევაში კი, მეფე როცა ტოვებს ქვეყანას, არა მას, არამედ გაძევებულ გუთნისდედას მიჰყვება მოსავლიანობა.

გუთნისდედა ნამდვილად თავისი საქმიანობის გამო იქცევა დედოფლის ყურადღებას. დედოფალს, ინანას მსგავსად, მინათმოქმედის მიმართ აქვს ინტერესი. ამ განხილვაში ზურაბ კიკნაძე არ ახსენებს ინანას „პირველ სიყვარულს“. ვფიქრობ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მითოსურ გმირზე, ენქიმდუზე, რომლის კვალსაც ვხედავთ გუთნისდედის სახეში.

ინანა, ნაყოფიერების ქალღმერთი, თავად ირჩევს მეფეს, რომელიც აუცილებლად მინათმოქმედია, რაც ნამდვილად ჩანს ამ თქმულებაში. დედოფალია ინიციატორი გუთნისდედასთან სასიყვარულო რომანის წამოწყებაში. ზურაბ კიკნაძე დუმუზს განიხილავს, როგორც ნაყოფიერების გარანტს, თუმცა ინანასთან შეუღლებამდე დუმუზი მხოლოდ მწყემსი იყო. თავდაპირველად ინანას ინტერესი არა დუმუზის, არამედ ენქიმდუსკენ იყო მიმართული. მართალია, რომ კანონიკურ მითებსა თუ კულტში დუმუზი ინანას აღიარებული სასიძო და ქმარია, თუმცა *„თუ გადავხედავთ საერთო მითოსურ პერსპექტივაში, დავინახავთ, რომ მის გულს ამოურჩევია არა დუმუზი, არამედ სხვა კაცი, ვინმე ენქიმდუ. „კაცი არსებისა და გუთნისა“, რომლის საქმიანობა არსებითად განსხვავდებოდა მწყემსობისგან. ეს იყო ინანას პირველი სიყვარული, რომელსაც განხორციელება არ ეწერა“ [კიკნაძე, 1979:211].*

„ინანას ნიშნობის“ პირობითად დასათავურებულ ტექსტებში ნათლადაა წარმორჩენილი, როგორ ეცილებიან ინანას ქმრობაში მწყემსი დუმუზი და მინის მუშაკი ენქიმდუ. მწყემსი თავის ფარას პატრონობდა, მინის მუშაკი კი ხნავდა და თესავდა ყანებს. თითოეული ქალღმერთს აღუთქვამდა თავისი ნაშრომის ნაყოფს. დუმუზს, როგორც სასიძოს კანდიდატს, გვერდს უმაგრებს ინანას მამა, მთვარის ღმერთი სინი, რომელიც მესაქონლეთა პირველი პატრონი იყო. სინს დუმუზის შესანიარავი მეტად ხიბლავდა, ვიდრე ენქიმდუსი, თუმცა ინა-

ნას, როგორც წესწყობილების უგულებელმყოფელს, აინტერესებდა არა მწყემსი, არამედ მინათმოქმედი. მისი გული მინათმოქმედ ენქიმდუს ეკუთნოდა. მას დუმუზის სახელის გაგონებაც არ სურდა. იგი მოხიბლული იყო ყველა იმ სიკეთით, რაც მინათმოქმედებას მოაქვს, ხოლო დუმუზს მწყემსობით ინუნებდა.

*„რალა ქნას კაცმა, გულისა ჩემის სანებელმა,
კაცმა, გულითა ჩემით არჩეულმა,
რომელიც ბელლებს ხორბლით აღავსებს,
მინის მოქმედმა, ხორბლის მეხვავემ?
მწყემსმა რა იცის თვინიერ ფარებისა?“ [კიკნაძე, 1979:2012].*

ინანას არ აინტერესებს დუმუზის შესაძლებლობა და არც სასიძოს მხარდამჭერი მამისა და ძმის აზრი.

*„მე მწყემსი იგი ვერ წამიყვანს,
თავისი ახალი სამოსელით ვერ შემმოსავს.
მე ქალწულს, მინის მოქმედი წამიყვანს,
მინის მოქმედი, ხილის მომყვანი.
მინის მოქმედი, ხორბლის მოხვავე“ [კიკნაძე, 1979:2013].*

ინანას სიმბათია მინათმოქმედის მიმართ არ არის შემთხვევითი. იგი ზრუნავს ურუქის ბაღზე. განსაკუთრებული თავგადასავალი აკავშირებს მებაღე ურუქაგინასთან. მებაღე იშულანუ ინანას რჩეული იყო, მაგრამ თავად იშულანუმ არ ინება ქალღმერთთან ყოფნა. ინანა მხოლოდ იმისთვის შეიყვარებს და მიანიჭებს მეფობას აქადელ შარუქინს, რომ იგი მებაღეა. ინანას ბალი უყვარს და სწორედ ბაღში შეიძლება ასრულდეს მისი საკრალური ქორწინება.

ინანა იმდენადაა სამინათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებული, რომ მწყემს დუმუზს, რომელთანაც იქორწინებს, მიანიჭებს მინათმოქმედების ძალასაც. მწყემსმა დუმუზმა ინანასთან ერთად ენქიმდუს წაართვა მინათმოქმედების უნარი.

ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ თქმულებას ვახტანგ გორგასალზე. დუმუზი თავდაპირველად მწყემსია, მას სრულებით არ აქვს სამინათმოქმედო უნარი, ისევე როგორც ვახტანგ გორგასალს. მეფის უპირატესი ფუნქცია თავისი ხალხის დამწყემსვაა, შესაბამისად, სრულიად ლეგიტიმურია, განვიხილოთ ვახტანგ მეფე, როგორც მწყემსი. ჩემი აზრით, გუთნისდედა კი არ შემოდის დამატებით პერსონაჟად თავისი ფუნქციის გამო, არამედ იგია სახე ენქინდუსი. შუამდინარული მითებიდან გამომდინარე, არსებობდა სასიყვარულო სამკუთხედი ინანა, დუმუზისა და ენქიმდუსი. ისევე როგორც გვაქვს დედოფლის, ვახტანგ მეფის და გუთნისდედისა. ამ ორი მითოსის მოდელი აშკარად ერთმანეთის მსგავსია და მათში თითქმის იდენტურად მეორდება დეტალები, თუმცა მაინც რჩება ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება შუამდინარულსა და ქართულ მითოსს შორის: ფაქტობრივი მეფე, ვახტანგ გორგასალი, დედოფალთან შეუღლებით ვერ იღებს იმ სამინათმოქმედო უნარს, რაც ინანამ მიანიჭა დუმუზს. დედოფალი, მართალია, ამჟღავნებს ინანას ინტერესებსა და სურვილებს მინათმოქმედის მიმართ, თუმცა მის სახეს დაკარგული აქვს ღვთაებრივობის განცდა, ამიტომ არ შეუძლია, ფაქტობრივ მეფეს მიანიჭოს უხვმოსავლიანობის უნარი. სწორედ ამიტომ არის უპირატესი გუთნისდედა ფაქტობრივ მეფესთან მიმართებით. როდესაც ვახტანგ მეფე ქვეყნიდან გადის, ქვეყანას ამით არაფერი აკლდება, მაგრამ როდესაც გუთნისდედას გადაასახლებენ, მოსავლიანობაც თან მიჰყვება, თუმცა ამის მიუხედავად, ქართულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ვახტანგ მეფის სახემ წამდვილად განიცადა აპოთეოზი, რასაც ვერ ვიტყ-

ვით მისი დედოფლის შესახებ, რომლის მხატვრული სახე არათუ დაცლილია ღვთაებრიობისგან, არამედ დამდაბლებულია, როგორც მოღალატისა და გამცემის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალისა.

საკრალური ქორწინების მნიშვნელობა მხოლოდ მითების მეორეულ შინაარს არ შემოუნახავს. ქართულ ადრესაგაზაფხულო დღესასწაულებს, რომელთა ჩანაწერებიც ჩვენ მე-19 საუკუნიდან მოგვეპოვება და მრავალი თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური მოტივებითაა შეფუთული, მკვეთრად ეტყობა არქაული მითოლოგიური მოტივებისა და ნაყოფიერების შესათხოვარი კულტმსახურების ელემენტების კონტურები. „მიუხედავად იმისა, რომ ბერიკაობა-ყენობაში ნაირგვარი მითოლოგიური შრეებია წარმოდგენილი, მასში შეინიშნება ყველასათვის საერთო ძირითადი სტრუქტურა. გამოსარჩევია არა დანამატი ეპიზოდები და მისტერიები, შემდეგდროინდელი შინაარსობრივი ელემენტები და პოლიტიკური პლანი, არამედ არსებითი მხატვრული და სიუჟეტური მოტივები, ის ქვეცნობიერი და ზნეობრივი პლასტები, რომლებიც მასშია ჩაქსოვილი; თუ ამას ვერ აღვიქვამთ და ვერ შევიგრძნობთ, დღესასწაულის არსი ჩვენთვის მიუწვდომელი დარჩება“ [რუხაძე, 1999:10].

შუამდინარული მითოლოგიური სამყაროდან უნდა გამოვყოთ ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი კულტმსახურების ორი მნიშვნელოვანი დღესასწაული: აქეთუ და ინანა-დუმუზის მისტერიები, რომელთა უმთავრეს ნაწილს საკრალური ქორწინება წარმოადგენს. პირველი ადრესაგაზაფხულო პერიოდში იმართებოდა, ქერის მკის ჟამს, როცა შემოდგომით დათესილი ქერის მკის ალო მოანეცდა (კიკნაძე, 2021:105). საინტერესოა, საქართველოში, აგრარული ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში, სადაც სამინათმოქმედო კულტურას ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ეს დასტურდება, როგორც ანტიკურ ბერძნულ-რომაულ წყაროებში, ისე თვით ქართულ ფოლკლორში, თუ გვქონდა აქითუსა და ინანა-დუმუზის ტიპოლოგიურად მსგავსი დღესასწაულები.

აქითუს, ანუ ახალი წლის დღესასწაული ბაბილონში ტარდებოდა და ბერიკაობის მსგავსად რიტუალი 7 დღე გრძელდებოდა. გარდა ხანგრძლივობათა დამთხვევისა, ეს ორი დღესასწაული შინაარსობრივადაც ძალიან ემსგავსება ერთმანეთს. ძველი ადამიანის წარმოდგენით ახალი წელი ბუნების გაცოცხლებასთან ერთად გაზაფხულზე იწყებოდა. ბერიკაობის კულტმსახურება, ისევე როგორც აქითუსი, ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი, ამასთანავე „საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, ხევისურეთში ბერიკაობა ახალი წლის მეორე დღეს „კუმეტს“ იცოდნენ. ჩრდილოეთ ოსეთის მთის სოფლებში ბერიკაობის მსგავს დღესასწაულს, ნიღბებით, კარადაკარ სიარულითა და რიტუალური პროცესიამსვლელობით ახალ წელს, წმინდა ბასილის ხსენების დღეს მართავდნენ და ბასილობის დღესასწაულს (ბასილთეს) უწოდებდნენ“. აქითუს მსგავსად, ბერიკაობის დღესასწაულიც რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა: სამზადისი, მსვლელობა, თეატრალური სანახაობა და საკრალური ქორწინება. ნიშანდობლივია, რომ ბერიკაობის რიტუალშიც ჩნდება გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაებების ძველი დანაშრევეები. ვფიქრობ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე. შუამდინარულ მითოლოგიაში ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი კულტმსახურება ორ მნიშვნელოვან დღესასწაულში გვხვდება: აქითუ და ინანა-დუმუზის მისტერიები. აქითუ ადრესაგაზაფხულო დღესასწაულია, ხოლო ინანა-დუმუზისადმი მიძღვნილი რიტუალი დუმუზის თვეში, ივლისში, ტარდებოდა, ე.ი. იგი მოსდევს აქითუს დღესასწაულს და თითქოს მის დაწყებულ შინაარს ავითარებს და აგვირგვინებს. საკრალური ქორწინება და ქვესკნელში ჩასვლა-ამოსვლა აქითუს დღესასწაულში უმთავრესი ნაწილია. იგივე მნიშვნელობა აქვს გარდაცვალება-აღდგენას, ქორწინებას ინანა-დუმუზის მისტერიებში. საქართველოში ბერიკაობა წინ უსწრებდა ყენობას. ბერიკაობის სანახა-

ობას თუ დავცლით გასართობი, დესაკრალიზებული დეტალებისგან, დავინახავთ, რომ მასში უძველესი ფორმაციის ადამიანის წარმოდგენებია შემონახული, რომელიც ტიპოლოგიურად ემსგავსება შუამდინარული კვდომა-აღდგინების მითოსებს. შუამდინარეთში აქითუს დღესასწაულის მსვლელობას (რომელიც, ასევე, გულისხმობდა საკრალურ ქორწინებას) მოსდევდა ინანა-დუმუზის მისტერიები. ქართულ კულტურაში ბერიკაობის სანახაობას, რომელიც ბუნების განახლებისა და „ახალი წლის“ დაწყების მაუნყებელია, მოჰყვებოდა ყეენობა, აგრეთვე ბუნების აღორძინების მისტერია. ჯულიეტა რუხაძე ბერიკაობა-ყეენობას განიხილავდა არა დამოუკიდებელ თეატრალურ წარმოდგენად, არამედ ერთიან კულტმსახურებად. მართლაც, თუ დავუკვირდებით ჩვენამდე ჩანერილ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს, შევამჩნევთ, რომ ბერიკები ისევ მონაწილეობენ ყეენობის მსვლელობაში. თითქოს ყეენობის დღესასწაული აგვირგვინებს ბერიკაობის დაწყებულ რიტუალს.

ყეენობის დღესასწაულში ეროტიკული ნაწილი, საკრალური ქორწინება კულმინაციური მომენტია, რომელსაც მოსდევს კვდომა-აღდგინების მისტერია. მონაწილე ბერიკებს, ან ყეენს წყალში აგდებდნენ, რითაც დახრჩობა (წყალში დანთქმა) გაცოცხლების რიტუალი სრულდებოდა. წყლის სტიქიაში ჩანთქმა-ამოსვლის მოტივები ქართული მითოსისთვის უცხო არ არის: ამირანი წყლის სტიქიამ, გველეშაპმა, უნდა შთანთქმას, რომ ხელახლა დაიბადოს განახლებული ძალით, ისევე როგორც აქითუს მთავარი მითოსური პერსონაჟი, მარდუქი, უნდა ჩაინთქას თიამათის ქაოსში, რომ დაამყაროს კოსმოსი. კვდომა (ზამთარი) სანინდარია უკეთესი სიცოცხლისა (გაზაფხული).

რაც შეეხება ბერიკაობას, დღესასწაულის ჩანაწერებში გვხვდება ისეთი ეპოზოდები, სადაც კეკელა, პატარძალი, ბერიკოს დასტირის. შუამდინარულ მითოლოგიაში ქვესკნელში ჩასული დუმუზი ინანამ უნდა დაიტიროს. დუმუზი ტრაგიკული პერსონაჟია. მწყემსი, რომელიც სასიკვდილოდ განწირულია. მოტირალი ინანა მიმართავს გარდაცვლილ დუმუზს:

*„უდაბნოში, ჩემო დუმუზი, შენს გამო მოვთქვამ,
არალის ტაძარში შენს გამო მოვთქვამ,
ბად-თიბირიში შენს გამო მოვთქვამ,
დუ-შუბაში შენს გამო მოვთქვამ,
მწყემსობის მხარეში შენს გამო მოვთქვამ,
დუმუზის ფარეხში“ [კიკნაძე, 1979:230-231].*

ახლა ვნახოთ მესხეთ-ჯავახეთში ჩანერილი ბერიკაობის სანახაობის ერთი ეპოზოდი: „ბერიკო ავად გახდება, მას მოუყვანენ ექიმს და იგი გასინჯავდა. ბერიკო კვდებოდა. პატარძალი თავის ბერიკოს მოთქმით ტიროდა. ბოლოს პატარძალი ბერიკოს ქვეშ წყალს შეასხმა და მკვდარი ბერიკო ამით ცოცხლდებოდა და ზეზე წამოხტებოდა“ [ჯანელიძე, 1983:230].

ეს მისტერიები მიუთითებენ ბუნების კვდომასა და განახლებაზე, შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია, რომ მათ ღვთაებებს აქვთ უნარი ქვესკნელში ჩასვლა-ამოსვლისა.

3. Ibrahimov K. (2016, December 11). A monument near Maiden Tower (Qız qalası yaxınlığındakı abidə). *Azərbaycan newspaper*. *Azərbaycan newspaper* https://www.elibrary.az/docs/qazet/qzt2016_3779.htm
4. International Conventions joined by the Republic of Azerbaijan. Azerbaijan Diplomacy. Administrative Department of the President of the Republic of Azerbaijan Presidential Library. <https://files.preslib.az/projects/azdiplomacy/a4.pdf>
5. Koltunov S. (2021, December 24). *St. Bartholomew church near Maiden Tower in Baku*. Official website of Diocese of Baku and Azerbaijan. https://az.pravoslavie.az/history/orthodox_churches_azerbaijan_history/?id=13696
6. Rajabli H. (2016, April 22). Azerbaijan example of multiculturalism policy (Multikulturalizm siyasətinin Azərbaycan nümunəsi). *Səs newspaper*. <http://www.anl.az/down/meqale/ses/2016/aprel/486888.htm>
7. *St. Nicholas church*. (n.d.). “Icherisheher” State Historical
8. Architectural Reserve Administration. Retrieved July 24, 2023 from <https://icherisheher.gov.az/az/monument/12>
9. Thomas de Waal. (2003). *Black Garden – Armenia and Azerbaijan Through Peace and War*. New York University Press

ნიკოლოზ მაისურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი – პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი

**ალავერდი ხანის გზა სპარსეთამდე და
მისი ქართული კულტურის ნიშნები**

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხი არაერთი მეზობელი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ ყოფილა მოქცეული, რომლებმაც შემოიტანეს თავისი კულტურული და ენობრივი ნიუანსები. ეს გავლენა განსაკუთრებით ნათელია ისლამური სახელმწიფოებისაგან, რომელთა მთავარი მიზანიც ქვეყანაში ქრისტიანობის მაჰმადიანობით ჩანაცვლება და ქართველი ხალხის გადაგვარება იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურ პოლიტიკას მისდევდა ირანის სეფიანთა დინასტია (1502–1736), რომლის არსებობის პერიოდშიც სპარსეთის სამეფო კარსა და, ზოგადად, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში დანიშნულა არაერთი გამაჰმადიანებული ქართველი. მათი სახელები ირანის ისტორიაში არაერთხელაა ნახსენები, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებულია გამაჰმადიანებული ქართველი ალავერდი-ხანი უნდილაძე, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე შაჰ-აბას I-ის კარზე. ალავერდი-ხანის პიროვნებისადმი ინტერესს სწორედ მისი წარმომავლობა აღვივებს, რომელიც არაერთი ცნობით დადასტურდა, რომ ქართულია, კერძოდ მისი შვილის უნდილაძედ მოხსენიებითა და ევროპელ დიპლომატთა ჩანაწერებით. უშუალოდ ირანში მოხვედრის შესახებ ისტორია საკამათო საკითხია. ერთი ვერსიით უნდა ითქვას, რომ მისი ირანში გადახვეწა ბავშვობიდან იწყება, როდესაც იგი მსხვერპლი გახდა ყიზილბაშთა მტაცებლური თარეშისა, რამაც სპარსეთში გადაისროლა, როგორც არაერთ ხელში მოხვედრილი ვაჭრობის ობიექტი და ტყვე. სწორედ აქ, გამაჰმადიანების შემდეგ, დაიწყო მისი გამოჩენა საზოგადოებრივ ასპარეზზე. მეორე ვერსიით, უნდილაძეთა გვარი გადაიხვეწა ირანში ფეოდალთა დაპირისპირებით შექმნილი საფრთხის გამო. მაშინ, როცა „უნდილაძე“ XIII და XV საუკუნეებში მნიშვნელოვნად იხსენიება, XVI საუკუნეში ეს გვარი მხოლოდ რამდენიმე მარტივი შინაარსის საბუთში გვხვდება საკუთრების შესახებ. უნდილაძეთა სახლთან მტრობაზე მეტყველებს XV საუკუნის შუა ხანის მცხეთის გუჯარში მოხსენიებული სიტყვები: „უნდილაძეს არ ვეშინაურებოდეთ, არ ვემოყურებოდეთ, არ ვენო, არ ვინუიო და გულმართლად მისი მტერი ვიყო“. ფაქტია, ისინი კათალიკოს დავითის მოწინააღმდეგეებიც არიან, რასაც ემატება ქართლის სხვა ფეოდალური გვარები. ამდენად მათი ბრძოლა არ გამოდგა წარმატებული და მოექცნენ იზოლაციაში, რამაც პოლიტიკურად დააყენა გაქცევის საჭიროება. მსჯელობას დამაჯერებელს გახდის მსგავსი სიტუაციის ცნობილი სააკაძის მაგალითი. პარალელურად კი გარემოება, რომ სპარსეთში პირველად მხოლოდ ალავერდი-ხანის სახელი გამოიკვეთა ბადებს ეჭვს, რომ ვერსია ოჯახის გაქცევაზე მცდარია.

ყიზილბაშთა მიერ გატაცებულ და მონად გაყიდულ ბავშვთა აღზრდა მოკლებული იყო ადამიანის პირვანდელ კულტურულ სივრცეს. გამაჰმადიანებისა და გასპარსელების ეთო-

დებით ჩამოყალიბებული პიროვნებები ნაკლებად, ან საერთოდ არ ამჟღავნებდნენ მშობლიურისადმი სწრაფვას, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიშველიოთ ალექსანდრე II-ის ძე კონსტანტინე მირზა, რომელიც გაამაჰმადიანეს და აღზარდეს შაჰ-აბასის კარზე, თუმცა მისთვის ცნობილი იყო, რომ მამა არა თუ უბრალო ფეოდალი, არამედ მეფე იყო.

მიუხედავად ამისა, პროირანულმა აღზრდამ უზრუნველყო მისივე ხელით მამის მოკვლა. ალავერდი-ხანი კი სრულიად განსხვავებულ პიროვნებად ყალიბდება, რომელშიც იკვეთება ქართულისადმი დადებითი დამოკიდებულება და მეტიც, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვისაგან თავის არიდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება მეორე ვერსიის სისწორე, რომ ალავერდი-ხანის ამგვარ განვითარებას სჭირდებოდა აღზრდის არა ირანული, არამედ ქართული ბაზისი მშობლებისაგან, რომლებიც მას შეასწავლიდნენ თუ საიდან მოდიოდნენ.

ერთი მხრივ, ის დამკვიდრდა ირანში და მისი ნაწილი გახდა, რომელსაც ემსახურებოდა, ხოლო მეორე მხრივ, საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნდა. ის პირველად იხსენიება ჰამზა მირზას მკვლევლობისას 1586 წელს, როგორც სამეფოს იუველირთა ზედამხედველი.

ზარგარბაშის თანამდებობაზე მისი ყოფნა, რაც, ძირითადად, ფინანსების მართვას უკავშირდებოდა, იმაზე მიუთითებს, რომ იგი კარგად იყო გარკვეული სამეფო კარის ამბებში და რომ მისი კარიერა სამეფო კარზე გარკვეული ხნით ადრე უნდა დაწყებულიყო (მაედა 2011, გვ. 41).

იაპონელი ქართველოლოგი ჰიროტაკე მაედა ციტირებს მნიშვნელოვან ტერმინს ისქანდერ მუნშის წიგნიდან „აბასისი ქვეყნის დამამშვენიებელი ისტორიის გაგრძელება“.

შესაბამისი პერიოდის სპარსულ წყაროებში შეტანილია ტერმინი „აზნავარზადე“, რაც აზნაურის ვაჟს ნიშნავს. ამგვარი ტერმინის საჭიროების გაჩენა იმაზე მიუთითებს, რომ სეფიანთა ადმინისტრაციაში ქართველ თავად-აზნაურთა მოღვაწეობა ჩვეული ამბავი ყოფილა (მაედა 2011, გვ. 49).

მიუხედავად ირანულ დიასპორაში სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისა, მასში ქართული მენტალიტეტის კვალი და ნიშნები მკაფიოდ იკვეთება. ამაზე მეტყველებს მის მიერ ქართული კულტურული შედეგის „ვეფხისტყაოსნის“ შესაძლო პოპულარიზაციის მცდელობა, ცოლის ქართული ეროვნება და სხვა, რაზეც ვრცლად გვექნება საუბარი კვლევის მიმდინარეობისას.

XVI საუკუნის ბოლო პერიოდიდან 1614 წლამდე ალავერდი-ხანი მართავდა სამხრეთ ირანში ფარსის საბეგლარბეგოს. შვილებითა და შვილიშვილებით არა მხოლოდ გავლენიან პიროვნებებად, არამედ უმდიდრეს ოჯახადაც ითვლებოდნენ. ინგლისელი ისტორიკოსი მალკოლმი შაჰის სიტყვებს ადასტურებს იმამყული-ხანისადმი (ალავერდი-ხანის ძე): „ერთი ღირჰემით ნაკლები დახარჯე, ხალხმა ჩემსა და შენ შორის განსხვავება იცოდესო“. თუმცა ჩნდება კითხვა თუ როგორ შეეძლოთ ოლქის მმართველთ ამხელა ქონების დაგროვება?

უნდილანთ ფეოდალური სახლის წარმომადგენლები ფლობდნენ ბაზრებს, ფუნდუკებს, ქარვასლებს. აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში, რადგანაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო გზები იმ დროს ისპაჰანსა და დარსის ქალაქებზე გადიოდა (გაბაშვილი 1972, გვ. 65).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალავერდი-ხანის სიმდიდრეს განაპირობებდა სწორედ თავად ფარსის საბეგლარბეგოზე გამავალი აბრეშუმის გზა, რომელიც ისპაჰანისაკენ მიემართებოდა. გამომდინარე სავაჭრო სივრცეების ფლობიდან, ეს იყო შესანიშნავი შანსი სპარსეთის ყურის მახლობელი რეგიონი სასარგებლოდ გამოეყენებინა ჭკვიან ხელისუფალს, რომელსაც ჰქონდა სამეფო კარის ფინანსებთან მუშაობის გამოცდილება. როგორც

პორტუგალიელი დიპლომატი ანტონიო დე გოვეა მოგვითხრობს, ალავერდი-ხანის შემოსავალი მხოლოდ ფარსიდან 50-100 000 ეკიუ იყო.

შაჰ-აბას I-ის (1587-1629 წწ.) მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა მის დროს შექმნილი ე.წ. ყულის ჯარი – მეფის პირადი დაცვა, რომლის პირველი ყულარაღასიც ალავერდი-ხანი გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ აღნიშნული ძალის უმეტესი ნაწილი შედგებოდა ტყვედ წაყვანილი გამაჰმადიანებული კავკასიელებისგან, ლოგიკურად შეგვიძლია მივიჩნიოთ მის მეთაურად ალავერდი-ხანი, რომელიც იზიარებდა გვარდიის ქვეშევრდომთა ისტორიას სამშობლოსგან მოწვევით და უზრუნველყოფდა იდეოლოგიურ სიმტკიცეს. ასევე ე.წ. მონა-ჯარისკაცი მარტივი იარაღი იქნებოდა მსგავსი გამოცდილების მქონე კაცის ხელში. არგუმენტს დამაჯერებლობას სძენს ისიც, რომ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, ყულის ჯარს მხოლოდ ქართველები სარდლობდნენ, სანამ 1722 წელს ავღანელები არ გაბატონდნენ ირანის მიწაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ალავერდი-ხანს ერთ-ერთი მატერიალური შემოსავალი ქ. გულფაიგანიდან ეკუთვნოდა, როგორც ყულარაღასს.

თავად შაჰ-აბასისათვის ალავერდი-ხანი ანგარიშგასანევი და დაფასებული ფიგურა იყო. სწორედ ამან განაპირობა ევროპელ მოგზაურთა ინტერესი მისდამი. ერთ-ერთი ასეთი იყო ინგლისელი დიპლომატი ანტონი შერლი, რომელიც 1599 წელს ჩავიდა სპარსეთში და იქ 6 თვე დაჰყო. მას სჭირდებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც დაეხმარებოდა შაჰთან დაახლოებაში და წერს: „ასეთებად მე მივიჩნე ალავერდი-ხანი – მისი გენერალი, და შაჰთანას ყული ბეგი – ორივე ქართველი. და თუმცა ისინი მაჰმადიანებად აქცია მეფის მამამ, რომელსაც მიუყვანეს ახალგაზრდობაში, მაინც მათ მუდამ ქრისტიანული გულები ჰქონდათ და უსაზღვროდ კეთილად იყვნენ განწყობილნი ყველაფრისადმი, რასაც შეეძლო ქრისტიანთა წამონყებისათვის ხელის შეწყობა და საჯაროდ უსურვებდნენ კარგს მათ (ქრისტიანებს) საქმიანობაში და ყველა შემთხვევას იყენებდნენ, რომ მათთვის სახელი და პატივი მიეგოთ“ [<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/3/3, 2023.03.31>].

შერლის მიზანი სპარსეთის ომისკენ ნაქეზება იყო ოსმალეთის წინააღმდეგ, თუმცა ამ საქმეში მხოლოდ მისი სიტყვა არაფერს ნიშნავდა, სწორედ ამიტომ სჭირდებოდა ალავერდი-ხანის დონის გავლენის მქონე კაცი, რომელსაც შეეძლო შაჰის დარწმუნება. შერლიმ მიზანს მიაღწია და მას დაუახლოვდა. ამასობაში ომიც დაიწყო, რომელიც შაჰ-აბასის სასარგებლოდ დასრულდა, ალავერდი-ხანის პრესტიჟი კი ამაღლდა ბრძოლებში თავის გამოჩენით.

სწორედ ზემონახსენები „ვეფხისტყაოსნის“ ნიუანსი უკავშირდება ალავერდი ხანისა და შერლის ურთიერთგადაკვეთას. აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე საკითხს სიღრმისეულად განიხილავს: „ვეფხისტყაოსნის ამბავს იცნობს და იყენებს XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისის ინტელექტუალთა წრე, კერძოდ შექსპირის უშუალოდ მემკვიდრე დრამატურგები. იმის ძიებამ, თუ რა გზით უნდა მისულიყო ვეფხისტყაოსნის ამბავი შექსპირის ეპოქის ინგლისში, ჩემი ყურადღება ალავერდი-ხანისა და მასთან დაკავშირებულ ინგლისის დიპლომატთა და მოგზაურთა წრემ მიიპყრო“ [<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/3/3, 2023.03.31>].

თუ გავითვალისწინებთ „ვეფხისტყაოსნის“ XVI-XVII სს. ევროპაში გავრცელების დონეს და, ზოგადად, მის მცოდნეთა რიცხვს საზოგადოების განათლებულ ნაწილში, რომელთაც სიტყვა ეთქმოდათ მაღალ წრეებში, შეუძლებელია მისი შინარსის გავრცელება რამდენიმე სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მიერ მომხდარიყო ერთმანეთზე გადაცემით საქართველოდან ან ქართველისგან ინგლისამდე, თუნდაც ინგლისურ ვაჭართა მხრიდან, რომელთა

ინტერესიც არ იყო ქართული კულტურის გატანა. ალავერდი-ხანი და საზოგადოებაში დანაწილებული ყველა ძლიერი ფიგურა სეფიანთა ირანში იღებდა შესაბამის ცოდნას, არა მხოლოდ სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებებითაც. შესაბამისად, იგი იცნობდა ქართულ კულტურას.

შერლის, როგორც ძლიერი დიპლომატისა და გავლენიანი ფიგურისათვის, ქართული პოემის გაცნობა იყო პირდაპირი გზა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისის განათლებულ საზოგადოებაში გასავრცელებლად. მოსაზრებას მეტ დამაჯერებლობას სძენს ალავერდი-ხანისა და შერლის შორის საერთო ენის გამონახვა, ასევე, ზემოაღნიშნული სიმპათია გამაჰმადიანებული ქართველისადმი.

ალავერდი-ხანს ცოლად ჰყავდა ეროვნებით ქართველი ქალი, რაც შესაძლოა ყოფილიყო მიზანი არ დაკარგულიყო ქართული გენი. სწორედ მისი ქართველობისადმი ასეთი დამოკიდებულება გახდა მიზეზი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა-გავრცელების სურვილისა, პოემის, რომელიც ქართველი ხალხის კულტურის სავიზიტო ბარათი იქნებოდა ევროპაში.

აქვე ყურადღებას იქცევს საეჭვო გაერემოება თუ რატომ გაკეთდა ალავერდი-ხანის მეუღლის სახსრებით არაერთი გზა ირანის შუაგულის გაუვალ უღელტეხილებზე? უნდოდა ქვეყნის მატერიალური შესაძლებლობები იმდენად დიდი იყო, რომ შეუძლებელია თავად ალავერდი-ხანს ეს ვერ გაეკეთებინა. შესაბამისად, მისი მიზანი იყო ცოლის, პირველ რიგში, როგორც ეროვნებით ქართველის, პრესტიჟის ამაღლება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქალის სტატუსის წინ წამოწევა შეზღუდულ ისლამურ სივრცეში მისდამი პატივისცემის სიმბოლოდ. ალავერდი-ხანის შემთხვევაში ეს არა მხოლოდ პიროვნული ღირებულება, არამედ სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენის ეფექტია მის ცნობიერებაზე, თუ რა შეიძლება გაეკეთებინა ქალისთვის.

აღსანიშნავია, რომ უნდოდა იგი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი ყულარაღასობისა და ბეგლარბეგობისა, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში პირადად მონაწილეობა არ მიუღიათ. ფარსის ჯარს, ისკანდერ მუნშის ცნობის მიხედვით, მეთაურობდა მათი ხელქვეითი ბიგვერდ-გურჯი სულთანი (გაბაშვილი 1972, გვ. 69).

როდესაც შაჰ-აბასის უშუალო სამიზნე საქართველო გახდა, საეჭვო გაერემოებაში 1614 წლის 24 მაისს მეჭმედში აღესრულა ალავერდი-ხანი. ჩნდება ვარაუდი, რომ ის შაჰის უკმაყოფილების მსხვერპლი გახდა, როდესაც ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ან წინააღმდეგობაში მოვიდა. მოცემულ სიტუაციაში თუ გავითვალისწინებთ ალავერდის გავლენას, შესაძლებლობებსა და მშობლიურისაკენ ზემონახსენებ მისწრაფებებს, შაჰისთვის ასეთი ყულარაღასი ბეგლარბეგი წარმოადგენდა დიდ საფრთხეს. ისკანდერ მუნში ხაზს უსვამს შაჰის უკმაყოფილებას ალავერდი-ხანისადმი, მაგრამ არაა ცნობილი ასეთი დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზი. მამის მსგავსად, ალავერდი-ხანის ძე იმამყული-ხანი ფარსის ბეგლარბეგი გახლდათ, რომელსაც არაერთი ბრძოლა ჰქონდა მოგებული შაჰ-აბასის სასარგებლოდ. მან აბასის საქართველოზე მეორე ლაშქრობაზე უარი თქვა ავადმყოფობის მიზეზით. გამომდინარე ალავერდი-ხანის საეჭვო სიკვდილისა, შაჰმა მეორედ არ გარისკა კიდევ ერთი უნდოდა ჩამოშორება, რადგანაც ეს ალავერდის მეორე ძის დაუდ-ხანის პირდაპირი აჯანყების საბაზი გახდებოდა. უკვე სეფი I-ის მოღვაწეობისას, თეიმურაზ I-ის აჯანყებაში ერთვება დაუდ-ხანი, რომელსაც თეიმურაზის და ელენე ჰყავდა ცოლად. ეს აჯანყება იმამყული-ხანის სახელსაც მისწვდა, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს ისიც და მისი ვაჟებიც. თავად დაუდ-ხანმა კი შეძლო კონსტანტინოპოლში გაქცევით ეშველა თავისთვის. იმამყული-ხანის მოკვლა რომ სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი ფიგურის ჩამოცილება იყო აღნიშნავენ ევროპული წყაროებიც. დაუდ-ხანის აჯანყების მიზეზის გარდა, საბეგლარბეგოს მართავდა კაცი, რომე-

ლიც გამოუცდელ და სუსტ შაჰთან შედარებით, უძლიერესი ფიგურა და გავლენიანი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც თავის სამთავროდ აქცია ფარსი.

ამგვარად, 1633 წელს სეფიანთა ირანში არსებობა შეწყვიტა უნდილაძეთა ძლიერმა და გავლენიანმა სახლმა, რომლის წევრებიც ოთხი ათწლეული უდიდესი სახელით სარგებლობდნენ სპარსული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა, მიუხედავად შაჰ-სეფი I-ის მიერ მათი განდევნისა, ალავერდი-ხანიც და მისი შვილებიც ირანის საზოგადოებაში დღესაც პატივსაცემ ისტორიულ ფიგურებად იხსენიებიან, რომლებმაც დიდი შრომა ჩადეს სამეფოს განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვალერიან გაბაშვილი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში, თბილისი, 1972.
2. ჰიროტაკე მადეა, ქართველები სეფიანთა ირანში, თბილისი, 2011.

ინტერნეტწყარო

1. <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/3/3>, 2023.03.31.

გიორგი გოგიშვილი, თემურ სიხარულიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი – პროფ. ალექსანდრე ბოშიშვილი

ბიზანტია-საქართველოს შრტიერთობა X საუკუნის II ნახევარში

(დავით კურაპალატის შესაძლო მკვლელობა)

X საუკუნის II ნახევარი მეტად საინტერესოა ბიზანტია-საქართველოს, უფრო ზუსტად, ტაოს სამეფოს, შრტიერთობის თვალსაზრისით. აღნიშნული პერიოდი ქართულ და არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი (სტატიები თუ მონოგრაფიები მიუძღვნეს ვ. კოპალიანმა, შ. ბადრიძემ, ს. ჯანაშიამ, მ. ლორთქიფანიძემ თუ სხვ.) თუმცა ჩვენი მიზანია, თავი მოვუყაროთ მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთა ანალიზითაც შეგვეძლება ნათელი მოვფინოთ ჯერ კიდევ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებს, როგორცაა, თუნდაც, დავით კურაპალატის გარდაცვალება.

ჩვენთვის, პირველ რიგში, საინტერესოა ბარდა სკლიაროსის აჯანყება, რამეთუ მისი ლიკვიდაციის საქმეში ქართველთა კვალიც ჩანს. ქართველთა მონაწილეობის შესახებ ცნობებს როგორც უცხოური – ბერძნულ-სომხური, ისე ქართული წყაროებიც გვანვდიან, ესენია: გიორგი კედრენე, სტეფანოს ტარონეცი (ასოლიკი) და გიორგი მთაწმინდელი თხზულებით: „ცხოვრება იოანესი და ეფთუმესი“. 976-978 წლების ბიზანტია სამოქალაქო ომის ასპარეზად იქცა, სადაც იმპერიას დაუპირისპირდა მცირე აზიის არისტოკრატის წარმომადგენელი ბარდა სკლიაროსი. იმპერიის ხელისუფლებას ძალიან გაუძნელდა გამოცდილ სარდალთან დაპირისპირება და დახმარებისთვის ტაოს მეფეს, დავით III-ს, მიმართა. დახმარების სანაცვლოდ ბიზანტიამ დავითს გარკვეული ტერიტორიული დათმობანი აღუთქვა „ზემონი ქვეყანანის“ სახით. ბიზანტიისა და ქართველთა შეერთებულმა ჯარმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს სკლიაროსს და დაამარცხეს. დავითის ძალები რომ მართლაც მონაწილეობდა სკლიაროსის აჯანყების წინააღმდეგ, ნათლად ადასტურებს ზარზმის წარწერაც: „ღვთისმშობლისა მეოხეობითა მე ივანე, ძემან სულაისმან, აღვაშენე წმინდა ეგუტერი მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი ადიდე ღმერთმან, უშველა წმინდათა მეფეთა...“ ზემოთქმულის შემდეგ ისმის კითხვები, რატომ ჩაება დავით ტაოელი ბარდას წინააღმდეგ ბრძოლაში, რა იყო ის მიზეზი, რის გამოც ბიზანტიის ვასალი დავით III არა იმპერიის დასუსტებით, არამედ მისი მოწინააღმდეგის განადგურებით ინტერესდება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად იმდროინდელი გეოპოლიტიკური სიტუაცია უნდა გავაანალიზოთ. ნ. ლომაურის აზრით, დავითის მთავარ საგარეოპოლიტიკურ მიზანს „ტაო-კლარჯეთის“ სამხრეთით მდებარე ტერიტორიების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა.

სწორედ ამ ტერიტორიების საკითხს უნდა გამოეწვია სკლიაროსისა და დავითს შორის ინტერესთა კონფლიქტი. ჩვენთვის ცნობილია, რომ სკლიაროსი აჯანყებამდე დიდი სომხეთის დასავლეთში იყო დანიშნული მმართველად, აჯანყების პირველსავე ეტაპზე კი ტერიტორიები კიდევ უფრო გაზარდა და ხელთ იგდო ტაოს უშუალოდ მოსაზღვრე ოლქები. ამას ემატება ასოლიკის ცნობაც, რომლის მიხედვითაც, დავითის მხედრობამ „ტაოლეთა ქვეყნიდან მოკიდებული დაანგრის და ააოხრეს ბერძენთა მთელი ქვეყანა, რომელიც მოძალადის ხელში იყო“ (ცაგარეიშვილი, 1973). როგორც ირკვევა, ბარდა სკლიაროსი არა მარტო ტაოს

მეზობლად ყოფილა დამკვიდრებული, არამედ ტაოს ტერიტორიებზეც გადმოსულა, დავითი კი, ბუნებრივია, იმოქმედებდა. ასე რომ, ჩვენ მისაღებად მოგვაჩნია ნ. ლომაურის აზრი, რომ დავითი ბარდას წინააღმდეგ გამოდიოდა არა როგორც იმპერიის ვასალი, არამედ, პირველ რიგში, ტაოს დამოუკიდებელი მმართველი და საკუთარი ინტერესების გამტარებელი. ამავე აზრს იზიარებს მ. ლორთქიფანიძეც და იმ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სკლიაროსის წარმატებებს თან ახლდა ბადი იბნ-დასტაკის ამოძრავება, რომელმაც თავისი უფლებები აღიდგინა მანაზკერტში (ნარკვევები, 1973). დავითს კი მანაზკერტთან დაკავშირებით თავისი გეგმები ჰქონდა. ასევე, საჭიროა, გავითვალისწინოთ ბიზანტია-საქართველოს ურთერთობა მთელი X საუკუნის განმავლობაში. თავიანთი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, ბიზანტიელები და ქართველები ერთად იბრძოდნენ, რათა დაუფლებოდნენ არაქს-ევფრატის ხეობათა და ვანის ტბის სანაპიროს მიწებს.

ამასთანავე, ქართველები ყოველთვის ახერხებდნენ, თავიანთი წილი მიეღოთ ზემოაღნიშნული ტერიტორიებიდან (ბადრიძე, 1984). ბიზანტია დროებით გავლენის სფეროდ აძლევდა ქართველებს გარკვეულ მიწებს, მაგრამ ქართველები მათი სამუდამო დამკვიდრებისთვის იბრძოდნენ, ამის ყველაზე თვალსაჩინო დასტურია დავით კურაპალატის მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რატომ გამოდიოდა დავითი ბარდას წინააღმდეგ. მას საერთოდ არ აწყობდა ახალი ძლიერი მოთამაშე, ეს კარგად იცოდნენ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე და სწორედ ამიტომ მიმართეს დავითს და ამიტომაც აღუთქვეს დაპირებები. ეს ურთიერთკავშირი დროებით ორივესთვის სასარგებლო აღმოჩნდა. 978 წელს, როგორც ასოლიკი გადმოგვცემს, დავითმა მიიღო „ზემონი ქვეყანანი“, ეს კი ტაოსთვის ნამდვილად თვალსაჩინო გამარჯვებას წარმოადგენდა. ვინაიდან, შეძლებისდაგვარად, ამოვნურთ ქართველების ჩართულობის საკითხი ბარდას აჯანყების წინააღმდეგ და დავინახეთ დავითის საგარეო პოლიტიკა, ახლა უნდა შევეხოთ ე.წ. ბოძების საკითხს, ვინაიდან შემდეგში სწორედ ეს გახლდათ საქართველო-ბიზანტიის ომის ძირითადი მიზეზი.

ქართული და სომხური წყაროები თანხმდებიან იმაზე, რომ ბასილმა დავითს ვრცელი ტერიტორიების დათმობას შეჰპირდა და დაუთმო კიდევც. ეს დათმობილი მიწები, რომელსაც ქართული წყაროები „ზემონი ქვეყანანის“ სახელით იცნობს, დავითს სიცოცხლის ვადით გადაეცა: „რაითა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“ (ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი). აღნიშნული ბოძება მოხდა ბარდას აჯანყების ბოლო მომენტში – 978 წელს. თუმცა, როგორც წყაროებიდან ვიგებთ, ამ ტერიტორიების გარკვეული ნაწილი დავითს ბოძებამდე ჰქონდა დაკავებული. როგორც დასტურდება, ქართველი ბაგრატიონები ფლობდნენ ბასიანის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოსკენაა პირმოქცეული. ირკვევა, რომ დავითს ეს ტერიტორიები იმპერატორმა ნიკიფორე ფოკამ ჯერ კიდევ X საუკუნის 60-იან წლებში უბოძა, თუმცა რა ოდენობით და რა დროით ეს წყაროებში არ ჩანს (კოპალიანი, 1969). რაც შეეხება დათმობილი ტერიტორიების მეორე ნაწილს, რომლის ცენტრსაც ქალაქი მანაზკერტი წარმოადგენდა, ამ დროს მოქცეული იყო მარვანიანთა ქართული საგვარეულოს ხელში.

ეს ნიშნავს, რომ 978 წელს მანაზკერტის გადაცემა ბიზანტიას არავისთვის შეეძლო, რადგან აღნიშნული ტერიტორია იმპერიას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე, ისმის კითხვა, რა შეიძლება ყოფილიყო ბიზანტიის მიერ ტერიტორიული დათმობები, თუ ერთ ნაწილს დავითი ისედაც აკონტროლებდა, ხოლო მეორე ნაწილი სხვისი საკუთრება იყო. მკვლევართა უმეტესობას (ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი) დათმობები წარმოუდგენია ისე, თითქოს დავითმა ბიზანტიისგან ახალი, დამატებითი ტერიტორიები მიიღო. მაგრამ აქ ხაზი უნდა გაესვას უშუალოდ ბიზანტიის იმპერიულ პოლიტიკას. ჩვენთვის ცნობილია, რომ

მაშინდელი პოლიტიკური წარმოდგენების თანახმად, ბიზანტია თავის საკუთრებად მიიჩნევს არა მარტო ვასალთა მიწებს, არამედ იმათაც, რომელთა დაპყრობასაც ის მომავალში აპირებს. ასე უცქერდა იგი, მაგალითად, ჰარაქსა და აპაჰუნიქს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვეთანხმებით ვასილ კოპალიანის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ბიზანტიის ეს „ბოძება“ წარმოადგენდა ერთგვარ ლეგიტიმაციას, რათა დავითს ემოქმედა მის დასაპყრობად და ტერიტორიები დაეკავებინა. შემდგომი მოვლენები ამის ნამდვილი დადასტურებაა, რადგან ვიცით, რომ დავითი ამ ტერიტორიების ბრძოლით იკავებს (ბადრიძე, 1984).

978 წლის ტერიტორიულ ბოძებაზე მსჯელობისას შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ბიზანტია აღნიშნულ ტერიტორიებს იძლეოდა დაპყრობის უფლებით და მხოლოდ სიცოცხლის ვადით შეიძლებოდა მისი დაკავება, მაგრამ ქართველები ყოველთვის ცდილობდნენ, მსგავსად ბოძებული ტერიტორიები სამუდამო საკუთრებად ექციათ. ასეთი დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა იმ შინაფეოდალური ომის ჟამს, რომელიც ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის წინააღმდეგ წამოიწყო ბარდა ფოკამ 989 წელს და რომელსაც დავითმა მხარი დაუჭირა. აშკარაა, დავითი ამით რაღაც პირად სარგებელს ელოდა. სამწუხაროდ, ფოკა დამარცხდა და დავითს ლალატისთვის პასუხისგება მოუწია. ამაზე საგანგებოდ ყვება იაჰია ანტიოქიელი: „და ითხოვა დავითმა, ქართველთა მეფემ, მეფე ბასილთან შენდობა და პატიება და აღუქვა მას მორჩილება“ და „რომ მისი სამფლობელოები მისი სიკვდილის შემდეგ შეერთებული იქნებოდა მის სამფლობელოებთან...“ (ბადრიძე, 1984).

იაჰია ანტიოქიელის ეს ჩანაწერი ერთდერთი წყაროა, რომელიც ბარდა ფოკას აჯანყების შემდეგ დავითის „დასჯაზე“ ცნობებს გვანვდის. ცნობის მიხედვით, დავითმა გარდაცვალების შემდეგ ბასილს უნდა დაუტოვოს თავისი სამფლობელო. ისმის კითხვა, რომელი ტერიტორიები უნდა გადაეცა დავითს ბასილისთვის, მთლიანად ტაო თუ მხოლოდ ის ტერიტორიები, რომელიც 978 წელს ებოძა სკლიაროსთან ბრძოლის შემდეგ? ლიტერატურაში ამ საკითხზე ორი მოსაზრება არსებობს. ვ. კოპალიანის მტკიცებით, დავითი ამ ანდერძში მთელ თავის სამფლობელოს გულისხმობს, ეს იქედან უნდა ჩანდეს, რომ დავითი, ფაქტობრივად, ებოდიშება იმპერიას და მთელ თავის სამფლობელოს აღუთქვამს, თორემ მხოლოდ ნაბოძებ ტერიტორიებს დავითი ისედაც დროებით ფლობდა (კოპალიანი, 1969). ლოგიკური მსჯელობაა, მაგრამ ვერ ითვალისწინებს, რომ დავითი ბოძებით მიღებულ ტერიტორიებს ისე უყურებს, როგორც თავის საკუთრებას. სწორედ ამიტომ ჩვენ ვემხრობით ს. ჯანაშიას აზრს, რომლის მიხედვითაც, დავითი თავის ანდერძში გულისხმობდა მხოლოდ ნაბოძებ ზონას (ბადრიძე, 1984). როგორც ჩვენთვის ცნობილია, დავითის სიკვდილის შემდეგ გურგენი და ბაგრატი ბასილთან გამოცხადდნენ იმ იმედით, რომ ბასილი ტერიტორიებს მათ გადასცემდა, მაგრამ ამაოდ. თუმცა, როგორც წყაროებიდან ჩანს, ბიზანტიას გარკვეული ტერიტორიები მაინც დაუთმია. არისტაკეს ლასტივერტელის ერთი ცნობა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბრძოლა ბიზანტია-საქართველოს შორის იმ მიწებისთვის წარმოებდა, რომელიც იმპერატორმა უწყალობა დავით კურაპალატს. ამაზე მიგვითითებს ბასილი II-ის სიტყვები, რომლითაც, არისტაკეს ლასტივერტელის მიხედვით, იგი გიორგი I-ს მიმართავს: „თავი დაანებე ყველაფერს და იმით დაკმაყოფილდი რაც მე მამაშენს ვუბოძე“ (ბადრიძე, 1984). ჩვენი აზრით, „ყველაფერში“ ის მიწები იგულისხმება, რომელიც დავითს ბოძების სახით ჰქონდა დაკავებული. იმავეს გვაფიქრებინებს სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობაც, რომლის მიხედვითაც, ბიზანტია-საქართველოს ომის შემდეგ ბასილმა აიღო „ციხენი პირველ ბოძებულნი და უკანის ათოთხმეტი და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატს ტაოს, კოლა-არტანს და ჯავახეთს“ (ბადრიძე, 1984). ჩვენი აზრით, ბასილმა მხოლოდ საქართველოს დამარცხების შემდეგ ჩაიგდო ხელში ტაოს ტერიტორიების ის ნაწილი, რომე-

ლიც დავითს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა დაკავებული, სანამ 978 წლის ბოძება მოხდებოდა. აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ბასილმა დავითის სიკვდილის შემდეგ მხოლოდ 978 წელს ბოძებული ტერიტორიები დაიკავა, რომლის სამუდამოდ დასამკვიდრებლაც დავითი მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა დავით კურაპალატის გარდაცვალების საკითხიც. კურაპალატის შესაძლო მკვლელობის საკითხს სტატიები მიუძღვნეს ქართველმა მეცნიერებმა: ზ. ავალიშვილმა, ალ. აბლაძემ, მ. გაბაშვილმა, ჯ. სამუშიამ და სხვ.

ამ მეცნიერთა მოსაზრებები ბევრ საკითხთან დაკავშირებით სარწმუნოდ მიგვაჩნია, თუმცა არის საკითხები, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებს. საინტერესოა, ვის და რატომ შეიძლება მოენყო დავითის მკვლელობა? გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავითის მკვლელობა საერთოდ არ მომხდარა, ვინაიდან ქართული წყაროები ამაზე არაფერს წერენ: „გარდაიცვალა დავით, დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქორონიკონსა ს.კ.ა. და არ ესუა ძე“ (სუმბატ დავითის-ძე, 1955). თუმცა უცხოური წყაროები და, ზოგადად, X საუკუნის დაძაბული ფონი ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობებში, გვიბიძგებს, ამ საკითხს სხვა კუთხითაც შევხედოთ. ზ. ავალიშვილი კურაპალატის მკვლელობის დამგვეგმავად ბაგრატ III-ს მიიჩნევდა, ეყრდნობოდა რა დავითსა და მის შვილობილ შორის მანამდე არსებულ კონფლიქტს კლდეკარის საერისთავოს საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ეს აზრი ნაკლებადაა გაზიარებული, ვინაიდან დავით კურაპალატის მიერ მოწყობილ ანტიმუსლიმურ კოალიციაში მისი „შვილობილის“ მამა გურგენიც იღებდა მონაწილეობას, რაც მიუთითებს მათ შორის კონფლიქტის ამოწურვაზე. მეორე შეხედულებით, დავითის მკვლელობა მოაწყეს ტაოელმა აზნაურებმა, ხოლო საქმე აღასრულა ეპისკოპოსმა ილარიონმა. ამ ცნობას გადმოსცემენ მათე ურჰაელი (XII ს.) და სმბატ სპარაპეტი (XIII ს.) (ცაგარეიშვილი, 1973).

ვფიქრობთ, არ შეიძლება ბოლომდე გაზიარებულ იქნას ეს ცნობები, ვინაიდან ნაკლებ სარწმუნოა, ამხელა მასშტაბის პიროვნების მკვლელობა მხოლოდ ადგილობრივი აზნაუროების ჩართულობით მომხდარიყო და მასში წვლილი არ შეეტანა განთქმული დიპლომატიით ცნობილ ბიზანტიას და ბასილი დიდს. ამ მხრივ, უფრო სარწმუნოა არისტაკეს ლასტივერტელის (XI ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ შეთქმულება დაგვეგმილი იყო ბასილი II-ის მიერ, ხოლო აღასრულეს ტაოელმა აზნაურებმა (ცაგარეიშვილი, 1973).

რა გვაფიქრებინებს ყოველივე ამას? როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, X საუკუნის მეორე ნახევარში დავით კურაპალატის საგარეო პოლიტიკა ექსპანსიურ ხასიათს ატარებდა ტაოს სამხრეთით მდებარე ტერიტორიებისაკენ. ამისვე გამოძახილი იყო ჯერ სკლიაროსის აჯანყების წინააღმდეგ გამოსვლა, შემდეგ კი ბარდა ფოკას აჯანყების მხარდაჭერა. ჩვენთვის მეტად საყურადღებოა X საუკუნის 90-იან წლებში ვანის ტბის მიდამოებში დავითის მიერ წარმოებული ბრძოლები, რომლებიც მიმართული იყო მუსლიმ ემირთა წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა იყო კურაპალატის მიერ მანასკერტის (რომელიც მარვანიდების დინასტიას ეპყრა) აღება 990 წელს და აქ ქართველთა და სომეხთა ჩასახლება. ქართველი მეფის ამ წარმატებას საპასუხო რეაქცია მოჰყვა მუსლიმ ემირთა მიერ კოალიციის სახით. მარვანიანთა დინასტიის წარმომადგენელმა მარვანმა დახმარებისთვის მიმართა ატრაპატაკანის ამირა მამლანს. თავის მხრივ, კოალიცია შეკრა დავითმაც. მას მხარს უჭერდნენ ანისის მეფე გაგიკი, ყარსის მეფე აბასი და გურგენ ქართველთა მეფე. როგორც ირკვევა, მტერმა ქართველთა და სომეხთა გაერთიანებულ ლაშქართან შებმა ვერ გაბედა, რის შედეგადაც, 991 წელს აღებულ იქნა ვაღარშაპატი. 997 წელს კურაპალატს ხლათის აღების მცდელობაც ჰქონდა, თუმცა ცდა წარმატებული არ აღმოჩნდა. უკვე 998 წელს ატარპატა-

კანის ამირა მამლანი გამოილაშქრებს დავითის წინააღმდეგ. კურაპალატი თავის კოალიციით კვლავ მიაღწევს გამარჯვებას, რის შედეგადაც, მეფის გავლენა და ავტორიტეტი ერთიორად გაიზრდება ვანის ტბის რეგიონში (სამუშია, 2021). დავით კურაპალატის ეს ექსპანსიური პოლიტიკა, უპირველესად, ემსახურებოდა ქართულ საქმეს და არა ბიზანტიურს. აკადემიკოს ჯ. სამუშიას მოსაზრებას, რომ კურაპალატის ასეთ დამოუკიდებელ საქმიანობას და დაპყრობილი ტერიტორიების „გაქართველებას“ ბიზანტია არ დაუშვებდა, სრულიად ვეთანხმებით. შესაბამისად, სრულიად ლოგიკური ჩანს აზრი იმის შესახებ, რომ მკვლევლობა უნდა მოწყობილიყო იმპერატორის მხარდაჭერით. ამაზე მიუთითებს არისტაკეს ლასტივერტელის ცნობაც, სადაც ნათქვამია, რომ ბასილი დავითის გარდაცვალებისთანავე გამოემართა ტაოში: „მეფის სიკვდილის შემდეგ... ბასილი თავისი მეფობის ოცდამეხუთე წელს მძიმედ შეიარაღებული გამოემართა და მოაღწია ეკელეაცის გავარს... ტაოელ აზნაურთა ჯარი შეეგება მას“ (ცაგარეიშვილი, 1973). იგრძნობა, რომ ბასილი ელოდა ინფორმაციის მიღებას და იგი დაუყოვნებლივ გამოემართა კილიკიიდან ტაოში, რათა დავითის სამფლობელოები უბრძოლველად შეეერთებინა. ტაოელ აზნაურთა „შეგებებაც“ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, მათაც თავიანთი წილი ცოდვა ჰქონდათ შეტანილი დავითის მკვლევლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბდალაძე 1997; ალ. აბდალაძე, დავით კურაპალატის მკვლევლობის კვლადაკვალ, კრ. ქართული დიპლომატია, ტ.4, თბ. 1997.
2. ბადრიძე 1984; შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ. 1984.
3. გიორგი მთანმინდელი; ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ევგემესი: <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/mtawmindeligiorgi.htm>
4. კოპალიანი 1969; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ. 1969.
5. მათიანე ქართლისა 2008; მათიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ. 2008.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.II, თბ. 1973.
7. სამუშია 2020; ჯ. სამუშია, დავით III კურაპალატი, თბ. 2020.
8. სამუშია 2021; ჯ. სამუშია: ბიზანტიელთა დიდი შეთქმულება, კრ. ქართული დიპლომატია, ტ. 19, თბ. 2021.
9. სუმბატ დავითის-ძე 1955; სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიონთა, ქართლის ცხოვრება, ტ.I, თბ. 1955.
10. ცაგარეიშვილი 1973; ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში, კრ. მრავალთავი, ტ II, თბ. 1973.

„დიადი კონტრაქტი“ – ჯეიმს I-ის მმართველობის ერთ-ერთი საკვანძო ეპიზოდი

სტიუარტთა დინასტიის მმართველობისას მეფის და პარლამენტის დაპირისპირება სრულიადაც არ იყო იშვიათი მოვლენა. ჩარლზ I-ის პარლამენტთან დაპირისპირება საერთოდაც ინგლისის სამოქალაქო ომში გადაიზარდა (1642-1646, 1647-1648). თუმცა, ინგლისის სამოქალაქო ომი არ ყოფილა სტიქიური მოვლენა და მისი მიზეზები ათწლეულების მანძილზე მნიფდებოდა. ჯეიმს I სტიუარტის მმართველობა 1603-1625 წლებში შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის პროლოგი. მეფეს და პარლამენტს შორის დაპირისპირება სწორედ ამ პერიოდში გამწვავდა და ეს პროცესი ჩარლზ I-ის ზეობისას არ დაწყებულა. ჯეიმს I ვერ ეგუებოდა პარლამენტის ძალაუფლებას ინგლისში. ის თვლიდა, რომ მისი ძალაუფლება იყო შეუზღუდავი და ღვთისგან ბოძებული, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებები და კანონები იყო უზენაესი სამეფოში. პარლამენტს კი ის სერიოზულად არ აღიქვამდა და თვლიდა, რომ მათ მიერ მიღებული კანონები მეფის შეხედულებებს და გადაწყვეტილებებს უნდა დამთხვეოდა და დამორჩილებოდა.

ის პარლამენტს აღიქვამდა, როგორც ფინანსების წყაროს და არა როგორც წოდებრივ-წარმომადგენლობით პოლიტიკურ ორგანოს. პარლამენტის, განსაკუთრებით კი თემთა პალატის, დეპუტატები თვლიდნენ, რომ მეფეს და პარლამენტს შორის არსებობდა „დაუნერეული შეთანხმება“ და მათ ერთად უნდა ემართათ სამეფო. ისინი თავს მეფის თანასწორად თვლიდნენ და არ აპირებდნენ თავიანთი პოლიტიკური უფლებების დათმობას. მითუმეტეს, რომ მათ ხელში უმნიშვნელოვანესი ფინანსური ბერკეტები იყო. მეფე პარლამენტისგან ხშირად იღებდა ვალებს ან უბრალოდ დაფინანსებას. შესაბამისად, მეფის და პარლამენტის დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ფინანსური საკითხი წარმოადგენდა.

ჯეიმს I გამოირჩეოდა ფუფუნებისადმი სიყვარულით (Croft 2003: 72). ფუფუნებისადმი გულგრილობას არც მთლიანად სამეფო ოჯახი და სამეფო კართან დაახლოებული არისტოკრატია უჩიოდა. ეს კი ამცირებდა სამეფო ბიუჯეტს და იწვევდა მთლიან სამეფოში სოლიდურ ინფლაციას. მართალია, ელიზაბეთ I-მა (1558-1603) მმართველობის უმეტეს ეტაპზე შეძლო ეკონომიკური სიტუაციის დარეგულირება და სოლიდური საფინანსო რეზერვიც დატოვა, თუმცა საფინანსო პრობლემები მისი მმართველობის ბოლოდან იღებს სათავეს და ჯოხის მთლიანად ჯეიმსზე გადატეხვა სწორი არ უნდა იყოს:

ელიზაბეთი სოლიდურ თანხებს ხარჯავდა 1585-1604 წლებში ესპანეთთან და 1594-1603 წლებში ირლანდიელ ამბოხებულებთან საბრძოლო მოქმედებებისთვის. მისი გარდაცვალების დროს კი ინგლისის საგარეო ვალი დაახლოებით 300 000 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. 1602 წელს ლორდ-კანცლერი რობერტ სესილი შეშფოთებით წერდა, რომ ხარჯები კოლოსალურად აღემატებოდა შემოსავალს (Croft 2003: 71). ამ პრობლემებმა კი ყველაზე მეტად თავი სწორედ ჯეიმსის მმართველობისას იჩინა.

1608 წელს ჯეიმს I-მა ლორდი სოლსბერი (რობერტ სესილი) მთავარ ხაზინადრად და-ნიშნა. სესილიმა აღმოაჩინა, რომ ხაზინის გაფლანგვამ საფინანსო რეზერვი აღარ დატოვა საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებლად, ამიტომაც გადაწყვიტა, რომ მოეთოკა ჯეიმს I-ის და მისი სამეფო კარის მფლანგველობა.

1608-1609 წლების შემოდგომაზე მცირე საბჭოს მხარდაჭერით სესილიმა უბიძგა მეფეს მოენვია რამდენიმე საპარლამენტო სხდომა ფინანსური საკითხების განსახილველად. სესილის კალამს ეკუთვნის მეფის მისამართით მეტად უხეში ტრაქტატები, სადაც ის აქებდა პრაგმატულ და ხელმომჭირნე ჰენრი VII ტიუდორს (1485-1509) და მოუწოდებდა მეფე ჯეიმსს მიეზიდა დიდი წინაპრისთვის და შეემცილებინა ხარჯები, თუნდაც ნაკლები საჩუქრები და ფინანსური ბენეფიტები გაეცა სამეფო კარის არისტოკრატიაზე. განსაკუთრებით გამო-სარჩევია სესილის ფრაზა: „ინგლისის მეფისთვის შეუძლებელია ერთდროულად იყოს უმ-დიდრესი და იყოს უსაფრთხოდ, ის უნდა იყოს ხელმომჭირნე“ (Croft 2003:75). მისი ხელი-სუფლებსადმი საფრთხეს თავად ჯეიმსიც გრძნობდა და ის მზად იყო დათმობებისთვის. ამას ადასტურებს 1605 წლის ოქტომბერში მეფის მიერ ნათქვამი ფრაზა: „ჩემი ტახტზე ას-ვლით გამონვეული დიდებული ნათება მალე შეიძლება გამოუსწორებელი ტანჯვის შავმა ღრუბლებმა დაფარონ“ (Croft 2003:75).

თვითონ რობერტ სესილი მეფის და პარლამენტის მჭირდო თანამშრომლობის მტკიცე მომხრედ რჩებოდა. საპარლამენტო სესიებზე მან დიპლომატიურ გამჭრიახობას მიმართა და ფინანსურ კრიზისში მეფე პირდაპირ არ დაუდანაშაულებია და საუბრობდა ელიზაბეთ I-ის მმართველობის ბოლო წლების საომარ და სხვა სახის უზარმაზარ ხარჯებზე, თუნდაც მისი დაკრძალვის დიდ ხარჯებზე. მთავარი ეშმაკობა კი ის იყო, რომ ელიზაბეთისადმი ნარ-მოთქმული პრეტენზიები ჯეიმსსაც ესადაგებოდა და სესილიმა მეფესთან პირდაპირი დაპი-რისპირების გარეშე შეძლო მისთვის „კბილის გაკვრა“. სესილი, ასევე, ირიბად მოუწოდებდა ჯეიმსს პარლამენტის აზრების გათვალისწინებისკენ. ამას ადასტურებს მისი სესიაზე ნათ-ქვამი ერთი ფრაზა: „ყველა ბრძენი მმართველი ახლანდელ სიავეთა და მომავალ საფრთხე-თა გამკლავებისთვის ყოველთვის მიმართავდა თავის პარლამენტს“ (Croft 2003:76).

1610 წლის თებერვალში კი სესილიმა მეფეს და პარლამენტს შესთავაზა ფინანსური კომ-პრომისის იდეა, რაც ისტორიაში „დიადი კონტრაქტის“ სახელით შევიდა: პარლამენტი მე-ფეს ვალების გასასტუმრებლად და ფინანსური დეფიციტის აღმოსაფხვრელად მისცემდა 600 000 გირვანქა სტერლინგს ერთჯერადად, 200 000-ს კი ყოველწლიურად. სანაცვლოდ კი მეფეს უნდა დაეთმო პარლამენტის მოთხოვნის შესაბამისად ფეოდალური უფლებების ნა-წილი. მაგალითად ლაპარაკი იყო რეგენტობაზე: რომელიმე გრაფის ან ჰერცოგის სრულ-წლოვანობამდე, მეფე ითვლებოდა მის რეგენტად და, შესაბამისად, განკარგავდა მის ფინან-სებს და კრეფდა გადასახადებს მის სრულწლოვანობამდე. პარლამენტი კი ითხოვდა რეგენ-ტობის უფლების საკუთარ განკარგულებაში გადასვლას. ასევე, პარლამენტი მოითხოვდა, რომ მეფეს აღარ ჰქონოდა პრივილეგია შეღავათიან ფასებში შეეძინა პროდუქცია, ასევე, ტრანსპორტი და ცხენები სამეფო კარისთვის, აღარ ჩარეულიყო სავაჭრო და საფინანსო რეგულაციების საკითხებში (Teichman 1973: 94-96, 3-7).

სესილი თვლიდა, რომ სამეფო ხელისუფლება ახლა ძალიან იყო დასუსტებული და პარ-ლამენტს ეს სათავისოდ უნდა გამოეყენებინა. მიუხედავად ამისა, პარლამენტს დიდად არ ხიბლავდა მფლანგველი ჯეიმსის დაფინანსების ვარიანტი, თუმცა მაინც გამოთქვეს კომ-პრომისის მზადყოფნა. თუმცა ივლისისთვის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა: პარლამენტი თანახმა იყო მეფისთვის ერთჯერადად მიეცა შემცირებული 500 00 გირვანქა სტერლინგი, მაგრამ უარს აცხადებდა ყოველწლიურ დაფინანსებაზე (Teichman 1973: 160,172). ნათელი

იყო, რომ პარლამენტს არ სურდა მეფის ფინანსური დამოუკიდებლობისთვის ხელი შეეწყო. თვითონ მეფესაც არ სურდა ფეოდალური უფლებების დაკარგვა მითუმეტეს იმ ფასად, რასაც პარლამენტი სთავაზობდა. მზარდი ინფლაციის პირობებში ყოველ წელიწადს ფიქსირებული გადასახადის მიღება მეფისთვის ნამდვილად არ იყო სახარბიელო ვარიანტი. ასევე მეფეს დაახლოებული არისტოკრატია რობერტ ქარისგან მოუვიდა ცნობა, რომ პარლამენტი აპირებდა მოეთხოვა შოტლანდიელების სამეფო კარიდან გაძევება (Croft 2003: 87). მოლაპარაკების გაჭიანურებით მობეზრებულმა მეფემ 10 დეკემბერს პარლამენტი დაითხოვა და, შესაბამისად, „დიადი კონტრაქტის“ იდეაც მხოლოდ და მხოლოდ იდეად დარჩა. თუმცა მისმა იდეებმა 50 წლის მერე იჩინა თავი. კერძოდ კი 1660 წელს ჩარლზ II-ის (1660-1685) „პრივილეგიების გაუქმების აქტში“ (Costin, Litt 1961: 2-5), რითაც გაუქმდა რეგენტობის პრივილეგია და სხვა მეფის ფეოდალური უფლებები. მათ შორის, საბოლოოდ გაუქმდა ვასალების სამხედრო ვალდებულება მეფის წინაშე, რაც ნამდვილად რევოლუციურ მოვლენას წარმოადგენდა.

მეფე განსაკუთრებით დიდ აგრესიას სესილის მიმართ გამოხატავდა და მას დამცინავად ეუბნებოდა: „თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რომ გეგონათ სკიდან თაფლს ამოიღებდით“ (Croft 2003: 80). ამ ხატოვანი ფრაზით მეფე ეუბნებოდა სესილს, რომ ადამიანის საკუთარ მხარეზე გადმოსაბირებლად, მას ჯერ უნდა დაერწმუნებინა ის საკუთარ ერთგულებაში. მეფის ირიბი თქმით კი სესილმა ეს ვერ მოახერხა. მეფეს სესილი თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებია, თუმცა მკაცრი კონტროლის ქვეშ მოაქცია. 1611 წელს რობერტ სესილს გამოუვლინდა მძიმე დაავადების სიმპტომები (სავარაუდოდ, სიმსივნე) და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ვერ ერეოდა. საკუთარი იდეის ჩაშლასთან დაკავშირებით კი ის მეფეს მოახსენებდა, რომ პარლამენტისგან მიღებული სუბსიდიების გარეშე, მას ფინანსური კრიზისის მოგვარება და სამეფო ხაზინის ვალების შემცირება არ შეეძლო. სესილი კონტრაქტის ჩაშლისთვის არანაკლებად აკრიტიკებდა პარლამენტსაც და ბრალს სდებდა მათ უფუნქციობაში, უუნარობაში და არასახელმწიფოებრივ აზროვნებაში. ის ამის შესახებ ლორდ-კანცლერ სერ თომას ლეიკს სწერდა და ელოდებოდა, რომ დეპუტატების ასეთი სისუსტის გამო, შეიძლებოდა მეფეს პარლამენტი არც არასდროს მოეწვია (Stewart 2003: 244). თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ სესილი ზედმეტად ადრამატიზებდა სიტუაციას და ცდილობდა საკუთარი წვლილის გაზვიადებას.

„დიადი კონტრაქტი“ სრულიადაც არ იყო ფინანსური პრობლემების მოგვარების გარანტი, პირიქით, იყო შანსი, რომ მას გაელრმავებინა მეფეს და პარლამენტს შორის დაპირისპირება. თუმცა, სესილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ერთადერთი რეალური და კომპრომისული იდეა სწორედ მისი იყო.

1612 წლის 24 მაისს მძიმედ დაავადებული რობერტ სესილი გარდაიცვალა და მასთან ერთად დასრულდა მეფის და პარლამენტის მორიგების მცდელობები.

მეფე თანამდებობებზე ნიშნავდა მის მსოფლმხედველობასთან შესაბამის არისტოკრატებს. განსაკუთრებით დიდი ძალაუფლება შეიძინა ბაკინჰემის ჰერცოგმა ჯორჯ ვილიერსმა, პიკანტური ჭორებით ჯეიმსის საყვარელმა (Wilson 1967: 397, Stewart 2003: 281, Bergenon 1999: 98).

ხალხისთვის ის ცნობილია ალექსანდრე დიუმას ლეგენდარული „სამი მუშკეტერიდან“. ის ცხადია მხარს უჭერდა სამეფო აბსოლუტიზმს და პარლამენტის ძალაუფლების შეკვეცას. მისი აღზევების პერიოდი ინგლისის ისტორიაში გამოირჩევა ნეპოტიზმის და კორუფციის აღზევებით, რამაც ფინანსური კრიზისი კიდევ უფრო გაამძაფრა. თვითონ მეფე კი პარლამენტს სულ უფრო და უფრო იშვიათად ინვევდა, 1614–1618 წლებში კი ერთხელაც

არ მოუნვევია. 1614 წელს მონვეულმა პარლამენტმა მეფეს უარი განუცხადა ფულად სუბსიდიებზე, მეფეს კი ფული სჭირდებოდა რათა დაეფინანსებინა უელსის პრინც ჩარლზის ქორწინება ესპანეთის ინფანტა მარიაზე. უარის მიღებით განრისხებული მეფე პარლამენტს წლების მანძილზე არ ინვევდა. ის და ბაკინჰემი ცდილობდნენ ეპოვნათ სუბსიდიების მიღების ალტერნატიული გზები. მათ დაიწყეს სამეფო კარზე მდიდარი არისტოკრატიის კიდევ უფრო მეტად დანინაურება. მათ შორის იყო ინგლისის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გრაფი მიდლსექსი, რომელიც ახერხებდა მეფისთვის სუბსიდიების მოძიებას. თუმცა, ამას მეტწილად ახერხებდა კორუფციული გზებით (Wilson 1967:397), რაც სამეფოს ფინანსურ პრობლემებს და მოსახლეობის ყოფას საერთოდ ვერ აუმჯობესებდა.

თანხის მოსახიდად მეფემ გაახშირა გრაფის ტიტულის და სხვა თანამდებობების გაყიდვა. ბაკინჰემის იდეით კი ქმნიდა ახალ-ახალ თანამდებობებს მეტი თანხის მისაღებად, ასევე, ძალის საშუალებით აჭრიდა რომელიმე საგრაფოს ნაწილს და ახალ საგრაფოდ აქცევდა.

საბოლოო ჯამში, რობერტ სესილის „დიადი კონტრაქტი“ ჯეიმს I-ის მმართველობის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია. ის მიზნად ისახავდა მეფეს და პარლამენტს შორის აუცილებელი კომპრომისის პოვნას და ინგლისის მძიმე ფინანსური სიტუაციის გამოსწორებას. თუმცა, კომპრომისი რეალურად არცერთ მხარეს სურდა, რამაც მისი მიღწევა შეუძლებელი გახადა. მეფემ ვერ დათმო თავისი ფეოდალური უფლებები და ვერ დაუშვა პარლამენტის ძალაუფლების გაზრდის შესაძლებლობა. პარლამენტმა კი – ფინანსური ბერკეტები. ამ ყველაფრით, საბოლოოდ, ყველაზე მეტად ინგლისის მოსახლეობის უმეტესობა დაზარალდა. შესაძლოა, „დიადი კონტრაქტის“ მიღებით სტიუარტ მეფეთა პოლიტიკაც რადიკალურად შეცვლილიყო და თავიდან არიდებულიყო XVII საუკუნის ინგლისის სისხლიანი რევოლუცია და მეფე ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა. ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტია, რომ 1610 წლის შემდგომ ინგლისში ფინანსური სიტუაცია გაუარესდა, გაძლიერდა კორუფცია და ნეპოტიზმი, გაღრმავდა მეფის და პარლამენტის დაპირისპირება. ეს ყველაფერი კი ინგლისის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი გამოდგა, რამაც მონარქიის დამხობა და ჯეიმსის ვაჟის ჩარლზ I-ის აღსასრული გამოიწვია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bergenon 1999: Bergenon David M., King James and letters of homoerotic desire; University of Iowa Press, Ames; 1999.
2. Costin, Litt, Watson 1961: Costin W.C, Litt M.A.D, Watson M.A; the law and working of the constitution: documents 1660-1914; Adam and Charles Black; London; 1961.
3. Croft 2003: Croft Pauline J. ; King James; Palgrave McMillan; Great Britain; Wales; 2003.
4. Stewart 2003: Stewart Alan; The cradle King: the life of James VI and I, the first monarch of a United Great Britain; Chatto and Windus; London; 2003.
5. Teichman 1973: Teichman Raymond J. ; King James I, Parliament and The Great contract, 1603-1610; ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, Chicago; 1973.
6. Wilson 1967: Wilson David Harris; King James VI and I; Oxford University Press; New-York; 19.

მარიამ ჩხეიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფ. დავით მაზიაშვილი

ჰამლეტი სამყაროს თუ სამყარო ჰამლეტის წინააღმდეგ?

თუკი სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ანტინომიის ბუნებრივი გამოვლინება – ბრძოლა სიცოცხლესა და სიკვდილს, თეთრსა და შავს, კეთილსა და ბოროტს შორის, და თუ ეს ბრძოლა სამყაროს ერთიანობას განაპირობებს, მაშინ ადამიანიც, როგორც ამ სამყაროს მკვიდრი და, შესაბამისად, მისი ანალოგიც, საკუთარ თავშივე მოიაზრებს თეზასა და ანტი-თეზას. ბუნებისა და საკუთარი თავის შეცნობასთან ერთად ადამიანს უამრავი კითხვა უჩნდება და ბუნებრივია, რომ როდესაც ამ კითხვებზე პასუხს ვერ იღებს, ბრაზდება, ხშირად უსამართლობის შეგრძნებაც ეუფლება, რასაც კონფლიქტამდე მივყავართ. ასე ხდება ლიტერატურაშიც.

ლიტერატურატმცოდნეობაში ყველაზე ხშირი ტიპოლოგიაა კონფლიქტთა ორ ძირითად მხარედ დაყოფა; შინაგან და გარეგან კონფლიქტებად. კონფლიქტი სიუჟეტის შენებაში დიდ როლს თამაშობს, ესაა მოვლენების მთელი სერია, ერთგვარი ჯაჭვური რეაქცია, რომელიც, საბოლოოდ, ამბავს ქმნის. ასეა „ჰამლეტის“ შემთხვევაშიც, სადაც კონფლიქტის რამდენიმე სახე გვხვდება, მათი ერთიანობა კი მთლიან ტრაგედიას ქმნის.

მეფე კლაუდიუსი ამბობს: „ჩვენ ვიქორწინეთ მწუხარების სიხარულითა“ – ოქსიმორონი, რომელიც მთელ პიესას გასდევს ლაიტმოტივად, გვიჩვენებს, რომ პიესა დაპირისპირებულ მოვლენათა პლანზე განვითარდება. მწუხარე-სიხარული, რომელიც მეფის დაკარგვითა და ქორწილითაა გამონვეული, თითოეულ პერსონაჟში გარდატეხის საწყისია.

მამის დაკარგვით გამონვეულ მწუხრს ჰამლეტის გული ჩაუკეტავს, მას არ სურს ვინმეს თავისი გრძნობები გაუზიაროს. მისთვის მეორეხარისხოვანია ძაძები, სამგლოვიარო ლიტურგიები და ყველა ის აქტი, რომელიც შესაძლოა ხელოვნური, ყალბი გრძნობების მატარებელი იყოს. მის გულში არსებული ნაღველი არ საჭიროებს „მწუხარების მოკაზმულობას“, როგორც ამას თავად გვეუბნება. მეფისა და დედოფლის პირველ დიალოგში ჰამლეტიცაა ჩართული. მისი შიდაპიროვნული კონფლიქტი, პირველად სწორედ ამ დიალოგში ვლინდება. დარდი, რომელიც გულში აქვს, მწუხარება, რომელსაც მისი გული დაუტყვევებია პერსონაჟს შინაგანად ჭამს, ღრღნის და ანადგურებს.

მკითხველი ყველაზე მძაფრად პერსონაჟის შინაგან გაორებას მის მონოლოგებში აღიქვამს, ასეა ჰამლეტის შემთხვევაშიც. ბიძისა და დედის დიალოგის მოსმენის შემდეგ, ინდიფერენტული დამოკიდებულებით გაღიზიანებული პერსონაჟი სრულიად ეთიშება გარემოს და საკუთარ გონებაში ეფლობა. ეს არა მხოლოდ მონოლოგი, არამედ ერთგვარი ცნობიერების ნაკადია. ჰამლეტის მონოლოგს მკითხველი სულ სხვა ინსტანციაში გადაჰყავს. თითქოს პირდაპირ შეიგრძნობ ჰამლეტის იმ მდგომარეობას, რამაც ბევრ ლიტერატორს ათქმევინა, რომ მას შესაძლოა შიზოფრენიის საწყისებიც კი ჰქონდეს. ჰამლეტს თავში უამრავი აზრი

მოსდის; ეზიზლება დედა, სძულს სამყარო, სადაც შვილებს მამები უკვდებათ და დედებს ბიძები ირთავენ ცოლად.

შიდაპიროვნული კონფლიქტი ორაზროვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში: მან შეიძლება დააჩქაროს პიროვნების განვითარება, ან პირიქით – ისეთი ნევროზული რეაქციების განვითარების შედეგად, როგორებიცაა შიში და შფოთვა, მთლიანად ჩამოშალოს იგი. ჰამლეტის შემთხვევაში, კონფლიქტის სანყისი ეტაპი დესტრუქციულია, სასონარკვეთილი პერსონაჟი სუიციდზეც კი ფიქრობს. ჰამლეტის პიროვნებაში დედის მოძულე და დედაზე შეყვარებული ორი პერსონა ინყებს ბრძოლას. შვილს, რომლისთვისაც დედა ყველაზე ნეტარი ქმნილება უნდა იყოს, იგი უჭკუო პირუტყვზე უფრო შეუბრალებლად ეჩვენება. მისთვის ყოველი დეტალი გამაღიზიანებელია და ჯერ კიდევ ხედავს დედის ფეხსაცმელზე მამის საფლავის მიწას.

თუ ვიტყვით, რომ ჰამლეტს შიზოფრენია/ბიპოლარული აშლილობა ანუხებს და ამას ქართულ შექსპირიანაში გადმოვიტანთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რობერტ სტურუას ეს ყველაფერი ნათლად აქვს გადმოცემული იმ სცენაში, სადაც აჩრდილი ჰამლეტს ზურგზე აცოცდება და მას ისე აძლევს მითითებებს. ეს, ერთი მხრივ, მამის შვილში განსხეულებაა, რაც დიდ როლს თამაშობს შურიძიებაში, ხოლო მეორე მხრივ, მისი აშლილობის ნათელი მაგალითია, ზურგზე აცოცებული მამის აჩრდილი ჰამლეტს აფრთხილებს, რომ თავი შეიკავოს და დედის ბედი განგებას მიანდოს.

ფროიდი შიდაპიროვნულ კონფლიქტს გაიაზრებს, როგორც ბრძოლას შეუთავსებელ ძალებსა და სტრუქტურებს, ეგოსა და სუპერეგოს შორის. ჰამლეტის ეგო ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, ინფანტილურია, რომელსაც დედის დათმობა არ შეუძლია. მისი სუპერეგო კი ბევრად უფრო შორსმჭვრეტელი და რაციონალურია. ფროიდი „სიზმრების ინტერპრეტაციაში“ წერს: „ჰამლეტი მზადაა ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ არასდროს იქნება მზად იძიოს შური იმ კაცზე, რომელმაც მამამისს სიცოცხლე მოუსწრაფა და დედის გვერდით დაიკავა ადგილი – კაცზე, რომელიც ბავშვობაში ჩახშობილი მისი სურვილების ხორცშესხმაა. ზიზღს, რომელიც მას შურისძიებისაკენ უნდა უბიძგებდეს, შესაბამისად, ანაცვლებს თვითკრიტიკა, სინდისის ქენჯნა, რომელიც თვალწინ უშლის იმ სურათს, სადაც იგი იმ მკვლელზე უღირსია, ვის დასჯასაც ასე გამალებით მოითხოვს“ (Freud 2000: 159). ფროიდს თუ დავუჯერებთ, ჰამლეტი ოიდიპოსის კომპლექსით იტანჯება. ბავშვობაში ჩახშობილი ლტოლვა ხელახლა იჩენს თავს, თუმცა ახლა კონკურენტი არა საკუთარი მამა, არამედ ვიღაც სხვაა. გარდა ამისა, ფროიდი აქ წამოწევს იმ პასაჟს, სადაც ჰამლეტს უჭირს გადანყვეტილების მიღება, იძიოს თუ არა შური ბიძაზე. შევიდეს თუ არა მის იმიტაციურ ველში და ითამაშოს თუ არა კლაუდიუსის „სამეფო კარის თამაშების“ პრინციპით.

ფროიდის იდეა კონცენტრირებს ბავშვობაში განცდილი მოვლენების ირგვლივ. კარენ ჰორნის აზრით კი, კონფლიქტი, ესაა ბრძოლა ურთიერთსანინააღმდეგო, „ნევროზულ მოთხოვნებებს“ შორის. ჰორნის მიაჩნდა, რომ ოიდიპოსის კომპლექსის სათავე არა შვილსა და მშობელს შორის გაჩენილი სექსუალურ-აგრესიული კონფლიქტი, არამედ ის შიში და შფოთვაა, რომელიც მშობლისა და შვილის ურთიერთობის დარღვევისას ჩნდება (Horney 2013: 78-79). ცალსახაა, რომ ჰამლეტისა და გერტრუდას ურთიერთობა ჩამომლის ზღვარზეა. ქორწილის შემდეგ ჰამლეტი სრულიად გაუუცხოვდა დედას, სიმართლის გაგების შემდეგ კი საბოლოოდ დასცილდა მას. ეგოიზმით, შურისძიების ნყურვილით, უსამართლობის შეგრძნებით სავსე ჰამლეტს არ შეუძლია თავი მოიტყუოს, მას თითქოს ორმაგი თამაში უნევს – იყოს შეშლილი და, ამავე დროს, დასახოს სწორი გეგმა. თუმცა, ეს თამაში სულაც არაა. ჰამლეტის ეს ქმედება მისი შიდაპიროვნული კონფლიქტის გამოხატულებაა,

ზუსტად ასეა გაორებული თავადაც. ეს ყველაფერი ნათლად არის წარმოჩენილი რობერტ აიკის „ჰამლეტში“, სადაც მთავარ როლს ენდრიუ სკოტი თამაშობს. თანამედროვე ეპოქაში გაგიჟებული, შეშლილი ჰამლეტი სწორად ასახავს შექსპირისეული ჰამლეტის შიდაპიროვნულ კონფლიქტს. ენდრიუ სკოტის მანამდე შესრულებულმა, თითქმის უკვე მის პერსონასთან შესისხლხორცებულმა მორიარტის როლმა (სერიალი „შერლოკი“) მაყურებლისათვის ბევრად უფრო მარტივად აღსაქმელი გახდა ჰამლეტის გაორება. მორიარტი, ისევე როგორც ჰამლეტი, ნამდვილად ბრძენია, თუმცა საკმარისად ბრძენია იმისათვის, რომ იცოდეს როდის იყოს შეშლილი.

ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აბრაამ მასლოუ ინტრაპერსონალური კონფლიქტის კონცეფციას იერარქიულად აყალიბებს: 1) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები; 2) უსაფრთხოების საჭიროება; 3) სიყვარულის მოთხოვნილება; 4) პატივისცემის მოთხოვნილება; 5) თვითრეალიზაციის საჭიროება (Maslow 1943; 370-372). ეს ყველაფერი პიესის მაგალითზე რომ განვიხილოთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: ჰამლეტის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა იძიოს შური, თითქოს ეს სისხლში აქვს გამჯდარი. ჰამლეტს სჭირდება უსაფრთხოება, სწორედ ამიტომ, მას უნევს გიჟის როლის მორგება, რათა ბევრად უფრო მშვიდად აწონ-დაწონოს სიტუაცია და ისე მიიღოს გადაწყვეტილებები. თითქოს შეშლილის ტყავში ბევრად უფრო დაცულად გრძნობს თავს, რადგან მის ქმედებებზე პასუხს არავინ სთხოვს, სწორედ ამიტომ, შეუძლია ზოგჯერ ღიად და დაუფარავად იმოქმედოს. სიყვარულის მოთხოვნილება ჰამლეტში გაორებულია. ერთია სიყვარული, რომელსაც ის გერდტრუდასგან ითხოვს, დედისგან, რომელსაც, ბავშვური ეგოიზმით შეკყრობილი, ელოდება, როდის გამოიჩენს ადრინდელ ყურადღებას შვილის მიმართ. ხოლო, მეორე მხარეს დგას ოფელიას სიყვარული, ან ლტოლვა, ან თუნდაც, უბრალოდ დედისა და ვნებების ადრესატის ადგილის შემავსებელი გრძნობა, რომელიც შორსაა სიყვარულისგან. ჰამლეტისა და ოფელიას საუბარში წარმოდგენილი სექსუალური, და არა მხოლოდ სექსუალური, დისტანცია ამის მაგალითია. მას შეუძლია გალანძლოს ოფელია, არ დაიშუროს უშვერი სიტყვები, თუმცა ამგვარადვე გერტრუდას ვერასდროს მოექცევა.

ჰამლეტისა და მეფის აჩრდილის შეხვედრა ერთგვარი გარდამავალი რგოლია გაორებულ ჰამლეტსა და შურისგებით აღსავსე ჰამლეტს შორის. თუ აქამდე პერსონაჟი მხოლოდ ინფანტილურ გრძნობებზე დაყრდნობით განიცდიდა შიდა პროტესტს, აჩრდილთან შეხვედრა მას საბოლოოდ ათავისუფლებს ამისგან. მამის აჩრდილის გამოცხადება ლოგოსის ხილვას ჰგავს. ეს ერთგვარი ილუმინაციაა, ჭეშმარიტებასთან, სიმართლესთან ზიარება, რომელიც უმეცრებაში მყოფ პერსონაჟს, გრძნობებსაყოლილ ჰამლეტს, სიმართლის გზას უჩვენებს და ბევრად უფრო რაციონალულად ფიქრის საშუალებას სთავაზობს. მეფის აჩრდილი შესაძლოა ჰამლეტის სუპერეგოსთან გავაიგივოთ. ის ჰამლეტის ის ნაწილია, რომელიც მის სურვილებსა და მოთხოვნილებებს არეგულირებს. აჩრდილი მოუწოდებს ჰამლეტს არ მისცეს კლაუდიუსს დანიის სამეფო ტახტის ნაბილწვის უფლება, თუმცა, ამასთანავე, სთხოვს, არაფრის დიდებით არ გაუჯავრდეს დედას და ზეცას მიანდოს მისი განაჩენი. ფროიდის თეორიას თუ გავითვალისწინებთ, ადამიანში შიდაპიროვნული კონფლიქტი ყველაზე მეტად მაშინ მწვავედება, როდესაც მისი იდი, ეგო და სუპერეგო – სამივე გამოდის ასპარეზზე და მათი მისწრაფებები ერთმანეთის კონტრადიქტორული ხდება. როდესაც ჰამლეტი მამის მკვლელის ვინაობას იგებს, მის არაცნობიერში იდი გამოდის ასპარეზზე. ის ცხოველური სანყისი, რომლის ირაციონალურ ყივილზეც ნიცშემ „ტრაგედიის დაბადებაში“ ბევრი ისაუბრა. იდი ინსტიქტურად მოქმედებს, მისი თითოეული აქტი პრიმიტიულ ემოციებზე დაყრდნობით მიმდინარეობს. სწორედ იდსა და სუპერეგოს შორის მიმდინარეობს ბრძოლა მა-

შინაც, როდესაც ჰამლეტს ვერ გადაუნყვებია მოკლას თუ არა კლაუდიუსი. მას ესმის კლაუდიუსის აღსარება და ეს უფრო ურთულესს გადანყვებილების მიღებას. რითი იქნება ის მკვლელზე უკეთესი? ზეცა ხომ ყველას მოსთხოვს პასუხს თავის ქმედებებზე. თუმცა არ შეუძლია უარი თქვას შურისძიებაზე. ჰამლეტის აზრით, კლაუდიუსმა მას მამასთან ერთად დედაც წაართვა. იმას, რომ აჩრდილი ჰამლეტის სუპერეგოა, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ როდესაც ჰამლეტი, პოლონიუსის მოკვლით გაშმაგებული, გერტრუდას სექსუალურ ცხოვრებას განიხილავს და ზრახავს მას წმინდა სარეცელის შეურაცხყოფისათვის, აჩრდილი სწორედ მაშინ ჩნდება და ახსენებს, რომ არ დააინყდეს რაც უთხრა.

ჰამლეტისა და აჩრდილის შეხვედრა ის ანაგნორისია, რომელზედაც არისტოტელე ტრაგედიაზე მსჯელობისას საუბრობდა. არცოდნის ფაზიდან ცოდნის ფაზაში გადასვლა. სიმართლის გაგება და ამით მთლიანი ტრაგედიის სიუჟეტის შემოტრიალება.

შიდაპიროვნული კონფლიქტის პიკს პერსონაჟი მაშინ განიცდის, როდესაც სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდება. სასაფლაოს სცენა და ჰამლეტის მიერ თავისქალის აღმოჩენა პიესის ერთგვარი კლიმაქსია. ჰამლეტის პიროვნებაში გარდამტეხ როლს თამაშობს ეს სცენა და მესაფლავეებთან დიალოგი. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მის გაორებულ გონებას ბევრჯერ უფიქრია სიკვდილზე და ბევრჯერაც უნახავს ის, ახლა უკვე თავად ხვდება სიკვდილს. მესაფლავეები პერსონაჟს ახსენებენ, რომ ყველანი მიწის შვილები ვართ და ადრე თუ გვიან მიწად ვიქცევით. ჰამლეტი საბოლოოდ იგებს სიკვდილისა და სიცოცხლის არსს. თუ ადამიანი ცხოვრებაშივე არ გაიხრწნა, მისი სხეულის გახრწნას უფრო დიდი ხანი დასჭირდება მიწაში. ამ დიალოგს საბოლოოდ პერსონაჟი მიჰყავს იორიკის თავის ქალამდე. ერთი შეხედვით უბრალო მასხარის თავის ქალა ჰამლეტის თანატოსი ხდება. თითქოს პერსონაჟი საკუთარ სიკვდილის ანგელოზს ხვდება, მისი აზრალი ამ ქალაში ჩაბუდებულა და ახსენებს, რომ მისი ბოლოც ეს არის. სწორედ ამ ფიქრებს მიჰყავს პერსონაჟი საბოლოო და ყველაზე რთულ მონოლოგამდე, სადაც ჰამლეტი ყოფნა-არყოფნის საკითხს სვამს. ეს მონოლოგი ჰამლეტის თავდაპირველი მონოლოგის გამოძახილია, ჯერ კიდევ დასაწყისში იგი აპროტესტებს, რომ არ შეუძლია მოიკლას თავი, რომ ეს უპატიებელი ცოდვაა, თუმცა არც ამგვარ სამყაროში ცხოვრება არ შეუძლია. იორიკისაა ეს თავის ქალა, თუ ვინმე სხვა პერსონაჟის, ის ჰამლეტის პიროვნების კრიზისს გამოხატავს. მან დაკარგა საკუთარი თავი, ვერ გაურკვევია ვინაა და რას ემსახურება. ვერც ის გაურკვევია ღირს თუ არა შური იძიოს, თუ ყველას ბოლო მაინც ცივ მიწაში საუკუნოდ ცხოვრებაა, მაშინ რა აზრი აქვს კიდევ ერთხელ გაისვაროს სისხლში ხელები.

თუმცა, პერსონაჟის ბოლო მაინც ერთია. მან უნდა მოკლას კლაუდიუსი. თუმცა ამას ვერ აკეთებს, თითქოს რაღაც უშლის ხელს. პიესის ბოლოს ვხედავთ რომ ეს რაღაც/ვიღაც თავად გერტრუდაა. ჰამლეტი მანამდე ვერ ახერხებს კლაუდიუსის მოკვლას, სანამ გერტრუდა არ მოკვდება. სანამ გერტრუდა ცოცხალი იყო, ჰამლეტი თრგუნავდა თავის სურვილებს, ათრთოლებული დედის დანახვა და აჩრდილის სიტყვების გახსენება შურისძიების წყურვილს უნელებდა. თუმცა გერტრუდა მოკვდა და ახლა მას აღარაფერი უშლის ხელს შურისგებაში. ყველა ის დათრგუნული გრძნობა, ყოველი შეგრძნება, რომელსაც ჰამლეტის არაცნობიერი განიცდიდა წინა პლანზე გადმოვიდა. კლაუდიუსის მკვლელობა მრავალჯერადი აქტია, ერთ შემთხვევაში ის იძიებს შურს როგორც შვილი, რომელსაც მშობლები წაართვეს, მეორე შემთხვევაში ის იბრუნებს მის კუთვნილ ტახტს, ხოლო მესამე შემთხვევაში, ჰამლეტში განსახიერებული მეფე კლავს საკუთარ მკვლელს და ამით იმარჯვებს სიკვდილზე. მხოლოდ კლაუდიუსის სიკვდილის შემდეგ შეუძლია მას სიმშვიდის მოპოვება, რაც მეტაფორულად ჰამლეტის სიკვდილში აისახება.

ის შიდა და გარე წინააღმდეგობები, რომელთაც ჰამლეტი მთელი პიესის მანძილზე ხვდება, საბოლოოდ, მისივე სიკვდილით სრულდება. თუმცა ეს არაა სუიციდი, ეს მისი ქმედებების გამოძახილია, ერთგვარი საზღაური იმ სიმშვიდისა, რომლის მოპოვებაც მის არაცნობიერს მთელი ტრაგედიის მანძილზე სურდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი თ. მშვიდობაძე რ. ნიშარაძე გ. ციხისთავი თ; კონფლიქტები. თბილისი, 2010.
2. Freud 2000; Freud Sigmund: The Interpretation of Dreams. Wordsworth Editions. Google Books.2000. ISSN 9781853264849, 1853264849.
3. Horney 2013; Horney Karen: New Ways in Psychoanalysis. Taylor & Francis. Google Books. 2013.
4. Maslow 1943; Maslow Abraham: A Theory of Human Motivation. Psychological Review, 50, 370-396. York University, Toronto. 2000. ISSN 1492-3713.

ეთიკური დილემებისა და სოციალური ნორმების შედარებითი ანალიზი ურსულა კ. ლე გუინის „ისინი, ვინც ტოვებენ ომელას“ და შირლი ჯექსონის „ლატარეას“ მიხედვით

შირლი ჯექსონისა და ურსულა კ. ლე გუინის ნარატივებში მნიშვნელოვან ჟანრობრივ განსხვავებებს ვაწყდებით, კერძოდ, ლე გუინი ფენტეზისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის მწერალია, ხოლო ჯექსონი, ძირითადად, ცნობილია, როგორც საშინელებათა ჟანრისა და მისტიკის რომანების ავტორი, მაგრამ მოცემული ორი მოთხრობა მსგავსი თემატური ასპექტებითა და ასოციაციური სიმბოლიზმით ერთმანეთთან შეპირისპირებისა და შედარების საშუალებას იძლევა. ორივე მოთხრობაში წარმოჩენილია საზოგადოების მახინჯი და შემაშფოთებელი სახე; საზოგადოება, რომლის უმრავლესობის კეთილდღეობა ეყრდნობა კონკრეტული ადამიანების ტანჯვასა და მსხვერპლშენირვას. ასეთი ნარატივები მკითხველში ბადებს ღრმა მორალურ კითხვებს და მას აიძულებს თავიდან გაიაზროს აქამდე არსებული ისეთი ფუნდამენტური ცნებები, როგორცაა სიკეთე, კეთილდღეობა და ბოროტება.

„ლატარეა“ ჯექსონმა პირველად „ნიუ იორკერში“ (New Yorker) 1948 წლის 26 ივნისს გამოაქვეყნა. როგორც ავტორი, ისე ჟურნალი გაკვირვებული დარჩნენ მკითხველთა თავდაპირველი უარყოფითი რეაქციებით; „ნიუ იორკერის“ მკითხველებმა გამოწერები გააუქმეს და უამრავი სიძულვილის წერილი იგზავნებოდა რედაქციის სახელზე მთელი ზაფხულის განმავლობაში. როგორც ჯექსონი იხსენებს, ისიც იღებდა დღეში მინიმუმ 10 წერილს მისი მოთხრობით უკმაყოფილო და გაღიზიანებული ხალხისაგან.

„ლატარეაში“ ავტორს მოქმედების სივრცედ წარმოდგენილი აქვს უბრალო ამერიკული სოფელი, რომელიც ერთი შეხედვით არაფრით გამოირჩევა, მაგრამ რაც უფრო მეტს ვიგებთ სოფლისა და მისი ტრადიციების შესახებ, მით უფრო მეტი კითხვა გვებადება იმის შესახებ თუ რა არის მოთხრობის ძირითადი სამოქმედო ხაზი. მკითხველი ხვდება, რომ სოფელში მაცხოვრებელთათვის ლატარეა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მაგრამ დარწმუნებული არ ვართ რატომ და რისთვის ტარდება ეს ყველაფერი ან რა მოელის გამარჯვებულს. ერთი რამ კი ნათელია – რაც უფრო ვითარდება სიუჟეტი მით უფრო ავისმომასწავებელი გრძნობა ეუფლება მკითხველს. ეს განზრახ ბუნდოვანება ტექსტში ქმნის ინტრიგას იმ მომენტამდე, სანამ არ მოხდება კვანძის გახსნა და არ დავინახავთ იმ საშინელ ქმედებას, რომელიც ყოველწლიურად ხდება ამ პატარა სოფელში.

დასაწყისში არსებული იდილიის აღწერა რამდენიმე დანიშნულებას ასრულებს მოთხრობაში. პირველ რიგში, მწერალი ასეთ ნარატივს იყენებს, რათა მოგვიანებით დაანგრძლოს მკითხველის მოლოდინები. და მართლაც, ტონალობისა და სიუჟეტის რადიკალური ცვლილება დრამატულ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე.

მოთხრობაში დიალოგები და საუბრები არამარტო გვისახავს სოფელის, როგორც სოციალური უმის, ერთობასა და სიმჭიდროვეს, ასევე ჰუმანურობას სძენს პერსონაჟებს. ამერიკული ლიტერატურის მკვლევარი ჯეფრი ვოლფი სოფლის საზოგადოების ასეთი ერთიანობისა და

სიახლოვის მიზეზად მიიჩნევს ე.წ. დემოკრატიული დანაშაულის გრძნობას. უნივერსალური დანაშაულის გრძნობა თანასოფლელებში კომფორტისა და ერთიანობის პარადიგმას ქმნის. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის სახის შექმნისას ჯექსონი ყოფით თხრობას იყენებს, მოთხრობის გმირები რეალური ადამიანებივით იქცევიან და საუბრობენ ყველასთვის ნაცნობ თემებზე, როგორცაა გადასახადები, ამინდი ან დიასახლისების ნუნუნის სახლის საქმეებზე, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს საკუთარი თავი და საზოგადოება ცხადად დაინახოს ამ პერსონაჟებში. ეს ყველაფერი კი მიზანს ემსახურება, რომ ჩვენც თავი ვიგრძნოთ მოცემული სოციალური ნევრად. ბუნებრივია, თხრობის ასეთ სტილს მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს მკითხველზე. სიუჟეტური და სტრუქტურული თვალსაზრისით „ლატარეა“ შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ, როგორც ორი ისტორიის შერწყმა. პირველი ასახავს ტექსტის ზედაპირულ სიუჟეტს, რომელშიც დეტალურად ვეცნობით თუ როგორ ირჩევენ სოფლის მაცხოვრებლები ლატარეის გამარჯვებულ მსხვერპლს. ეს ნარატიული ხაზი მკითხველში იწვევს უსიამოვნო ემოციურ განწყობილებას. მოთხრობის მეორე ნაწილში, როცა უკვე ცნობილია მსხვერპლშენიშვნის რიტუალის ეპიზოდი, მკითხველი ხვდება, რომ აქამდე ნახსენები შემთხვევითი და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სიმბოლოები სრულიად არაა შემთხვევითი. ის საშუალებას გვაძლევს განვჭვრიტოთ გმირების ბედიც. ასეთი სიმბოლიზმის ნათელი მაგალითია ქვა – ქვას მნიშვნელოვანი მეტაფორული დატვირთვა აქვს მოთხრობაში, იგი არა მარტო ბიბლიური ალუზიაა, არამედ სიმბოლურად გამოხატავს სოფლის მოსახლეობაში სიახლეების უარყოფისა და საზოგადოების პრიმიტიულობის იდეას. ის ფაქტი, რომ ქვების შეგროვება ბავშვებს ევალებათ მათაც სასტიკი რიტუალის მონაწილე ხდის და, ამავდროულად, უზრუნველყოფს, რომ ტრადიციები შემდეგ თაობას გადაეცეს. მოთხრობაში ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს ტრადიციონალიზმის კრიტიკა: ჯექსონის აღწერილ საზოგადოებაში ტრადიციის უდავო ერთგულება განაპირობებს თანამედროვეობისთვის შეუთავსებელი რიტუალების ბრმად შენარჩუნებას. თანასოფლელები ყოველი წლის 27 ივნისს იმ მარტივი მიზეზის გამო კლავენ ერთ „გამარჯვებულ“ ადამიანს, რომ ეს „ყოველთვის ასე კეთდებოდა“ და მოთხრობაში წარმოდგენილი საზოგადოება ტრადიციებს მორალური შედეგების გათვალისწინების გარეშე ინარჩუნებს. საბოლოოდ, ტესი ჰაჩინსონის ჩაქოლვა მაგალითია ჯგუფური აზროვნების ძალისა, რომლის გამოც ინდივიდები ხდებიან ამორალური ქმედებების თანამონაწილე სოციალური ზენოლისა და კონფორმიზმის სურვილის გამო. ისინიც კი, ვისაც ეჭვი ეპარება ლატარეის რეალობაში, საბოლოოდ მაინც უერთდება რიტუალს, რადგან განსხვავებული აზრის და მისი შედეგების ეშინიათ.

რაც შეეხება ურსულა ლეგუინის მოთხრობას, სიუჟეტი ქალაქში ვითარდება ზაფხულის ფესტივალის დროს, სადაც ხალხი ბედნიერია, რადა, ჯექსონის მოთხრობისგან განსხვავებით, აქ ნაკლებად გვხვდება დაძაბულობა და ინტრიგა. ლე გუინთან მკითხველს მხოლოდ ტექსტის კრიტიკული ინტერპრეტაციის შედეგად აქვს საშუალება მივიდეს მთავარ კონფლიქტამდე, სხვა შემთხვევაში, ძნელად იკითხება მოთხრობის ტრაგიკული ქვეტექსტი. ამის ნათელი მაგალითია უტოპიის თემის გამოყენება. ავტორი აღწერილ ქალაქს, ომელას, უტოპიად მოიხსენიებს. გვიამბობს თუ როგორი იდეალური ადგილია ის. ქალაქი, სადაც არ არიან მეფეები და არ არსებობს სოციალური დაყოფა. ეს არის ადგილი, სადაც ხალხი ერთმანეთს არ ვნებს მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არავითარი კანონი, რომელიც მათ ამას აუკრძალავს. ლე გუინი აგრძელებს ამ იდეალური პირობითობების ჩამოთვლას, სანამ, საბოლოოდ, არ ამბობს, რომ მას არ შუძლია ყველა იმ ბედნიერების წარმოდგენა, რაც ამ გასაოცარ ქალაქში არსებობს და, რაღაც მხრივ, იწვევს მკითხველს, რომ ეს ადგილი თავის წარმოსახვაშიც შექმნას. ავტორი გვიბიძგებს წარმოვიდგინოთ ყოველივე, რაც ბედნიერე-

ბას გვანიჭებს. მკითხველის ასეთი სახით ჩართვას ნარატივში ორი დანიშნულება აქვს. პირველ რიგში, იგი ხაზს უსვამს ომელას, როგორც უტოპიური ადგილის იდეას და ვინაიდან ტომას მორის ვერსიის შემდეგ უამრავი ინტერპრეტაცია შეიქმნა ასეთი ადგილისა, ლე გუინი ქმნის უტოპიის უნივერსალურ მოდელს, რომელიც ყველა მკითხველზე ინდივიდუალურად იქნება მორგებული. რაც შეეხება თხრობას, როგორც ფიქციურობის სიგნალს მოთხრობაში, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის თეორიაში სანდო და არასანდო თხრობის თეორიული განსხვავება 1961 წელს დამკვირდრდა უეინ ს. ბუთის მიერ. მის ნაშრომში, ფიქციის რიტორიკა, ვკითხულობთ რომ არასანდრო მთხრობელის ქმედებები და მეტყველება ენინააღმდეგება ნაწარმოებში მოქმედ როგორც ლოგიკურ, ისე ეთიკურ ნორმებს. ეს ტერმინი და კონცეფცია უამრავჯერ გამოვლინდა სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა მიმდინარეობისა და პერიოდის მწერლობაში, თუმცა ლე გუინის მოთხრობაში მის საინტერესო ვარიაციას ვხვდებით – ესაა არა არასანდო, არამედ ბუნდოვანი მთხრობელი, ე.წ. **uncertain narrator**. მაშინ როცა არასანდო მთხრობელი მიზანმიმართულად მალავს ან მცდარად იძლევა ინფორმაციას, ბუნდოვანმა მთხრობელმა უბრალოდ არ იცის სრული სიმართლე და თვითონაც გაურკვევლობაშია. მას შემდეგ, რაც მწერალი წარმოგვიჩენს ამ იდეალურ ქალაქს, რომელშიც ცუდი არაფერი ხდება, იგი გვისვამს კითხვას – გვჯერა თუ არა ასეთი ქალაქის არსებობისა და შემდეგ გვიმხელს ერთ დეტალს მის შესახებ, კერძოდ, ერთ-ერთი შენობის სარდაფში, პატარა ოთახში, გამოკეტილია ბავშვი, რომელიც ფიზიკურად და მენტალურად არის დაავადებული იმ პირობების გამო რაშიც ცხოვრება უწევს. მისი სხეული დამახინჯებულია გონება – კი განადგურებული. ჩვენ ვიგებთ, რომ ბავში არ დაბადებულა ამ საკანში. მთხრობელს ახსოვს, რომ ერთ დროს ის ომელასის სხვა მაცხოვრებლების მსგავსად ბედნიერი იყო. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბავშვის არსებობა არ არის საიდუმლო – ომელას ყველა მაცხოვრებელმა იცის მის შესახებ, თუმცა გადასარჩენად არავინ მიდის. ომელას მოსახლეობას სჯერა, რომ მათი ბედნიერება და სიხარული სწორედ ამ ერთი ბავშვის ტანჯვით არის განპირობებული. ქალაქში უნივერსალური ჭეშმარიტებაა რწმენა, რომ როცა ბავში დატოვებს ოთახს ომელასი დაკარგავს თავის იდეალურ ფორმას. ამიტომ ომელას მოსახლეობის უმეტესობა ადრე თუ გვიან ეგუება ამ რელობას და ქალაქში უდრადელად აგრძელებს ცხოვრებას.

ორივე მოთხრობაში არსებული გარემოება ითხოვს მსხვერპლს, რათა მასში არსებულმა საზოგადოებამ ბედნიერად იარსებოს, შირლი ჯექსონიც და ურულა კ. ლე გუინიც გვისვამს მორალურ კითხვას, თუ რა არის ბედნიერება და მისი ფასი, როცა ის აგებულია უდანაშაულო ადამიანების ტანჯვზე და თუ რამდენად იშვიათი და რთულია მყარი სოციალური კონვენციების წინააღმდეგ წასვლა. ომელას სახით მწერალს შექმნილი აქვს უტილიტარიზმის გაზვიადებული რეალობა, სადაც უმრავლესობის ბედნიერება ყოველთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ეს სიტუაცია გვახსენებს ბრიტანელი ფილოსოფოსის ფილიპა ფუთის ცნობილ ეთიკის სააზროვნო ექსპერიმენტს – ტრამვაის პრობლემას, რომელიც ერთდროულად მოიცავს ორ ზნეობრივ იდეას, კერძოდ, უტილიტარიზმსა და დეონტოლოგიას. პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, დასაშვებია თუ არა ერთი ადამიანის მსხვერპლი ხუთი ადამიანის გადასარჩენად. უტილიტარიზმის მიხედვით, ბერკეტის გადმონევა არის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელსაც მოაქვს ბედნიერება ხალხის დიდი რაოდენობისთვის. იგივეს აკეთებენ ომელასში და ჯექსონის ფიქციურ სოფელში. ისინი წევენ ბერკეტს, რომლითაც მხოლოდ 1 ადამიანი მოკვდება, რადგან ეს მიაჩნიათ ყველაზე სწორ და ნაკლებად მტკივნეულ გადაწყვეტილებად. მაგრამ რა მოხდება, როცა ექსპერიმენტში ემოციურ მუხტს ჩავრთავთ, მაგალითად, როცა ჰაჩინსონების ოჯახს ტეს ჰაჩინსონის ჩაქოლვა

უნვეთ. ლე გუინის მოთხრობაშიც განტევეების ვაცად განზრახ და მიზნობრივად არის არჩეული ბავშვი გმირი. ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ მოთხრობების ერთ-ერთი უმთავარესი სათქმელი ისაა, რომ მთელი ჩვენი რეალობა წარმოადგენს ერთ დიდ ტრამვაის პრობლემას, რომელშიც ყოველდღე გვინწევს ამა თუ იმ ბერკეტის გადაწევა. მოთხრობები აქტუალობას არ კარგავს, რადგან ვცხოვრობთ სამყაროში, რომელშიც სოციალური, ეკონომიკური და მორალური უთანასწორობა ჩვეულებრივი მოცემულობაა.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი სიუჟეტური მსგავსებაა ჯექსონისა და ლე გუინის ამ ორ მოთხრობას შორის, როგორებიცაა მსხვერპლშენიერვის, ექსპლოატაციისა და კოლექტიური პასუხისმგებლობის თემები, მათში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, უნიკალური გარემო, გმირები და თხრობის ტექნიკა. თუმცა, ორივე მოთხრობა თანაბრად იწვევს მკითხველს, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ის მსხვერპლი და უსამართლობა, რომელიც ზოგჯერ გარდაუვალიც კია საერთო ბედნიერების ძიების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუინი, უ. კ. (1973). *ისინი ვინც ტოვებენ ომელასს*. New Dimensions.
2. ჯექსონი, შ. (1948, 26 ივნისი). *ლატარეა*. ნიუ-იორკი: The New Yorker.
3. Nebeker, H. E. (1974). „The Lottery“: Symbolic Tour de Force. *American Literature*, 46(1), 100–108. <https://doi.org/10.2307/2924129>

„ოქროს საუკუნის“ თემა დოსტოევსკის მოთხრობაში „სასაცილო კაცის სიზმარი“

დიდი რუსი მწერლის თ. დოსტოევსკის შემოქმედებაში მოთხრობას „სასაცილო კაცის სიზმარი“ გამორჩეული ადგილი უჭირავს. მოთხრობაში მწერალი პირველად ეხება კაცობრიობის ჰარმონიული მომავლის მოდელს, ქვეშარიტების ძიებასა და ადამიანურ სისუსტეებს.

„სასაცილო კაცის სიზმარი“ არაერთხელ და მრავალმხრივაა განხილული ლიტერატურათმცოდნეების მიერ, მათ შორის არიან: ნ. არსენტიევი, ვ. ბორისოვი და ა.შ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათ განხილვებში უგულვებელყოფილია დოსტოევსკის გმირის სიზმრისეული სამოთხის მსგავსება ელინურ, ინდურ და საერთოდ ძველ მითოლოგიაში არსებულ ცნობებთან ე.წ. „ოქროს საუკუნეზე“. მიუხედავად ამისა, სრულიად დასაშვებია დოსტოევსკის სამოთხის საკუთარი მოდელის შექმნისას ანტიკურ პერიოდში არსებული წარმოდგენებისთვის მიემართა.

„სასაცილო კაცის სიზმარი“ პირველად 1977 წელს ჟურნალ „მწერლის დღიურის“ აპრილის გამოცემაში გამოქვეყნდა სათაურით „ფანტასტიკური მოთხრობა“. ეს სათაური უკვე მიგვანიშნებს მოთხრობის უტოპიურ შინაარსზე. ის დაწერილია ლაკონიური ფორმით, მაგრამ საკითხები, რომლებიც ამ მოთხრობაშია წამოწეული, ამოუწურავი და უსასრულოა. მასში ავტორი მსჯელობს როგორც ცალკეული ინდივიდის მარტოობაზე, ასევე, ზოგადად, კაცობრიობის მარტოობასა და გულგრილობაზე, მის მანკიერებებზე, იდეალური სამყაროს ფორმულაზე, დაკარგულ სამოთხეზე და დაკარგული სამოთხის დაბრუნების გზებზე. მოთხრობის მთავარი სათქმელი კი შემდეგში მდგომარეობს: კაცობრიობა იმდენად დაეცა და ისეთი ცოდვილია, რომ მას თავად აღარ სურს დაკარგული სამოთხის დაბრუნება.

ვინ არის მოთხრობის მთავარი გმირი? მოთხრობის მთავარი გმირი ამბივალენტური, სასაცილო და რთული პიროვნებაა. ის ბავშვობიდან გრძნობს, რომ ისეთი არ არის, როგორც სხვები. სხვებიც იმავეს გრძნობენ, რის გამოც მას ყველა დასცინის. ის ერთი გზააბნეული, ცხოვრებაზე გულაცრუებული ადამიანია, რომლისთვისაც ყველაფერმა აზრი დაკარგა, რომლისთვისაც „ყველაფერი სულ ერთია“. თითქოს ყველა პირობა აქვს, რომ საზოგადოებაში თავი ღირსეულად იგრძნოს – აქვს განათლება, სიბრძნე... მაგრამ ის მკვდარი თევზია, რომელიც დინებას მიჰყვება და არც სწყინს, არც ბრაზობს, არც დარდობს, როცა ყველა გამვლელი მას დასცინის. თუმცა გიჟი ნამდვილად არ არის და ისიც ყველაზე უკეთ იცის, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც მისი არ ესმით, ძალიან სასაცილოდ გამოიყურება: „მე დამცინოდნენ ყველგან და ყოველთვის. მაგრამ არ იცოდა არცერთმა და ვერც იფიქრებდა, რომ თუკი არსებობდა დედამიწაზე ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტად იცოდა, რომ სასაცილო ვარ, მაშინ ის ადამიანი მე ვიქნებოდი“.

სასაცილო კაცი მოთხრობის დასაწყისში დგას სამყაროს აღქმის იმ ნიჰილისტურ ზღვარზე, როდესაც ყოფიერებასთან დაკავშირებული კითხვები უკვე იმდენია, რომ არც მეცნიერებას, არც რელიგიას, არც საზოგადოებას არ ძალუძს ამომწურავად უპასუხოს ამ კითხვებს და ამიტომაც ის გადაწყვეტს ბოლო მოუღოს თავის უაზრო არსებობას. თვით-

მკვლევლობის განზრახვა სრულად მოიცავს მთელს მის არსებას, დატენილი რევოლუციის ჩახმახიც მზადაა საფინანსო გასროლისთვის, მაგრამ სასაცილო კაცი ამ გასროლისთვის რალაც შემთხვევას თუ ნიშანს ელოდება... რას ან რატომ, არც თვითონ უწყის, მაგრამ სანამ ყველაფერი მართლა სულ ერთი გამხდარა, ამ ნიშანს დაელოდება. ამ ნიშნის ლოდინში ისეთი რამ ხდება, რაც მოთხრობის ცენტრალურ ფიგურას ხელს ააღებინებს განზრახვაზე და სიცოცხლის სურვილით აღანთებს.

ერთ დღესაც მასთან დახმარების სათხოვნელად პატარა გოგონა მივა, რომელიც სასონარკვეთილია და სასაცილო კაცს დედის გადარჩენას ემუდარება. სასაცილო კაცი პირქუშად მოიშორებს მავედრებელ გოგონას, ბრუნდება სახლში და მაშინ, როცა თავის მოკვლას გადანყევტს, სინდისის ქენჯნას გრძნობს, სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ გოგონას არ დაეხმარა და იმის ფიქრებში წასული, რატომ არ დაეხმარა ან რატომ უნდა დახმარებოდა, ჩაეძინება. აქ უკვე იწყება ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მონაკვეთი, როცა მოთხრობის ცენტრალური ფიგურა ბურანში წასული სიზმარს ხედავს.

მთავარი გმირის სიზმარში თავს იჩენს ამქვეყნიური სამოთხის უტოპიური იდეა. აღსანიშნავია, რომ ეს სამოთხე მდებარეობს იმ ვარსკვლავზე, რომელიც გმირმა დაინახა, როცა თვითმკვლევობა განიზრახა. ეს სამოთხე ზუსტი ასლია ჩვენი პლანეტის, მაგრამ ამ პლანეტაზე მცხოვრები ადამიანები აბსოლუტურ ბედნიერებაში და ჰარმონიაში ცხოვრობენ სამყაროსთან და ერთმანეთთან. სასაცილო კაცი გრძნობს, თუ რაოდენ გულწრფელი, თავმდაბალი და უცოდველი არიან ამ პლანეტის მაცხოვრებლები. მათ არ იციან რა არის ტყუილი, შური, ძალადობა, ადამიანების კვლა, ავხორცობა... მათთან ყველაფერი წმინდა და სტერილურია. ისინი ცხოველებსაც კი არ ექცევიან არაჰუმანურად, არ კლავენ, არ დევნიან... მათ ხორცს არ ჭამენ... მხოლოდ მცენარეებით იკვებებიან და ამიტომაც ცოცხალ არსებებსაც არ ეშინიათ მათი, არ გაურბიან, არ ესხმიან მათ თავს, არც ტყეში გაჭრილან მათგან ზიანის მომლოდინენი. აქ ადამიანებს ყველა და ყველაფერი უყვართ, ამიტომაც ადამიანიც უყვარს ყველას და ყველაფერს. აქ ადამიანებს ისეთი თვალეები აქვთ, ისეთი გულწრფელი, რომ დედამიწაზე ასეთი თვალეები მხოლოდ პატარა ბავშვებს თუ აქვთ, ისიც იქამდე, სანამ მათს არსებაში შური შეიჭრება, ფესვს გაიდგამს და სულს მოუნამლავს. ამ ადამიანებს სასაცილო კაციც უყვართ, მას ეფერებიან, უვლიან, ეთაყვანებიან... სასაცილო კაცსაც კი ამ ადამიანების სიყვარულით გაორებულს უყვარდება ისინი და რცხვენია, რომ თვითონ ცოდვილი და უწმინდურია. მასაც უნდა მათნაირი იყოს და მის პლანეტაზე ასეთი ადამიანები ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელია. ამ პლანეტაზე ადამიანებმა იციან, რომ უნდა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, დედამიწაზე კი ადამიანი ეგოისტია, საკუთარი ეგოს მონა. ამ პლანეტაზეც არის სიკვდილი, მაგრამ აქ ახალგაზრდები არასდროს კვდებიან, არც მწუხარებით არ ეთხოვებიან განსვენებულს. მათში იმდენად დიდია რწმენა, რომ იმიერშიც გრძელდება მათი ცხოვრება, რომ სიკვდილი მათთვის მხოლოდ დროებითი განშორებაა. ამ ადამიანებს არ აქვთ მეცნიერება, რელიგია, ტაძრები... მაგრამ უკეთ ცხოვრობენ, მეტად უყვართ და მეტადაც სწამთ იმის, რისიც სწამთ...

საბოლოოდ, ეს სიზმარი იმით სრულდება, რომ სასაცილო კაცმა თავისდაუნებურად, მხოლოდ მათთან ყოფნით, შეაცვლევინა ადამიანებს ფასეულობები, შეაყვარა ტყუილი, მლიქვნელობა, ღალატი, შური, კაცის კვლა... ამ ადამიანებმაც დაიწყეს მეცნიერების შექმნა, ტაძრების აგება... გაჩნდა პირადი საკუთრება, შიში... მათაც დაიწყეს მისი დაცინვა. ეს პლანეტაც დედამიწად იქცა.

დოსტოევსკის სამოთხის ეს მოდელი, რომელიც ჩანს „სასაცილო კაცის სიზმარში“, არ არის მარტოოდენ დოსტოევსკის ფანტაზიის ნაყოფი, მასში ჩანს „ოქროს საუკუნის“ თემა,

რომელიც დიდი ხნით ადრე გაჩნდა მხატვრულ, ფილოსოფიურ და მითოლოგიურ აზროვნებაში. როგორია „ოქროს საუკუნე“? „ოქროს საუკუნე“ არის მითოლოგიური წარმოდგენა, რომელიც ჩაისახა ანტიკურ, ბედნიერ, უშფოთველ და უცოდველ ცხოვრებაზე უხსოვარ პერიოდში. მითოლოგიური წყაროების თანახმად, როდესაც დედამიწაზე იდგა ოქროს საუკუნე, არ იყო ომი, ავადმყოფობა, შიმშილი, კერძო საკუთრება და არც ათეიზმი ან რელიგიური უთანხმოება. ადამიანები და ღმერთები ერთად ცხოვრობდნენ და ერთად მხიარულობდნენ. ადამიანები მეგობრობდნენ ღმერთებთან და ღმერთები ეხმარებოდნენ ადამიანებს. არ იყო სიძულვილი. ყველამ იცოდა ჭეშმარიტება. ადამიანებს ჰქონდათ განათებული ცნობიერება. ღმერთები იყვნენ ადამიანთა მასწავლებლები. მისტიკური სასწაულები იყო ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. იმ დროს, როდესაც ეს პირველი ადამიანები გაჩნდნენ, მათ გარშემო მდინარეები რძეებად მიედინებოდნენ, ხეთა რტოებიდან ტკბილი თაფლი მოიღვრებოდა, დედამიწა კი იმდენ ნაყოფს იძლეოდა, რომ სულაც არ იყო საჭირო შრომა საკვების მოსაპოვებლად. ადამიანთა ცხოვრება ღმერთების ცხოვრებას ჰგავდა. არ აწუხებდათ საღმრთოება, სიბერე ან სიკვდილი. როგორც სიზმარში, ისე ქრებოდნენ და კეთილრდემონებად გარდაიქმნებოდნენ.

რასაკვირველია, „ოქროს საუკუნის“ მსგავსება დოსტოევსკისეულ სამოთხესთან თვალშისაცემია. „ოქროს საუკუნეშიც“ და „სასაცილო კაცის სიზმარშიც“ აღწერილ პლანეტაზე ადამიანები უშფოთველად ცხოვრებენ, ერთმანეთი უყვართ, არ მტრობენ, არ სძულთ... არ იციან, რა არის ტკივილი, შიმშილი, სიკვდილი, ძალმომრეობა... არ არსებობს ადამიანებს შორის ანტონიმურობა: კარგი-ცუდი, კეთილი-ბოროტი, მდიდარი-ღარიბი... არ არსებობს კერძო საკუთრება... ცხოვრება უშფოთველია, გულუბრყვილო, უცოდველი... მაგრამ ამ „ოქროს საუკუნის“ მოდელში დოსტოევსკიმ საკუთარი ფერთა პალიტრა შეიტანა... დოსტოევსკის სამოთხე უფრო რეალურია, ზუსტად ისეთი, როგორიც დედამიწა... აქ არც რძის მდინარეებია, არც ხეებიდან ჩამოდის თაფლი... მსგავსება ჩანს ამ ორი სამყაროს ტრანსფორმაციას შორის. არც „ოქროს საუკუნე“ გაგრძელდა უსასრულოდ და არც დოსტოევსკის მთავარი გმირის სიზმრისეული სამოთხე გადარჩენილა უცვლელად. მითოლოგიიდან ვიცი, რომ „ოქროს საუკუნის“ შემდეგი საუკუნე ვერცხლისა იყო და, რა თქმა უნდა, უარესი. ადამიანები უკვე პურით იკვებებოდნენ და დედათა მორჩილნი იყვნენ. ვითარდებოდნენ ძალიან ნელა. მათი ბავშვობა იყო ხანგრძლივი, მონიფულობა ხანმოკლე და შფოთიანი. ჯერ არ ომობდნენ, მაგრამ ღმერთებს მსხვერპლს არ სწირავდნენ. ისინი ზევსმა გაანადგურა. შემდეგ დადგა სპილენძის საუკუნე, უფრო სასტიკი და უღმობელი. ადამიანები პურს და ხორცს ჭამდნენ. მათ სპილენძის იარაღის დამზადება ისწავლეს და ერთმანეთთანრომირგააჩაღეს. უმონყალონი იყვნენ და ყველა ერთად შავმა სიკვდილმა იმსხვერპლა. ახალ, მეოთხე საუკუნეში ზევსმა უფრო სამართლიანი ადამიანებით დაასახლა დედამიწა. ისინი უფრო კეთილშობილნი იყვნენ, რადგან მოკვდავმა ქალებმა ღმერთებისაგან გააჩინეს. მათ გმირთა მოდგმას უწოდებდნენ. ამ დროს ცხოვრობდნენ ძლევა მოსილირჰერაკლე, შეუპოვარიირთესევსი, თებესა დარტროას ომისრსახელოვანი გმირები დარარგონავტები. ხოლო ბოლო, რკინის საუკუნე, რომლის დროსაც მეოთხე თაობის უღირსი შვილები ცხოვრობდნენ, შემზარავი იყო. ადამიანები გაბოროტდნენ. უსამართლობამ, სიცრუემ, სიავემ, სიბილნემ, შურმა და ყველა ცუდმა ზნემ დაისადგურა მათ სულში. ისინი ღმერთებს დაუპირისპირდნენ, რის გამოც გარდაუვალი იყო დაღუპვა. თუმცა ხსნის იმედიც არსებობდა: ადამიანი თუ გახდებოდა სამართლიანი, კანონმორჩილი, თუ ექნებოდა ღვთაებრივი სასჯელის შიში, მას და მის მოდგმას გადაშენება არ ეწერა.

„რკინის საუკუნის“ ბედი გაიზიარა სასაცილო კაცის სიზმრისეულმა სამოთხემაც. ის პლანეტა, რომელზეც ოდესღაც კეთილი და თავმდაბალი ხალხი უმფოთველად ცხოვრობდა, ყველანაირი სისაძაგლის ასპარეზად გადაიქცა. ამ პლანეტის მცხოვრებლებს თითქმის აღარ ახსოვდათ ის დრო, როდესაც მადლიერები და ბედნიერები იყვნენ; არც სჯეროდათ, რომ ასეთები ოდესღაც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. გაბოროტებულნი და შეშინებულნიც ერთმანეთისაგან დასაცავად ერთმანეთს გაუბოდნენ. ზოგმა შერჩენილი რწმენის შესანახად ტაძრების აგება დაიწყო. როცა ადამიანებს შორის მტრობა ჩამოვარდა, გაჩნდა „ძმობის“ ცნებაც და მისი დამცველებიც, გაჩნდნენ დამნაშავეებიც და კოდექსებიც, გაჩნდა გილოტინაც... დაიკარგა სინმინდე, მშვიდი ცხოვრება... გაჩნდა სევდა, ტკივილი... დაიკარგა ჭეშმარიტება... მაგრამ ამ ადამიანებს აღარ უნდოდათ უკვე ამ ჭეშმარიტების უბრძოლველად, დაუფიქრებლად მიღება. ყველაფრის მიუხედავად, როგორც არ უნდა გაბოროტებულიყვნენ ისინი, მათში მაინც დარჩა კეთილი სხივი, სწორედ ის აღანთებდა მათ, მოეძებნათ ეს ჭეშმარიტება: „ჩვენ გვაქვს მეცნიერება და მისი დახმარებით ისევ მოვძებნით ჭეშმარიტებას, მაგრამ მას უკვე გააზრებულად მივიღებთ“.

აქვე უნდა ითქვას იმ განსხვავებაზეც, რომელიც არსებობს ორ ზემოთქმულ სამოთხის მოდელზე. პირველი – „ოქროს საუკუნე“ წარმართული პანთეონის საკუთრებაა, დოსტოევსკის სამოთხეში კი, მართალია, ქრისტე ნახსენებიც არ არის, მაგრამ მისი არსებობა და იმის შეგნება, რომ დოეტოევსკისთვის სიკეთე, სილამაზე და ჭეშმარიტება ქრისტეს სახეში ერთიანდება და იდეალს ქმნის, მთელს თხზულებაში იგრძნობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იდეალური საზოგადოებისა და ცხოვრების მოდელის შექმნისას დოსტოევსკი განიცდის „ოქროს საუკუნის“ გავლენას, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ის „სასაცილო კაცის სიზმარში“ მაინც ახერხებს ჰარმონიული სამყაროს ორიგინალური მოდელის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Достоевский Ф.М., Рассказы. М.: Современник, 1983.
2. Арсентьева Н.Н., Сон смешного человека, Достоевский: Сочинения, письма, документы: Словарь-справочник. СПб., 2008. С. 174-178.

იდეალიზმი და იდეალისტი გმირის სახე მიგაქმ დე სერვანტესის რომანში „დონ კიხოტი“

იდეალიზმის თეორიული გაგება ანტიკური საბერძნეთის კონტექსტში წარმოიშვა და იგი თავის თავში მოიცავს ფილოსოფიურ მიმართულებებსა და კონცეფციებს, რომელთა მიხედვითაც, სინამდვილის წყარო არის გონება. ეს ფილოსოფიური ხედვა, ხშირ შემთხვევაში, უარყოფს ობიექტურ რეალობას და ამტკიცებს, რომ საგნები და მოვლენები იდეალურ მდგომარეობაში არსებობს მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>)

იდეალიზმი, როგორც თემა, ლიტერატურაში ფართოდ არის გამოყენებული და არაერთ განსხვავებულ, მრავალფეროვან და დახვეწილ გმირს სწორედ ამ კუთხით ქმნის ესა თუ ის ავტორი. ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითია მიგელ დე სერვანტესი და მისი რომანი „დონ კიხოტი“, რომელშიც შეფარვით თუ ღიად ავტორი იყენებს იდეალიზმის თემას. ჩემი მოხსენების ფარგლებში, განვიხილავ პირველი წიგნის მიხედვით წარმოჩენილ იდეალისტ გმირს, დონ კიხოტ ლამანჩელს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სერვანტესის ეს რომანი არის ერთგვარი პაროდია სარაინდო ეპოსებისა, რომლებიც განსაკუთრებით პოპულარული იყო ევროპაში ადრეულ შუა საუკუნეებში და რომლებშიც აღწერილია რაინდთა ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება, ის თუ როგორ იღვნიან დიდებული მებრძოლები მარადიული სახელის მოსახვეჭად. სარაინდო ეპოსებს, ძირითადად, ჯვაროსნული ლაშქრობების პარალელურად ჩაეყარა საფუძველი და, მათი პოპულარობიდან გამომდინარე, სერვანტესი თავის რომანში ხაზს უსვამს მსგავსი ნარატივების ნაკლოვანებებს, რაც ხშირად წარმოდგენილია კომიკური, არაადეკვატური სიტუაციების სახით. სერვანტესი, უპირველეს ყოვლისა, გვაჩვენებს, რომ რაინდთა ცხოვრება წიგნებში ზედაპირულად და მარტივად არის აღწერილი, დონ კიხოტი კი, რომელიც ამ ცნობილ რაინდებს ბაძავს, მარტივად უყურებს ყველაფერს და თვლის, რომ თუ მის მიერ ნაკითხულ წიგნებში, რაინდებს არასდროს დასჭირვებიათ ფული ან მთელი ღამე ფხიზლად ყოფილან და ხშირად საჭმელსაც არ გაკარებიათ, ამას თავადაც შეძლებს, მაგრამ პირველი წარუმატებელი მოგზაურობა ხდება გმირისთვის და რომანის მკითხველისთვის გაკვეთილი, თუ რამდენად იყო რეალობას დაშორებული სარაინდო პათოსი.

დონ კიხოტში, ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და კომპლექსურ ნაწარმოებში, შეიძლება გავაერთიანოთ როგორც სიბრძნე, ისე სიგიჟეცა და უსაზღვრო სიკეთეც. ამ მრავალფეროვნების წყალობით გმირი და მასზე საუბარი არ კარგავს აქტუალობას და მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა ახალ ეპოქაშიც. მარტივად რომ შევხედოთ, დონ კიხოტი ერთი ჩვეულებრივი აზნაურია, რომელიც სარაინდო რომანების კითხვამ იმდენად გააგიჟა, რომ არარეალური სურვილები გაუჩნდა და სურს ფათერაკების მაძიებელ რაინდად გადაიქცეს.

„ჩვენი კაბალიერო ისე გაიტაცა წიგნების კითხვამ, რომ მთელს დღესა და ღამეს კითხვაში ატარებდა, ხოლო ამას ის მოჰყვა, რომ უძილობითა და ბევრი კითხვით მთლად გა-

მოტივინდა და გაგიჟდა. სულ ისლა ელანდებოდა, რაც წიგნებში ამოიკითხა“ (სერვანტესი 2017, გვ.7).

ნანარმოებიდან აშკარაა, რომ დონ კიხოტის შვება ცხოვრებაში სარაინდო რომანების კითხვაა, რაც მას არა მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებს, არამედ გონებით სხვა სამყაროში ამოგზაურებს. ისევე, როგორც სერვანტესი, რომელიც რომანზე მუშაობას ორმოცდაათი წლის ასაკში იწყებს და ახალ ფორმას ახალ კონტექსტში წარმოაჩენს ესპანური ოქროს ხანის ეპოქაში, დონ კიხოტის გმირიც ორმოცდაათი წლის ასაკში იპოვის საკუთარ თავში ძალას დაინყოს ახალი ცხოვრება და შექმნას ახალი ნარატივი. იგი გადანყვეტს გახდეს მოგზაური რაინდი და მისი გადანყვეტილების მიღმა სამი მოტივი იმალება: დიდების წყურვილი, სამართლიანობის ძიება და იმ ქალის სიყვარული ვინც მას განსჯის და დააჯილდოებს.

„– ჰოი, ქალბატონო დულსინეა, ჩემი დამონებული გულის მფლობელო! რა მწარე ტანჯვას მაყენებ, რომ შენგან გამაძევე, შენი შეუდარებელი მშვენიერების ხილვა ეგრე სასტიკად ამიკრძაღე, მაგრამ, დაე, ამ ტანჯვამ მაინც გაგახსენოს, ქალბატონო, ეს შენგან მოხიბლული, შენი მიზეზით ამდენი ვაების ამტანი ჩემი გული“ (სერვანტესი 2017, გვ. 11).

რომანის არაერთი გაიდვალისებური დეტალიდან ალბათ ყველაზე გამორჩეული დულსინეა ტობოსელის სახეა და მკითხველისთვის დონ კიხოტის სიყვარულის საკითხი ჩანასახშივე კომიკური და არარეალურია. თუმცა, მისი სამართლიანობა და მარადიული სახელის მოხვეჭისაკენ სწრაფვა მთელ რომანს ლაიტმოტივად გასდევს.

დონ კიხოტი ჩვეულებრივი გმირი არ არის, იგი თითქოს არც ტრაგიკულ და არც კომიკურ გმირს არ წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, მისი სიღრმისეული ანალიზი რთული და სუბიექტური ამოცანაა.

დონ კიხოტის პერსონაჟი ორი განსახვავებული მაგისტრალური სიუჟეტის სახით შეგვიძლია წავიკითხოთ – ერთი არის ის, რაც ნანარმოების კომიკური ეპიზოდების საფუძველზე გამოიკვეთება, კერძოდ მისი სიგიჟე, ხოლო მეორე – მისი ჰუმანურობა და იდეალიზმი. დონ კიხოტი ჰუმანური გმირია იმდენად, რამდენადაც მისი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, ადამიანების მიმართ და ადამიანური გრძნობებისა და ფასეულობების მიმართ, მას განასხვავებს საზოგადოებისგან, რომელსაც მკითხველი არაერთ ეპიზოდში უარყოფითი კუთხით ეცნობა. გმირი თავის ვალდებულებად თვლის სხვების დახმარებას, ზრუნვას და, უხეშად რომ ვთქვათ, სხვის საქმეში ალტრუისტულად ჩარევას, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვს.

„ვმადლობ ზენაარს, რომ ასე ჩქარა მიგზავნის შემთხვევას ჩემი წოდების მოვალეობა შევასრულო და ჩემთა პატიოსანთა განზრახვათა ნაყოფი მოვიხვეჭო. ეს ხმა, უეჭველია, ვინმე გაჭირვებულის ხმაა, რომელსაც ჩემი შემწეობა და გამოსარჩლება სჭირია“ (სერვანტესი 2017, გვ. 20).

მისი კეთილშობილური ბუნება კომიკურ ჩარჩოშია ჩასმული არაერთ ეპიზოდში, მაგალითად, მეოთხე თავში, იგი მწყემს ანდრესს ეხმარება, როცა ბატონი სასტიკად სცემს, თუმცა, საბოლოოდ, უარეს სიტუაციას შექმნის თავისი საქციელით.

გმირი არ განასხვავებს სოციალურ კლასს – არისტოკრატს, მწყემსსა თუ უბრალო გლეხს მოკრძალებით ესაუბრება. ფუნდუკის ეპიზოდში იგი მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ხვდება, მათ სეფექალებს უწოდებს და მონინებით ეპყრობა.

დონ კიხოტი, როგორც იდეალისტი გმირი, მიმტევებელ და მაღალი სოციალური ცნობიერების მქონე პიროვნებად გვესახება. ფათერაკების ძიების გზაზე იგი არცერთ ამბავს არ ტოვებს უყურადღებოდ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება გაჭირვებულებს. 22-ე თავში, დონ კიხოტი და სანჩო პანსა დაინახავენ კოტორღელთა გუნდს, მეფის მონებს, რომლებ-

მაც დანაშაული ჩაიდინეს და ბორკილებით შეპყრობილნი გალერეებზე სამუშაოდ მიდიან. დონ კიხოტი, პირველ რიგში, გაკვირვებულია იმით, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანისთვის სხვა ადამიანებს თავისუფლების წართმევა და ცდილობს გაიგოს თუ რა დანაშაული ჩაიდინეს პატიმრებმა.

„ყოველივე ეს, ჩემო მეგობრებო, მაიძულებს ახლავე ყველას დავანახვო, თუ რად ვარ ამქვეყნად წარმოგზავნილი, რისთვისა ვარ მიუწვდომელი განგების ნებით რაინდთა გუნდში ჩარიცხული, რად დავდე ფიცი ყველა დევნილისა და დავრდომილის შემწე ვიყო, სუსტი ძლიერთა ჩავგრისაგან დავიფარო. მაგრამ, რადგან ამასთანავე ვიცი, არასოდეს არა ჯერ არს ძალით ვქნა იგი, რაც შეიძლება მშვიდობიანად გაკეთდეს“ (სერვანტესი 2017, გვ. 136).

ის თითქმის ყველასთან მივა და გამოელაპარაკება, ჰკითხავს თუ რა დანაშაული ჩაიდინეს და ცდილობს დაამშვიდოს, მათ საქციელს ახსნა მოუძებნოს. ამ ეპიზოდში შესაძლოა გაგვახსენდეს დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, სადაც სიუჟეტის განვითარების პარალელურად, დანტე გმირი წრეებში მოგზაურობს და ცოდვილებს ესაუბრება, იმაზე თუ რა დანაშაულის გამო ისჯებიან. და მართლაც, ამ პარალელთა იმის თქმის საშუალებაც გვაქვს, რომ დონ კიხოტის მოგზაურობაც სიმბოლურად ჯოჯოხეთში მოგზაურობას ჰგავს, სადაც პროტაგონისტი უამრავ დაბრკოლებასა და ცოდვას აწყდება.

ერთი შეხედვით პარადოქსულია, მაგრამ გმირის უნივერსალური ხასიათი, ერთი მხრივ, შესაძლოა გვახსენებდეს დანტე გმირს, ხოლო, მეორე მხრივ, იესო ქრისტეს. დონ კიხოტიც განურჩევლად მიუტევენს დამნაშავეებს ცოდვებს და ეწამება მისი და საზოგადოების ცოდვების გამო.

მკითხველი დონ კიხოტს ხშირად გიჟად აღიქვამს მისი საქციელებიდან გამომდინარე. ალბათ რომანის ყველაზე ცნობილ ეპიზოდში, მე-8 თავში, ვკითხულობთ თუ როგორ წარმოუდგენია ქარის წისქვილები დევებად და როგორ შეებრძოლება მათ. 21-ე თავში კი დალაქის თასი მემბრანის ღირსშესანიშნავი ჩაჩქანი ჰგონია, კარდენიოს ისტორიას ნახევრად მოისმენს, გადაწყვეტს თავადაც განსხვავებულად გამოხატოს მიჯნურისადმი სიყვარული და ნახევრად შიშველი კლდეებზე დარბის. დონ კიხოტი ნაწარმოების სხვა ყველა გმირისგან განსხვავებულია და, შესაბამისად, სხვაგვარად აღიქვამს ფაქტებსა და მოვლებს. მას აქვს ფანტასტიკური, გაიდელურებული წარმოდგენები სამყაროზე, მიუხედავად მრავალი წარუმატებლობისა და მარცხისა. რაინდად ქცევით კი გმირი ცდილობს საკუთარი თავისა და სამყაროს შეცვლას.

დონ კიხოტის სიგიჟე არის უარი იმაზე, რასაც ფროიდი პიროვნების ფსიქოანალიზში რეალობის პრინციპის თეორიას უწოდებს. დონ კიხოტის უსაზღვრო, თუ ირაციონალური იდეალიზმი არის ის, რაც იპყრობს მკითხველთა გულებს და, ამ შემთხვევაში, იდეალიზმი არ არის გაქცევა, არამედ ერთგვარი გზაა რეალობასთან განსხვავებულად გამკლავებისა. ცხოვრებაში წარმოსახვითი და რეალური ბოლომდე ვერ გამოიყოფა ერთმანეთისგან და ალბათ ვერავინ უყურებს სამყაროს სრულებით ობიექტურად, რადგან რეალურად არავინ იცის თუ რა არის ამ სამყაროში სწორი და რა არასწორი, რა არის სიგიჟე და რა არის ადეკვატურობა. ეს ყოველივე ადამიანების მიერ დაწესებული ერთგვარი ჩარჩოა, რომლის შეცვლაც, რა თქმა უნდა, ისევე ადამიანებს შეუძლიათ. ადამიანთა ის კატეგორია ვინც ამ ერთგვარ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს, ხშირად ისევე ირაცხება გიჟად, როგორც დონ კიხოტი. საზოგადოება ძნელად იღებს გამორჩეულ ადამიანებს და მუდმივად ცდილობს მათ ჩავგრას და განადგურებას, რადგან ემინიან ცვლილებების. ამის ნათელი მაგალითია ჯემალ ქარჩხაძის „იგი“, სადაც ნაჩვენებია, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელობა არ აქვს რამდენად აღმატებული და განვითარებულია ესა თუ ის ინდივიდი, განსხვავებულობა თავის თავშივე უარყოფითადაა აღქმული.

დონ კიხოტს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ სარაინდო რომანებს კითხულობს, თუმცაღა ამ რომანების მთავარ გმირებს თვითონაც მშვენივრად იცნობენ. დონ კიხოტს კი როგორც იდეალისტ პერსონაჟს, მაინც ებრძვიან და ცდილობენ იგი დაამცირონ, აბუჩად აიგდონ და სასტიკად მოექცნენ. პირველი წიგნის ბოლოს როგორც ცხოველი ისე გადაჰყავთ გალიით, რათა სახლში დააბრუნონ.

რომანის არაერთ ეპიზოდში ძალიან ნათლად ჩანს დონ კიხოტის სიბრძნე და მისი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. აღსანიშნავია დონ კიხოტის საყურადღებო სიტყვა სამხედრო საქმესა და მნიგნობრობაზე, სადაც რაინდი რეალურად და ადეკვატურად ადარებს ამ ორ პროფესიას და იმდენად გათვითცნობიერებულად საუბრობს და აკონკრეტებს ყოველივეს მაგალითებით, რომ რთულია ამ პერსონაჟს გიჟი ან სულელი უწოდო.

„მერწმუნეთ, ამაზე რომ ვფიქრობ ხოლმე, დიდად ვნანობ, რომ მოგზაური რაინდობის მოვალეობა ვიდე კისრად. ამგვარ უშვერ და საძაგელ დროში. მართალია ვერავითარი შიში წარბსაც ვერ შეგახრევენებს, მაგრამ მაინც ის ფიქრი მაძრწუნებს, რომ ერთი ბენვა თოფის წამალს და ტყვიას შეუძლია მომიღოს ბოლო და მით შეძლება წამართვას – ჩემი მკლავის ძალითა და ჩემი მახვილის სიბასრით დედამინას ზურგზე სახელი გავითქვა, მაგრამ იყოს ნება ღვთისა“ (სერვანტესი 2017, გვ 272).

ნათელია, რომ დონ კიხოტის მიერ სამყაროს მრავალგვარი აღქმა, რეალურიც და არა რეალურიც, მისი ოცნებები და ილუზიები მას აქცევს მამაც, დიდსულოვან და მიმტევებელ პერსონაჟად. იგი არის იმ რეალობის ნაწილი, რომლის შეცვლაც სურს.

ამრიგად, ვფიქრობ დონ კიხოტი შეგვიძლია აღვიქვათ იდეალისტ გმირად, რომელმაც იცის ვინ არის და ხვდება თუ ვინ უნდა რომ იყოს. დონ კიხოტი გადაიქცა მწუხარე სახის რაინდად, რათა სხვაგვარად დაგვანახოს ცხოვრება და რეალობა, მან დატოვა საკუთარი სახლი და თავგადასავლების ძიება დაიწყო არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ კაცობრიობისთვის. მიგელ დე უნამუნო ამბობს: „დონ კიხოტმა დაკარგა გონება (გაგიჟდა) ჩვენი გულისთვის, ჩვენი კეთილდღეობისთვის, რათა დაგვიტოვოს სულიერი კეთილშობილების მარადიული მაგალითი“.

დონ კიხოტის ჰუმანურობასა და მიმტევებლობას არაერთხელ გაესვა ხაზი და აღსანიშნავია, რომ კეთილშობილება და უბრალოდ სიკეთე, კიხოტური სათნოებაა და მასში დევს.

სერვანტესი თავისი გმირით გვახვედრებს, რომ არსებობს რაღაც ზღვარი სიგიჟესა და ილუზიებს შორის. შესაძლოა, მისი ცხოვრება არის სიგიჟე, სიზმარი ან ოცნება, მაგრამ თავად დონ კიხოტი, რომელიც მასზე ოცნებობს, არის რეალური და ბევრზე უფრო აღმატებული (მიგელ დე უნამუნო 2001, გვ.3). იგი იდეალისტი გმირია, რომელსაც აქვს თავისი სამყარო, რომელიც მუდმივად ეძებს თავგადასავლებს მარადიული სახელის მოსახვეჭად და გვიმტკიცებს, რომ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს თავისი შეუცნობელი და განსაკუთრებული საყარო. თემაზე საუბარს კი, სერვანტესის ამ სიტყვებით დავასრულებ:

„When life itself seems lunatic, who knows where madness lies? Perhaps to be too practical is madness To surrender dreams – this may be madness; to seek treasure where there is only trash. Too much sanity may be madness! And maddest of all – to see life as it is and not as it should be!“ (Miguel de Cervantes).

როცა თავად ცხოვრებაა გიჟური, ვინ იცის თუ რა არის სიგიჟე? შესაძლოა, სიგიჟე იყოს ზედმეტი პრაქტიკულობა, ოცნებებზე უარის თქმა ან განძის ნაგავში ძებნა. ზედმეტად გონიერება შეიძლება იყოს სიგიჟე! ხოლო ყველაზე გიჟურია ხედავდე ცხოვრებას ისე, როგორც ის არის და არა ისე როგორც უნდა იყოს!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სერვანტესი 2017, მიგელ დე სერვანტესი, დონ კიხოტ ლამანჩელი, გამომცემლობა პალიტრა L, თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, 2017.
2. Miguel de Unamuno, Glosses on Don Quixote, Bloom's Modern Critical Interpretations: Don Quixote, Infobase Publishing, 2001.
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=15699>

ემოციათა სიმბოლიკა ემილი ბრონტეს რომანში „ქარიშხლიანი უღელტეხილი“

ემილი ბრონტეს „ქარიშხლიანი უღელტეხილი“ XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელიც მრავალი თვალსაზრისითაა საყურადღებო, მათ შორის იმით, თუ როგორ იყენებს ემოციების ასახვის თავისებურებებს ბრონტე რომანის საკვანძო გმირებისა და ეპიზოდების შესაქმნელად და, ამასთან ერთად, რა დანიშნულება აქვთ მათ ნარატივში. ტექსტში ემოციების გადმოცემა, როგორც წესი, დიდი გამოწვევაა, რადგან, აბსტრაქტული ხასიათიდან გამომდინარე, მათი ვერბალიზაცია ასახვის მხოლოდ გარეგნულ, ზედაპირულ მხარედ გვევლინება. პერსონაჟთა ემოციების მკითხველამდე მისატანად ისე, რომ მათი ხასიათი და ინტენსივობა უფრო მკაფიოდ აღქმადი იყოს, მხატვრულ ლიტერატურაში მწერლები სხვადასხვა ნარატიულ ტექნიკას იყენებენ. შედეგად, გმირის ემოციები არ რჩება მასზე მიღებული ენციკლოპედიური ცოდნის ნაწილად. მათ მკითხველი გრძნობადი აღქმით შეიმეცნება. ამგვარი მეთოდის გამოყენების წყალობით სიტყვები იძენენ ძალას, ასახონ ის, რაც მხოლოდ შეიგრძნობა. როგორც ე.მ. ფორსტერი აღნიშნავს, პერსონაჟებში დაბუდების ნაცვლად ისინი [ემოციები] გმირებს ავდრის ღრუბლებივით გარშემოერტყმიან და იმ აფეთქებებს წარმოქმნიან, რომლებიც რომანს ავსებს მომენტიდან, როცა ლოკვუდს ფანჯარაში [გამოჩენილი] ხელი დაესიზმრა, იმ ეპიზოდის ჩათვლით, რომელშიც იმავე ღია ფანჯარასთან ჰიტკლიფი გარდაცვლილი იპოვეს (ფორსტერი; 2010: 105).

„ქარიშხლიანი უღელტეხილში“ ემოციათა ასახვის თავისებურება ისაა, რომ ისინი სხვადასხვა სიმბოლოთი გადმოიცემა. სიმბოლოები ნაწარმოებს მრავალნიშნადს ხდის და ნათლად ასახავს გრძნობების აბსტრაქტულობით გამოწვეულ კომპლექსურ ხასიათს. ამდენად, „ქარიშხლიანი უღელტეხილში“ სიმბოლოები და ემოციები მჭიდროდ დაკავშირებული, ერთმანეთისგან განუყოფელი ერთეულებია. მათ შორის არსებული ურთიერთმიმართებები კი გარკვეულ კანონზომიერებას ეფუძნება. სიმბოლოებისა და ემოციების ურთიერთმიმართების წარმოჩენა მხოლოდ ავტორის პროზაული მიზნის განხორციელების ნაწილი არ არის. ის გრძნობათა კომპლექსურობას უფრო მკაფიოდ აღქმადს ხდის, რადგან სიმბოლოთა ხატები, რომლებიც რომანში გვხვდება, მუდმივად არსებობს ადამიანთა ცნობიერებაში. ერთ-ერთი მათგანი ბუნებაა. უძველესი დროიდან სწორედ მასთან ურთიერთობა გაიაზრებოდა ცოდნის მიღების მნიშვნელოვან წყაროდ, ამიტომ რწმენა იმისა, რომ ბუნების ძალები გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს, ათასწლეულებს ითვლის. ბუნების სხვადასხვა ასპექტი, რომელთაც რომანში ვხვდებით, სიმბოლოებია, რომელთა მეშვეობით პერსონაჟთა გრძნობების ინტენსიურობა უფრო მკაფიოდ შეიგრძნობა.

ბუნების ერთ-ერთი ელემენტი ამინდია. ნაწარმოებში მასზე ყურადღება მახვილდება ყოველთვის, როცა რაიმე გარდამტეხი ხდება. მაგალითად, როცა ჰიტკლიფი შემთხვევით გაიგონებს კეტრინის ნათქვამს, ჰიტკლიფზე ქორწინება დამლუპავდაო და სახლიდან გარ-

ბის, გარეთ ქუხს და ელავს. ჭეჭა-ქუხილი მთავარი გმირის ბრაზს, მწუხარებას, ტკივილსა და იმედგაცრუებას ასახავს. გმირში დაბუდებული სიბნელე კი ბუნებაშიც აირეკლება. წლების შემდეგ, ჰიტკლიფი კეტრინის სულს კვლავ გამოჩენას წვიმიან და ქარიან ღამეს ევედრება. ყინვა და სიბნელე მთავარი გმირის შინაგან მდგომარეობას ასახავს და ტანჯვის, სიცარიელის, სასონარკვეთის, მონატრების სიმბოლოა.

ამინდის თავისებურებათა გარდა, ემოციებს რომანში აღწერილი გარემო პირობებიც ასახავს, რომელიც გმირებს ერთგვარ თავშესაფრად ევლინება და თავისუფლების განცდას ანიჭებს:

„ისინი [კეტრინი და ჰიტკლიფი] კი აინუნშიც არ აგდებდნენ დასჯას, ოღონდ დილიდან გარეთ გაცვენილიყვნენ და მთელი დღე ბარდნარსა და მანანის მინდვრებში ეხეტიალათ“ (ფორსტერი; 2010: 68).

კეტრინი ჰიტკლიფის მიმართ გაჩენილ გრძნობას სიმტკიცისა და მარადიულობის ნიშნით „ძველისძველ ქანებს“ ადარებს: „აი, ჰიტკლიფი კი სხვაგვარად მიყვარს: ეს გრძნობა მინის წიაღში გაქვავებულ ძველისძველ ქანებს ემსგავსება“ (ფორსტერი; 2010: 121).

ამდენად, ბუნების ეს ელემენტი ავტორს სიყვარულთან აქვს დაკავშირებული.

კეტრინი და ჰიტკლიფი გრძნობენ, რომ მათ შორის ძლიერი სულიერი კავშირია. მათ ბავშვობაში ერთად ეძინათ მუხის სანოლში, რამაც სულიერი სიახლოვისა და ერთიანობის განცდა ადრეული ასაკიდანვე ჩამოუყალიბათ. ფიზიკურმა სიახლოვემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სულიერი კავშირის ფორმირებაში. ამიტომ კეტრინი და ჰიტკლიფი ბავშვობიდან გრძნობენ, რომ ერთმანეთისგან განუყოფელი არიან და ეს განცდა მთელი ცხოვრება გაჰყვებათ, რასაც ცხადყოფს კეტრინის სიტყვები: „რისგანაც არ უნდა იყოს ჩვენი სულები შექმნილი, ვერაფერი დაარღვევს მათ ერთიანობას“ (ბრონტე; 2008: 109). პერსონაჟი მოგვიანებით აღნიშნავს: „ჰიტკლიფი – ეს მე ვარ, ნელი! ის სულ ჩემს გულშია: არა როგორც დიდი სიხარული და ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე მეტად მიყვარს, არამედ როგორც – მთელი ჩემი არსება, ჰოდა ნულარ მეტყვი ერთმანეთს დაშორდებითო, ეს ყოვლად შეუძლებელია [...]“ (ბრონტე; 2008: 121). ამავე გრძნობის გამომხატველია ჰიტკლიფის სიტყვები: „ჩემთან იყავი, ნუ მომშორდები! ნებისმიერი სახით გამომეცხადე! გამაგიჟე, ჭკუიდან გადამაყენე, ოღონდ ნუ დამტოვებ ამ უფსკრულში, სადაც შენი ნახვა არ მიწერია! ო, ღმერთო, სიტყვებს ვერ ვპოულობ! როგორ ვიცხოვრო სიცოცხლედაკარგულმა? უსულოდ დარჩენილმა როგორღა ვიარსებო?“ (ბრონტე; 243). შესაბამისად, ფიზიკური სიახლოვის სიმბოლური რეპრეზენტაცია სულიერი ერთიანობის განცდის ასახვას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ რომანის მთავარ გმირთა სულიერი ერთიანობის განცდა მათში ფემინური და მასკულინური არქეტიპების თანაარსებობითაც შეიძლება აიხსნას. ჰიტკლიფი კეტრინის ანიმუსია, კეტრინი კი ჰიტკლიფის ანიმა. როგორც ნ. ჩოდჰარი აღნიშნავს, „გენდერული იდენტობისთვის მნიშვნელოვანია ფსიქიკური ბალანსის როლი, რადგან მამაკაცის ცნობიერი მასკულინურობა ბალანსდება ფემინური არქეტიპით, ანიმით. ამავდროულად, მასკულინური ანიმუსი იმავე როლს თამაშობს ქალისთვის. ორ დამატებით არქეტიპულ ენერჯიას დიდი წვლილი აქვს ინდივიდუალიზაციის დეკონსტრუქციულ პროცესში“ (Chaudhay: 2019: 494).

გმირების სულთა ორმაგი ბუნება კი იქცა საფუძვლად, რომლიდანაც მათი სიყვარული ამოიზარდა. ამ გრძნობას მნიშვნელობას სძენს არა სიუჟეტური განვითარება, არამედ შინაგანი ხასიათი. რომანში სიყვარული წარმოჩენილია ყოვლისშემძლე, დაუმარცხებელ („[...] ჩვენი განშორება არც კეთილს შეეძლო და არც ბოროტს – არანაირ საფრთხეს, დამცირებასა და სიკვდილსაც კი [...]“ (ბრონტე; 275) და, ამავდროულად, აკრძალულ გრძნობად.

იმის მიუხედავად, რომ კეტრინისა და ჰიტკლიფის სიყვარულს ამქვეყნად განვითარების შესაძლებლობა არ მისცემია, მაინც ვერაფერმა გაანადგურა იგი: კეტრინი ლინტონზე ქორწინდება, მაგრამ ისევ ჰიტკლიფი უყვარს, ჰიტკლიფში კი ამ გრძნობას კეტრინის გარდაცვალებაც კი ვერ აქრობს, რადგან საყვარელი ქალი მასში მაინც განაგრძობს ცხოვრებას: „ძირს როცა ვიხედები, მაშინაც კი იატაკზე იმ ქალის ხატება მესახება! ის ყველგან არის – ღრუბლებში, მცენარეებში... ღამით ჰაერში დაფარფატებს, დღისით საგნებში გარინდულა! ყველა სახეში, იქნება ეს ქალის თუ მამაკაცის... და საკუთარშიც... მხოლოდ მას ვხედავ“ (ბრონტე: 2008: 475). ის, რომ კეტრინისა და ჰიტკლიფის სიყვარული ასეთი სერიოზული წინააღმდეგობების მიუხედავადაც ცოცხალია, ორივე პერსონაჟის გარდაცვალების შემდეგ, უფრო შთამბეჭდავ ეფექტს ახდენს მკითხველზე, იგი დროისა და სივრცის საზღვრებს არღვევს, ახალ, ზებუნებრივ ფორმას იღებს და მიღმიერ სამყაროში ინაცვლებს. კეტრინისა და ჰიტკლიფის სიყვარულის მარადისობაში გადასვლას მოჩვენების სიმბოლიკა უკავშირდება. ნაწარმოებში ხაზგასმულია, რომ არაერთ ადამიანს დაუნახავს კეტრინისა და ჰიტკლიფის მოჩვენებები, რაც მინიშნებაა იმაზე, რომ ამ ორი ადამიანის მონათესავე სულებმა ერთმანეთი იმქვეყნადაც იპოვეს და შეძლეს ის, რაც მათთვის ამქვეყნად მიუღწეველი იყო – სიყვარულის ძალით გაერთიანდნენ. შესაბამისად, მოჩვენება სიმბოლური რეპრეზენტაციაა ყოვლისშემძლე, მაგრამ აკრძალული სიყვარულისა, რომელმაც მონათესავე სულები იმქვეყნად გააერთიანა.

სიყვარულის ამგვარი ბუნების გათვალისწინებით, კეტრინი ლინტონზე ქორწინებით ერთგვარ კანონზომიერებას არღვევს, რასაც თავისი შედეგები აქვს: ერთი მხრივ, ამ გრძნობას ამქვეყნად განვითარების საშუალება ერთმევა, მეორე მხრივ კი კეტრინს ეს გადწყვეტილება საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში უშლის ხელს, რადგან ამას მანამდე ჰიტკლიფის სიყვარულით ახერხებდა (Nesabaum; 2003: 407). კეტრინისა და ედგარის ქორწინება ნომინალური, ყოველგვარი გრძნობისგან დაცლილი ურთიერთობაა, შესაბამისად, კეტრინი საკუთარ იდენტობას კარგავს ისეთ ადამიანთან ცხოვრებით, რომელიც ისევე განსხვავდება მისგან, „როგორც მთვარის შუქი ელვის, ხოლო თრთვილი – ცეცხლისგან!“ (ბრონტე: 2008: 119). გმირი აღნიშნავს, რომ მხოლოდ მშობლიურ მხარეში შეუძლია საკუთარი თავი იყოს. შესაბამისად, „ნამდვილი“ კეტრინი ვერ იქნება მისის ლინტონი, იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად არის. ამის გამო კეტრინი გრძნობს, რომ ისეთივე აღარაა, როგორც ოდესღაც იყო და ვერ ხსნის ამ განცდის მიზეზს. მხოლოდ მის სულს შეუძლია გამოსავლის პოვნა, ამიტომ როგორც კი სხეულისგან თავისუფლდება, ჰიტკლიფს, ანუ თავის ნამდვილ იდენტობას უბრუნდება. ნაწარმოებში ხაზგასმულია, რომ ამ გაერთიანებას საფუძველი ამქვეყნად ეყრება, ვინაიდან უკვე გარდაცვლილი კეტრინის სახე ჰიტკლიფში სხვადასხვა ფორმით განაგრძობს არსებობას. კეტრინის იდენტობასთან დაკავშირებული დაბნეულობის სიმბოლო ფანჯარაა. სწორედ მის რაფაზე ამოიკითხავს მისტერ ლოკვუდი სხვადასხვა სახელს (კეტრინ ერნშოუ, კეტრინ ჰიტკლიფი, კეტრინ ლინტონი) კეტრინის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ. ეს სახელები წარმოადგენენ კეტრინის „იდენტობებს“, რომელთა შესახებ თავად კეტრინი დარწმუნებული არასდროს ყოფილა, თუმცა ეს სიმბოლიკის მხოლოდ ერთი მხარეა. ფანჯრის სახე კომპლექსური ხასიათისაა, ის გმირის სხვა გრძნობებსაც უკავშირდება.

რომანში გრძნობების სივრცულ მოცემულობაში გადატანაც საინტერესო ასოციაციებს აჩენს: სახლები – „ქარიშხილიანი უღელტეხილი“ და „შოშიების კარმიდამო“ – რომლებშიც მოქმედება ვითარდება, იქ დასახლებულ ოჯახთა ცხოვრების წესსა და შინაგან სამყაროს ასახავს: „შოშიების კარმიდამო“, რომელშიც ლინტონები ცხოვრობენ, სრულყოფილ, სა-

მოთხისმაგვარ ადგილს მოგვაგონებს, თუმცა, რეალურად, ადამიანური ემოციების არარსებობას განასახიერებს, ამიტომ „ლინტონების სამყარო“ ჯოჯოხეთად წარმოგვიდგება (Nesabaum; 2003: 402) „ქარიშხლიანი უღელტეხილისგან“ განსხვავებით, რომელიც ძლიერი გრძნობების სამკვიდროა. შესაბამისად, რომანში ჯოჯოხეთთან დაკავშირებული ემოციური ნერტრალურობა უპირისპირდება სიცოცხლით სავსე სამყოფელს, რომელიც გრძნობებითაა სავსე.

კეტრინს „შოშიების კარმიდამოში“ საკუთარ ქმართან ერთად ცხოვრება უნევს, რაც ზღუდავს და ამწუხრებს დაკარგული თავისუფლების გამო. ამ გრძნობასაც ფანჯარა განასახიერებს. ამჯერად, ის წარმოგვიდგება ხიდად კეტრინსა და მის საყვარელ ჭაობიან ადგილებს (თავისუფლებას) შორის. ოთახში გამოკეტილი კეტრინი ფანჯრის გაღებას ითხოვს, რათა თავისი საყვარელი ადგილებიდან წამოსული ნიავი შეიგრძნოს. შესაბამისად, გმირი აცნობიერებს, რომ საკუთარი შინაგანი თავისუფლების წყაროს გამოეყო და ცდილობს, ეს როგორმე გამოასწოროს.

შოშიების კარმიდამო ნაწარმოებში მოაზრებულია „სტატიკურ სამოთხედ“ (Nesabaum; 2003: 396), რომლის ნაწილადაც კეტრინი თავს ვერ აღიქვამს. გმირი საკუთარ შინაგან სამყაროსა და იდენტობასთან შეუსაბამო ორ დეტალს უკავშირებს ერთმანეთს: „ჩემი საქმე ისევე არ არის ედგარ ლინტონის ცოლობა, როგორც სამოთხეში ნეტარება!“ (ბრონტე; 2008: 119).

ამდენად, გრძნობა, რომ კეტრინი „რეალურ“ სამოთხესაც არ ეკუთვნის, გადაჯაჭვულია იმის გაცნობიერებასთან, თუ რაოდენ დიდი შეცდომაა მისი ედგარზე ქორწინება. კეტრინის იდენტობის კრიზისის გამომხატველია მისივე სიტყვები: „თვალნინ დამიდგა პატარა გოგონა, რომელიც მოწყდა „ქარიშხლიან უღელტეხილს“, ჩვეულ გარემოს, ჰიტკლიფს, ერთადერთ ახლობელ ადამიანს და უეცრად მისის ლინტონად, „შოშიების“ დიასახლისად და უცხო კაცის მეუღლედ იქცა! მე ხომ ლტოლვილი შევიქენი – მშობლიურ კედლებს სამარად-ჟამოდ მოშორებული...“. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლინტონზე ქორწინების შეუსაბამობას. გარდა ამისა, კეტრინის მიერ საკუთარი თავის „ჩვეულ გარემოს მოწყვეტილად“ და „ლტოლვილად“ მოხსენიება ასოციაციურად უკავშირდება ადამის, ევასა და სატანის ისტორიებს (Gubar; 2003 : 384), ირეკლავს დაცემის ბიბლიურ იდეას და ხსნის კეტრინის სიზმარში განცხადებულ გრძნობას, რომ გმირი სამოთხეში უბედური იქნებოდა: „[...] ვერ აღვიქვი სამოთხე ჩემს სახლად... მეტირებოდა, გული მეფლითებოდა... დედამინაზე დაბრუნებას ვესწრაფოდი. ჰოდა, ანგელოზებიც გაბრაზდნენ და პირდაპირ უღელტეხილის ბარდნარში გადმომაგდეს, მე კი სიხარულისგან ავკვითინდი“ (ბრონტე; 2008: 119). კეტრინის სიმბოლური „დაცემა“ ცხადყოფს გრძნობას, რომ მისი სული არა სამოთხეს, არამედ „ქარიშხლიან უღელტეხილს“ ეკუთვნის. ამ ფენომენსაც ფანჯრის სიმბოლიკა ასახავს: მისტერ ლოკვუდის სიზმარში სწორედ ფანჯარასთან ჩნდება „სამოთხიდან გამოგდებული“ კეტრინის სული, შინ შეშვებას ითხოვს და, ამდენად, სხეულისგან გათავისუფლების შემდეგ შინ დაბრუნებას ესწრაფვის.

საბოლოოდ, ემოციების სიმბოლოებით გამოსახვით აბსტრაქტულ იდეებს რომანში ასოციაციური და კონკრეტული ფორმა ეძლევათ, რაც არა მხოლოდ მკაფიოდ აღქმადს ხდის გმირთა გრძნობებს, არამედ კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენს მათ კომპლექსურობას. ამდენად, ემოციები, რომლებიც რომანის პერსონაჟებს აქვთ, მკითხველისთვისაც განცდადი და რეალური ხდება. გარდა ამისა, მრავლისმომცველი ხასიათი სიმბოლოებს ყველაზე სრულყოფილ გამომსახველობით საშუალებებად აქცევს მაშინ, როცა საქმე ისეთ მრავალშრიან ფენომენტთა ასახვას ეხება, როგორიც ადამიანური ემოციებია. შესაბამისად, ურთი-

ერთმომართებები, რომლებიც სიმბოლოებსა და გრძნობებს შორის არსებობს, ნაწარმოების მრავალფეროვან ინტერპრეტაციას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ემილი ბრონტე, ქარიშხილიანი უღელტეხილი, გამომცემლობა „არტე“, 2008.
2. E.M. Forster, *Aspects of the Novel* (New York: RosettaBooks LLC, 2010).
3. Martha Nussbaum, 'Wuthering Heights: The Romantic ascent', in *Emily Brontë Wuthering Heights*, ed. by Richard J. Dunn, 4th edn (New York: W.W. Norton & Company, Inc, 2003), pp. 394–410.
4. Nipun Chaudhary, 'Trans-Cultural Anima, Animus, Shadow and Self: Carl Jung as Structuralist-Poststructuralist Continuum': *International Journal of Recent Technology and Engineering (IJRTE)*, Volume 7 (April 2019), Issue 6S5, 494-498;.
5. Susan Gubar, 'Looking Oppositely: Emily Brontë's Bible of Hell', in *Emily Brontë Wuthering Heights*, ed. by Richard J.
6. Dunn, 4th edn (New York: W.W. Norton & Company, Inc, 2003), pp. 379-394.

თათია თურმანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფ. თინათინ დოლოძე

მშობლიური ენის ცოდნის მნიშვნელობა უცხო ენის ათვისებისთვის

ენა არა მხოლოდ იდეების გაცვლა-გამოცვლასა თუ ემოციების გადმოცემას ხდის შესაძლებელს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანთა, კულტურათა და თაობათა დაახლოებაშიც კი. ენის ფუნქციების სრულად განხორციელების თვალსაზრისით, მშობლიური ენა უპირატესია, ვინაიდან მისი დახმარებით პიროვნება სრულად გამოხატავს თავის თავს და ავლენს თავის პოტენციალს. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ მშობლიურ ენას დიდი გავლენა აქვს პიროვნების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა თუ მის კოგნიტურ განვითარებაზე, რასაც არაერთი თანამედროვე კვლევა ადასტურებს.¹ ამასთანავე, სწორედ მშობლიური ენა ინახავს სამშობლოს მრავალწლიან ისტორიას და ის უღვივებს ყოველ ადამიანს პიროვნული იდენტობისა თუ მიკუთვნებულობის გრძნობას. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მშობლიური ენის ცოდნას დიდი გავლენა აქვს პიროვნების შემდგომ განვითარება-ჩამოყალიბებაზე. თუმცა, ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ მხოლოდ მშობლიური ენის ცოდნაც არ არის საკმარისი. დღევანდელობაში, სულ მცირე, ერთი უცხო ენის შესწავლა აუცილებლობასაც კი წარმოადგენს, რადგან აღნიშნული პიროვნებას ეხმარება ინდივიდუალურ თუ პროფესიულ განვითარებაში, თვალსაწიერის გაფართოებაში, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობასა და მათი კულტურის მიმართ მიმდებლობის ჩამოყალიბებაში. ამასთანავე, უცხო ენის შესწავლა აუმჯობესებს მეხსიერებას, ხელს უწყობს ინტელექტუალურ სტიმულაციას და ა.შ. უცხო ენის ათვისებისას ბევრ გარემოებას/ფაქტორს ექცევა ყურადღება, მაგალითად, ასაკს, სასწავლო გარემოს, სწავლების მეთოდებს და ა. შ. ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს უცხო ენის ათვისების თვალსაზრისით, არის მშობლიური ენის სიღრმისეულად ცოდნის აუცილებლობა უცხო ენის შესწავლის დაწყებამდე. მოცემული ნაშრომის მიზანია, მიმოიხილოს როგორც კლასიკოს მეცნიერთა შეხედულებანი ამ საკითხთან დაკავშირებით, ისე თანამედროვე მიდგომები, თეორიები თუ კვლევები, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს უცხო ენის ათვისებაში მშობლიურ ენას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს – იაკობ გოგებაშვილს, რომელიც, თავის მხრივ, იზიარებს რუსული პედაგოგიკის ფუძემდებლის, კონსტანტინე უშინ-

¹ Krista Byers-Heinlein and Casey Lew-Williams, *Bilingualism in the Early Years: What the Science Says*. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6168212/> (10.06.2023).

Barbara T Conboy, Sharon Coffey-Corina, Denise Padden, Maritza Rivera-Gaxiola and Tobey Nelson, *Phonetic learning as a pathway to language: new data and native language magnet theory expanded (NLM-e)*. <https://royalsocietypublishing.org/doi/full/10.1098/rstb.2007.2154> (10.06.2023).

სკის, შეხედულებებს. იაკობი, ისევე როგორც უშინსკი, მიიჩნევდა, რომ მშობლიური ენის უცოდინრობა ადამიანის გონებრივ და ზნეობრივ დაქვეითებას იწვევს. მეტიც, იაკობის აზრით, მშობლიური ენის მაგივრად უცხო ენის შესწავლით, პიროვნება თავის სრულ პოტენციალს ვერ გამოავლენს – „თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარს სიტუსტეზედ ჩამოხტება“. ² თუმცა, აღსანიშნავია, რომ იაკობი უცხო ენის უცოდინრობასაც უკუღმართობად მიიჩნევდა, რადგან მისი შედეგი იქნებოდა: „სიღარიბე ქართული აზრისა, სიღატაკე ქართული მეცნიერებისა, სივიწროვე გონების ჰორიზონტისა, შეჩერება პროგრესისა, წარმატებისა, დამყარება უძრავის ცხოვრებისა“.³ იაკობს მტკიცედ მიაჩნდა, რომ ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელია როგორც უცხო ენის, ასევე მშობლიური ენის ცოდნა, თუმცა მისი აზრით, ბავშვმა უცხო ენის ათვისება მშობლიური ენის კარგად შესწავლის შემდეგ უნდა დაიწყოს, დაახლოებით 7 წლიდან, ვინაიდან სწორედ მშობლიური ენა ქმნის მყარ საფუძველს უცხო ენის კარგად, გააზრებულად შესწავლისთვის. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ იაკობს, უშინსკის მსგავსად, მიუღებლად მიაჩნდა ბავშვისთვის ერთდროულად რამდენიმე უცხო ენის სწავლება, ვინაიდან ეს მხოლოდ დაბნეულობას გამოიწვევდა ბავშვში და, შესაბამისად, იგი ვერცერთ ენას ვერ ათვისებდა ჯეროვნად.

საინტერესოა, თუ როგორი მოსაზრებები ჰქონდათ ენის შესწავლასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მხრივ, ყურადსაღებია ნოამ ჩომსკის შეხედულებები, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკის მამად არის ცნობილი. ჩომსკის მიხედვით, ყველა ადამიანი იბადება ენის ათვისების თანდაყოლილი უნარით, რომელზეც გარკვეულ გავლენას ახდენს ბავშვის ირგვლივ არსებული ენობრივი გარემო. მაგალითად, ბავშვი, რომელიც იზრდება ინგლისში და უწევს ინგლისური საუბრის მოსმენა, პირველ ენად ინგლისურს ისწავლის. ჩომსკიმ თავისი თეორია დააფუძნა ორ იდეაზე: ერთი მხრივ, ყველა ბავშვს აქვს ე.წ. „ენის ათვისების მოწყობილობა“ (LAD), რომელიც შეიცავს სპეციფიკურ ინფორმაციას ენასა თუ გრამატიკაზე და რომელიც მეტყველების მოსმენის შემდეგ იწყებს ამოქმედებას; მეორე მხრივ კი, ყველა ენას საერთო სტრუქტურული ბაზა აქვს, კერძოდ, მსგავსი წესების ერთობლიობა, რომელიც ჩომსკიმ განმარტა, როგორც „უნივერსალური გრამატიკა“. „ენის ათვისების მოწყობილობა“ სწორედ უნივერსალური გრამატიკის შესახებ შეიცავს ცოდნას. ჩომსკი თავის თეორიას, რომ ენის შესწავლის თანდაყოლილი უნარით ვიბადებით, ასევე ასაბუთებს ორი ფაქტით: ერთი მხრივ, ბავშვები გრამატიკას ადვილად სწავლობენ, ყოველგვარი ფორმალური განათლების მიცემის გარეშე. მეორე მხრივ კი, ისინი ენას ბუნებრივად, ერთნაირი თანმიმდევრობით ითვისებენ – ჯერ ბგერების წარმოთქმას სწავლობენ, შემდეგ სიტყვების, სულ ბოლოს კი წინადადებების. კლასიკოსებისგან განსხვავებით, ჩომსკი თავის თეორიაში არ ამახვილებს ყურადღებას მხოლოდ მშობლიურ ენაზე ან თუნდაც მის მნიშვნელობაზე უცხო ენის შესწავლის დაწყებისას. იგი, ზოგადად, ასკვნის, რომ ადამიანები თანდაყოლილ ლინგვისტურ ცოდნას ფლობენ, რისი საშუალებითაც მარტივად და ინსტიქტურად ითვისებენ მშობლიურ ენას ან იმ ენას, რომელ ენობრივ გარემოშიც უწევთ ყოფნა.⁴

მოცემულ თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა, ასევე, განათლების მეცნიერებათა პროფესორის, კერძოდ ენობრივი განვითარების, ბილინგვური განათლებისა და ნიგნიერე-

² იაკობ გოგებაშვილი, *ბურჯი ეროვნებისა*.
http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/burji_eroვნებისა.htm

³ გოგებაშვილი, *ბურჯი ეროვნებისა*.

⁴ Noam Chomsky. *Syntactic structures*. Berlin. Mouton de Gruyter. 2002.

ბის მკვლევარის, ჯიმ კამინსის, ლინგვისტური ურთიერთდამოკიდებულების ჰიპოთეზის⁵ განხილვა, რომელიც მოცემულია მის ნიგნში – „ბილინგვიზმი და სპეციალური განათლება: შეფასების და პედაგოგიკის საკითხები“. ჰიპოთეზის თანახმად, პიროვნებას მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის კარგად დაუფლება არა მხოლოდ მეორე ენის შესწავლაში დაეხმარება, არამედ მისი ინტერაქციის უნარ-ჩვევების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. კამინსის თვალსაზრისით, პირველ და მეორე ენაში არსებული კოგნიტური აქტივობა ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულებაშია. უფრო კონკრეტულად კი, თუ ენის შემსწავლელი უფრო მეტ უნარ-ჩვევას განვითარებენ მშობლიური ენის ათვისებისას უცხო ენის შესწავლის დაწყებამდე, მეორე ენის ათვისებისას ამ უნარ-ჩვევების ხელახლა შესწავლა აღარ დასჭირდებათ და მეტიც, უფრო სწრაფად შეძლებენ გარკვეული ასპექტების დაუფლებას. მაგალითად, თუ ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, უცხო ენის სწავლების დაწყებისას, იგი უფრო მალე და ეფექტურად შეძლებს წერა-კითხვის ათვისებას, ვიდრე ის ბავშვები, ვისაც წერა-კითხვის მყარი საფუძველი არ აქვთ მშობლიურ ენაზე. კამინსმა, აგრეთვე, განიხილა დამატებითი კვლევები, რომლებიც მხარს უჭერენ მოცემულ ჰიპოთეზას და დაადგინა, რომ ლინგვისტურად განსხვავებულ ენებს, მაგალითად, იაპონურსა და ინგლისურს შორის, უნარ-ჩვევების ტრანსფერი ენის შემსწავლელის კოგნიტური და ინდივიდუალური მახასიათებლებით ხდება, ხოლო ტრანსფერი მსგავს ენებს, მაგალითად, ინგლისურსა და ესპანურს შორის კი, ლინგვისტურ ელემენტებსაც მოიცავს, რადგანაც ამ ენებს შორის მყარი კავშირია. აღსანიშნავია, რომ კამინსის ჰიპოთეზა მოტივირებულია უნივერსალური გრამატიკის თეორიის პრინციპებით, რომლის თანახმადაც, ყველა ადამიანს ენის შესწავლის თანდაყოლილი უნარი აქვს. საბოლოო ჯამში, კამინსის ჰიპოთეზა აღიარებს ენებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. ამასთანავე, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პიროვნება რაც უფრო მეტ უნარ-ჩვევას განვითარებს მშობლიურ ენაში და რაც უფრო კარგად ათვისებს მას, მეორე ენას უფრო სწრაფად და ეფექტურად შეისწავლის.

საინტერესოა, ასევე, სოფიო თოთიბაძის მიერ ჩატარებული კვლევა – „მშობლიური ენის როლი მეორე ენის ათვისებისთვის“,⁶ რომელიც ეხება მშობლიური ენის როლს ინგლისურის, როგორც მეორე ენის, ათვისებისას. კვლევა ჩატარდა ორ ნაწილად: პირველი ნაწილი მოიცავდა ონლაინგამოკითხვას, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართულ, ლიტვურ, შინდ და მანდარინის ენაზე მოსაუბრეები, ხოლო მეორე ნაწილი კი მოიცავდა ინტერვიუს, რომელშიც მონაწილეობდა ჰააგის საერთაშორისო სკოლის 5 სტუდენტი. კვლევის პირველ ეტაპზე გამოვლინდა შემდეგი რამ: მიუხედავად იმისა, რომ მშობლიური ენა თითქმის არ იყო გამოყენებული ინგლისური ენის გაკვეთილების ჩატარებისას, მონაწილეები ცნობიერად თუ არაცნობიერად მაინც რთავდნენ მშობლიურ ენას მეორე ენის ათვისების პროცესში. ამასთანავე, მონაწილეთა უმრავლესობამ ერთხმად აღნიშნა, რომ გარკვეული სიტყვის ცოდნა მშობლიურ ენაზე, ამავე სიტყვის დასწავლის პროცესს აჩქარებდა მეორე, ინგლისურ ენაზე, ვინაიდან მათ აღარ სჭირდებოდათ სიტყვის მნიშვნელობის ხელახლა შესწავლა. რაც შეეხება კვლევის მეორე ნაწილს, აღნიშნულმა გამოავლინა, რომ მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენის სწავლისას ძალიან სასარგებლოა, ვინაიდან მისი დახმარებით სტუდენტები უკეთ იგებენ სამიზნე ენას. ამასთანავე, დადგინდა, რომ სტუდენტებს უცხო ენის სწავლებისას მშობლიური ენის გამოყენება თავდაჯერებულობას მატებს და თავიანთი კულტურის

⁵ Jim Cummins. *Bilingualism and Special Education: Issues in Assessment and Pedagogy*, England, Multilingual Matters, 1984.

⁶ Totibadze Sopio, *The Role of Mother Tongue in Second Language Acquisition*, 2018. https://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/Totibadze.pdf

მიმართ მიკუთვნებულობის გრძნობას უღრმავებს. საბოლოო ჯამში, კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ მშობლიური ენის გამოყენება არა მხოლოდ სასარგებლოა უცხო ენის სწავლებისას, არამედ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეორე ენის სრულად დაუფლებაში, განსაკუთრებით ეფექტური კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, ევროპაში არსებული სკოლები ერთ-ერთ საუკეთესო ენობრივ განათლებას სთავაზობს მოსწავლეებს. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება თუ განვიხილავთ უცხო ენის სწავლების სპეციფიკას რამდენიმე ქვეყნის სკოლის მაგალითზე, რაც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის იმაზე, თუ რამდენად დიდ როლს ანიჭებენ ქვეყნები მშობლიური ენის ცოდნას უცხო ენის შესწავლის პროცესში.

გერმანულ სკოლებში მინიმუმ ერთი უცხო ენის შესწავლა სავალდებულოა და აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ინგლისურ ენაზე აკეთებს არჩევანს.⁷ გერმანელი მოსწავლეები, უმეტესწილად, 8-9 წლის ასაკში (გერმანიის რამდენიმე მიწაზე კი, 10-11 წლის ასაკში) იწყებენ პირველი უცხო ენის ათვისებას, რომლის შესწავლასაც აგრძელებენ ბოლო კლასამდე.⁸ მაგალითად, ბავარიის, საქსონიის, შლეზვიგ-ჰოლშტაინისა და, რეალურად, გერმანული მიწების უმეტესობაზე უცხო ენის სწავლება მე-3 კლასიდან იწყება, მაგრამ 2003 წლიდან მოყოლებული გერმანიის რამდენიმე მიწაზე (მაგალითად, ბადენ-ვიურტენბერგში 2003 და ბრანდერბურგში 2004) ინგლისური პირველი კლასიდან იწავლება, კვირაში ორსაათიანი დატვირთვით. აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლის ტიპის მიხედვით უცხო ენის შესწავლის დანებების დროც განსხვავდება.⁹ პირველი უცხო ენის ათვისების პარალელურად, სკოლა სხვა უცხო ენის შესწავლასაც სთავაზობს გერმანელ მოსწავლეებს. საბოლოო ჯამში, აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, იკვეთება ის ფაქტი, რომ გერმანელი მოსწავლეები უცხო ენის შესწავლას მას შემდეგ იწყებენ, რაც მშობლიურ ენაზე განივითარებენ ოთხივე – ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა და წერის ენობრივ კომპეტენციებს. შეიძლება მოცემული წარმოდგენს საფუძველს იმისა, რომ 2022 წლის გამოკვლევის თანახმად, გერმანიამ, ინგლისური ენის ცოდნის თვალსაზრისით, 111 ქვეყანას შორის მე-10 ადგილი დაიკავა.¹⁰

შვედეთის განათლების სისტემა უცხო ენის სწავლებას ადრეული დროიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაზეც მონიშნავს უცხო ენის სწავლების მრავალწლიანი ტრადიცია შვედეთის სკოლებში. კერძოდ, ჯერ კიდევ 1962 წელს პირველი უცხო ენა – ინგლისური – ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო საგანი გახდა, 1994 წელს კი მეორე უცხო ენის სწავლება გახდა სავალდებულო.¹¹ დღესდღეობით, შვედი მოსწავლეები პირველი უცხო ენის – ინგლისურის – სწავლას იწყებენ მესამე კლასში, ხოლო მეშვიდე კლასიდან კი მათ მეორე უცხო ენა – გერმანული, ფრანგული ან ესპანური – ემატებათ.¹² მკაფიოა, რომ შვედეთის

⁷ Marc, Why German Students Must Learn A Foreign Language, 2023, <https://www.ilovelanguages.com/why-german-students-must-learn-a-foreign-language/> (11.06.2023)

⁸ ბავარიის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, დანებებითი სკოლის სასწავლო გეგმა, 2000. https://edumedia-depot.gei.de/bitstream/handle/11163/1037/77309444X_2000_A.pdf?sequence=2

⁹ German School System. <https://www.iamexpat.de/education/primary-secondary-education/german-school-system>(11.06.2023)

¹⁰ EF English Proficiency Index, Germany, 2022 <https://www.ef.com/wwen/epi/regions/europe/germany/> (11.06.2023).

¹¹ Béatrice Cabau-Lampa, *Foreign Language Teaching in Sweden: a long tradition*, Published online: 07 Jul 2006. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/0031383990430404> (11.06.2023).

¹² *Features of obtaining an education in Sweden in 2023* <https://poradnuk.com.ua/en/education-in-sweden-in-the-system-of-learning-the-pros-and-cons.htm>

საგანმანათლებლო სისტემა, პირველ რიგში, მშობლიური ენის სწავლებას ანიჭებს უპირატესობას და მხოლოდ მშობლიური ენის კარგად დაუფლების შემდეგ იწყებენ მოსწავლეები უცხო ენის შესწავლას. ფაქტია, რომ აღნიშნული სწავლების მეთოდი საკმაოდ ეფექტურია, რადგან შედეგთა მოსახლეობა ინგლისური ენის ცოდნის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მონიწივად აღიარებული იქნა.

რაც შეეხება ქართულ სკოლებს, ცნობილია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით ორი ან სამი უცხო ენის სწავლაა გათვალისწინებული.¹³ პირველი სავალდებულო უცხო ენა – ინგლისურია, რომელიც პირველი კლასის მეორე სემესტრიდან იწყება, ხოლო მეორე ენის შესწავლას კი მოსწავლეები საბაზო საფეხურიდან იწყებენ. იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ინგლისური ენის სწავლება დაწყებით კლასებში, გარკვეულწილად, წარმოდგენას გვიქმნის ია ხასაიას მიერ 2018 წელს წარდგენილ დისერტაციაში – „უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დაწყებით კლასებში“ – მოცემული დანართები, რომელიც მოიცავს დაწყებითი კლასის მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარის შედეგებს.¹⁴ როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტად ბავშვებს წერისა და ლაპარაკის კომპეტენციის განვითარება უჭირთ ინგლისურ ენაში. ამასთანავე, მასწავლებელთა მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმაზე, თუ რა დრო სჭირდებათ მოსწავლეებს ინგლისური ენის ანბანისა და მარტივი წინადადებების კითხვის დასაუფლებლად: ზოგი მიიჩნევს, რომ ამ ყოველივეს 1 თვე სჭირდება, ზოგის თვალსაზრისით კი აღნიშნული მთელ პირველ სემესტრს მოითხოვს. მეტიც, მასწავლებელთა ნაწილი ანბანის შესწავლასა და კითხვის დაწყებას მეორე კლასიდან მიიჩნევს გამართლებულად. განსხვავებული სურათია, ასევე, მასალის გავლის ტემპთან დაკავშირებით: ზოგიერთი მასწავლებელი თითო თემატური ბლოკის გავლას 2 გაკვეთილს ანდომებს, ზოგი კი 8-ს, 9-ს ან 10-ს. თუ ამ ყოველივეს დაემატება ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა უმრავლესობის აზრით, ინგლისური ენის სახელმძღვანელო მხოლოდ ნაწილობრივ ეხმარება მოსწავლეებს უცხო ენის დაუფლებაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებით კლასებში ინგლისური ენის სწავლების პროცესი არაეფექტურად მიმდინარეობს. სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სკოლები არც სასწავლო რესურსების და არც მასწავლებელთა მომზადების მხრივ არ არიან მზად იმისთვის, რომ დაწყებით კლასში უცხო ენის საბაზისო ცოდნა სრულფასოვნად გადასცენ მოსწავლეებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ერთდროულად უწევთ მშობლიურ ენაში წერა-კითხვის შესწავლის დაწყება და უცხოური ანბანის ათვისება. აღნიშნულმა შესაძლოა დაბნეულობა გამოიწვიოს მოსწავლეებში, შედეგად კი ვერც მშობლიურ ენაში აიმაღლებლენ საჭირო კომპეტენციებს და ვერც უცხო ენის ათვისებას დაიწყებენ ჯეროვნად. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ ქართული სკოლები იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებას გაითვალისწინებენ და მხოლოდ მშობლიური ენის ათვისების შემდეგ ასწავლიან უცხო ენას.

კლასიკოსი პედაგოგების მოსაზრებებისა და თანამედროვე მიდგომებისა თუ კვლევების განხილვის, ასევე, უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის სკოლების მაგალითის მოყვანის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მშობლიური ენა უცხო ენის ათვისებაში დიდ როლს თამაშობს. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კამინსის ჰიპოთეზა, გოგებაშვილისა და უშინსკის მოსაზრებებს გარკვეულწილად ეხმიანება, ვინაიდან იგი

¹³ ეროვნული სასწავლო გეგმა, <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels>

¹⁴ ია ხასაია, „უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დაწყებით კლასებში“ (დის. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018), 165. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_10045_1.pdf

ხაზს უსვამს, თუ რამდენად სასარგებლოა თავდაპირველად მშობლიურ ენაში კომპეტენციების განვითარება უცხო ენის შესწავლის დაწყებამდე. ამასთანავე, კამინსის თვალსაზრისით, პიროვნება რაც უფრო მეტ უნარ-ჩვევას განავითარებს მშობლიურ ენაში, მით უფრო მარტივად და ეფექტურად დაეუფლება უცხო ენას. შეიძლება ითქვას, რომ სოფიო თოთიბაძის კვლევამაც, გარკვეულწილად, დაადასტურა ის ფაქტი, რომ მშობლიურ ენაზე უნარ-ჩვევების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ენის შედარებით იოლად დაუფლებისთვის. კერძოდ, თოთიბაძის კვლევაში, მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მშობლიურ ენაზე თუნდაც სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა, ამავე სიტყვების სწრაფად ათვისებაში ეხმარებათ უცხო ენაში. თოთიბაძის კვლევამ მართლაც, რომ გამოკვეთა თუ რა დიდი როლი აქვს მშობლიური ენის გამოყენებას უცხო ენის სრულფასოვნად შესწავლისთვის. რაც შეეხება ჩომსკს, მის თეორიაში არ იკვეთება, რომ პირველად აუცილებლობით მშობლიური ენის შესწავლაა საჭირო. იგი, ძირითადად, იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ადამიანებს ენის ათვისების თანდაყოლილი უნარი აქვთ. თუმცა, სწორედ ჩომსკის თეორიას დაეყრდნო კამინსი საკუთარი თეორიის განვითარებისას. აღსანიშნავია, რომ ისეთი მოწინავე ევროპული ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია და შვედეთი, სკოლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, პირველ რიგში, მშობლიური ენის სწავლებას და მხოლოდ მისი კარგად დაუფლების შემდეგ ასწავლიან მოსწავლეებს უცხო ენას. კარგი იქნება, თუ საქართველოც მათი სწავლების მოდელს მიბაძავს, ვინაიდან 2022 წლის კვლევის თანახმად, ინგლისური ენის ცოდნის ინდექსის მიხედვით საქართველო ევროპის 35 ქვეყნიდან 31-ე ადგილს იკავებს, ხოლო შვედეთი და გერმანია მე-7 და მე-9 ადგილებს ინაწილებენ.¹⁵ სკოლების მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხო ენის სწავლების ადრეულ ასაკში დაწყება აუცილებლობით კარგ შედეგზე არ გაიყვანს მოსწავლეს. პირიქით, იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე მშობლიურ ენაში წერა-კითხვისა და უცხო ენის ათვისებას ერთდროულად დაიწყებს, შესაძლოა ვერცერთი ენა აითვისოს საფუძვლიანად. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ჯერ ისწავლებოდეს მშობლიური ენა, რომელიც მყარ საფუძველს შეუქმნის პიროვნებას და მეტიც, დაეხმარება უცხო ენის ათვისებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ მშობლიური ენის საფუძვლიანად ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უცხო ენის ათვისებისთვის, არამედ პიროვნების იდენტობის, ცნობიერებისა თუ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მშობლიური ენის ცოდნის ხარისხი დიდად განაპირობებს პიროვნების შემდგომ განვითარება-ჩამოყალიბებას. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში ვკითხულობთ: „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“.¹⁶ ამ ციტატიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის და, ზოგადად, მთელი განათლების სისტემისა თუ აღზრდის მიზანსაც ისეთ მოქალაქეთა აღზრდა წარმოადგენს, რომელთაც არა მარტო ეროვნული და კულტურული იდენტობა გააჩნიათ, არამედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი არიან. რა თქმა უნდა, მხოლოდ მშობლიური ენის სწავლება არ უზრუნველყოფს ამ ყოველივეს, არამედ თითოეულ საგანს თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს იმისთვის, რომ ჰარმონიულად აიგოს სასწავლო პროცესი, რათა აღნიშნული მიზანი იქნეს მიღწეული.

¹⁵ EF English Proficiency Index, Georgia, 2022 <https://www.ef.com/wwen/epi/regions/europe/georgia/>
EF English Proficiency Index, Sweden, 2022 <https://www.ef.com/wwen/epi/regions/europe/sweden/>
EF English Proficiency Index, Germany, 2022 <https://www.ef.com/wwen/epi/regions/europe/germany/>

¹⁶ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0> (11.06.2023).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Byers-Heinlein, Krista and Lew-Williams, Casey: Bilingualism in the Early Years: What the Science Says. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6168212/> (10.06.2023).
2. Cabau-Lampa 2006; Cabau-Lampa, Béatrice: Foreign Language Teaching in Sweden: a long tradition. Published online: 07 Jul 2006. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/0031383990430404> (11.06.2023).
3. Chomsky, 2002; Chomsky, Noam: Syntactic structures, Berlin, Mouton de Gruyter, 2002.
4. Coffey-Corina, Sharon et al: Phonetic learning as a pathway to language: new data and native language magnet theory expanded (NLM-e), <https://royalsocietypublishing.org/doi/full/10.1098/rstb.2007.2154> (10.06.2023).
5. Cummins, 1984; Cummins, Jim: Bilingualism and Special Education: Issues in Assessment and Pedagogy, England, Multilingual Matters, 1984. EF English Proficiency Index, Georgia, 2022. <https://www.ef.com/wwen/epi/regions/europe/georgia/> (11.06.2023).
6. EF English Proficiency Index, Germany, 2022 <https://www.ef.com/wwen/epi/regions/europe/germany/> (11.06.2023).
7. EF English Proficiency Index, Sweden, 2022 <https://www.ef.com/wwen/epi/regions/europe/sweden/> (11.06.2023).
8. Features of obtaining an education in Sweden in 2023, <https://shorturl.at/gvzCP> (11.06.2023). German School System, <https://shorturl.at/oFLN4>. (11.06.2023) Marc: Why German Students Must Learn A Foreign Language. Published online: 2023 <https://www.ilovelanguages.com/why-german-students-must-learn-a-foreign> (11.06.2023).
9. Totibadze, 2018: Totibadze, Sopio: The Role of Mother Tongue in Second Language Acquisition, 2018. https://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/Totibadze.pdf (11.06.2023).
10. ბავარიის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, დანყებითი სკოლის სასწავლო გეგმა, 2000. <https://rb.gy/4k4v3> (11.06.2023).
11. გოგებაშვილი, იაკობ: ბურჯი ეროვნებისა, http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/burji_erovnebis.htm (11.06.23). ეროვნული სასწავლო გეგმა. <https://rb.gy/czxjz> (11.06.2023)
12. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0> (11.06.2023).
13. ხასაია, 2018: ი. ხასაია: უცხოური ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დანყებით კლასებში, ბათუმი, 2018. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_10045_1.pdf (11.06.2023).

მედიაინჟინერების მნიშვნელობა და ციფრული დისციპლინების მოღვაწეობა საქართველოში

შესავალი

მედიაინჟინერების მნიშვნელობასა და ციფრული მოქალაქის ჩამოყალიბებაზე წინამდებარე ნაშრომში დანვრილებით ვისაუბრებთ. ჩვენს **ამოცანას** წარმოადგენს დაახლოებით მაინც შევძლოთ მედიაგანათლების ღირებულებათა მნიშვნელობისა და საჭიროების რეფლექსია. თემის **მიზნად** განვსაზღვრეთ შევისწავლოთ მედიაინჟინერების განვითარების ეტაპები საქართველოში, მისი პარტნიორობა სხვადასხვა ინსტიტუციასთან და წარმოვადგინოთ მცირე კვლევა მედიაპლატფორმაზე, კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე განთავსებულ ჩვენთვის საინტერესო პროდუქტზე პირადი დაკვირვებიდან გამომდინარე.

თვისებრივ კვლევაში, წარმოდგენილი ნაშრომი დაფუძნებული იქნება ტექსტობრივ მასალაზე. ჩვენთვის აუცილებელია საკვლევ საკითხზე აქამდე არსებული ინფორმაციის, შრომების შესწავლა და მათი ანალიზი. აქ ვგულისხმობთ არა მარტო ქართულ კვლევებს, არამედ უცხოურ გამოცდილებას, რომელსაც რელევანტური ლიტერატურის გაცნობისას გამოვიყენებთ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პლატფორმაზე განხორციელებული მედიაპროდუქტის სისტემატიზაციისათვის დაგვჭირდება **სისტემური ანალიზი**.

კვლევის შინაარსიდან გამომდინარე, საჭირო იქნება **თემატური ანალიზი**, ხოლო თემების შემომნებისა და კანონზომიერების იდენტიფიცირების მიზნით **დისკურსის ანალიზი**.

1.1. მედიაინჟინერების რაობა

„რაც უფრო მაღალია ადამიანის მედიაინჟინერების ხარისხი, მით უფრო დიდია რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილ სამყაროს შორის არსებული საზღვრის დანახვის უნარი“ (ჯანაშია; 1921:14).

მედიაინჟინერი და, ზოგადად, ნიგნიერი ადამიანების დეფიციტი ქვეყნისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. კრიტიკული აზროვნების უნარის არქონა, დეზინფორმაციასთან ბრძოლის შესაბამისი სტრატეგიების არარსებობა, ციფრული ტექნოლოგიების ფლობის დაბალი დონე ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების კუთხით.

მედიაინჟინერ საზოგადოებას გააჩნია უპირატესობები გაარჩიოს ნამდვილი და ყალბი ამბები ერთმანეთისაგან, არ გახდეს მანიპულაციის მსხვერპლი, ხოლო სწორი და რეალური ინფორმაცია გამოიყენოს საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

სოციალური მედიის განვითარების შემდგომ ინფორმაციაზე წვდომა წარმოუდგენლად პატარა ასაკიდან იწყება და სწორედ ამიტომ საჭირო ინფორმაციული განათლების უნარების გამომუშავება. ეს უნარებია მედიის კონტენტის კრიტიკული ანალიზი, შედეგად მისი შეფასება და, საბოლოოდ, მედიაპროდუქტის მოხმარება. სწორედ ამ უნარების ათვისების პროცესს უნდა ვუწოდოთ მედიაინჟინერება, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ ინფორმაციული განათლება.

თითოეულ ჩვენგანს ინფორმაციის ძალიან დიდ ოდენობასთან გვინევს შეხება ყოველდღიურად. ეს ინფორმაცია უფრო და უფრო აგრესიული და უხეში ხდება, რათა საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. ცვალებადი და მზარდი მედია ყოველდღე უამრავ გზავნილს გვთავაზობს ნებისმიერ თემაზე. ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სწორი და ხარისხიანი არჩევანის გაკეთებაა.

„რაც უფრო მაღალია მედიანიგნიერების ხარისხი, მით უფრო დიდია რეალურ სამყაროსა და მედიის მიერ შექმნილი სამყაროს შორის არსებული საზღვრის დანახვის უნარი. როდესაც თქვენ მედიანიგნიერი ხართ, გაქვთ რუკა, რომელიც მედიასამყაროში გზის უკეთ გაკვლევაში გეხმარებათ. იქნებ იმ ინფორმაციას, რომელიც თქვენთვის სასარგებლოა და შეგიძლიათ აერიდოთ იმას, რაც ზიანს მოგიტანთ“ (პორტერი 2020: 14).

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე ვასკენით, რომ მედიანიგნიერება სხვა არაფერია, თუ არა შევიძინოთ უნარი ჩვენს ცვალებად სამყაროსთან ადაპტირებისა.

1.2. მედიანიგნიერება საქართველოში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონულად გამოქვეყნებული სტატიებისა და რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით, საქართველოში მედიანიგნიერების განვითარების საწყისად 2011 წელი უნდა მივიჩნიოთ. ამ დროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, სადაც მედიანიგნიერება განსაზღვრულია, როგორც გამჭოლი კომპეტენცია. აღნიშნული გეგმის მიხედვით, მოსწავლემ მედიანიგნიერების უნარები ყველა საგნობრივ ჯგუფში უნდა განავითაროს. მას უნდა შეეძლოს თანამედროვე სტილის მულტიმედია ტექსტების არა მარტო აღქმა და გააზრება, არამედ შექმნა და გამოქვეყნება. აუცილებლად უნდა ჰქონდეს მედიასამყაროში ორიენტაციის უნარი, როგორ გააკეთოს არჩევანი და რა სახის ინფორმაციას ენდოს, ასევე, გაფილტროს ინფორმაცია და კრიტიკულად შეაფასოს ის.

როგორც მედიანიგნიერების მკვლევარი ამრიტა ჯანაშია საკუთარ სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნავს, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ახალი რეფორმის ფარგლებში, განათლების სამინისტრომ კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება მედიანიგნიერებასთან დაკავშირებულ მიმართულებებზე და 2018-2024 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მედიანიგნიერება შევიდა ზოგადად ნიგნიერების შემდეგ მეორე გამჭოლ კომპეტენციად.

კვლევებსა და თეორიებზე დაყრდნობით გამოვავლინეთ და მოვახდინეთ შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციების სისტემატიზაცია:

1. მედიის განვითარების ფონდი;
2. ატლანტიკური საბჭო;
3. IREX;
4. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;
5. People In Need.

ხოლო დონორ ორგანიზაციებად შეგვიძლია დავასახელოთ:

1. ამერიკის საელჩო;
2. ევროკავშირისა და USAID-ის წარმომადგენლობა.

სისტემური დაჯგუფების შედეგად, მედიაგანათლების კუთხით მომუშავე პარტნიორი და დონორი ორგანიზაციები შემდეგ ჯგუფებად დაიყოფიან:

1. მთავრობა;
2. საგანმანათლებლო სფერო;

3. არასამთავრობო ორგანიზაციები;
4. მედია;
5. ადგილობრივი და საერთაშორისო მხარდამჭერი ინსტიტუტები.

ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც მედიანგნიერებას უწევდა და ამჟამადაც უწევს პოპულარიზაციას, „მედიის განვითარების ფონდია“. სწორედ ამ ორგანიზაციის პროექტია „მითების დეტექტორის ლაბორატორია მედიანგნიერებისათვის“. პროექტის მიზანია დეზინფორმაციის გამონვევებს მაღალი მედიანგნიერების დონითა და მყარად მომზადებული მედიაპროდუქციით უპასუხოს.

1.3. მედიანგნიერება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

დისტანციურმა სწავლებამ განსაკუთრებული მოთხოვნა გააჩინა ციფრულ რესურსებზე, მათ შორის ელექტრონულ სახელმძღვანელოებსა და სენსორულ დაფებზე.

ქ. თბილისის #82 საჯარო სკოლის პედაგოგის ქეთევან შუბითიძის პრაქტიკულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ საგაკვეთილო პროცესში მედიარესურსების სწორი გამოყენება ამაღლებს სასწავლო საგნის სწავლების ეფექტურობას, ასევე, იძლევა საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის საშუალებას.

მკვლევარი რუსუდან ქავთარაძე ასაბუთებს, რომ განათლების ინფორმატიზაცია ეფექტურად განვითარებადი პროცესია, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში. მკვლევარს მიაჩნია, რომ თანამედროვე მულტიმედიური საშუალებების განვითარება პირდაპირკავშირშია საგანმანათლებლო ტექნოლოგიების რეალიზების საშუალებებთან, რისთვისაც ხდება პროგრესული ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება.

როგორც ჩვენი დაკვირვებებიდან ჩანს, მედიასაშუალებების საგანმანათლებლო პოტენციალი რეალიზდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დანიშნულების პროდუქციაში: სასწავლო, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, საცნობარო და მხატვრული დანიშნულების მქონე ელექტრონული გამოცემებისა და რესურსების სახით.

1.4. მედიაგანათლება და მედიაგარემო

MDF-ის ანგარიშის მიხედვით, მედიანგნიერების მიმართულებით მედია საშუალებებიდან სისტემატურად მუშაობენ შემდეგი ორგანიზაციები: On.ge, რადიო თავისუფლება, ნეტგაზეთი, ბათუმელები, საზოგადოებრივი მაუწყებელი.

ჩვენი მცირე კვლევის პლატფორმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შექმნილი მედი-აპროდუქტია.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ერთ-ერთი პირველი სატელევიზიო მაუწყებლობაა, რომელიც ღიად ჩაერთო მედიაგანათლების განვითარების ხელშემწყობ კამპანიაში. 2020 წელს მან ახალი პროექტი „ანტიფეიკი“ გაუშვა ეთერში.

Antifake.ge ელექტრონული ვებგვერდია და მოქალაქეებს შეუძლიათ დასვან ნებისმიერი შეკითხვა ინფორმაციის რელურობის შესახებ და დარწმუნდნენ პირველწყაროს სანდოობაში.

აღნიშნულ თემატიკაზე შევისწავლეთ ეთერში გასული ყველა გადაცემა 2015-დან 2022 წლის ჩათვლით.

სერიოზულ განხილვებს ვაწყდებით პირველი არხის ანალიტიკურ გადაცემა „ვექტორში“, რომელიც, მინვეულ ექსპერტებთან ერთად, ინტენსიურად მსჯელობს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საფრთხეებზე ქართულ სივრცეში.

გადაცემა „ბიზნესპარტნიორში“, „დღის თემასა“ და „დღის კოდში“ მიწვეული მკვლევრები და ექსპერტები საუბრობენ კიბერუსაფრთხოების, ჰიბრიდული საფრთხეების, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მავნე ზემოქმედების, დეზინფორმაციის, პროპაგანდისა და სიძულვილის ენის საკითხებზე, აფასებენ მოვლენებს, გამოყოფენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და სახავენ სტრატეგიებს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემებზე დაკვირვებისა და მათი შინაარსობრივი ანალიზის შედეგად შეიძლება ვისაუბროთ ძლიერ და სუსტ მხარეებზე:

ძლიერი მხარეები:

1. მედია-საშუალებები ინტენსიურად თანამშრომლობენ მედიანიგნიერების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან;
2. ხდება ფაქტების გადამოწმება, არაავთენტური ანგარიშების გამოვლენა;
3. ხდება ჟურნალისტების გადამზადება ვერიფიკაციის მიმართულებით.

სუსტი მხარეები:

1. შეინიშნება მედიანიგნიერების კუთხით რესურსების ნაკლებობა;
2. მედიაშინაარსი ყოველთვის არაა ხელმისაწვდომი საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობებისთვის.

დასკვნა

გამოქვეყნებული ლიტერატურიდან, უკვე ჩატარებული კვლევების ანალიზით და ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვებით, ფაქტია, რომ საქართველოში არასაკმარისია პედაგოგიური რესურსები, არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივები. მედიანიგნიერება მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტში ისწავლება საქართველოს მასშტაბით.

თუმცა, ბოლო პერიოდში, სოციალური მედიის საშუალებით ხშირად ვაწყდებით მედიანიგნიერების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების მიმოხილვას. ასევე, ხშირია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგები პედაგოგებისათვის.

საჭიროა მედიაპლატფორმებმა შეიმუშაონ მრავალფეროვანი და მოსახლეობის ყველა ფენისათვის გათვლილი საგანმანათლებლო პროგრამები, მოახდინონ ცოდნის მეტად გავრცელება, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ დონორ ორგანიზაციებთან.

„საზოგადოების მედეგობის გაძლიერებისათვის მომზადებული პროგრამების ფარგლებში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა ითანამშრომლოს არასახელმწიფო აქტორებთან, რათა ხელი შეუწყოს მედიანიგნიერებას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობებს“ (მედიის... 2021: 26).

მედიანიგნიერების კომპონენტები უნდა დინერგოს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ გასართობი შინაარსის გადაცემებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინგოროყვა ნატალია, მედიანიგნიერების სწავლების ასპექტების კვლევა და ძირითადი გამოწვევები საქართველოს უნივერსიტეტებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.
2. მედიის განვითარების ფონდი, ანგარიში საქართველოს შესახებ, MDF-ის გამომცემლობა, 2021.
3. მედიის განვითარების ფონდი, მედიანიგნიერების გზამკვლევი – როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციას და ყალბ ინფორმაციას, MDF-ის გამომცემლობა, 2020.

4. პოტერი ჯეიმზ, მედიანიგნიერება, საქართველოს კომიუნიკაციების ეროვნული კომისია, მედიანიგნიერების განვითარების ხელშეწყობა – სტრატეგია, თბილისი, 2020.
5. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, მედიანიგნიერების სახელმძღვანელო, unicef-ის გამომცემლობა, თბილისი, 2018.
6. საფარაძე ნინო, მედიანიგნიერების კომპეტენციაზე დაუფლების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, წმ. ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ხიჭაური, 2021.
7. ქავთარაძე რუსუდან, მედიაპედაგოგია – რეალობა და პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2012.
8. შუბითიძე ქეთევან, ლიტერატურული ტექსტების გააზრების ხელშეწყობა მულტიმედიური სწავლების მეთოდების გამოყენებით, ქ. თბილისის 82-ე საჯარო სკოლა, თბილისი, 2017.
9. ჯანაშია ამრიტა, მედიანიგნიერების სოციალური ზემოქმედების ძირითადი ასპექტები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.
10. Kotilainen Sirkku, Arnolds-Granlund, Media Literacy Education, University of Gothenburg, 2010.
11. 2018 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3980145> (ბოლო ნახვა 17.01.2022).
12. გადაცემა „ნაშუადღევს“, მედიანიგნიერება საქართველოში, 2019, <https://bit.ly/3g1tllS> (ბოლო ნახვა 25.01.2022).
13. გადაცემა „ახალი დღე“, ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, 2019, <https://bit.ly/3s1Ade2> (ბოლო ნახვა 25.01.2022).
14. გადაცემა „ბიზნესპარტნიორი“ ნიგნიერება და ფინანსური განათლება ახალგაზრდებში, 2020, <https://bit.ly/3IIE0U0> (ბოლო ნახვა 24.01.2022).
15. გადაცემა „კომუნიკატორი“ მედიანიგნიერება, 2015, <https://bit.ly/3IIE9qw> (ბოლო ნახვა 25.01.2022).
16. გადაცემა „დღის კოდი“, ციფრული ტექნოლოგიები ქვეყნის განვითარებისათვის, 2021, <https://bit.ly/3ADhSHK> (ბოლო ნახვა 25.01.2022).
17. გადაცემა „დღის კოდი“, ციფრული სამყარო, <https://bit.ly/349GYC3> (ბოლო ნახვა 25.01.2022).

თეა ქანტურია

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი – პროფ. სანდრო ვახტანგოვი

ჰიპოდერმული ნემსის თეორია და დეზინფორმაციის ეფექტი ციფრულ ეპოქაში

პოსტმოდერნული ეპოქის და პოსტინდუსტრიული საზოგადოების მნიშვნელოვანი მახასიათებელია საინფორმაციო ინდუსტრიის ხარისხობრივი ნახტომი, რომელიც ტექნოლოგიური ინოვაციების გაანალიზების აუცილებლობაზე მიუთითებს.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ XXI საუკუნე ტექნოგენური ცივილიზაციის ერაა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა თანამედროვე სოციალურ-კულტურული რეალობა და საზოგადოების ცხოვრებაში უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური შემოსვლა გამოიწვია. ჰიპერრეალურ გარემოში საინფორმაციო ტექნოლოგიები აღარ შეიძლება ჩაითვალოს ტექნოგენური სამყაროს ექსკლუზიურ კუთვნილებად, რამეთუ ისინი ისე ღრმად ინტეგრირდნენ ადამიანის ცხოვრებაში, რომ მათი სოციალური და კულტურული კონტექსტიდან იზოლირება შეუძლებელი გახდა.

ტექნოგენურ სამყაროსა და საინფორმაციო ინდუსტრიის ხარისხობრივ ნახტომზე საუბრისას, ცალკე უნდა გამოვყოთ ციფრული რევოლუცია, რომელიც, უდავოდ, ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის გავრცელებაში, გუტენბერგის სტამბის შემდეგ. ეჭვგარეშეა, რომ ციფრულმა რევოლუციამ გამოიწვია სოციალური ზემოქმედება და ცხოვრების სტილის რადიკალური ცვლილებები, გააფართოვა და გააუმჯობესა კომუნიკაციის და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების უნარი. გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა გლობალიზაცია, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია როგორც სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია, ასევე, ყველა სფეროში უფრო მეტი ეფექტურობა და პროდუქტიულობა.

ციფრულმა რევოლუციამ ეკრანული კულტურის ტოტალური ტრანსფორმაცია მოახდინა, შექმნა გლობალური მედია-გარემო, რომლის ინდუსტრია ვრცელდება სოციალური ცხოვრების და ცნობიერების თითქმის ყველა სფეროზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ დიגיტალიზაციამ მიგვიყვანა საინფორმაციო ეპოქამდე და ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს.

ჩვენი საკვლევი თემაა „ჰიპოდერმული ნემსის თეორია და დეზინფორმაციის ეფექტი ციფრულ ეპოქაში“. მაგრამ, სანამ ამ საკითხს განვიხილავთ, მოდით ვუპასუხოთ კითხვას – **თუ რა არის თეორია?**

თეორია შეიძლება შევადაროთ ვირუსს, რომელიც სტუდენტებს შორის ავრცელებს შიშს, ისევე როგორც ფილოსოფია, რომელიც აფრთხობს კურსდამთავრებულებს. მაგრამ თეორია სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების გზა, უფრო მეთოდური და დახვეწილი, ვიდრე „აზროვნება“ ყოველდღიური გაგებით (Laughey; 2007).

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, შეცვალეს კომუნიკაციის სახე. ახალი მედიის გაჩენამ აუდიტორიას ინფორმაციის მიღების და ასიმილაციის მრავალი არხი მიანოდა. ამ ყოველივემ აუდიტორიაზე სხვადასხვა ტიპის გავლენა მოახდინა. მოსაზრებამ, რომ მედიას თავისი აუდიტორიის მოხიზვლის, მანიპულირების და კონტროლის უნარი აქვს, ფესვები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მტკიცედ გაიდგა.

მასობრივი კომუნიკაციის „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ (ან „ჯადოსნური ტყვიის თეორია“) არის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული პოსტულატი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მასმედია აუდიტორიაზე. ეს არის „პირდაპირი ეფექტის“ თეორია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ქმნის სტიმულ-პასუხის ურთიერთობას მედია ტექსტებს და ამ ინფორმაციის მომხმარებელ მასობრივ აუდიტორიას შორის. „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ უზარმაზარ ძალას მიაწერს მედია შეტყობინებებს, ხოლო მსმენელს, მაცურებელს ან მომხმარებელს განიხილავს, როგორც უკიდურესად მონყვლადს იმ მესიჯების მიმართ, რომელთა მეშვეობით „ინიექციის“ მსგავსად შეჰყავთ იდეები, პოზიციები ან მოსაზრებები აუდიტორიის წევრების გონებაში, რის შედეგად მათი მდგომარეობა იცვლება „ნამლის დოზის“ შესაბამისად.

რა არის „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“?

ეს არის კომუნიკაციის მოდელი, რომელიც ვარაუდობს, რომ მედიამესიჯები ჩასმულია პასიური აუდიტორიის ტვინში.

„ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ პირველად შემოგვთავაზა კომუნიკაციის თეორეტიკოსმა ჰ. ლასველმა 1927 წელს თავის წიგნში – „პროპაგანდის ტექნიკა მსოფლიო ომში“. მან ეს თეორია შეიმუშავა პირველი მსოფლიო ომის დროს პროპაგანდის ეფექტზე დაკვირვების შემდეგ. იმ პერიოდში, როდესაც ომისადმი საზოგადოების მხარდაჭერა კრიტიკული იყო, მედია გამოიყენებოდა მორალის ასამაღლებლად და მხარდაჭერის გასაძლიერებლად. ჰ. ლასველის საკომუნიკაციო მოდელი არის წრფივი ჩარჩო, რომლის მიხედვით კომუნიკაციის პროცესი სეგმენტაციის გზით აიხსნება. მან შემოგვთავაზა მედიაპროპაგანდა სამი სოციალური ფუნქციით: მეთვალყურეობა, კორელაცია, გადაცემა.

თეორია აცხადებს, რომ აუდიტორიით მანიპულირება შესაძლებელია კონტროლირებადი და განპირობებული წესით. ამ თეორიის კლასიკური მაგალითია ამერიკელი კინორეჟისორის, მსახიობის და სცენარისტის ორსონ უელსის 1938 წლის რადიოგადაცემა „სამყართა ომები“. ჰდრამატული რადიოსერიალის ერთ ეპიზოდში გადაცემა შეწყდა მარსელების შემოსევის ყალბი ანონსით. ჰამ განცხადებამ ფართო პანიკა გამოიწვია შეერთებულ შტატებში, ბევრი ვარაუდობდა, რომ მოცემულ მომენტამდე აუდიტორია დეტერმინირებული იყო სიუჟეტში ნათქვამი შეტყობინებებით.

აღსანიშნავია, რომ „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ აშკარად ეფექტურია, თუმცა სოციოლოგები თვლიან, რომ ეს თეორია დაფუძნებულია მხოლოდ დაშვებებზე ადამიანის ქცევის შესახებ. სალი აზრი ვარაუდობს, რომ თეორია მუშაობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი აუდიტორიის შემადგენელი პირები იზიარებენ მსგავს თვისებებს, გამოცდილებას, რწმენას ან წინამავალ ცოდნას. მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ჰ. ლაზარსფელდი თავის კვლევებში აკეთებდა დასკვნას, რომ ინტერპერსონალური კომუნიკაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე მასობრივი კომუნიკაცია, როდესაც ამოცანა აუდიტორიის დარწმუნებაა (Lazarsfeld; 2005).

ჩვენს სამყაროში გლობალიზაციის პროცესების ფონზე, როდესაც კაცობრიობა მრავალი გამონწვევის წინაშე დგას, ჩნდება კითხვა – არის თუ არა ტოტალური ციფრული ეკრანიზაციის გარემოში „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ ისევ აქტუალური?

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ციფრულ ეპოქაში განვითარებული ტენდენციების გამო, განსაკუთრებით, სოციალური მედიის გავლენით, არსებობს შესაძლებლობა, რომ „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ დღესაც აქტუალური იყოს. ეჭვგარეშეა, რომ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წინსვლამ ხელახლა განსაზღვრა მასობრივი კომუნიკაცია ისევე, როგორც მისი გავლენა. შესაბამისად, არგუმენტი იმის შესახებ, რომ „ჯადოსნური ტყვიის თეორიამ“ პოპულარობა მოიპოვა მაშინ, როდესაც პოსტულირებული იყო, რადგან ტელევიზიაზე მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ჰქონდა წვდომა – არ არის მართებული. ის განსაკუთრებით აქტუალურია და აგრძელებს პოპულარობის მოპოვებას სოციალური მედიის ეპოქაშიც, სადაც თანამედროვე რეალობაში უამრავ ადამიანს აქვს წვდომა ეკრანული პროგრამის შინაარსზე. აქედან გამომდინარე, მედიის დამაჯერებელი შინაარსის გავლენის ქვეშ ყოფნა იღებს უფრო და უფრო მეტად მასშტაბურ ხასიათს. „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ აგრძელებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ვსაუბრობთ, ზოგადად, მედიაზე. თანამედროვე სამყაროშიც კი საზოგადოება თვლის, რომ მასმედიას აქვს ძლიერი ეფექტი. მაგალითად, მოზარდების მშობლები განიცდიან, რომ საკმაოდ დიდია ძალადობრივი ვიდეო-თამაშების, შოუების, ფილმების და ა.შ. უარყოფითი გავლენა მათ შვილებზე ისევე, როგორც საინფორმაციო გამოშვებების მხრიდან გავრცელებული აგრესიული მესიჯები თუ სათაურები. თუმცა ამ ყოველივეს გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ სოციალურმა მედიამ გააფართოვა ადამიანური ურთიერთქმედების სფერო და შექმნა მომხმარებლის მიერ გენერირებული შინაარსი და სოციალური ყოფა.

თუ განვიხილავთ „ჰიპოდერმული ნემსის თეორიის“ მნიშვნელობას დადებით კონტექსტში, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ მან უზრუნველყო პლატფორმა მედიის ეფექტების შესწავლის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ინფორმაციის როლი თანამედროვე საზოგადოებაში მაქსიმალურად იზრდება. ინფორმაციის აფეთქების ეპოქაში მასობრივი კომუნიკაციის პროცესის სწრაფი განვითარება და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო შეღწევა ხდება ყველა სოციალურ სფეროში. იუტას უნივერსიტეტის პროფესორი ე. ჰოლტონი ინფორმირებულობის შესახებ შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს – „ზოგჯერ წარმოუდგენლად გვეჩვენება, რომ არ ვიყოთ ინფორმირებული. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას აკრავს ახალი ამბები და ინფორმაცია. საქმე კი იმაშია, რომ თანამედროვე მოსახლეობის დიდი ნაწილი სიახლეებით გადატვირთულად გრძნობს თავს“. თუ ე. ჰოლტონის აზრს გავაგრძელებთ, შეიძლება ითქვას, მართლაც, ჩვენი ცხოვრება ტოტალურ ეკრანთან ერთად ნიუსების და ინფორმაციის მიმღებად გადაიქცა, რომელიც იმდენად სწრაფად და დასვენების გარეშე მუშაობს, რომ, სამწუხაროდ, გადატვირთვის დროც კი არ რჩება.

საინფორმაციო ეპოქაში დეზინფორმაცია ჩვეულ ნორმად იქცა და მისი სიღრმისეული გავება არაერთი მკვლევარის შესწავლის საგნი გახდა. თუმცა დეზინფორმაციის ფსიქოლოგია და ისტორია სრულად ვერ იქნება გაგებული თანამედროვე ტექნოლოგიების მონაწილეობის გარეშე. ისტორიულად ცნობილია, რომ სწორედ დეზინფორმაციამ შეუწყო ხელი რომის იმპერატორების ხელისუფლებაში მოსვლას; ისინი იყენებდნენ შეტყობინებებს მონეტებზე, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ფორმას. რაც შეეხება ნაციისტურ პროპაგანდას, ის დიდწილად ეყრდნობოდა ბეჭდურ პრესას, რადიოს და კინოს. დღეს დეზინფორმაციულ კამპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ციფრული ინფრასტრუქტურა, რომელიც უბადლოა.

გასული ათწლეულების გამნმავლობაში სამეცნიერო კომუნიკაცია დეზინფორმაციაზე რეაგირებისას ეყრდნობოდა „ინფორმაციის დეფიციტის“ მოდელს, ის ფოკუსირებული იყო ხალხის მხრიდან არასწორ გაგებაზე ან ფაქტებზე წვდომის ნაკლებობაზე. თუმცა, „ინფორ-

მაცის დეფიციტის“ მოდელი უგულბელყოფს დამოკიდებულების ფორმირების, ქემპარიტების განსჯის კოგნიტურ, სოციალურ და აფექტურ მამოძრავებელს.

„ჰიპოდერმული ნემსის თეორიის“ აქტუალურობას და მნიშვნელობას ბოლო პერიოდის კვლევებიც ადასტურებენ. ის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოქალაქეების ქცევის შესაფასებლად კრიზისების დროს, როგორც იყო, მაგალითად, Covid-19-ის პანდემია.

მსოფლიო საზოგადოებამ აღიარა Covid-19-ის მძიმე, დამანგრეველი მასშტაბები აუდიოვიზუალური ინფორმაციის სწრაფი მიწოდების, კომუნიკაციის და პუბლიკაციების წყალობით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პანდემის შესახებ პირველადი ინფორმაცია სოციალურ მედიაში არ იყო დაცული დეზინფორმაციის გავრცელებისგან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ Covid-19-ის ეპიდემია განიცდიდა დეზინფორმაციულ „ინფოდემიას“ (ინფორმაციის ეპიდემია). მკვლევრებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ სამედიცინო დეზინფორმაციის შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია Covid-19-ის პანდემიასთან, საშინელი სისწრაფით ვრცელდებოდა სოციალურ მედიაში. დიდი რაოდენობით გაჯეტების გამოყენების წყალობით, ხმოვან-ხედვითი კულტურა იქცა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის უდიდეს წყაროდ, შესაბამისად, ამ ყოველივეს უზრუნველყოფენ იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი ინტერნეტტექნოლოგიები. სამაუწყებლო კომპანია BBC აცხადებდა, რომ დეზინფორმაციის ადამიანური ღირებულება შეიძლება იყოს უდიდესი, რადგან ის ძირს უთხრის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გზავნილებს.

2014 წელს – ნიგერიაში სოციალური მედიის „ვირუსულ“ შეტყობინებაში ნათქვამი იყო, რომ მარილიანი წყლის დაღევამ და ბანაობამ შეიძლება თავიდან აგვაცილოს ებოლას ვირუსის გავრცელება. შედეგად ქარბი მარილის მოხმარების გამო რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა, ათობით კი ჰოსპიტალიზებული იყო. 2020 წელს – ამერიკელმა ცოლ-ქმარმა Covid-19-ის თავიდან ასაცილებლად მიიღეს ქლოროქინის ფოსფატი, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოაცხადა ქლოროქინის სამკურნალო თვისებები, როგორც ვირუსის შესაძლო მკურნალობა. მაგრამ წყვილის მიერ მიღებული ტოქსიკური ინგრედიენტი იყო ქიმიკატი, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება აკვარიუმების გასაწმენდად. შედეგად მამაკაცის სიცოცხლე ფატალურად დასრულდა, ქალი კი კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

COVID-19-ის პანდემიის შესახებ სოციალური მედიის დეზინფორმაციის გამოსავლის ძიებისას, ჯანმოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მ. რაიანი ამბობდა – „ჩვენ გვჭირდება ვაქცინა დეზინფორმაციის წინააღმდეგ“ და მოუწოდებდა მკვლევრებს და სოციალურ მეცნიერებს ემუშავათ ამ კუთხით. შესაბამისად, კვლევებისას შემუშავდა კონცეპტუალური ჩარჩო, რათა ემპირიულად იყოს გამოკვლეული დეზინფორმაციის ეფექტი COVID-19-ის ინდივიდუალურ პასუხებზე და მომავალში როგორ განხორციელდეს „ჰიპოდერმული ნემსის“ და „გამძლეობის“ თეორიების შეზავება.

ყალბი ინფორმაციის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი დიდი სირთულე მისი რეალისტური ფორმაა. ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს სოციალური მედიის გარკვეული პოლარიზაცია, რადგან მომხმარებლებს აქვთ წინასწარგანწყობა კონფირმაციის მიმართ, რაც გამოიხატება მხოლოდ იმ ინფორმაციის ნაკითხვით და გაზიარებით, რომელიც შეესაბამება მათ რწმენას, ღირებულებებს. პერსონალიზაციის რამდენიმე ალგორითმზე დაყრდნობით, მომხმარებლები თავიანთ საინფორმაციო არხებში იღებენ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება მათ წარსულ ქცევას, რითაც ქმნიან ეგრეთ წოდებულ „ექოკაბინეტებს“. „ექოკაბინეტი“ აიძულებს მომხმარებელს ენდოს წაკითხულ ინფორმაციას, მისი სიზუსტის

შემომნების გარეშე, ეს ყოველივე კი ხელს უწყობს ზედაპირულ აზროვნებას და სოციალურ მედიაში ყალბი ინფორმაციის უფრო მაღალ დაცვას.

„ექოკაბინეტი“ /Echo chamber (media)/ – არის კონცეფცია მედიის თეორიაში, როდესაც გარკვეული იდეები, რწმენა განმტკიცებულია შეტყობინების გადაცემით ან მისი განმეორებით დახურულ სისტემაში. ამავდროულად, ასეთი შეტყობინებები ახშობს სხვა მსგავსი ინფორმაციის ნაკადებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი განცხადება ინვეს არა დისკუსიას, არამედ თანამოაზრეების თანხმობას და მხარდაჭერას. ასეთ „დახურულ“ სისტემაში ადრესატები ქმნიან მესიჯებს, უსმენენ საკუთარ და ეთანხმებიან საკუთარ თავს. ამ დახურულ სისტემაში ალტერნატიული ინფორმაცია არ შედის.

აუდიოვიზუალური ინფორმაციისადმი საზოგადოების რეაქციაზე გავლენას ახდენს ინფორმაციის სანდოობა. აქედან გამომდინარე, სანდოობის შეფასება საზოგადოების ქცევის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. თანამედროვე სამყაროში ეკრანული ინფორმაციის მიმართ სანდოობის შენარჩუნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ითვლება. შესაბამისად, ბევრი მეცნიერი და მკვლევარი სვამს კითხვას და გამოთქვამს სხვადასხვა მოსაზრებას სწორედ ეკრანული ინფორმაციის სანდოობის პრობლემების შესახებ. მაგალითად, ელონის უნივერსიტეტის პროფესორის ჟ. ანდერსონის და პიუს ინტერნეტის და ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორის ლ. რეინის მიერ დასმული კითხვებია: „გაჩნდება თუ არა მომავალში სანდო მეთოდები, რათა დაიბლოკოს ყალბი ნარატივები და თუ მიეცემა საშუალება ყველაზე ზუსტ ინფორმაციას გაბატონდეს საერთო საინფორმაციო ეკოსისტემაში? ან პირიქით, გაუარესდება ონლაინინფორმაციის ხარისხი და სიზუსტე არასანდო, ხანდახან საშიში, სოციალური დესტაბილიზაციის იდეების გავრცელების გამო?“ ნიუ-იორკის სამართლის სკოლის პროფესორი ა. უოლდმანი წერს: „როგორც დღეს, ხალხს მომავალშიც ექნება ნდობა ხმოვან-ხედვითი ინფორმაციისადმი, რომელიც ადასტურებს მათ ცრურწმენებს. მათ არ ექნებათ ნდობა იმ ინფორმაციისადმი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ამ ცრურწმენებს“. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მ. გროსეტმა განაცხადა: „როგორც ყოველთვის, იქნება კონკურენცია სიმართლესა და ტყუილს შორის“. ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარმა დ. ვაინბერგერმა გამოთქვა მოსაზრება: „საუკეთესო შემთხვევაში ჩვენ გვესმის, მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტქსულები საგამომცემლო საშუალებას ჰგავს, ეს ასე არ არის. ეს არის ინტერაქტიული გარემო, რომელშიც იდეები იხსნება წინასწარი ვალიდაციის გარეშე. ჩვენ უფრო მეტად „მეტა“ გავხდებით ჩვენს მიდგომებში და ვალიარებთ, რომ ჩვენი პასუხისმგებლობაა ეჭვქვეშ დავაყენოთ იმის ჭეშმარიტება და მართებულობა, რასაც ვხედავთ“.

დეზინფორმაციის მუდმივად ტრანსფორმირებადი პარადიგმა ინვეს აბსოლუტურად განსხვავებულ აღქმას, ემოციებს, შეგრძნებებსა თუ ქმედებებს მოსახლეობაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკრანულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საზოგადოების ფსიქოლოგიურმა კვლევამ შექმნა მყარი ფუნდამენტური ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ ადამიანები, რა არის ჭეშმარიტი და რა არის მცდარი, ახდენენ რწმენის ფორმირებას, შეაქვთ შესწორებები და შეიძლება გააგრძელონ დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ ყოფნა, მისი გამოსწორების შემდეგაც კი.¹ თუმცა, დეზინფორმაციის ფსიქოლოგიის სრულად გასაგებად კიდევ უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი და საბოლოოდ შესწავლილი იქნება თუ არა, ალბათ, ძნელი სათქმელია.

¹ <https://www.nature.com/articles/s44159-021-00006-y>

დღევანდელ სამყაროში, სადაც ახალი ინფორმაციის მოძიება ისეთი სისწრაფით ხდება, რომ საზოგადოება ვერც კი ასწრებს მის გადამუშავებას, მედიაკონტროლერები მიჰყვებიან ბიზნესმენის და ფინანსისტის ნ. როტმილდის „ჭეშმარიტებას“ – „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს სამყაროს“. ისინი არა მარტო ინფორმატორები, არამედ ახალი ამბების ინტერპრეტატორები არიან, რომლებიც იყენებენ ტელე-მედია მანიპულირების ტექნოლოგიების მთელ სპექტრს. მათ შორის, ტექნოლოგიურად განვითარებულ მულტიმედია პლატფორმებს. ეკრანის ძალა, ზეგავლენა მოახდინოს მაყურებელზე, ჩვენს ყოველდღიურობაში ჩანს. თუმცა, რაც შეეხება „მორალური პანიკის წარმატებას“ დამოკიდებულია მედიის კონტროლერების ქმედებებზე, მათ უნარზე, გააყალბონ – მოათავსონ სოციალური პრეცედენტი ვირტუალური რეალობის საერთო სურათში და ამით გამოიწვიონ საზოგადოების აფექტური და აგრესიული რეაქციები.

კვლევამ დაგვანახა, რომ „ჰიპოდერმული ნემსის თეორია“ და დეზინფორმაციის ეფექტი ციფრულ ეპოქაში დღესაც აქტუალურია, რადგან აუდიტორია „აქტიურ-პასიურად“ რეაგირებს გარკვეულ მედიაკონტენტზე. კვლევამ, ასევე, გვაჩვენა, რომ ხშირია ეგრეთ წოდებული „ზომის ეფექტის“ რეაქცია ციფრულ ეპოქაში აუდიტორიის კონკრეტულ მედიაკონტენტზე, ეს კი მხარს უჭერს ციფრულ ეპოქაში „ჰიპოდერმული ნემსის თეორიის“ სარწმუნოებას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ გლობალურ ეპოქაში ადამიანები კითხულობენ, უსმენენ ან უყურებენ ინფორმაციას. რეალურად ისინი ცდილობენ სიმართლის ამოცნობას გადაჭარბებული თუ შეუფასებელი ამბებიდან. აუდიოვიზუალური ინფორმაციის ახალი ინტერაქტიული გარემო საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოიძიოს ინფორმაცია და გააზიაროს იგი ისე, როგორც არასდროს, ეს ყოველივე კი აცოცხლებს სანდოობის კონცეფციას და იპყრობს დიდ ყურადღებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭანტურია 2022; თ. ჭანტურია: ვირტუალური რეალობა პოსტმოდერნულ ეპოქაში, სახელწოდებით მეცნიერებათა ძიებანი, №1 (88), 2022.
2. Arnheim 2004; Arnheim Rudolf: Art and Visual Perception, Second Edition: A Psychology of the Creative Eye, University of California Press, USA, 2004.
3. Bárcena, Prado 2016; Bárcena Alicia, Prado Antonio: The new digital revolution: From the consumer internet to the industrial internet, United Nations, Santiago, 2016.
4. Baudrillard 2008; Baudrillard Jean: The Perfect Crime: Radical Thinkers, Verso, UK, 2008.
5. Heidegger 2000; Heidegger Martin, Gesamtausgabe: I. Abteilung: Veröffentlichte Schriften 1910-1976: Vorträge Und Aufsätze, Verlag Vittorio Klostermann, Frankfurt, 2000.
6. Laughey 2007; Laughey Dan: KeyThemes inMediaTheory, Open University Press, UK, 2007.
7. Lazarsfeld, Katz 2005; Lazarsfeld Paul, Katz Elihu: Personal influence: The Part Played by People in the Flow of Mass Communications, Routledge, UK, 2005.
8. McLuhan 2001; McLuhan Marshall: The Medium Is the Message, Gingko Press, Hamburg, 2001.

ინტერნეტრესურსები:

1. https://searchworks.stanford.edu/articles/ers_129814592
2. <https://fourweekmba.com/hypodermic-needle-theory/>
3. <https://www.arcjournals.org/pdfs/ijmjm/v4-i2/1.pdf>
4. https://www.academia.edu/2147905/News_and_the_Overloaded_Consumer_Factors_Influencing_Information_Overload_Among_News_Consumers

5. <https://www.nature.com/articles/s44159-021-00006-y>
6. <https://www.nature.com/articles/s44159-021-00006-y>
7. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-08954-1_124
8. <https://www.bbc.com/news/stories-52731624>
9. <https://www.vanguardngr.com/2014/08/ebola-two-die-drinking-salt-water-jos/>
10. <https://www.bbc.com/news/52012242>
11. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2590061720300569#bbb0040>
12. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/34173443/>
13. <https://www.pnas.org/doi/10.1073/pnas.2023301118>
14. <https://www.pewresearch.org/internet/2017/10/19/the-future-of-truth-and-misinformation-online/>
15. <https://www.nature.com/articles/s44159-021-00006-y>
16. <https://www.pewresearch.org/internet/2017/10/19/the-future-of-truth-and-misinformation-online/>


ანა ტალახაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფ. მარიამ ხარაიშვილი

საქართველოს დოლარიზაცია

თანამედროვე განვითარებად ეკონომიკაში დოლარიზაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად გვევლინება. საერთაშორისო პრაქტიკაში ამ ფენომენს ხშირად და სიღრმისეულად განიხილავენ და აკვირდებიან, რადგან დოლარიზაციას დიდი გავლენა აქვს ქვეყანების ეკონომიკურ მდგომარეობასა და წინსვლაზე. ეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში დოლარიზაცია განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტიტუტების მიერ უცხოური ვალუტის აქტივებისა და ვალდებულების ფლობით, მაშინ როდესაც ეროვნულმა ვალუტამ დაკარგა სანდოობა ან ეფექტურობა. დოლარიზაცია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ქვეყნის შიგნით ეროვნული ვალუტის უცხოური ვალუტით ჩანაცვლებას გულისხმობს, თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ სიტყვა დოლარიზაციაში ნებისმიერი უცხოური ვალუტა შეიძლება განიხილებოდეს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებით და არსებობს როგორც ფინანსური, ასევე ზოგადი სახის დოლარიზაციაც. წარდგენილ მოხსენებაში ამ მცნების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე გამომწვევი მიზეზები და ისტორიული წარმომავლობა იქნება განხილული საქართველოსთან მიმართებაში, ისევე, როგორც რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ შექმნილი ვითარება და ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა.

მაშასადამე, იმისთვის, რომ გავიგოთ საიდან მოდის საქართველოს დოლარიზაცია, უნდა შევხედოთ ჩვენს არცთუ ისე მრავალწლიან ეკონომიკურ მონაცემებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ვეცნობით. 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დანგრევისა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ განვითარდა ჰიპერინფლაცია (რომელსაც ქართველი ხალხი ყველაზე ნათლად კუპონების სახით იცნობს). არასტაბილურმა გარემომ (პოლიტიკურმა და, ასევე, ეკონომიკურმა) ნდობა დააკარგვინა გამოცხადებულ ეროვნულ ვალუტას. არ იყო ეფექტურად განვითარებული ეკონომიკური ბაზრები, რაც კიდევ უფრო მეტად უშლიდა ხელს, აქტიურად გამოყენებულიყო ეროვნული ვალუტა საქართველოს მოქალაქეების მიერ. ასევე, აღსანიშნია, დეპოზიტთა დოლარიზაცია, რაც გამონვეული იყო უცხოეთიდან გამოგზავნილი ტრანსფერებითაც. გიზიარებთ მონაცემებს ზემოთ მოცემულ სქემაზე.

მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ ეროვნული ვალუტის რომელიმე ფუნქციის შესუსტება უკვე ქმნის გზას დოლარიზაციისკენ. საბჭოთა კავშირის დაშლის პირველივე დღეებიდან, ინფლაციისა და სხვათა ფაქტორებისგან გაუფასურებული და რამდენჯერმე შეცვლილი ვალუტა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, რომელმაც, საბოლოოდ, ფულის შენახვის ფუნქცია ლარში თითქმის მთლიანად აღმოფხვრა (დაახლოებით 90%-მდე აღწევდა სესხთა დოლარიზაციის მაჩვენებელი 90-იან წლებში). უნდა აღინიშნოს, თუ რაოდენ საფრთხილოა ვალუტის გაუფასურების მოლოდინები და დაკარგული ნდობა კომერციული და ეროვნული ბანკებისადმი. ჩვენს ქვეყანას დრო სჭირდებოდა, რომ წარსული გეგმიური ეკონომიკიდან, ფუნქციურ კაპიტალისტურ ეკონომიკაზე გადასულიყო და სტაბილური და სწორი მაკროეკონომიკური ვითარება შეექმნა, თუმცაღა მოლოდინების გასამართლებლად მარტო ეს ღონისძიებები ნამდვილად არ კმაროდა და ქვეყანას პოლიტიკური სტაბილურობა სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა. პოლიტიკური გაურკვევლობა ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, რაც შემდგომში ლარისადმი ნდობაში თავისთავად აისახება.

ყურადსაღებია ის ემპირიული კვლევები, რომლებიც ცხადყოფს, რომ დეპოზიტების დოლარიზაცია სესხების დოლარიზაციასაც წარმოქმნის, რაც ქმნის პრობლემას ბანკებისთვის, ვინაიდან, უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მაღალი მაჩვენებლის პირობებში ბანკებს უჩნდებათ სესხების უცხოური ვალუტით გაცემის სტიმული, რათა შეინარჩუნონ დახურული სავალუტო პოზიციები.

როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი მცურავი გაცვლითი ვალუტისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელსაც, დამატებით გარე შოკების მშთანთქავი ფუნქციაც აკისრია, კურსის დასაშვებ ფარგლებში მერყეობა სავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივი პროცესია, მაგრამ დოლარიზაციის გამო, ეროვნულ ბანკს ნაკლები დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების საშუალება რჩება ხელთ, რადგან მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სხვა ვალუტით სარგებლობს, იქნება ეს დეპოზიტებისა თუ სესხების აღებ-გაცემა. ამას ემატება ზემოხსენებული ინფლაციის წნეხები, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ინფლაციურ მოლოდინებზე, იზრდება სესხის გადახდის წნეხიც, რადგან ეროვნული ვალუტა უფრო და უფრო უფასურდება დოლარში აღებულ სესხებთან მიმართებაში. შედეგად, სამწუხაროდ, ეროვნულ ბანკს წართმეული აქვს ის საჭირო ბერკეტები, რითიც, მაგალითად, უნდა ებრძოლოს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებას ინფლაციის პირობებში, ან მსესხებლების გადახდისუნარიობის შესუსტებას, რომელმაც შესაძლოა, საბანკო სისტემას სერიოზული პრობლემები შეუქმნას და უკიდურეს შემთხვევებში ფინანსური სტაბილურობაც კი რისკის ქვეშ დააყენოს.



მორიგი პრობლემა, რაც დოლარიზაციას ახლავს თან არის ლიკვიდურობის რისკი. ცენტრალური ბანკი, როგორც ბოლო ინსტანციის მსესხებელი ორგანო, ვეღარ ფუნქციონირებს ისე თავისუფლად და თამამად, რადგანაც საჭიროების შემთხვევაში კომერციულ ბანკებს დროულად ვეღარ მიაწვდის გარკვეული რაოდენობის სესხებს, რომლებიც იქნება დე-

ნომინირებული ეროვნულ ვალუტაში. პრობლემა სწორად მაშინ იჩენს თავს, როცა დოლარიზაცია იმდენად მაღალია ქვეყანაში, რომ ბანკებს არა ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები, არამედ უცხოურში არსებული კაპიტალი ესაჭიროებათ, რისი გაკეთებაც ეროვნულ ბანკს კანონით ეკრძალება და შედეგად ეროვნული ბანკი ისეთი მდგრადი და ლიკვიდური ინსტანციის მსესხებელი ვეღარ რჩება, როგორც დაბალი დოლარიზაციის პირობებში.




ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დოლარიზაციის დონის შემცირება საქართველოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონეგვაა და ბოლო წლების განმავლობაში რიგი ღონისძიებები განხორციელდა ამ მიმართულებით.


როდესაც აღინიშნება, რომ დედოლარიზაციას ესაჭიროება მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ამაში ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, საქართველოს ეროვნული ბანკის 2 მთავარი მანდატი, ფასების სტაბილურობა და ფინანსური სტაბილურობა იგულისხმება. ნარდგენილი ორი ფაქტორი განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და უცხო ინვესტიციების მოზიდვას, ისევე, როგორც სხვა მრავალ ფაქტორს. მათი სტაბილურობით, უკეთესობისკენ იცვლება ეროვნული ვალუტისადმი შექმნილი მოლოდინები, რომლებიც ნაკლებად ქმნის დოლარიზაციის საშიშროებას ქვეყნისთვის და ამყარებს ლარისადმი ნდობას.

დოლარიზაციის მონაცემები სესხებსა და დეპოზიტებზე და მათი დენომინაციის ფარდობა ლარსა და დოლარში არის ინდიკატორი, თუ რამდენად მძლავრია ნარდგენილი ფაქტორი.





წარდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით 2022 წლის თებერვალში უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები 22.15 და 21.10 მილიარდ ლარს შეადგენდა (ჯამში 43.249 მილიარდი ლარი), ხოლო 2023 წლის აპრილში (შესაბამისად, უახლესი მონაცემებით) ეს რიცხვები 19.75 და 25.02 მილიარდ ლარს შეადგენს (ჯამში 44.767 მილიარდი ლარი), რითაც ვასკვნით, რომ მიუხედავად დიდი რაოდენობის უცხო პირთა შემოსვლისა, სესხთა დოლარიზაცია 51.21%-დან 44.11%-მდე დაინია, რაც ერთი მხრივ, დედოლარიზაციის სწორი პოლიტიკის, თუმცაღა მეტწილ უცხოელი პირების შემოსვლის შედეგად ლარის საგრძნობლად გამყარების შედეგია (თუ გადავხედავთ 2022 წლის თებერვალს ლარი დოლართან მიმართებით 3.49 იყო ხოლო 2023 წლის აპრილის თვეში დაახლოებით 2.5-ია, რაც, თავისთავად, სურათია ასეთი მკვეთრი პროცენტული ცვლილებისა 1 წელიწადში).





რაც შეეხება დეპოზიტთა დოლარიზაციას, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტთა რაოდენობა 21.54 მილიარდ ლარს, ხოლო ეროვნულთა – 15.23 მილიარდს (ჯამში 36.774 მილიარდს) შეადგენდა 2022 წელს, ხოლო 2023 წელს 22.11 და 20.98 მილიარდებს (ჯამში 43.094 მილიარდს) შეადგენს. როგორც ვხედავთ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები გაიზარდა 15.23-დან 20.98 მილიარდამდე. შესაბამისად, დეპოზიტებიც, სესხთა მსგავსად, თითქმის ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია, ერთი მხრივ – სწორი მაკროეკონომიკური ღონისძიებები, ხოლო მეორე და უფრო ყურადსაღები – ლარის მოთხოვნის მკაფიო ზრდა დიდი რაოდენობით მიგრანტთა შემოსვლის გამო.




კაპიტალური და ფინანსური ბაზრების განვითარება, სახელმწიფო ვალის/სესხის მაქსიმალურად დედოლარიზაცია, მაღალი სარეზერვო ნორმების დანესება უცხოური ვალუტით

მოზიდულ ინვესტიციებზე, უცხოურ დეპოზიტებზე მოთხოვნების მაქსიმალურად შემცირება – ყველა ეს ღონისძიება, ზემოხსენებული მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შემადგენელი კომპონენტებია. თუმცა, პერუსა და ბოლივიის მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, დავასკვნით, რომ მარტო მაკროეკონომიკური ღონისძიებების შემუშავება არ არის საკმარისი ამ გამოწვევის დასაძლევად და ბაზარზე დაფუძნებული კომპლექსური ცვლილებებიც აუცილებელია დედოღარიზაციისთვის. მაგალითისთვის, ემპირიული წყაროებიც მოწმობს, რომ მნიშვნელოვანია ბაზარზე არსებული უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივების ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტებით განვითარება. მნიშვნელოვანია, ნახალისდეს და უფრო გამოეყოს ერთმანეთს ადგილობრივი და უცხოური ვალუტის სარეზერვო მოთხოვნები, მაგალითად, დაწესდეს განსხვავებული საპროცენტო სარგებელი. მიზანი ყველა პოლიტიკის გატარებისას უნდა იყოს ეროვნული ვალუტის სანდოობისა და ცირკულირების მაქსიმალურად გაზრდა და ნახალისება.

ამ მხრივ, საინტერესოა, პოლონეთის შემთხვევა, როდესაც ადგილობრივ ვალუტაზე მალაღმა საპროცენტო განაკვეთმა დიდი ბიძგი მისცა ეროვნული ვალუტის პოპულარიზებას. როგორც პოსტსაჭოთა ქვეყანამ, თავდაპირველად პოლონეთშიც ინფლაციამ პიკს 1989-90 წლებში მიაღწია, რამაც, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ვალუტას ნდობა დააკარგვინა. სიტუაციის გასაუმჯობესებლად დაიწყო შესაბამისი რეფორმების გატარება, რომელმაც თავიდან ქვეყანა რეცესიაში აღმოაჩინა, მაგრამ 1992 წლიდან ზრდის ტემპი განახლდა. პოლონეთმა მალევე შეძლო, დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდაც. 1991 წლიდან მთავრობამ ზლოთით დენომინირებული სახაზინო ობლიგაციებიც გამოუშვა, რამაც სახელმწიფო ვალი საგრძნობლად შეამცირა, გაძლიერდა ბანკების რისკთა მონიტორინგიც, განსაკუთრებით უცხოური ვალუტით გაცემული სესხების რისკების კონტროლი. შემცირდა ბიუროკრატია ადგილობრივი ვალუტით გაცემულ სესხებთან მიმართებაშიც (ე. წ. ადმინისტრაციული რეფორმა), რამაც, საბოლოოდ, აღმოაფხვრევინა პოლონეთს დოღარიზაციის პრობლემა:

დეპოზიტების დოღარიზაცია პოლონეთში



წყარო: Ize and Yeyati (2003), "Financial Dollarization"

საქართველოში 2015 წლიდან რიგი მნიშვნელოვანი აქტივობები დაინერგა ეროვნული ვალუტის ცირკულირების გასაზრდელად. ღარიზაციის 10-პუნქტიანი გეგმიდან რამდენიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს მოცემულ მოხსენებაშიც წარმოგიდგინთ:

მაგალითად, 200 ათას ლარამდე სესხები (2019 წლიდან) გაიცემა მხოლოდ ეროვნული ვალუტით, ამ ღონისძიებას თავის დროს პერუმაც მიმართა.


განხორციელდა ერთჯერადი სესხების გალარების პროგრამაც, რომლის მიხედვითაც 2015 წლამდე გაცემული სესხები ლარში დენომინირდა. 2017 წლიდან იურიდიული პირებისთვისაც სავალდებულო გახდა, რომ ნებისმიერი სახის მომსახურება ან საქონელი ლარში გამოქვეყნებულიყო.

ეროვნულ ბანკს, ასევე, მიზნად აქვს, გააფართოვოს გირაოს ბაზა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს ლიკვიდობას და ამით განავითარებს კაპიტალის ბაზრებს, რაც მისცემს კომერციულ ბანკებს მეტ ბერკეტს დაბალი საპროცენტო სესხების გაცემისთვის ლარში (2016 წელი). მსგავსი რამ შეიძლება, ითქვას საპენსიო რეფორმაზეც, რომელიც არა მარტო გაზრდის მოთხოვნებს კაპიტალის ბაზარზე გრძელვადიან პერსპექტივებში, არამედ ხელს შეუწყობს უფრო მეტი დანახოვის აკუმულირებას, რაც გრძელვადიან პერიოდშიც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და მდგრად განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი 2009 წლიდან მოქმედებს (სხვათა შორის, მაშინ ინფლაცია 3.4% შეადგენდა, როდესაც 2023 წლის უახლესი მონაცემებით 2.7% შეადგენს). ამ პროცესებში მცურავი გაცვლითი კურსის მნიშვნელობა ერთიორად იზრდება, რადგანაც მცურავი გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის სესხებსა და დეპოზიტებს ნაკლებად მიმზიდველს ხდის, რაც საბოლოოდ ამცირებს დოლარიზაციას. აუცილებელია, ასევე, გაიზარდოს კომერციული ბანკების მხრიდან ეროვნული ვალუტისადმი ლიკვიდურობა, რაც გულისხმობს ლარის უფრო მდგრად და მოქნილ ცირკულირებას. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები, ხოლო შემდგომ 2010 წელს მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხები და ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები აამოქმედა. შედეგად, ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობა შემცირდა და ლარის გამოყენება უფრო აქტიურად დაიწყო მოსახლეობამ.

მორიგი ეფექტური გზა ლარის მომხიბვლელობის გაზრდისთვის არის სესხებზე ე. წ. საპროცენტო განაკვეთების სპრედის (სხვაობის) შემცირება, რაც გამოიხატება უცხოური ვალუტისთვის შედარებით მაღალი სარეზერვო მოთხოვნების დაწესებაში, რათა კომერციულ ბანკებს გაუძვირდეთ უცხოური ვალუტის შეძენა და თავადაც მოუწიონ გაზრდა საპროცენტო განაკვეთებისა უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე, რითაც შემცირდება მოთხოვნა სხვა ვალუტაზე, გარდა ეროვნულისა.

ზემოხსენებულ მსჯელობაში მორიგი გასათვალისწინებელი და დამაფიქრებელი ფაქტი ისევ და ისევ რუსეთ-უკრაინის ომის განმავლობაში შექმნილი სურათია უცხოური და ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე. მოგეხსენებათ, 2022 წლის დასაწყისში და შემდგომ, დიდი რაოდენობით უცხო მოქალაქეების შემოსვლამ საქართველოში საკმაოდ გაზარდა კაპიტალის შემოდინებაც და სესხების გაცემაც ქვეყანაში შემოსულ ადამიანებზე. ეს მოვლენა ყურადსაღებია, რადგან პირდაპირ არის დაკავშირებული დოლარიზაციასთან და ეროვნული ვალუტის მდგომარეობასთან, რაშიც მის გამყარებასა თუ პირიქით, შესუსტებას მოვიაზრებთ. ამჟამინდელი წყაროებით უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა დაახლოებით 25-დან 30%-მდე მერყეობს და აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნა ბოლო რამდენიმე წელში კიდევ უფრო გამკაცრდა. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე, პირიქით, 10%-დან ის ჯერ 7%-მდე, ხოლო ამჟამად 5%-მდე არის შემცირებული.




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

Money Transfers

April 2023

In April 2023, the volume of money transfers from abroad constituted 369.7 million USD (933.3 million GEL), which is 20.0% (61.6 million USD) more than the amount in April 2022.




	Inflow Volume (Mln. USD)	Share in the Total Inflow Volume	Annual Growth Rate of Inflow volume
Total	183.42	100.00%	13.7%
EU Countries	78.21	42.64%	11.77%
Other Countries	105.21	57.36%	15.10%
<i>Of which:</i>			
Italy	32.96	17.97%	15.43%
Greece	15.47	8.43%	-21.52%
Germany	11.38	6.20%	61.93%
Spain	4.41	2.40%	10.38%
France	3.82	2.08%	43.17%
Poland	2.52	1.37%	20.03%
Ireland	2.46	1.34%	73.30%
Russian Federation	21.94	11.96%	-12.70%
United States of America	21.10	11.50%	10.29%
Israel	14.10	7.68%	1.23%
Kazakhstan	13.78	7.51%	680.73%
Turkey	7.35	4.01%	-14.11%
Ukraine	5.08	2.77%	-31.45%
Azerbaijan	4.80	2.62%	-19.58%
Kyrgyzstan	3.37	1.84%	225.15%
United Kingdom of Great Britai..	2.45	1.33%	122.66%
Tajikistan	1.42	0.77%	116.92%
Canada	1.31	0.71%	-9.31%
Armenia	1.03	0.56%	-0.79%

ასევე, საინტერესოა ფულადი გზავნილების სურათიც გასული 2 წლის მანძილზე. როგორც ვხედავთ, 168.8 მილიონი დოლარიდან (2022 წელი) ისინი 369.7 მილიონამდე გაიზარდა (ლაპარაკია ე. წ. Net Inflow-ზე), თუმცა, უფრო მეტი კონკრეტიკისთვის, გასულ 2022 წელს რუსეთის ფედერაციიდან ტრანსფერთა რაოდენობა (Inflow) 21.94 მილიონს, სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მთლიანი ტრანსფერების 11.96%-ს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის აპრილში 159.57 მილიონს (მთლიანი ტრანსფერების 43.16% – ყველაზე დიდ წილს) შეადგენს. შესაბამისად, სურათი საკმაოდ ცხადი ხდება და ნათელია, რომ ზუსტად ერთ წელში 30% – ზე მეტი ზრდა ტრანსფერების მეტწილად ნამდვილად არის დაკავშირებული რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში განვითარებულ მიგრაციასთან, რაც ხსნის ლარის გამყარების საკითხსაც.

Money Transfers

April 2023

In April 2023, the volume of money transfers from abroad constituted 369.7 million USD (933.3 million GEL), which is 20.0% (61.6 million USD) more than the amount in April 2022.



	Inflow Volume (Mln. USD)	Share in the Total Inflow Volume	Annual Growth Rate of Inflow volume
Total	369.71	100.00%	20.0%
EU Countries	103.45	27.98%	24.04%
Other Countries	266.25	72.02%	18.47%
<i>Of which:</i>			
Italy	40.86	11.05%	22.35%
Greece	20.40	5.52%	9.41%
Germany	18.01	4.87%	50.44%
Spain	5.15	1.39%	9.30%
France	4.36	1.18%	28.94%
Ireland	3.59	0.97%	109.39%
Poland	2.38	0.64%	-22.38%
Cyprus	1.61	0.44%	14.43%
Netherlands	1.35	0.36%	43.58%
Russian Federation	159.57	43.16%	19.99%
United States of America	34.20	9.25%	36.71%
Kazakhstan	19.73	5.34%	-1.51%
Israel	16.96	4.59%	4.66%
Turkey	9.22	2.49%	13.73%
Azerbaijan	4.80	1.30%	-3.44%
United Kingdom of Great Britai..	3.61	0.98%	38.69%
Kyrgyzstan	3.44	0.93%	13.85%
Iraq	2.57	0.70%	405.05%
Canada	1.92	0.52%	12.75%
Tajikistan	1.74	0.47%	22.48%
Armenia	1.65	0.45%	61.78%
United Arab Emirates	1.38	0.37%	30.12%
Uzbekistan	1.03	0.28%	13.15%

დასკვნა

მიუხედავად, იმისა, რომ დოლარიზაცია წლების მანძილზე წარმოადგენდა და დღევანდელ რეალობაშიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საქართველოს ეკონომიკისთვის, მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ ის პროგრესი, რაც ამ წლების მანძილზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა საჭირო მაკროეკონომიკური და მაკროპრუდენციული ინსტრუმენტებით. რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომაც კი, მართალია, სიტუაცია რიგ საკითხებში უფრო გამწვავდა და დამძიმდა, თუმცაღა დოლარიზაციის კუთხით ის ნამდვილად არ გაუარესებულა, რაც წინსვლისა და პროგრესის მაჩვენებელია. ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური მომავალი ამ გადმოსახედიდან საიმედო და იმედისმომცემია, თუკი ამავე პოლიტიკით გაგრძელდება ჩვენი ეკონომიკის მართვა სანდო პროფესიონალთა მიერ.

ინტერნეტრესურსები:

<https://geoeconomics.ge/?p=12425>

<https://nbg.gov.ge/en/page/macprudential-policy-strategy>

https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/macprudstrategy-eng-c713fc93.pdf?v=qd1h2

<https://nbg.gov.ge/en/page/loans>

<https://nbg.gov.ge/en/page/deposits>

<https://nbg.gov.ge/en/page/deposits>

https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf?v=zcevu

https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%1%83%97%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9D_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94/2019/mkhatris hvili-23ce1f3e.pdf?v=u51ai

<https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2016/12/31/Inflation-Targeting-in-Dollarized-Economies-19294#:~:text=Summary%3A,implementation%20were%20not%20in%20place.>

<https://www.elibrary.imf.org/display/book/9781589062962/ch02.xml>

<https://nbg.gov.ge/en/page/money-transfers>

სოფიკო მათიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი – პროფ. ზაურ ჩანქსელიანი

**რადიონუკლიდების და მძიმე მეტალების შემცველობა გარდაბნის
რაიონის ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ნიადაგში**

გარემოს დაბინძურება დღეისათვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში მართლაც ძალიან მძიმედ დგას აღნიშნული საკითხი. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გარდაბანში დაიწყო მძლავრი თბოელექტროსადგურის „თბილსრესის“ მშენებლობა. დღესდღეობით გარდაბნის მუნიციპალიტეტი საქართველოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ სასოფლო სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ რეგიონს [1], აქ თავმოყრილია დიდი საწარმოები, მათ შორის აგროსაწარმოები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები. რამდენიმე წლის წინ გაიზომა რადიაციული ფონი და აღებული იქნა ნიმუშები საანალიზოდ. განისაზღვრა რადიონუკლიდების და მძიმე მეტალების შემცველობა [2]. დაისვა GPS კოორდინატები რუკაზე და შეფასდა შესაბამისი წეტილიდან აღებული ნიმუში. შეესწავლეს გარდაბნის რაიონის თბოელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორია ეკოლოგიური დაბინძურების თვალსაზრისით; ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ გარდაბნის ტერიტორიის ნიადაგებში, კონკრეტული დამაბინძურებელი ელემენტების შემცველობა ნიადაგში აჭარბებდა თუ არა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ნიადაგებში მძიმე მეტალების შემცველობა სხვადასხვანაირია. განისაზღვრა რადიონუკლიდების დაბინძურების დონე. კონკრეტულად: K^{40} , Cs^{137} და Sr^{90} [3]. დაფიქსირდა K^{40} მაღალი შემცველობა. Cs^{137} კვლევისას დადგინდა, რომ სიღრმის მატებასთან ერთად მისი შემცველობა მცირდება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შემცველობა ნიადაგში საგანგაშო არ არის. ასეთივე ოდნავი მატება აღინიშნა Sr^{90} -ის შემთხვევაშიც.

აღნიშნული ნიადაგები განიცდიან მძიმე მეტალების ზემოქმედებას. დადგინდა იქნა შემდეგი მძიმე მეტალები: Zn , Pb და Fe . მათი შემცველობა სხვადასხვა დოზაა ნიადაგებში, რაც გამოიხატება ზოგიერთი მათგანის დასაშვებ კონცენტრაციასთან მატებაში. მიღებული ციფრული მასალის საფუძველზე, პიკს აღწევს Pb მაგრამ მისი შემცველობა, სიღრმის მატებასთან ერთად კლებულობს [4].

გარემოს დაბინძურებაში უდიდესი წილი მრეწველობასა და ტრანსპორტზე მოდის. ამ დროს მსოფლიოში იწარმოება 40 ათასი ტონა დარიშხანი და 30 ათასი ტონა ურანი. აქედან გარკვევით ჩანს, რამდენად ჭარბობს გარემოს დაბინძურება ამ ნივთიერებებით.

აღნიშნულ ზონაში ქარებისა და ნალექების განაწილების თავისებური კანონზომიერება გამოიხატება. იგივე ფონი აღმოჩნდა რადიაციული თვალსაზრისითაც. ნიმუშების აღება მოხდა სოფლებში, გარდაბნის რაიონის ნიადაგებში ბუნებრივი რადიონუკლიდები 40K-ს ყველა ნიმუში დაფიქსირდა. აღნიშნული რადიონუკლიდი 40K-ის არსებობა განპირობებულია ნიადაგების დედაქანების შემადგენლობით და, ასევე, ფოსფორიანი სასუქების გამოყე-

ნებით. ცხილებში მოცემულია რადიონუკლიდების გაზომილი დოზები და, აგრეთვე, ზღვრულად დასაშვები ნორმები.

ცნობილია, რომ რადიონუკლიდების განაწილებაზე ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად გვევლინება ატმოსფერული ნალექები, ქარის მიმართულება და სხვა. ნებისმიერ დიდ თუ პატარა ქალაქში ნარჩენების მართვა კარგ შემთხვევაში შემოიფარგლება მათი შეგროვებითა და ქალაქგარეთ მათი ტრანსპორტირებით. უმეტეს შემთხვევაში, ნარჩენები კონცენტრირებულია ღია ცის ქვეშ. ქარის დროს ეს ნარჩენები დიდ მანძილზე მიმოიფანტება დაბებსა და ზეგნებზე.

ნარჩენების დამარხვით ზიანდება და ინამლება ნიადაგი და რაც ყველაზე მთავარია, ბინძურდება ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმდიდრე მინისქვეშა წყლები. გარდაბნის ნიადაგის კვლევა და მისის შეფასება რადიონუკლიდური დაბინძურების თვალსაზრისით, არჩეულ იქნა ჩვენ მიერ, ვინაიდან გარდაბნის ტერიტორიაზე მდებარეობს თბოელექტროსადგური. დღესდღეობით გარდაბნის მუნიციპალიტეტი საქართველოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ სასოფლო სამეურნეო სივრცეს.

ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა მონიტორინგი: ავიღეთ ნიმუშები რამდენიმე ნიადაგიდან, მათ შორის, შერეული ტიპის, სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებიდან. დასმულ იქნა GPS კოორდინატები რუკაზე და შეფასდა შესაბამისი ნეტილიდან აღებული ნიმუში. განისაზღვრა რადიონუკლიდების დაბინძურების დონე. განისაზღვრა Cs^{137} , Sr^{90} და K^{40} . დაბინძურების დონის ზრდა ჩერნობილის ატომური სადგურის ავარიის შემდეგ, ძირითადად, განპირობებულია რადიაქტიური ცეზიუმის ჭარბი რაოდენობის გამოლექვით. როგორც ცნობილია, რადიონუკლიდების განაწილებაზე ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად გვევლინება ატმოსფერული ნალექები, ქარის მიმართულება და სხვა. ცნობილია, რომ ნიადაგში რადიონუკლიდების შემცველობა პირდაპირ კავშირშია გამოლექილ ატმოსფერულ ნალექებთან.

როგორია რადიონუკლიდების გაზომილი დოზები და, აგრეთვე, ზღვრულად დასაშვები ნორმები. ცნობილია, რომ ნიადაგში რადიონუკლიდების მიგრაცია დამოკიდებულია მათი ხსნადობის უნარზე. მეცნიერების მიერ გამოკვლეულია, რომ ნიადაგის ზედაპირზე რადიონუკლიდების – Cs-ის, Sr-ის დალექვა ხდება ხსნადი ნაერთების სახით. ის ხელს უწყობს მცენარის მიერ მათ ადვილად შეთვისებას. ნიადაგის ზედა ფენებში სხვა რადიონუკლიდები კავდება, რადგანაც ისინი კოლოიდების სახით გვევლინებიან. სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიისა და რადიოეკოლოგიის გამოკვლევებით (Ананян В.Л. Агрохимические исследования искусственных радионуклидов в Армянской ССР, г Ереван, 1983г) დადგენილია, რომ რადიოსტრონციუმი (Sr) ქიმიური ბუნებით მსგავსია კალციუმისა (Ca), ხოლო რადიოცეზიუმი (Cs) კი კალიუმის (K). ამის გამო, მათი მიგრაცია ბიოლოგიური ჯაჭვის რგოლებში – ნიადაგი-მცენარე მიმდინარეობს ერთად. რადიოსტრონციუმი (Sr) 1,4 ჯერ უფრო მტკიცედ უკავშირდება შთანთქმის კომპლექსს, ვიდრე კალციუმი (Ca) და 30-ჯერ უფრო მტკიცედ უკავშირდება (Cs), ვიდრე კალიუმი (K). მოცემული ანალიზები შესრულდა რადიოეკოლოგიისა და მოდელირების ლაბორატორიაში. რადიონუკლიდები განისაზღვრა ინსტრუმენტული მეთოდით „CANBERRA“-ს ფირმის მრავალარხიან ალფა და გამა სპექტრომეტრულ ანალიზებზე.

ჩვენი გამოკვლევებით აუცილებელია გარდაბნის თბოელექტროსადგურის გამონაბოლქვის გამწმენდი საშუალებების სისტემური მონიტორინგი და მათი განახლება. დადგენილ იქნა, რომ მძიმე მეტალების შემცველობა გარდაბნის ნიადაგებსა და პროდუქციაში იზრდება შეტანილი მინერალური სასუქების რაოდენობის შესაბამისად. მათი შემცველობა ჯერ-

ჯეროებით ზღვარს ზემოთ არ დაფიქსირებულა, მაგრამ საჭიროა მისი მონიტორინგის გაგრძელება.

ცხრ 1. GPS კოორდინატები 41,494063; 45,115063 (შერეული)

ნიმუშის აღების ადგილი	სიღრმე სმ	რადიონუკლიდები ბეკ/კგ				
		CS ¹³⁷	Bi ²¹¹	K ⁴⁰	Tl ²⁰⁸	Pb ²¹²
ლელა-აშხი	20-40 სმ		172	1209	100	61
ქესალო	20-40 სმ	27	172	1209	106	60
ნაზარლო	0-20 სმ		85	1410	125	71
ჯანდარა	40-60 სმ	37	162	94		87
ზღვ		50		370		

ცხრ. 2 გარდაბნის რაიონის ნიადაგებში რადიონუკლიდების შემცველობა ბეკ/კგ

#	radionuclide	Activity Bq/kg	Stat.error %	Uncertainty Bq/kg	ზღვ ბეკ/კგ
1	CS-137	2.12	92.1	2.03	50
2	SR-90	0.00	>100	21.0	20
3	K-40	403	4.7	108	370

ცხრ.3 (GPS) 41,4963377; 45,109227

#	Radionuclide	Activity Bq/kg	Stat.error %	Uncertainty Bq/kg	ზღვ ბეკ/კგ
1	CS-137	21.0	12.4	6.14	50
2	SR-90	0	>100	20.2	20
3	K-40	309	5.9	83.8	370

ცხრ.4 (GPS) 41,477860; 45,074894

#	რადიონუკლიდი	ბეკ/კგ	ცდომილება %	ბეკ/კგ	ზღვ ბეკ/კგ
1	¹³⁷ CS	6.78	28.6	2.64	50
2	⁹⁰ SR	18.4	>100	19.9	20
3	⁴⁰ K	395	4.6	106	370

აგრეთვე, განვსაზღვრეთ 7 ნერტილზე ნიადაგში მძიმე მეტალების შემცველობა. აღებულ იქნა შესაბამისი კოორდინატები, რომელიც მითითებულია ცხრილში, ასევე, მოცემული გვაქვს მძიმე მეტალების ზღვრულად დასაშვები ნორმები ქვედა ცხრილში.

ცხრილი 5. მძიმე მეტალების შემცველობა გარდაბნის რაიონის ნიადაგებში

ნიმუშების ადრესის ადგილი(GPS)	მძიმე მეტალების შემცველობა გარდაბნის რაიონის ნიადაგებში მლ/კგ		
	Zn	Pb	Fe
41,496377 45,109227	770	360	3492
41,477860 45,074894	260	320	3426
41,516432 45,065796	920	280	3105
41,471043 45,102703	650	220	2988
41,494063 45,115063	910	280	3534
41,475031 45,080731	850	240	3447
41,475288 45,073864	750	220	3360
ზღვ	300	130	420

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: გარდაბნის რაიონის ნიადაგები განიცდიან მძიმე მეტალების ზემოქმედებას, რაც გამოიხატება ნიადაგებში მძიმე მეტალების დასაშვებ ნორმასთან მატებაში.

მიღებული შედეგებიდან აქცენტი გავაკეთეთ ^{137}Cs , მიღებული ციფრობრივი მასალების საფუძველზე რადიონუკლიდი ^{137}Cs , სიღრმესთან მიმართებაში, მცირდება. რაც შეეხება რადიონუკლიდებს, მათთან დაკავშირებით არ არის საგანგაშო ვითარება გარდაბნის აღნიშნულ ტერიტორიაზე. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა გარდაბნის რაიონის ზოგიერთი ტერიტორიის ნიადაგებში მძიმე მეტალების შემცველობა, კერძოდ Zn, Pb, და Fe.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პანჩენკო ს.ვ. და სხვ. რადიოეკოლოგიური მდგომარეობა ატომური ენერჯის სახელმწიფო კორპორაცია „როსატომის“ სანარმოთა რეგიონებში, მოსკოვი, 2021.
2. ჩხიტუნიძე მ., მათიაშვილი. ს., კერესელიძე ზ. ნიადაგის დაბინძურების ცვლილების დიფუზური მოდელი დროთა განმავლობაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ ქუთაისი, საქართველო, 2018 წლის 21-22 სექტემბერი.
3. ჩანქსელიანი ზ., ზარდალიშვილი ო. აგროქიმიის ეკოლოგიური პრინციპები. თბილისი, 1992., გვ.107. (ქართულად).
4. ამირანაშვილი ა. გარემოს გამა გამოსხივების გავრცელება დასავლეთ საქართველოში. ჟურნალი რადიობიოლოგიისა და რადიაციული უსაფრთხოების მაცნე, ISSN 2667-9787, ტ. 1, 2021, გვ. 16-21. DOI: <https://doi.org/10.48614/rrs120213283>
5. ამირანაშვილი ა., ჩარგაზია ხ. სუბმიკრონული აეროზოლების კონცენტრაციის წლიური და სეზონური ვარიაციები და მათი კავშირი რადონის შემცველობასთან ქალაქ თბილისის ზედაპირულ სასაზღვრო ფენაში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 10, N 2, 2016, გვ. 72-78.

გამომცემლობის რედაქტორები:	მაია ეჯიბია მარინა ქყონია
დიზაინერი	მარიამ ებრალიძე
დაკაბადონება	ლალი კურდღელაშვილი
გამოცემის მენეჯერი	მარიკა ერქომაიშვილი

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>